

644/3
1959

საქართველოს
ბიბლიოთეკა

გაზეთი

10

შ ი ნ ა კ რ ს ი

მ. მახარაძე — ფილტვეში ჩამდის, ჰაერი მთვარის (ლექსი)	3
ა. გეგაძე — დღე-ღამის ჭიდილი (ისტორიული დრამა)	7
მ. ქველიძე — უკანასკნელი გზა (ნაწევები რომანიდან)	38
ბ. გიგაური — ლექსები	56
ქ. კობახიძე — ლექსები	58
ო. ჩხეიძე — დაღალა, ღიბირა (ეტიუდები)	61
ც. მელუა — ლექსები	72
ბ. ნაფთხაძე — ნოველები	78
ფ. ხალვაში — ლექსები	81
ნ. ნარსია — ლექსები	83
პო. მღ. — ცნობა ის სევედა (თარგმანი გ. ბუხ- ნიკაშვილმა)	85

10

1959

მოგზაურის დღიური

მ. გიგაური — სამი კვირა რუმინეთში (გაგრძე- ლება)	94
---	----

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

მ. მესხიშვილი — ჩინეთის სახალხო რესპუბ- ლიკის 10 წლისთავი	102
მ. ვარნახაძე — პოლონეთის მიწიდან შორეულ კავკასიაში	104
დ. შენგელაია — წიგნი სიბრძნე სიცრუისა	106
ლ. მენაბდე — ზაალ-ზოსიმე ორბელიანი	112
ბ. შატბერაშვილი — მეფეთა სამიქმარი	121
მ. ძმობაძე — სულხან-საბა ორბელიანის „სი- ტყვის კონა“	124

ოქტომბერი

სახელმწიფო
ბამრეცემლო

„საბჭოთა
საპარტიველო“



6. კანდელიანი — სულხან-საბა ორბელიანი როგორც მკვლევარმეტყველი	129
შ. გოჯალიშვილი — კოსტა ხეთაგურაოვი და ქართული საზოგადოებრიობა	133
ო. ჯაფარიძე — „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეგმა“	141
3. სიღამონიძე — ლესინგის პირველი ქართველი მთარგმნელი	144

ხელოვნება

კ. წერიტიელი — ადამიანისა და ხალხის ბედი	146
--	-----

უძველი მხრიდან

პრონიკა	151
-------------------	-----



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია:

- თ. ზადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატერაშვილი,
- ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

მუხიან მაჭავაძიანი

ფილტვებში ჩამდის ჰაერი მთვარის

თუმცა ზოგისთვის
ეს ცხოვრება ავბედითია,
ჯერ კიდევ ბევრგან,
სამწუხაროდ, ისმის: — ვაიმე!
ადამიანის
დღეს აღმასვლა ისე დიდია, —
ძნელია, შესძლო,
გაოცების გარდა, რაიმე.

მნიშვნელოვანი,
ღირსეული
და თვალსაჩინო —
ჩემშიც გროვდება ყველაფერი —
რაც ზდება ირგვლივ...
ენამზებობა თუ ოდესმე იყო საჭირო,
ყველაზე მეტად საჭიროა ამჟამად იგი.

მოგზაურობა
გამიგია ქვეყნის გარშემო,
მიღწევაც ვიცი არაერთი,
ჩვენი თუ სხვისი,
ვიცი, არსებობს ტელეფონი,
არის რადიო,
ტელევიზორიც,
ელექტრონიც
არსებობს, ვიცი.

მაგრამ...
მთვარისკენ,
ვესპერისკენ აღება გვზის, —
რაც მართალია, მართალია —
პირველად მესმის..



7767

— ვინ?!
 — თიულ ვერნი?!
 წაგვიკითხავს,
 ჩვენც ვიცით ოგი,
 მაგრამ დღეს არა
 ფანტაზიის უნარი გვიკვირს,
 არამედ ფაქტი,
 სინამდვილე,
 ხორცშესხმა ფიქრის,
 თანამედროვის
 ცათსწორი გონება ქველი.
 ფაქტი —
 დღე-დღეზე,
 აგერ-აგერ,
 რომელიც გველის.

ეს ყველაფერი პროლოგია,
 პროლოგი, ვიცი...
 გასაოცებლად, რაც გაკეთდა,
 მყოფნიდა ისიც...
 ძველ საოცრებას,
 ეს ახალიც დაერთო ახლა,
 და... აღარ ვიცი,
 აღარ ვიცი,
 ღმერთმანი,
 რა ვქნა!

— ან გამოხატე ეპოქა შენი,
 ანდა წერაზე აიღე ხელი!
 ამოირჩიე ორიდან ერთი! —
 სხვა გზა არც იყო,
 არც არის შენთვის! —

აქედან მესმის,
 იქიდან მესმის,
 დაბლიდან მესმის,
 მაღლიდან მესმის...
 ვაპირებ კიდევ...
 ჯიუტობს ლექსი...

— ახ, მთვარევე, მთვარევე!
 ვიღაცა მღერის,
 რჩეულიშვილის გამოდის ლანდი,
 ყაბახის ღამე...
 ამბორი ზელის...
 ბაკენბარდები და ექსელბანტი...

ცაში კი მიჰქრის თანამგზავრი,
მიჰქრის და მიჰქრის...
ტრამევის ხაზი,
რკინიგზის ქსელი,
ვით ნერვიული სისტემა ჩემი...
სკრეპერით,
ლიფტით,
სპიდომეტრით —
სავსეა ფიქრი...
ვიზრდები, როგორც
მომავალი შორიდან გემი.

ვგრძნობ:
ბევრი გრძნობა
დავკარგე ძველი,
ვგრძნობ:
ვიძენ გრძნობებს —
სრულიად ახალს...
— ახ, მთვარევ, მთვარევ! —
კვლავ ვილაც მღერის, —
ვიცინი,
მიეჭრი
მალლა,
სულ მალლა.

მიეჭრი და მიეჭრი
მალლა და მალლა, —
დედამიწიდან სულ აღარ ვჩანვარ, —
პატარავდება მიწაზე ალვა,
პატარავდება დიდრონი მთები,
ვადიდებ — ეს გზა
ვინც დამისაგნა...
პატარავდება...
პატარავდება...
და...
დედამიწა სრულიად გაქრა.

ფილტვებში ჩამდის ჰაერი მთვარის...
გაკვეთე ქარი,
გავაპე წყალი...
ვიზრდები,
როგორც იზრდება გემი...
ტრამევის ხაზი,
რკინიგზის ქსელი, —
ვით ნერვიული სისტემა ჩემი...





„ღმრ-ვანის ხიდობი“

ნახატი უადრ „გუდამაყვილობა“



ღღე-ღაგის ჭიდილი

ისტორიული ღრამა

მოქმედნი პირნი:

საბა — სულხანფოფილი, ბერი. ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის. მალაღი, მხნე და ძლიერი აგებულების. აქვს მშვენიერი სახე და თეთრ-მოწითალო, გრძელი წვერი. ახურავს ბერის ქუდი, — კუნჯული.

თამარი — საბას ცოლუფილი.

შოო — მეწისქვილე.

ყამარი — შიოს ქალიშვილი.

ვახტანგ მეექვსე — ქართლის ჯანიშინი.

იესე (შემდეგ ალიყულიხანი) — ვახტანგის ძმა.

დომენტი — მათი ძმა. კათალიკოსი. ახურავს მღვდელმთავრის გვირგვინი (მიტრა).

რუქა — იესეს კაცი. ვიდრე რამეს იტყვის, ჩახველებით ყელს იწმენდს.

ბაკური — იესეს მდივანბეგი.

დარეჯანი — ბაკურის ასული.

მახარი — მემომარი და გლეხი.

ომანა — რაქველი ქვეთხურო.

ლეთისო — ურწმუნო.

ბაძიმ — ვახტანგის ერთგული ერისთავი.

ხასანა — მსტოვარი.

სედრაქ — შაჰის დიდვაზირი.

მირზა — სედრაქის მებაღე.

რიშარი — იტალიელი მისიონერი.

ნიღბები საბას არაკებიდან, მეფის სარანგები, ბერები და სხვები.

მოქმედების დრო: მეთვრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედი.

ადგილი: თბილისის შემოგარენი და ისპაჰანი.

ჯგვარი, ხმალი და ნამბალი

ღრუბლიანი ღამეა. ცა და მიწა წყვარამს გაუერთიანებია, რეკავს დედაზირი და პატარა ზარები მოსმზიან. როცა ეს ხმა მიწყდება, ისმის ვალობა — ძლისპირული. სადღაც დედა ჩეილს ნანას უმღერის, ჩვილი ტირის და მალე წყნარდება. სადღაც მგელი ყმუის, ტურა ჩხა-

* იბეჭდება შემოკლებით. პიესის სცენაზე დადგმის უფლებას იტოვებს ავტორი.



ვის, პოტი პოტს გასაძახის, ლომი ბუნუნებს, წამით, თითქოს შორს მთვარემ გამოიწვინა შუქი აფარფატა. ჩანს: ღრუბლები მიმოდიან. ცის დასაღერში ერთხანს ელავს და გრუნუნებს, შემდეგ დამშვიდდა ზეცა. კვლავ წყვარამი გაიფხვდა. სცენის მარჯვენა მხარეს, ძირს აინთო კანდელი. მის შუქზე გამოჩნდა სულხან-საბას ცოცხოფილი — თამარი. იგი შავი კაბითაა, მწუხარე.

თამარი: (დგება ლოცვად.) ყოვლისშემძლევე, სულხანის სიცოცხლეს გავედრებ. მისძინე! ის შენთვის გახდა საბა, როცა ბერად აღიკვეცა, თორემ: ჩემთვის კვლავ სულხანად დარჩა. ეპ, სულხან, სულხან, რამდენი წელიწადია აღარ მინახავხარ და ასე გესაუბრებო შორიდან, გულს შეწუხე ლოცვით ვიოხებ. რომ მნახო ბედშავი, ეგებ ველარც მიცნო, ლანდოვით დაედვიარ მიწაზე, შენ კი, შენ როგორღა ცოცხლობ, ვინ გივლის, ვინ გატარონობს, სად იტანჯება ან სად ნეტარებს შენი კეთილი სული? სად ხარ, სად, სულხან? სცენის მარცხენა მხარეს, მაღლა, სენაკში აინთება კანდელი. თამართან ზურგ-შექცევით საბა ლოცვად დგება.

საბა: ზენაარსო, საქართველოს სიცოცხლეს გავედრებ. ჯილდოდ ამ ქვეყნიდან არაფერს ვითხოვ, მხოლოდ თვალს ისევ დამიხუჭავ, ქართლი ფეხზე მაგრად მდგარი არ ვიხილო!

თამარი: ღმერთო, სულხანის სიცოცხლეს გავედრებ.

საბა: ზენაარსო, გავედრებ ჩემი ხალხის სიცოცხლეს. ტანი ნახმლევებით მაქვს დასერილი, მაგრამ დავით ვარჯის მონასტერში კი სულიერმა ჭრილობებმა მომიყვანა. მინდოდა, ამ გზით ჩემი ხალხისთვის მეტი გამეკეთებინა, კეთილი ზნე მესწავლებინა, სულიერად ამემალეებინა, ამიტომ საყვარელი თანამეცხედრეც კი ვავწირე, (ლოცვას განაგრძობს ჩუმად).

თამარი: ყოვლისმხილველო, შენ ხომ ხედავ, ახლა ჩემი გული ნახშირიც აღარ არის, მართოდენ ნაყარია და მიინც ესულდგამულობ, ეცოცხლობ იმ იმედით, რომ მზიანეთში კვლავ მეგულება სულხანი. დღეს ჩემს სულში უღაბნოა და ამ უღაბნოში მხოლოდ ერთი მეუღაბნოე, მწირი ბერი ცხოვრობს.

საბა: მე მიგატოვე, თამარ... ბევრი ვიქნიე ხმალი შიშველი, მაგრამ შინაურ და გარეშე მტრებს ანდობი ვერ ავუგე, ამიტომ მეორე ხელში ჯვარი დავიჭირე, რათა ხმლითა და ჯვარით ვიბრძოლო. შემინდე, თუ მართო დაგტოვე სატანჯველად. ნეტავი ახლა ვისზე ლოცულობ, ბედშავი?

თამარი: ღმერთო, ცოცხად ნუ ჩამითვლი, მხოლოდ ერთი სალოცავი მყავს: ჩემი სულხანი და შენი საბა. სულხან-საბა შენც ხომ გიყვარს, უფალო?

საბა: ეპ, რა ექნა! პირქუში მწუხრი დაჰფენია საქართველოსს.

თამარი: სულხან, მე მესმის შენი ღვთიურ-ზეციური სუნთქვა. ჩემი ნამდვილი ღმერთი შენ ხარ, ის კი არ ვიცი, შენ ვინ გიჩანს ნამდვილ ღმერთად.

საბა: ჩემი ღმერთი საქართველოა.

თამარი: სულხან, უშენოდ სიცოცხლეც არ მიღირს.

საბა: საქართველოა სიცოცხლე ჩემი.

საღდაც მამალი ყვისი.

საბა: ზენაარსო, მოხედე ზედნიერი თვალით მთელ ქვეყანას, მწვდ ეყოლე ზღვაში მყოფსა და მოგზაურს, ტყეობაში ჩაყარდნილსა და უღანაშაულოდ დილეგში ჩაგდებულს. კეთილი დილა გაუთენე ყველა გულნათელ ადამიანს! დამე მშვიდობისა, საქართველოც! (აქრობს კანდელს).

თამარი: დამე მშვიდობისა, სულხან-საბა! (აქრობს კანდელს).

კვლავ კუნაპეტი დამე. კანტი-კუნტად ყვირიან მამლები, შემდეგ ყვირილი გახშირდება, აღმოსავლეთს რიყრავი მოადგება. საღდაც გაივლის სიმღერა: „აღზევანს წვაღლ მაროლ-ზე“. როცა სიმღერა მიწყდება, მათა მწვერვალებს მზის პირველი სხივი ეცემა. განთიადი ბარადაც ჩამოდის. მოიჩანს ღარიბული ქოჩი ზურგშექცევით. იქვე წისქვილი, მინდორი და გორაკები, გორაკებს იქით თბილისი. შორიდან მოისმის სიმღერა: „გლესავ და გლესავ, ნამგალო“. სიმღერა უცებ წყდება, ახლოდება ხალათა ჩახა-ჩუხი და ორთა ყვირინა. ბრძოლით შემოდინ მახარე და ოსმალო.

მახარე: (ერთ ხელში ხმალი უჭირავს, მეორეში — ნამგალი.)

ჰეი, მარჯვენავ, გასკერი, გულო, ნუ შემოშინდები.

სისხლდატბორებულ მიწაზე, ფეხო, ნუ მომიცურდები!

ოსმალო უკან-უკან იხევს და ასე გადიან. მახარე სიმღერით ბრუნდება.

სპარსი: (გადმოუხტა საფარიდან.) გურჯო, დამნედი, ვიჯობს!

მახარე: თათარო, გადამთიელო, ვავსწორდეთ!

სპარსო, რა გინდა ჩემგანა, შენი რა წამილიაო,
ქვეყანა ოფლით მომირწყავეს, ზედ ყანა გამიშლიაო.

იქ რად მოდიხარ სამკალოდ, სადაც არ დაგითვისია. (ხმლების ჩახა-ჩუხით ვადიან. ლეკი გაირ-
ბენს და ქოსს უკანთან შემოუტეოს. მახარე სიმღერით ბრუნდება).

ყამარის ხმა: მომეშველით, მიტაცებენ! (ლეკს მიჰყავს ნაბადში გახვეული.) ჰეი, მომეშ-
ველეთ! (ლეკი პირს შეუტრავს.)

მახარე: (მობრუნდა.) ურჯულო, შეჩერდი! თუ გინდა სიკვდილს გავატან. ქართველ გო-
გოს კი ვერა!

ლეკი: (ნაბადში გახვეულ ქალს გვერდზე მიაგდება).

იცოდე, საქმე ლეკთან გაქვს, ვაჟაკურ შეგზას ველიო.

ლეკი სულ მიწას ჩასცქერის, სახე აქვს რკინის ფერიო,

ტანით მცირეა, დაბალი, გაწყდომანზე აქვს წელიო.

მახარე: მსმენია ლეკთა ამბავი: გული აქვთ ცხელზე ცხელიო:

სატეარს ენით გაპლოკვენ, გახდება უფრო მკრელიო.

ბაღლი რომ დაებადებათ, უნდა შეუკრან წელიო,

სწორი გამაყვეს მხარ-ბეჭი, არ დასცინოდეს მტერიო.

თოშიან წყალში გაბანენ, ჯანი ექნება მრთელიო.

მაგრამ, დუშმანო, ქართველიც განა გინახავს ჯაბანი! (შეიბნენ).

ლეკი: ო, დონღუხ გიჟურ! ვალა, ვალა! (დამარცხებული ვარბის. მახარე გაჰყვება და მალე
ბრუნდება ყამართან, რომელიც აქამდე ბროქოსს დამფრთხალი უცქერდა.)

მახარე: ვინ ხარ, დილის ფერიავ?

ყამარი: შიო შეწისქვილის ქალიშვილი.

მახარე: ის ხომ არა, პატარა გოგო მთაში რომ გადამალა თავის დასთან?

ყამარი: ისა ვარ სწორედ. ერთი კვირის წინ ვეწვიე მამას.

მახარე: ახლა სად არის? რად არ მოგეშველა?

ყამარი: წუხელ ვალმა ავადმყოფს მალამო წაუღო.

მახარე: შენ კი შინ მარტო მიგატოვა?

ყამარი: მამ მუღამ ჩოხის კალთაზე გამოკერილი ხომ არ ეყუდებო? გმადლობ, ჰაბუკო,
რომ გადამარჩინე! (მიღის.)

მახარე: სად მიგეჩქარებ? მაგ მადლობას ის მირჩევნია, შენი სახელი მარილიანად მითხრა.

ყამარი: ჩემი სახელი არც ღვინოა, რომ დალიო, არც ხმალი, ომში გამოგადგეს, რად
გჭირდება?

მახარე: ჰო, მარტო სახელი რად მინდა, მაგრამ მაინც... ისე... დღეის შემდეგ ჩემი სიცოცხლე
და ბედ-იღბალი იქნება.

შელის ნუკრო პირმშვენიერო, რად გამირბიხარ გვერდზედა,

განა მტერი ვარ, მოყვრულად გეამბორები ხელზედა.

ყამარი: (შეჩერდა.) თვითონ რა გქვია, ხმალუშიშარო?

მახარე: ერთ ნათლის ქართლოსი დაურქმევია, მეორეს — გიორგი, შინაურობაში მახარეს
მეტახიან, ჩემი სახლი, აი, აქვე დგას. ბევრჯერ დამინგრიეს, მაგრამ საძირკველი ვერ
ამოიხიხარეს, წყალშიც ბევრჯერ ჩამავდეს და ცეცხლშიც, მაგრამ არც დავიხრჩე და
არც დავიწვი.

ყამარი: მეომარ ვაჟაკს ეგ ნამგალი რალად გჭირდება?

მახარე: მხოლოდ შემომარს რად მეძახი, მიწის მუშაც ვარ. გუშინ ომიდან მოგბრუნდი,
ხოლო დღეს მწიფე ყანას შეეები, მაგრამ დუშმანმა არ დამაცალა.

ყამარი: მამა რომ მოვა, სთხოვე და მკამო ჩვენც მოგეხმარებით. კარგად იყავი, ხელხმლია-
ნო და ხელნამგლიანი! დაგლოცოს ხელხვაი და ჩაუღოქი! (მიღის შინ).

მახარე: კარებს მაგარი ურდული გაუგდე, კიდევ არავინ შემოგიტეს და არ მოგიტაცოს,
ლოყაზე ვარდი ვიყვავის, თმები გაქვს გიშრის ფერია.

შენმა მშვენივამ დამათრო, დილის კეთილო ფერიავ!

(ლეკი, ოსმალო და სპარსი სხვადასხვა მხრიდან მოეპარებიან, დაჰკვილებენ და კვლავ იმარ-
თება ხმალია ჯახა-ჯუხი. ერთი ებრძვის სამს. მახარე დასკრეს. მან ჩაიჩოქა ცალ მუხზე, ასე
გაიბრძოლა და უმალვე ფეხზე დადგა. თანდათან სუსტდება, უძენდება მტერთა მოგერიება,
ვასძახის):

ჰე, ჰე, ჰე! ქართველი თუ ვინმე ხართ ახლოს, მომეხმარეთ!

გამოჩნდა საბა. ბერის ჩოხა უმალვე გაიძრო, ქული მოიხადა, ჩაფხუტი მოირგო, ხმალი
იშველა და შეება. მტრები ვადევნეს, დაბრუნდნენ.



- მ ა ხ ა რ ე :** ვინ ხარ, ლეთისმეორე, ასე ნანატრით რომ გამომიჩნდი?
- ს ა ბ ა :** (კვლავ ბერულად შეიმოსება, ხმალს ქარჭაშში ჩააგებს.) ერთდროს დიდთა მამულთა მდლობელი ვიყავ, სამეფო გვარის სისხლისა. შემდეგ ყველაფერი ბერის ჩოხაში გავცვალე. მეგონა, ამით მეტს ვარგებდი ქვეყანას. ახლა ბერობა უნდა დაგვადო და ისევ ერთად ვიღვავო.
- მ ა ხ ა რ ე :** სულხან-საბა?
- ს ა ბ ა :** ჰო, სულხან-საბა ვარ.
- მ ა ხ ა რ ე :** სიტყვამარჯვე რომ ხარ, ღუნიამ იცის, ხმაღმარჯვეც ყოფილხარ. საბას ხალიბურ მახვილს მის სიტყვაზე ნაკლები ფხა არა ჰქონია... ეჰ, ბერი და ხმაღმარჯროსანი, სწორედ უცნაურია!
- ს ა ბ ა :** როგორიც ვერო, ისეთივე ბერო. ნუ გიკვირს საბას ხელში ღრანგული. ჩემი მარჯვენა მარტოდენ ჯგერის ჭერას როდია მიჩვეული, პირველად ხელში ხმალი მეკავა. დღეს კი ორივე ერთად მიპყრია და ასე ვიბრძვი ერთი საქმისთვის. (შეამჩნია.) ეს რაა?! სისხლი ჩამოგდის ღვარად!
- მ ა ხ ა რ ე :** ურჯულოს ხმაღმა წვერით მიწია.
- ს ა ბ ა :** ჭრილობას დროზე უნდა მოვლა, გაიძრე ჩქარა ტალავარი! თან მაქვს მალამო, მაგ იარას მე დაგვიამებ. (გახდის პერანგს.) ეს რამდენი ნაჭრილობები გქონია?! ეტყობა, ზოგი ძველია, ზოგიც ახალი. მთელი ტანი დასერილი გაქვს. (მალამოს ადებს და დობანდით უხევეს).
- მ ა ხ ა რ ე :** არაფერია: ბევრი მომინელებია, ბევრსაც კიდევ გავუძლებ. ზოგი გარეშე მტერთაგან მკირს, ზოგიც შინაურთაგან. ჩვენში დარჩეს და, შინაურთაგან დაკოდილი უფრო დიდხანს მტკიცა.
- ს ა ბ ა :** ზენაარსი იყოს შენი მფარველი, ხომ დაგვიამდა?
- მ ა ხ ა რ ე :** ტკბილ-კეთილი ხელი გქონია, ბერო.
- ს ა ბ ა :** ნეტავ შემეძლოს, საქართველოსაც ასევე მივეშველო და იარა-ჭრილობები მალამოთი იმასაც დაეუამო.
- მ ა ხ ა რ ე :** შენ საით ახლა, ხელკეთილო?
- ს ა ბ ა :** სიყრმის მეგობარს გამოუარე. ეხედავ წისქვილი დაღუმებულა, ალბათ, შინ არ არის, დაველოდები.
- მ ა ხ ა რ ე :** ნახვამდის იმედია, კიდევ შეგხვდებით ერთმანეთს. (მიდის.)
- ს ა ბ ა :** დაველოცოს გზა-კვალი! (ჩამოაღდება, დაფიქრებული წისქვილს მიაჩერდება, მერმე წიგნს გაშლის და კითხულობს.)
 „ოთ საუფთორომან დამაზხოს, ყოველთა დამამზობელმან, ღარიბი მოყვედ ღარიბად, ვერ დამიტროს მშობელმან, ვედარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან, მუნ შემიწყალოს თქვენმავე გულმან მოწყალე, მღმობელმან“.
- შ ი ო :** (შემოვიდა, ყური მიუგდო და)
 „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერისგან ანაწონები. მივე გლაზაქთა საჭურჭლე, ათვისუფლე მონები, შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არასმქონები...“
- ს ა ბ ა :** აჰ, დაბრუნდი, შიო? გამარჯვება!
- შ ი ო :** აჰ რას უღგებხარ, შინ შევიდეთ!
- ს ა ბ ა :** თბილისისაკენ მიმეჩქარება. გზა აქეთ მდო და ისე ვერ ჩივიარე, არ მენახე. სასახლის ახალი ამბები გეცოდინება.
- შ ი ო :** ისპაჰანს იწვევს შაჰი ეახტანგს მთელი ოჯახით.
- ს ა ბ ა :** მთელი ოჯახით? ეს არ არის კარგი ნიშანი.
- შ ი ო :** შაჰი ეახტანგის ძმას დომენტი კათალიკოსისაც იბარებს.
- ს ა ბ ა :** იესეს არა?
- შ ი ო :** არაო, ამბობენ.
- ს ა ბ ა :** ეტყობა, შაჰი რაღაც ახალ ბოროტ ქსელს ხლართავს, რომ ამღვრიოს ძმათა შორის ალალი ძმობა და მღვრიე წყალში ადვილად დაიჭიროს ოქროს თევზები. ხომ არ იცი, იესე ბატონიშვილი სად არის ახლა, სპარსეთში ხომ არ წასულა ან ოსმალეთში?
- შ ი ო :** ჩვეულებრივად ამ ტყეებში ნადირობს ხოლმე.
- ს ა ბ ა :** (ხმურად). ჰო, ნადირობა ფრიად უყვარს, მიკვირს, რომ შაჰმა ისპაჰანში ისიცი არ იხმო. ეგ წყეულები დალუბავენ ნამდვილად ეახტანგს. ასეთ კაცთა გვერდით ტახტზე

კეთილ მეფეს დიდხანს არ გაეძლება. ჩემო ძუძუმტეე, სხვა გზა არ არის, ბერი უნდა დაეუბრუნდე, მეც უნდა წაყვეც ისპაჰანს მეფეს. მშვიდობით, შიო!

შიო: ვინც საკუთარ ძმას არ ინდობს, სხვას სულ არ შეიბრალეbs. ჩემგან ქუთა არ ვესწავლება, მაგრამ მაინც გეტყვი, ვახტანგის გამზრდელი და ქომაგი ხარ, იესეს კი ვახტანგი სძულს და სულ იმის ცდაშია, როგორ ატყინოს ძმას გული, დააძაბუნოს და ტახტი წაართვას. იესეს მოერიდე, თავს გაუფრთხილდი, საბა!



შემდეგ ამბავი ასე გრძელდება:

ბატონიშვილი იესე თავს ნაღირობით ირთობს. გაიგებს, რომ შაჰი მის ძმებს ისპაჰანში იბარებს და გადაწყვეტს, ჩაასწოს მათ, შაჰს ძღვენად ქართველი ქალები მოუყვანოს, ამით მოიგოს მისი გული და ქართლის ტახტი ხელში ჩაიგდოს. თავის ქვეშევრდობს რუქას დაავალებს, ეს ძღვენი სასწრაფოდ მოამზადოს. რუქა „გადინადირებს“ და ახლო სოფლებში ლამაზ ქალებს დაატყვევებს, მათ შორის ყამარსაც. ამ ტყვე-ქალებს გაათავისუფლებენ საბა და დარეჯანი. იესე ნახავს დარეჯანს და თვალში მოუვა. განიზრახავს, გაიდევლოს. დარეჯანს უყვარს ბარძიმ ერისთავი, რომელიც ვახტანგ მეექვსემ რუსეთში ელჩად გაგზავნა. ბაკურს იესეს განზრახვა არ მოსწონს, მაგრამ იძულებულია, დაეთანხმოს, ქალიშვილი მიათხოვოს.

ისპაჰანში ჩაეიდა სამი ძმა: ვახტანგი, იესე და დომენტი. იესემ „იმარჯვა“, დიდვაზირი მოქრომა, რჯული შეიცვალა, ალიყულიხანი დაირქვა და შაჰმა ქართლის ტახტი მას უბოძა, ვახტანგი კი დაატყვევა. ვახტანგს ახლდა საბა, იესე ფიქრობს, გზიდან ჩამოიშოროს საბა, ვახტანგის გამზრდელი და უერთგულესი კაცი, ამისთვის მოისყიდოს დიდვაზირ სედრაქის მებაღეს მიზნას. მიზნას ღამით მიეგანება სახას და ხანჯალს დააბრტყამს, მაგრამ საბას ბერის ჩოხის ქვეშ რკინის პერანგი აცვია და უვნებლად გადარჩება. იმ მიზნით, რომ ვახტანგი ტყვეობიდან დაისხნას და მას ტახტი დაუბრუნოს. დახმარების სათხოვრად საბა ევროპის ქვეყნებში მიემგზავრება, მიჰყვება მისიონერ რიშარს.

ბატრუშაშვილი ზარზიმი, ნაცნობი თბალში და სანთელი ამდარში

სცენა: იესე მეფის სასახლის აივანი. აივანს იქით მოჩანს თბილისი. სიწყნარა. იესე საყარცხულში ზის დაფიქრებული, მის წინ ქალები როკავენ, ხელს იჩქევენ, ქალები გაცვენ.

იესე: მდივანბეგო და სახლთუხუცესო! (გამოჩნდა ბაკური). კარგაბნია სასახლეში ერთ მხეველს ვეღარ ვხედავ.

ბაკური: რომელს, დიდო მეფეო?

იესე: მეწისქვილის ქალიშვილს.

ბაკური: მართალსა ბრძანებთ, უკვალოდ გაქრა.

იესე — როგორ თუ უკვალოდ?! ჩემი სასახლიდან უნიშნოდ არაფერი იყარგება!

ბაკური: მართალსა ბრძანებთ. ამბობენ: საქმრომ გაიტაცაო.

იესე: რუქამ აფრინოს სარანგები! ქალი სასახლეში დააბრუნონ, გამტაცებელი ცხენის კუდზე გამოაბან და მოელი ქალაქი იესე ჩააფარცხენინო!

დარეჯანი: (შემოვიდა). სახლთუხუცესო, ქორებს აპყოლიხარ! მხეველი არავის გაუტაცნია. ჩემი კუთვნილება იყო და მევე გაეთავისუფლე.

იესე: რატომ?

დარეჯანი: ლამაზ ყამარ-ქალზე ერთ კაცს უნამუსოდ ევირა თვალი და ვიდრე ქალის თავზე ბნელი ამბავი არა დატრილდა რა, პატრონს ჩავაბარე, გულის სწორს გავტანე.

იესე: მდივანბეგო, მეფის ბრძანება უმაღლე უნდა შესრულდეს! (ბაკური თანხმობის ნიშნად თავს დახრის). ზოლო ჩემს მკაცრ დედოფალს ვურჩევ, მეფის უნებურ საქმეს მოეშვას, თავის მბრძანებელს ნუ ეტრჩება! მე მისი სილამაზე გავადელოფლე და არა ქუთა ჩემი სარეცელის მშვენიებად დავსვი და არა სამეფო საქმეთა გამრიგედ.

დარეჯანი: ხელმწიფე, რომელიც ასეთ საქმეებს დასდევს, თავისი ქვეყნისთვის კარგს ვერაფერს გააკეთებს.

იესე: (ვითომ დარეჯანს არ უსმენს). მდივანბეგო, გუშინ მოედანზე ხალხი ვის შეგხდა ისე მხიარულად, რა ვიგეო?

ბაკური: ბარძიმ ერისთავი რუსეთიდან მშვიდობით მობრუნებულა, თან სიტყვა მოუტანია, თეთრი მიფე დახმარებას ვგპირდებო. მოგხსენებათ, იმედი, თუნდაც ცრუ, ხალხს წა-

მიერად ახარებს.

იესე: ვიდრე რუსეთიდან აქ დახმარება მოაღწევს, საქართველო ირანისა და აქლემთა შორის კოზაკივით გაიჭყლიტება. ჩემს მკაცრ დედოფალს, როგორც იქნა, წარბი გაესხნა, ეტყობა, ბარძიმ ერისთავის დაბრუნება ყველაზე მეტად მას ეამა.

დარეჯანი: დიდი ხანია სიყრმის მეგობარი აღარ მინახავს.

იესე: მდივანბეგო, დედოფალი ერისთავის ნახვას დანატრულვებულა და დღესვე აჩვენეთ...
მიადანის მალაღ ბოძზე დაკიდებული!

ბაკური: მართალსა ბრძანებთ, მაგრამ ცოლა...

იესე: ვინ არის ცოლა, დედოფალი თუ ერისთავი?

დარეჯანი: დედოფალს შესაცოდებელი არა სჭირს რა. ცოლა ის არის, ვისაც ყველასა ეშინია და რაკი ხელში ძალა უპყრია, ირგვლივ სიყვდილს ღვარძლივით თესიანს.

იესე: დედოფალი, რატომ წყრები?! ბარძიმ ერისთავს ვსჯი არა იმიტომ, რომ მეშინია, შენი თავი წამართვას, არამედ როგორც მრულე თავლის პატრონს, ჩემი ქვეყნის ორგულს, რუსეთიდან მობრუნებულ ელჩს. მასთან ერთად დავსჯი ხალხს, ვინც ერისთავს მხიარულად შეეგება.

დარეჯანი: სისხლით ქვეყანა არასოდეს აშენებულა.

იესე: ხალხი თუ სიყვდილით არ დააშინე, ისე არ გაგაღმერთებს. ხომ გსმენია, შიში შეიქმს სიყვარულს. ბრბოღ ღმერთისაც იმიტომ ეთავყვანება, მისი ეშინია, აღრე არ მომკლასო, ამ ქვეყნად არა მტანჯოს და საიქიოს უარესი დღე არ დაამყაროსო. (უცებ ატყდება ზარების რეკა. იესე წამოიჭრება შემცბარი). მდივანბეგო, ვილაც გავიქედი! რა დროს ზარზეიმია?!

ბაკური: შეფეო, ამ ამბისა არა რა მესმის.

იესე: ზარების გალობა ხომ გეყურება?

ბაკური: ისეთი ხმაა, მკედარსაც გამოაღვიძებს, მაგრამ ვერ ვხვდები, რას მოასწავებს.

დარეჯანი: დიდი ხანია ასე საამოდ თბილისში ზარი არ დარჩებულა.

იესე: ჩემო მრისხანე დედოფალო, ეს საამო ხმა, ვატყობ, კარგს არაფერს გეიქადის. კვლავ წარბებგახსნილსა გხედავ! რა ამბავია? ეგებ შენ უწყვი, რისთვის რეკავენ?

დარეჯანი: სამეფოში ასეთ ამბებს პირველად ხელმწიფე იგებს და არა დედოფალი. მე მხოლოდ ხმატკილიმა ზარმა დმატკიო და ამან გამიხსნა გულიც და წარბიც.

იესე: (გდასასახებს). რუქა, ეგებ შენ მაინც იგულისყურე, ზართა რეკა რას მოასწავებს?
რუქა: სულხან-საბა ჩამოსულა საფრანგეთიდან.

იესე: ხომ ვარქეი, სადაც უნდა იხეტიალოს, ბოლოს მაინც თბილისში მოვა-მეთქი.

რუქა: ხალხი ისეა აფოფინებული, თითქოს სანატრელი მეფე-პატრონი დაპბრუნებოდეს.

იესე: მაგ ზარზეიმს მალე გლოვის ზარად გადაეაქეცე. უპირველესად მეზარე შეიპყარი და სამრეკლოზე ჩამოჰკიდეთ იმავე თოკით, რომელიც ახლა თვითონ უპყრია.

რუქა: ის თოკი ხელში თითქმის ნახევარ ქალაქს უჭირავს. ჰგონიათ, საბამ ზღვის ვალმეთი-მდითთვის სალხინო ამბავი ჩამოიტანა. მაგრამ გესმით! თანდათან წყდება ზარზეიმო: მიხედნენ, რომ იმედო არ გაუმართლდათ. ვირი მოგებაზე წავიდა და ნალევიც იქ დარჩა.

იესე: რუქას ეტყობა, საბას ამბავთა ყანა პირწმინდად მოუშკია.

რუქა: ფრანციის მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტე დაპპირებია, ტყვეობიდან ვახტანგის გამო-სასიდე ოჭრობებს გიფეშაშებო, მაგრამ ლუდოვიკო მალე ვარდაცვილია და ის დაპპირებაც კუბოში ჩაჰყოლია.

იესე: ვიცოდი, ცარიელი დაპბრუნდებოდა. ახლა იქაური ქვეყნები თვითონ არიან არეულნი და ვახტანგი ვილს ეფიქრება. ეერობა სპარსეთის წინააღმდეგ არ იმოქმედებს, რადგან მას სპარსეთი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ სჭირდება.

რუქა: ამბობენ, შაჰის ტახტიც ქანაოხსო: ავღანელებს შეურყევით.

იესე: ისპაანსა და ირანისტანს გრძელი დღე რომ არ ეწერა, აღრევე ვიგუშინე. ახლა შავი ღრუბელი ოსმალეთიდან წამოვა და მზად უნდა დაეუხვდეთ, რომ ამ თავსხმადი მშრალე-ბი დავრტო. რუქა, ამ გახსენებაზე, სულთანს ფარულად კვლავ აცნობე, ლაშქარი მალე გამოგვიგზავნოს და ჩაიბაროს ქართლის ციხეთა კლიტენი. ბატონი არ მოგვეშლება და ჩვენთვის სულერთია, ვინ იქნება ეს ბატონი, შაჰი თუ სულთანი, ოღონდაც ტახტს ნუ-რავინ წაგვართმევს.

რუქა: სპარსეთიდან მსტოვარმა მაცნობა, მგონი, შაჰს შეუტყვია, ოსმალეთს უსტარი მორჩილება რომ აღუთქვით.

იესე: ახლა რაც უნდა, ის შეიტყოს: მისი დამოკლებული მახვილი ჩემამდე ველარ მოსწვდება. ალაჰმა სულთანი გვიმოყოფოს კარგად. სხვის რას შეტყვი ახლას?



- რ უ ქ ა : საბას რომიდან ფეხშიშველა კაპუცინები ჩამოჰყოლიან. ხალხში კათოლიკობის მკაცრი შეფასება. თვითონ საბაც მათ რჯულზე მოქცეულა.
- ი ე ს ე : აი, ეს მოჰწონს. უხმეთ დომენტის! დედოფალი, იმედია; ჩვენს საუბარში არ ჩაერევა! (ანიშნებს, დაგვტოვებს).
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი : რაკი ასე გწამს, რომ ქალის ჭკუა მამაკაცის სიბრძნეს ვერასოდეს შესწევდება, მეტი რა გზაა, დავტოვებ ბრძენთა საკრებულოს. (გაღის).
- დ ო მ ე ნ ტ ი : ვახლავარ ჩემს მეფესა და ძმას.
- ი ე ს ე : დაბრძანდი, ძმაო და კათალიკოსო, რატომღაც ბოლო დროს სტუმრობა გამიძვირებ. ალბათ, გულს გავლია, მცირე მამული რომ გაქვს. ვახტანგისეული მიწები ამიერიდან შენი ფეშქაში იყოს!
- დ ო მ ე ნ ტ ი : მერმე რაჟიდან მისი ცოლ-შვილი რომ დაბრუნდეს ან თვით ვახტანგი შაჰა ტყვეობიდან გაათავისუფლოს?
- ი ე ს ე : ისინი ვეღარ დაბრუნდებიან, ხოლო თუ შენმა დემრთმა ასე ინება, მაშინ დაუბრუნებ, ჯერჯერობით კი დაეპატრონე, თორემ ხომ შეიტყე, საბა-ბერი დაბრუნებულა და ამ მიწებსაც ხელში ის ჩაიგდებს, როგორც ვახტანგის გამზრდელ-მესვეური.
- დ ო მ ე ნ ტ ი : საბას თავისი მამულის დაბრუნებაზე არ უფიქრია და სხვისას როგორ წაებოტინება?
- ი ე ს ე : ძმაო, გეტყობა, ეგ ბერი კარგად ვერ გიცნია. თავისი თავადური მამული რად უნდა, როცა უფრო დიდს ეტანება. თითქმის ვახტანგისათვის ზრუნავს, თავისი გაზრდილის გა-მეფება სწავლია, ნამდვილად კი თვითონ ისწრაფვის გახლდენილად. თუ გულისთქმა აის-რულა, დომენტის უარსაცა ვითარცა კათალიკოსს, შემდეგ მოსპობს კიდევ, ვითარცა მისთვის არასასურველ კაცს.
- ბ ა კ უ რ ი : საქართველოში ვახტანგის დაბრუნება რომ შესძლოს, ჩვენ კარგი დღე არც მაშინ დაგვაღებება.
- ი ე ს ე : საბა ცისქვეშეთს უნდა მოვაშოროთ, ვიდრე ხელში რაიმე ძალს ჩაიგდებს, თორემ მერმე გვიან იქნება!
- დ ო მ ე ნ ტ ი : ამ ცოდვილიან ამბავში მე ვერ გავერევი.
- ი ე ს ე : ის ბერი უპირველესად შენი მტერია. მონასტრის წინამძღვარი იყო და შენზე დიდი სახელი ჰქონდა, საქართველო თავის სულიერ მამას ეძახდა, ხოლო უფრო რომ აძლდდეს, მაშინ ხომ მის ჩრდილში სულიან-ხორციანად დაიკარგები.
- რ უ ქ ა : სიტყვილია, კათალიკოსი უბრალო ბერის ჩრდილში იდგეს.
- ბ ა კ უ რ ი : და მას თავის ნებითე უთმობდეს საკუთარ სახელსა და დიდებსა.
- ი ე ს ე : ხომ ვახსოვს, ვახტანგს ჯანიშინობისას მრჩეველ-მესაიდუმლედ ეგ ბერი პყავდა, ხო-ლო შენ, ძმას და კათალიკოსს, ჭკუას ერთხელაც არ დაჯიკთებია. უშნო მარტოობაზე უნდა მოიშორო, თუ გინდა მზეზე გაბრწყინდე!
- დ ო მ ე ნ ტ ი : ზოგი კაცია, რომ მოაშთობ, მისი სახელი მემრე უფრო ბრწყინდება, მაღლდება და ჩრდილავს მომშობებებს.
- ბ ა კ უ რ ი : ეგ მხოლოდ წმინდანთა წილხვედრია, ხოლო საბა უკვე ცოდვილია.
- დ ო მ ე ნ ტ ი : მისი შეცოდებისა არა გამიგია რა.
- ი ე ს ე : რომის პაპს შეპირებია, ოღონდ ტახტი დამამყრობინეთ და მთელ საქართველოს თქვენს რჯულზე მოვაქციეო. ამის მეტი შეცოდება რაღა იქნება!
- დ ო მ ე ნ ტ ი : ჭორია. მრველი არ ირწმუნებს, რომ ნაბერია მეფობა ესწრაფვიდეს.
- რ უ ქ ა : ნაბერალის ელწობა თუ სარწმუნოა, მეფობას წინ რაღა უდგას?
- დ ო მ ე ნ ტ ი : ვატყობთ, საბა ეკლად თვალში უპირველესად თქვენე გესობათ და რაკი მისი თავიდან მოშორება გწავლიათ, თქვენს მახილსა და უფლებამოსილებას წინ არ აღუდგე-ბი, თვითონ კი არ შემომღია ხელყოფა.
- ბ ა კ უ რ ი : მართლმადიდებელ წმინდა ეკლესიისათვის უღალატნია, ზურგი შეუქცევი იმ რჯუ-ლისათვის, რომლის მწყემსიც შენა ხარ, კათალიკოსო. საბას კათოლიკობა მიუღია, ყვე-ლაფერზე რომ თვალი დახუტო, ამას ვერ აბატრებ!
- დ ო მ ე ნ ტ ი : რა გინდათ ჩემგან, რა?
- ი ე ს ე : უპირველესად, საბა დიდევში უნდა ჩაავდო ღვთის სახელით, ვითარცა თავისი რჯუ-ლისა და ქვეყნის მოლატე, შემდგომ ყოველივე თავისი ვითარ წაეა. ჩემგან ამის ქნა-რა სასურველ არს, თორემ ამ ყანას ისე გადაუხად-გადავფარცხავდი, არც გიხმობდი.
- დ ო მ ე ნ ტ ი : ძმაო და მეფეე, ნარის გლგჯა სხვისი ხელით გწავლია.
- ი ე ს ე : კათალიკოსო, თუ ჩემს სიტყვას არ აღასრულებ, ქვეყანას გაავაგებინებ, ტახტის მიღება



თადარიგით შაპის კარზე რჯულის შეცვლას რომ აპირებდი და კათალიკოსობას უმჯობესად დაგაქარავინებ!

დომენტი: ის შეცოდება ღმერთმა მაპატიე უკვე.

იესე: სამაგიეროდ შენს მეფეს არ უპატიებია.

დომენტი: ქვეყანას თვალს ნუ უხევ. საბა რომ რჯულის დაღატაკების დილეგში ჩავსვათ, მაშინ შენი ტახტიც ხომ იმის გვერდით უნდა დავდგათ!

იესე: დაკვირვება გაცლია. მე რჯული შევიცვალე ჩემი ქვეყნის საკეთილდღეოდ, საყუთარი სიცოცხლე გჯარჯობით ჩავადე, რათა ქართველი ხალხი სამოთხეში შემყოფებინა, საბა კი რჯულის დაღატაკებით ქვეყნის დაღუპვას ფიქრობს, სწადია, საქართველო რომსა და ვერსალს ჩაუგდოს კლანჭებში. მე თუ მაჰმადი ვლიაჩე, ამ რჯულზე ხალხის მოქცევა გუმანს შიცი არ ვამიჯობა, საბა კი მთლიანად საქართველოს გაკათოლიკებას ესწრაფვის.

დომენტი: საბა ბრძენია, ადვილად არ შესცდება.

იესე: გვეპაულები, რომ ბრძენია და ამით უფრო საშიშია: სწორედ ბრძენის უროგო ქცევის ბაძვით წახდების ერი. საბას ავი ზრახვები ჩემს კეთილ ფიქრთაგან უნდა გააჩიო, ქვეყნის სულიერო მწყემსო! თუ სიტყვას დამიჯერებ, ლხინს შეგყარი, თუ არა და, — ქირს.

იტოდე, შენი სიცოცხლე, სკიბტარსთან ერთად, ხელში მე მიჭირავს.

დომენტი: მეფეო, ვეშიშვი, საბას დასჯა კარხანას ბუღის ხელყოფის არ დაემსგავსოს. ვი თუ მისი მომხრენი ავგიჯანყდნენ, ქვეყანა აირიოს და...

იესე: ამაზე მეტად არ აირევა.

რუქა: როცა კარხანას ბუღეს აშლას უპირებენ, პირბადეს იფარებენ, რათა შხამიანი ისრები აიცილონ.

იესე: ღიბს, ყოველივე ფარულად უნდა გავთვდეს. დამტყვევებელნი, მსაჯულები და დამსჯელნი მხოლოდ ჩვენ ვიქნებით. ასე რომ, ზურგს თვითონ მეფე გიმავრებს და სხვა რალა გადარდებს!

დომენტი: ხალხი, მეფეო, რომელსაც საბა უყვარს.

იესე: ხალხი ბრბოა. საკმაო ხმა დაყარო, საბამ თავისი სამშობლო და რჯული სხვას მიჰყიდა, უმაღლე ირწმუნებს, თვითონვე გაუთხრის ორმოს და შიგ ჩაავდებს. საბა ელჩად ეწვია ცოცხალ ლუდოვიკოს, ჩვენ კი ეს ბერი ელჩად გავისტუმროთ სულეთში, იქ, სადაც ახლა მისი მოიძევე ლუდოვიკოა.

ბაკური: ჩემი გუმანით, საბას როგორც კი ჩავადილეგებთ, განაჩენის გამოტანამდე უნდა მოვაცდინოთ. შემდეგ ფარულად გავმართოთ პატარა სასამართლო, ბრალდებანი წავუყენოთ და სიკვდილის განაჩენი გამოვუტანოთ!

რუქა: მდივანბეგი მართალსა ბრძანებს, ასე უმჯობესია: ჯერ მოვაცდინოთ, მერმე გავასამართლოთ.

დომენტი: რომ სიკვდილით პირშეკრულმა თავის გასამართლებლად კონტრიც ველარ დასძრას, არა?

რუქა: რომ ქომბაგები არ გამოუჩნდნენ. მოგესხენებათ, მკვდარს ცოტა დამცველი ჰყავს. ვინც სიცოცხლეში ღმერთად რაცხდა, ისიც კი თვალბდახუჭულს უმაღლე ზურგს შეაქცევს, მაინც ველარ მხედავსო.

იესე: უმჯობესი იქნება, თუ საბას აიძულებთ დილეგში თავი მოიკლას. მაშინ უფრო აშკარად გამოჩნდება მისი დანაშაული. ხმა გაავრცელეთ, ბერმა აღიარა მოლაღატოებათქო. ზოგი დავეიჯერებს, ზოგიც არა, მაგრამ ეს ჩვენთვის სულიეროა, საქმე მთავრებული გვექნება, დამნაშავე საეუთარი მახვილითვე იქნება დასჯილი, მორჩა და გათავდა.

დომენტი: საბა ასე ადვილად არ მოტყუვდება, სიკვდილამდე თავისით თავს არ მოიკლავს. იესე: კათალიკოსო, შენ ალბათ უწყვი, იმ ქვეყნებში, საიდანაც საბა დაბრუნდა, ღვთის მოლაღატეს რა წესით სჯიან?

დომენტი: შეჩვენებულს კოცონზე სწევენ.

იესე: პოდა, თუ სხვა ვერა ილონეთ რა, საბა კოცონში უნდა ჩაავდოთ!

ბაკური: ცოდვილის გვამს წმინდა მიწა მაინც არ მიიღებს.

იესე: ასე სჯობს, კათალიკოსო. კარგია, როცა მძებნი საერთო საქმეს შეხმატებლივით აკეთებენ. ამ ყანას რაც უფრო მალე ჩავფარცხაოთ, მით უფრო მალე მოვიპოვებ სიმშვიდეს და მოსვენებას. დასაკლავ ხარს რალა ღოდინი ჩნდა! ახლა კი წავიდეთ, ეს დღე სუფრახე დავლოცოთ! (მიდანი).

დარეჯანი: (გამოვა) მდივანბეგო, შევიცადე!

ბაკური: რამ შეგაწუხა, შეილო?

დარეჯანი: შვილს ნუ მეძახი. ჩვენს შორის მამა-შვილობა სამი წელია, რაც გათავდა. ახლა



შენს წინაშე მკაცრი დედოფალი დგას და არა ის სათნო ასული, რომელიც მამის მარტოობას ნებას დაემორჩილა. გულში წმინდა სიყვარული ჩაიკლა და თავისი უნებურად ჩაიდინა.

ბაკური: მეუფროსები?

ღარეჯანი: შენვე დამსვი უფროსად, მე ხომ არ მიიჭონია!

ბაკური: მირისხდები?

ღარეჯანი: ეს რისხეაც თვითონვე დაიტეხე თავზე.

ბაკური: მომიტევე! რას მიბრძანებს დედოფალი?

ღარეჯანი: ჩამოხსენი ბარძიმ ერისთავს. სავარაოოდ ისიც ეყოფა. ჩემი თავი რომ წაართვი.

ბაკური: ბარძიმი ახლა ჩვენი მტერია.

ღარეჯანი: თუ საკირო იქნება, თვითონ შევიპყრობ და ჩაეგდებ დიდგვში.

ბაკური: დედოფალი ბრძანდები, ვეცდები, ბრძანება შეგისრულო! (წასვლას აპირებს).

ღარეჯანი: მოიცა! თქვენ სხვა ავ საქმეთა ჩარხსაც აბრუნებთ. რაც გავიზრახავთ, ყოველივეს იღუმლად შემატყობინებ და ისე გაირჯები, როგორც გეტყვი, თორემ იცოდე, სარზე ჩამოსაცემლად ვაგზნი!

ბაკური: შეილო, მამა არ გებრალეზა?

ღარეჯანი: ხომ გითხარი, მე შენი შეილი აღარა ვარ შეთქი! ყველამ იცის, რომ ბაკურმა თავისი ქალიშვილი მდივანბეგობაში გასცვალა და რაღას მემართლები?! დედოფლის სიტყვა ქვეშევრდომთათვის კანონია: ჯვარი დამისვამს ჩემი ნათქვამისთვის!



სენა: იავარქმინილი სტამბა, რიყრაცია. მახარე მოუძღვება ყამარს, რომელსაც ხელში ფუთა უჭირავს და ნაბადი აქვს მოსხმულ.

მახარე: მომყვი, ჩემო სიტოცხლევ! მაღლობა უფალს, მდევრებს კვალი დაუხვანჯეთ. აქ ყველაზე უშიშარი ადგილია: ექვს ვერაფერ აიღებს, რომ იავარქმინილი სტამბას თავს ვინმე აფარებს.

ყამარი: ცეცხლს რომ დავანთებთ, კვამლი გავცემს და მოგავანებენ.

მახარე: ორიოდ დღე გულის ცეცხლის ამარა ვიტხოვროთ, ამ ცეცხლის კვამლს ვერაფერ შენიშნავს, მერმე კი სამშვიდობოზე გავიყვან.

ყამარი: ბარემ წაიღეთ მთაში, მამიდაჩემთან, თორემ დღეს იქნება თუ ხვალ, რუქა ხაფანგში გავვაბამს, მე კვლავ სასახლეში დამაბრუნებს, შენ კი დიდგვში აშოგაპოპს. ნათქვამია, კაცი რომ ბარში მშვიდობას დაეარავს, მთაში იპოვინსო.

მახარე: ქართლიდან მთაში ბოლო ღროს ისედაც ბევრი გაიქცა. ყველამ რომ მთას მიაშუროს, ბარს ვიღა უპატრონებს? იესეს სანადირო ადგილები გაუმრავლდება... ჭირს ვაძლება უნდა, პა, მოდი, აქ გაფიქნე ნაბადი! მთელი დამე თვალი არ მივიღულოვ, მოისვენე! მე კი შენს ძილს ეუღარავებ.

ყამარი: ვილაე მოდის! ვაიმე!

მახარე: გული ნუ ვადაბრუნე! (ხანჯალს ვააშიშვლებს). იქით გადი, კედელს ამოფარე! თუ ვინმე მდევართავანია, ამ უთენია კაცის სისხლი მიტვირთია და ეგ არის!

საბას ხმა: ეს რა ჩაუდენიათ, ეს რა ჩაუდენიათ! (გამოჩნდება). თუ კაცზე გული მოსდობათ, სტამბას რაღას ერჩოდენ!

შიო: რაუღალაღს სწაილა. რაც ვაბრძანებს გაუკეთებია. ყოველივე მიწის პირიდან ალგავოს. ჯერ თვით მესტამზე მოაკედინეს, შემდეგ მგრეველნი აქაობას მოუსიეს.

საბა: ეპ, უგნურ კაცთა სიყვარავ სადამდე მიდის! კიდეე კარგი, რომ საქართველოში იესესთანანი ცოტა იბადებთან, თორემ ქართველის სახელი მიწის პირიდან მართლაც დიდი ხანია წაშლილი იქნებოდა. (მიმოხედავს). უსტამბობა არ ეგვიზის. მალე უნდა აღვადგინოთ. ესლა დავგრჩა იმედად. ჯერჯერობით ქართულმა წიგნმა უნდა შეგვიჩინოს სინდის-ნამუსი, ქრისტეს ჯვარი, პატიოსანი ქართული გული და ენა. მესტამბეობა შენ უნდა იცისრო, შიო ჩემო!

შიო: ვიდრე ქართლში იესეს ჩრდილი ჰყენია და სამეფოს მისი ბორკილები ადევს, მზიანი საქმე არ გაკეთდება.

საბა: ქიანველა მთას მიადგა. უნდა ვაგებუროლო! უთხრეს: ვერ შესძლებო: ჩემს ძალღონეს არ დაიშურებ, თუ ვაგებურდე, ხომ კარგია, თუ არა და, იმას მაინც არავინ იტყვის, ვულზეხელდაკრეფილი იჯდაო.



შ ი ო : დსტტრო შითქვამს, ცლა ბედის მონახევერა, ღმერთი იყოს შემწე.

ს ა ბ ა : ვართ კაცო წყალს მიჰქონდა და იახდა: უფალო, მიშველეო! მეორემ მიიძახა ჩემი თხოვნა გაიქნე, გახვალ და ნაშველები იქნებო! ზენაარსი იმას ეხმარება, ვინც ხელს გაიქნევს. ტირილითა და ვიშოთა მტერი არ შეიშინებს.

მ ა ხ ა რ ე : საიდან საღაო, წმინდაო საბაო. ზოგჯერ თურმე დაუბატიეებელი სტუმარიც ძვირფასია. დისახლისო, გამოგვხედე, მოყვრები გვეწვიენენ!

ყ ა მ ა რ ი : დილა მშვიდობისა!

შ ი ო : შეილო?!

ს ა ბ ა : თქვენ აქ რა გინდათ?!

მ ა ხ ა რ ე : გაჭირვებამ დანგრეულ სტამბაში დამაწვინაო. მღვერები მოგვედევნენ და...

ყ ა მ ა რ ი : ვაიმე, კვლავ გამოჩნდნენ ვილაკეები! ესენი კი ნამდვილად მღვერები იქნებიან.

ს ა ბ ა : ნუ შიშობთ, აქ ბარჩიმ ერისთავს უნდა შეეხვედეთ. ალბათ, ის მიღოს.

შ ი ო : სიფრთხილეს თავი არა სტკივა, ბნელში მიღექით!

ყ ა მ ა რ ი : ორი კაცია.

მ ა ხ ა რ ე : ჩემს სატევარსაც ორი პირი აქვს. (დადგება ხანჯალმომარჯვებელი).

ო მ ა ნ ა ს ხ მ ა : ჯერ ჰანცი ამ ოხერი ლოდის გადმოგდებამ გამაცალა, ახლა ატანა მომწყვეტს ჰაქსებს. (ღლინებს: რაჰას წასვლა მირჩენია, მილიონის ჰონებსასო)...

ღ ვ თ ი ს ო : გვირს და ღულუნებ, კაცო?

ო მ ა ნ ა ს : აბა, ქვე რა გქნა, შენი ჰირიმე. როცა ვმღერი, გულიდან დარდი მეყრება და მკლავში ღონე მეშატება. ეპ, ვერა გამიგია რა ამ წუთისოფლის: წინა კვირას დამანგრევიყბა, დღეს ისევე მამენებინებენ, ცოლო-მადლის სასწორი აღარ არის ქვეყანაზე?

მ ა ხ ა რ ე : ომანა და ღვთისო არიან.

ყ ა მ ა რ ი : გაუწყრეთ ღვთის მადლი, მე კი დამაფრთხეს და...

ს ა ბ ა : მგონი სტამბის აღსადგენად მოდიან. ნეტავ ვინ დაავალათ?

შ ი ო : დილა მშვიდობისა, ქეთისფროებო! ასე დილაადრიან რაზე გარჯილხართ?

ღ ვ თ ი ს ო : სტამბა დაგვანგრევიყნეს და იმის ნაცვლად საჯინიბოს გვაშენებინებენ.

ს ა ბ ა : ვინ ბედავს ამ თავეღობას?

ო მ ა ნ ა ს : ვინც დანგრევა ბრძანა, საბა-ბატონო.

შ ი ო : ჩვენ კი სტამბის აღდგენის იმედი გვექონდა.

ს ა ბ ა : იმედი გვექონდა და უნდა გაკეთდეს კიდევ. აი, თვითონ ომანა და ღვთისოც დაგვეხმარებიან.

ო მ ა ნ ა ს : ჩვენ ქვე რაბა არ მოგეხმარებით, მარა ერთი ავი გვეპირს, იესეს უღელში შემბული კამეჩები ვართ და...

მ ა ხ ა რ ე : სადაც გული გულობს, იქ ყოველივე გაკეთდება.

ო მ ა ნ ა ს : ოლონდაც თქვენ სტამბა გამართეთ და დანარჩენი ჩემზე იყოს. მოგვიკვდეთ ომანა ომანიძე, თუ აქაობა ისე არ გავიმშენიეროთ, მტერმა შეხედოს, თვალები დაეთხაროს.

ს ა ბ ა : ღვთისო რას დაფიქრებულა, მეფის ხომ არ ეშინია?

ყ ა მ ა რ ი : ღვთისოს ღმერთის არ ეშინია და მეფე ვითომ ღმერთზე დილია?

ღ ვ თ ი ს ო : ახანდე, ჩემი სათქმელი! საშიში რა არის: ერთ დღეს დაბადებულნი ერთ დღეს მოკვდებით, ეგ არის და ეგ. ახანდე, მე და ომანა ახლავე შეუვლდებით საქმეს. რაქველო, წავედეთ, ეზო-კარს მივხედოთ! (მიდიან).

ს ა ბ ა : კაცნი მოვლენ და წაელენ, მათი გაკეთებული კეთილ-საქმენი კი დარჩებიან. აბა, დავწყვიტო! (აბგას და ფარ-აბჯარს მოხსნის, ნაბუხრალთან, ყვერბზე დალაგებს).

უ ც ნ ო ბ ი ქ ა ლ ი : (პირშებურელია: აცვია თალხი კონკიძელა). ორბელიანო, უმაღლვე გინერიდე სტამბას, თორემ ინანებ!

ს ა ბ ა : ვინ ხარ, რა გინდა?!

ქ ა ლ ი : შენი მოყვარე გახლავარ. სხვა ვინ უნდა ვიყო. მგლის მუხლი მოიბი და რაც შეიძლება მაღე გაშორდი თბილისს!

ს ა ბ ა : უცხოეთი ისე მოვიარე, არსად მირბენია, ჩემი ქალაქიდან გასაქევეი რა მპირს, ვის დავემალო?

ქ ა ლ ი : გეშინოდეს მისი, ვისაც შენი ეშინია. მეფის ბრძანებაა, ჯერ დილეგში ჩავავდონ. მერმე დაგსაჯონ. მღვერებმა კვალი იყნოსეს და აქეთ მოდიან.

ს ა ბ ა : დიაცო, მე სადილეგო კაცი არ ვარ. ალბათ, მტერებმა მოგავზავნეს, რათა ნასტამბარს განვერიდო და არ აღვადგინო.

ქ ა ლ ი : ვფიცავ ქრისტეს ჯვარს!

ს ა ბ ა : მაშინ ისიც მარქვი, ვინ ხარ?



ქალი: სახელს ვერ გეტყვი, პატროსანი სიტყვა ჩემი თავდები.

საბა: პო, მჯერა, მჯერა შენი, მაგრამ მაინც ვერ გაიქცევი; ავის მქნელი გარბიანს მჭერითაა ჩემი ქვეყნის წინაშე უნებლიე დანაშაულიც არასდროს ჩამიღვინია. დაე, მოვიდნენ მღევრები, აქ დავხვდები. მე არა მწალია, ცთომილნი დამღევდნენ ვითარცა ავაზაკს. უშჯობესი არს, მათ პირისპირ შევხვდე და რაც სათქმელი გვაქვს ერთმანეთს აშკარად ვუთხრათ. კაცი თუ თვითონ ბოროტი არ არის, ბოროტების რად უნდა ეშინოდეს. მტერს რომ გავიქცე, ჩემს სინდისსა და სიმაართეს ვერ გავიქცევი!

შო: ნათქვამია, ძალა რომ მოვა, სიმაართლე კარში გავაო.

საბა: თავდასაცავად აბჯარსაც არ ავიღებ.

შო: საბა, გასოვდეს, გველი შეიძლება გაეეთილშობილდეს, იესეს შორჯულუბა არ ეგების: ეგ ისეთი კაცია, სიწმინდით, ზნეკეთილობით, სულმადლობითა და სულგრძელობით ვერა სძლე.

ქალი: ზოგან სულგრძელობით იმარჯვებენ, ზოგან ხმაღარძელობით, ზოგანაც გაქცევით. მგლებთან მაცხოვრებელმა ყმილიც უნდა იცოდეს და მგლური სირბილიც.

საბა: მთელი სიცოცხლე პირდაპირი კაცი ვიყავი და ახლა როგორ გავიმრდლო კაცობა.

შო: მრულკაცოვან თავის არიდება მრულკაცობა როდია, საბა, თუ სიყვით გავიბრის—დაეწიე, თუ სიივე მოგდევს— გვერდი აუქცი!

მახარე: ბრძენს უთქვამს: სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო.

ქალი: ოპო, ნეფე-დედოფალს ვახლავარ! თქვენ რაღა ეშმაკმა მოგიყვანათ აქ? თავლობისთვის სტამბის ნანგრევებში ატარებთ?

ყამარი: ვინ ხარ, ხმაკეთილო?!

შო: ვინც არის, ეტყობა ჩვენიანია და სახელი რად გინდათ, დრო მოვა და გაიგებთ, დაფარული ქვეყნად არა რჩება რა, ახლა კი ყური დაუვდეთ და დაუჯერეთ!

ქალი: გუგულუბო, იცოდეთ, საბას მღევრებს თქვენი შეპყრობაც აქვთ ნაბრძანები, ჰოდა, ამოდ თავის განწირვა გმირობა როდია. თქვენ მაინც განერიდეთ მღევრებს! თუმცა უკვე გვიან არის, გესმით, მოდიან! რაკი სხვა გზა აღარ არის, ერთი ესეც ვცადოთ: იქით გადით და მათხოვრების სახე მიიღეთ, მე დამემგავსეთ! ბერიკობა და სახიობობა ხომ თქვენიოსანების მოგონილია! (ძალით გაიყვანს მახარეს და ყამარს, უშაღვე ბრუნდება, დგება კარში).

რუქას ხმა: ალყა დაარტყით, ალყა!

საბა: რუქა, ალყა რა საჭიროა, მე გაქცევა არც მიფიქრია, მობრძანდი!

რუქა: (შემოვა, შემოპყვება დომენტი და რამდენიმე სარანგი). აბჯარი აართვით და დაადეთ ბორკილი!

საბა: აბჯრის ართმევა რა საკადრისია. აქვე აწყვია, ინებეთ! მე თქვენთან შეტყინება არც მიფიქრია. დომენტი კათალიკოსო, შენც მეფის დამქაშებში ურევიხარ? ამას კი აღარ მოველოდი.

დომენტი: ქრისტეს წმინდა რჯულის გამყიდველო, შენი ავსაქმე უპირველესად კათალიკოსს ეკითხება. გავიგე, ბასილის ორდენის წვერი გამხდარხარ და ხალხში გიქადავნიას: რომის ეკლესია არის დედა და მოქალაქე ყოველთა ქრისტიანეთათ. მას, შენი ფიქრით, მართლმადიდებელი ეკლესია შემდგომად გამოგონილი და ცრუ ყოფილა, არა? რატომ დადუმდი, ოქროპირო? მთელი შენი ღღენი ცოდვაში დააღამე, მერმე სოფელი გაუშვი და ბერად შედექი, ახლა ეგება იერუსალიმშიც გწალია გამგზავრება, ვითარცა წმინდანს?


საბა: ნეტავი ჩემს გულში მახახავდა, მაშინ გაიგებ, რატომ მივიღე კათალიკობა, მაგრამ ზე-ნარისი ხომ ყოველს მიიღველია, ის ხომ ხედავს ჩემს გულს...

დომენტი: (ქეკვას აბგას). ოპო, დამიხედეთ წმინდა ბერს! ჯერაც არ დაუხვევია და არ გადაუგლია თავისი იგავ-არაყული სისულელე, წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“. ბერად შედგომისას ეს ღვთისმგმობელი ნაჯღაბნი, ალბათ, უბეში გელო და შენთან ერთად აყურთხე. არა? გეტყობა, სტამბის აღდგენასაც იმიტომ ფიქრობ, ეს სისულელე დასტამბო, ქრისტეს ცრუ მოძღვრებასთან ერთად ქართველებში გაავრცელო და ამით დაამდაბლო გვარი ქრისტესი!

საბა: ენა ყველაფერს იტყვის, მაგრამ კაცს პატროსნება უნდა ჰქონდეს, სინდისს კბილები არა აქვს, მაგრამ კბენა კი იცის. შეგიტყვიან, რომ ქართველ კაცზე მახვილს არ შევმართავ და ამით სარგებლობთ. სირცხვილი თქვენი, თორემ მე ამით არაფერი დამიშავდება.

რუქა: უცხოეთიდან გულით შხამი რომ ჩამოიტანე, უბეში რაღა გიძევს? (ხხრეს). ოპო, ქისით რაღაც ჯადო-თილისმა გდებია. (აართმევს). მიწაა?!

7977





ს ა ბ ა : ეგ მართლაც ჯადო-თილისმა არის, მაგრამ თქვენისთანებისათვის კი არა.
დ ო მ ე ნ ტ ი : ბერ-მონაზონი მოსეს წიგნის ნაცულად თურმე „ქილილა და დამანას“ თარგმნის,
წიგნსა სიძვისასა, საეშმაკოსა და სულთა წამწყვედელს. ფუი (წიგნს ზიზლით ჩააგდებს
აბგაშვიე). ოპო, ევროპაში თავისი ფუქი მოგზაურობაც ფრიად გულმოდგინედ აღუწე-
რია, სიტყვის კონაც გაუსუქებია. შენ ბერის ჩოხაში გახვეული სატანა ხარ! (სარანგებს).

წაიყვანეთ!

ს ა ბ ა : გამაგებინეთ, სად მიგყვებართ, რომ წინ წავიძღვეთ?

დ ო მ ე ნ ტ ი : ჯერჯერობით დილეგში და მერმე ვნახობ!

ს ა ბ ა : ისიც მარჩქით. ვინ შაპატიმრებს, მეფე თუ კათალიკოსი?

დ ო მ ე ნ ტ ი : კათალიკოსი.

ს ა ბ ა : მეფის სახელით?

დ ო მ ე ნ ტ ი : უფლის ბრძანებით!

ს ა ბ ა : რომელი უფლის?

დ ო მ ე ნ ტ ი : რომელიც შენ ცრუ ღმერთში გასცაღე.

შ ი ო : თუ კაცსა კაცი არ უნდა, მიზეზი არ დაეღვეა. ეგ არის და ეგ.

რ უ ქ ა : მეწისქვილე, შენ ხორბლის გარდა სისულელის ფქვაც გყვარებია.

შ ი ო : ასეთ რამეებს რომ ეხედავ, სისულელის ჭკუაც რომ შემრჩა, ესეც საკვირეულია, რუქა-
ბატონო.

რ უ ქ ა : მეგლს, ალბათ, ლეკვებიც ახლავან. გაჩხრიკეთ იქითა სარდაფი!

ქ ა ლ ი : ბატონებო, მოიღეთ მოწყალეობა ჩვენდა, შეგვიბრალეთ დავრდომილნი!

რ უ ქ ა : ეს ვინ ოხრია?

ქ ა ლ ი : ერთი ბეჩაი და უთვისტომო დიაკი გახლავართ, კეთროვანი, ჰერი არა მაქვს და
ამ დანერგულ სახლს შემოვადარე თავი. შემობრალე, მოიღე მოწყალეობა ჩემდა! (დომენ-
ტის). შენ მაინც შეგვეწვი. მღვდელთა უფროსო. დათესილი სიკეთე არ დაგეკარგება,
ზეცა და უფალი გადაგიხდის.

დ ო მ ე ნ ტ ი : ჩამომეტალე! გლახაკები კაცსაცა სძულს და ღმერთსაც!

ს ა რ ა ნ გ ი : (გამოვიდა მეორე ოთახიდან). ბატონო ქონდაქარო, იქაც ასეთივე გლახაკები
სხედან და ქერის ჰურსა ღლოლნიან.

დ ო მ ე ნ ტ ი : ეგ გლახაკები საბას ჩამოყვანილ მთხოვარ კაპუცინებს ჩამოჰყვნიან ალბათ.

რ უ ქ ა : ჯანდაბანს მაგათი თავი, სენი არაფერი შეგეყარონ, წავიღეთ!

ს ა ბ ა : შიო, ანდერძად გიტოვებ, ხალხს ნუ გააგებინებ ჩემს ამბავს, ხოლო თუ მაინც შეიტყოს,
ჩემი სახელი გადაეცი, არაფერი ასტეხოს. თორემ ქალაქი აირევა, ისევე ქართველი
ქართველს გაუყრის ხანჯალს, ჩვენივე სისხლი დაიღვრება და დუშმანი უფრო გაიხარებს.
ჩემი ტანჯული, ბებერი სიცოცხლე იმად აღარ ღირს. ვინმე ზეარაკად დაედოს. სულ ასე
ხომ არ იქნება, მომრუნდება ქვეყნის ბედი და ხალხმა იმ დიდი საქმისათვის შეინახოს
ჯანოც და ღონეც. (გაღიან. სარანგს შიამქვს საბას აბჯარს და აბგა).

შ ი ო : საბას ქვეყნის მოღალატეს ეძახიან, ამაზე მეტი ცილისწამება სად გაგონილა! (ჩაჯდება
და თავს ხელისგულებში ჩარგავს).

მ ა ხ ა რ ე : ეპ, თურმე გლახაკობითაც შეიძლება ცხოვრება.

ყ ა მ ა რ ი : ვაეკაცს არ გამოადგება სოფლად მშვენიება თავისა,
ხმალს უნდა აჭრევიანდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა.

მ ა ხ ა რ ე : მართლა გლახაკები ვიქნებით, ხალხს ეს ამბავი რომ არ გვაგებინოთ და არაფერი
ვიღონოთ. ცხვრები ხომ არა ვართ?!

ქ ა ლ ი : გულში სიჭაბუქის სისხლი გიდულს და ის განქარებს. ამ საქმეს დიდი ფიქრი, ასჯერ
გაზომვა და ისე გადაქარ უნდა, რომ საბას სიყეთის ნაცულად დათეური სამსახური არ
გაუწუწოთ.

ო მ ა ნ ა : (შემოდის აქოთქოთებელი). ვფიცავ წმინდა გიორგის სახელს და მის სისწულ-
მოქმედ ხატსა და ჯვარს მრავალძალში, ვერაფერი გამოვიდა!

ღ ე თ ი ს ო : ცის ჩამოქცევას უფრო ავიღლად დავიჯერებ. ვიდრე საბას მოღალატეობას. ეგ
ბერი ქვეყნის მარლია, მარლის კი მატლი არ უჩნდება!

ო მ ა ნ ა : ხალხსა და რჯულს უღალატაო?! მაშინ ქვე გადაბრუნებულა ქვეყანა და ეგ არის!
ვაი და ვუი მავთ პატრონს, რაც ეს მართალი არ იყოს!

ღ ე თ ი ს ო : ეპ, რჯულის შეცვლა რა შუაშია. აჰანდე, მე არავითარი განგება არა მწამს, მარა
კაცოშული არც შემტერება და არც დილეგში მაგდებს! აბა, რომელიმე დიდი კაცის
შეტრქე ვიყო და ჩემი სიბრძნით ვინმეს სახელსა ეჩრდილავეუ?.. დამესქვიან ვითარცა

ქოფაეები და მარტო რჯულის ღალატს კი არა, ათას ჯანაბ-ჯალხანას და დონანას და მბოლოლებს, ისინებს ვასანთლულ თოკში გამაყოფინებენ და გულში შხამი თუ არ შემომპარეს, ხანჯალს მიანიც გამიყრიან. ვიცი, ვიცი როგორც ბრუნავს დიდკაცობის წესისოფელი!

ო მ ა ნ ა : ამ ქ ეყანაზე ზოგს დღენიდავ დიდკაცობა ენატრება და ზოგსაც დიდი პურის ნატეხი, აბა!

ქ ა ლ ი : რაველო, შენ ხანდახან ციხე-დილეგის გუშაგადაც მინახავხარ.

ო მ ა ნ ა : ხან ისე მიცეკვებენ, შენი ჭირიშე, და ხან ასე.

ქ ა ლ ი : ჰოდა... (ყურში ჩასწურჩილებს). თორემ ხელში ჩამივარდები და ტყავს ვაგაძრობ!

ო მ ა ნ ა : (იციანის). მე თუ ტყავის ვაძრობა მაქვია, მაშინ ქვეყანას ევალ-პარდები ჰკლებია და ვე არის. წამო, ლეთისო, შენც გამომყევი, შიო, ერთი ლეთისნიერი სიტყვა უნდა გაჩუქოთ. (მიდიან).

შ ი ო : ფრთხილად იყავით, ფრთხილად, შევიღებო! (გავიდა).

ქ ა ლ ი : აბა, ჩვენ კი აქეთ ვაგეშურით!

ყ ა მ ა რ ი : აქეთ რა გზაა, ყარიბო?

ქ ა ლ ი : მე მომყევით და გაიგებთ!

მ ა ხ ა რ ე : ასე დღისით და მზისით?

ქ ა ლ ი : ნუ გეშინიათ, გლახაკებს არავინ ემტრება.

ბ ა რ ძ ი მ : ბოდიშო, აქ ჩემსავით გრძელწვერა მოხუცი ხომ არ გინახათ?

მ ა ხ ა რ ე : დავაგვიანდა: მეფის საჩანგებმა წაიყვანეს.

ქ ა ლ ი : კიდევ კარგი, რომ დავაგვიანდა.

ბ ა რ ძ ი მ : (ქალს თვალეში შეხედავს და სახე გაუბრწყინდება). დამავციანდა? ეგებ არ დამავციანებია, პა? შენ ვინ ხარ, ვინ?

ქ ა ლ ი : რამ გავიბრწყინა სახე? იმ მოხუცის დაბატობრება გესიამოვნა?

ბ ა რ ძ ი მ : არა, არა, იმ მოხუცის ავი როგორ ვამეხარდებ... ეს ისე, უნებლედ... რატომღაც ჩემი ბედნიერი სიტყბეცე მომაგონდა და... გული ორად გამეყო, ერთი მზისკენ ვაფრინდა, მეორე ჯოჯოხეთისკენ დაეშვა.

ეს ჩემი გული ორია: ერთში წვიმს, ერთში დარია.

ავტირდ — შეყვარი ღრუბლებსა, რომ ვავიციებ — დარია.

ეს ერთი გული მეტყოდა: მოკვდი, რათა ხარ მთელი!

მეორეც იმას ამბობდა: იყავ, აჯავრე მტერია!

მ ა ხ ა რ ე : მოყვარევე, ვინ ხარ?

ბ ა რ ძ ი მ : ერთი უბრალო ბერი, სხვა ვინ უნდა ვიყო?!

ქ ა ლ ი : მოიხსენი წერებრი!

ბ ა რ ძ ი მ : რომელი წერებრი?!

ქ ა ლ ი : ისეთივე, ბაყურის ეზოში ბავშვობისას კისკისა დარეჯანასთან თამაშის დროს რომ იყეთებდი ხოლმე. ბარძიმ ერისთავო, შენი თვალები ცასა და მიწას რომ დაიფიწყდეს, მე უბედურს მიანიც არ დამაფიწყდება. განსაკუთრებით ნიშნულად ჩანან, როცა იციანან, რომ შემომხედენ, უეტრად ვავინათდა და ამ შუქმა გიმსტოვრა, გეტყობა, არც შენ დავგიწყინა ჩემი თვალები.

ბ ა რ ძ ი მ : დედოფალო?!

ყ ა მ ა რ ი : დედოფალო?! როგორ დავბრმავდი და აქამდე ვერ გიცანი! (ეხვევა). რა ჩავიცავს?!!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი : ჩემო ყამარ-ქალო, ეს გლახაკის კაბა დედოფლის ძვირფას სამოსელს მიჩვენია, მე ასე უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ, ვაი რომ, ახლა უკვე გვიან არის ბედის შეცვლა და კაბებისაც, ბედნიერებისაკენ მიმავალი ჩემი ხიდი უკვე ჩატეხილია.

ბ ა რ ძ ი მ : თუ სიყვარულის ხიდი მთელია, ამ ხიდის ვამთელეზაც შეიძლება, დარეჯანი!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი : ელჩო, ამისათვის ახლა არა გვეცალია, რა დროს სიყვარულის თამაშია, საბას სიცოცხლე ბევრზე ჰიღია! რაკი შენ ბერიკაობა და სახიობობა არ შეგძლებია, ეგ წვერები მახარეს ანუქე, შენ კი, ვითარცა ქვეყნის მოლაღატე და საბას მოყვარე. მასთან ერთად დილეგში უნდა ჩაჯდე! თუ ევროპიდან დაბრუნებულ ელჩს დაწვა მოელის, რუსეთიდან დაბრუნებული ელჩიც მის გვერდით დაიწვას!

ბ ა რ ძ ი მ : დარეჯან, ჯერ გული დამიფერტლე და ახლა მთლიანად დასაწვევადაც მიმეტებ?

ყ ა მ ა რ ი : დედოფალო, რას ნიშნავს ეს მრისხანება?!

შ ა ხ ა რ ე : ვავგებინე, რა ამბავია?!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი : დედოფლის სიტყვა კანონია. ჯვარი დამისევას კამათისთვის, მომყევით!

სენა: ციხე-დილეგის ნაწილი. საკანიდან საბა ცას გასცქერის. კედელთან გუშავი დადის. ძელს შეეპყრეს. გუშავი ომანამ შეეცალა.

საბა: ოშია, კალატოზობა დააგდე და ახლა ციხე-დილეგის გუშავობა დაიწყე?

ომანა: შენი ჰირუა მე, ქვე რა ვქნა, ვისაც როგორ ვპირიანება, ისე მაინდრიცებს. ფური არა ვარ, თორემ, ღმერთმანი, მომწველიანი კიდეცა, აპა!

საბა: ამბობენ, ეს საკანი საფლავის წინა კარიაო, ვინც აქ შემოუყვანიათ, აქედან მხოლოდ ერთი გზით გასულა, საიქიოსკენ რომ მიდისო.

ომანა: დაფარული ეშვავისაა, მეც ასე გამიგონია.

საბა: მაშ უკვე გაუსამართლებლად სიკვდილმისჯილი ვყოფილვარ?!

ომანა: ნამდვილად ვერაფერს გეტყვი. ისე კი, ერთგან ჩურჩულს მოგვარი ყური, დაწვას უპირებენო. გულთან ნუ მიიტან ამ ამბავს: უბრალო იქნება.

საბა: ეჰ, სულხან-საბა, ამასაც მოესწარი: ავაზაად გთვლიან.

ომანა: ავაზაობა საბა ბერთან რა სახსენებელია. ამ ციხე-დილეგეში ბევრი ზნეკეთილი და მართალი კაცი იჯდა, - მარა შენისთანა ღირსეული კი ჯერ არაეინ.

საბა: დიდი პატივია, ღმერთმანი. მერმედა, ასეთ ღირსეულ კაცს უდარაჯებ, რომ არსად გაიქცეს?

ომანა: გულახდილად რომ გითხრა, შენი ჰირუა მე. აქ იმიტომ კი არა ვდგავარ, საბა ბერი რომ არ გაიქცეს... ისა, ჩემად საკანშივე არაეინ მოკლას.

საბა: საკანში ადვილია კაცის ფარულად მოკლა, განა?

ომანა: როცა დილეგის მთავართალები პირს შეკრავენ, რაც სწადათ, იმას განაღბავენ. (ისმის ზარების სევდიანი რეკა).

საბა: ეს რა ზარების რეკაა?

ომანა: მიმწუხრისა. დღე-ღამის გაყრის ქამია. ზარები ლოცვით დღეს აცილებენ და ღამეს ეგებებიან.

საბა: თითქოს ჩემი გულის გამოძახილია, უტრემლო, ყრუ გოდება ისმის მაგ ზარების ხმაში.

ომანა: სამკვიროდ ზეცაა დაღუმებული და ცივი კურცხალი სცივია.

საბა: ნეტავ ზარებს ვიღამ მისცა სადარდებელი?

ომანა: ვინც ზარს ენას აადგმევინებს, ზარიც მის სათქმელს გასძახის ცასა და მიწას. ახლა იმ ზარის ენაზე გამოძმული თოვი, ეტუობა, ისეთ კაცს უბყრია, რომელსაც მთელი ქალაქის წუხილი გულში დაუტროვებია.

საბა: ქალაქს რაღამ გაუჩინა დარდი?

ომანა: შენი დატუსალება გაიგეს და...

საბა: (სარკმელში იყურება). ღამდება და წვიმს, წერილად წვიმს... ეს პირველი ღამეა, რომელსაც უბაჯროდ გავათევ.

ომანა: საბა, შენი ჰირუა მე. მაშინშენის ცხონებას, აქეთ მოდექი! (საბა მიუახლოვდა). რუქამ ისეთი ძილი იყის, ყურებთან ზარბაზნები რომ დაეცალო. გვერდს არ შეიქცევს.

საბა: ღრმად სძინავს იმიტომ, რომ საკან-დილეგთა გასაღებები წელზე მაგრად აქვს შეხმული.

ომანა: შენი ჰირუა მე, ქუდი სიციხე-სიცივისთვის კი არ მახურავს. — ნამუსისთვისა. ჩემს დღეში სხვისი წილი პაერიც არ ჩამისთნქავს. არც წყალი დამიღვევია. ერთი ბეწო არაფერი მომიპარავს, მარა ახლა კეთილი საქმისთვის ჩადენილი ქურდობა ხომ მოვდავ არ ჩამთვლებ? ქვე მოვბარებ ამ დილეგის გასაღებს.

საბა: ეჰ, ომანა, რა კეთილი გული გაქვს, მაგრამ დაფიქრება გაყლია. ქურდულად გაღებულ კარით მე აქედან გამსვლელი არა ვარ.

ომანა: ნათქვამია, შენს მტერს თუ ხელთ აქვს ისარი. ნურც შენ გიჭირავს ფიცარიო.

საბა: მე რომ აქედან გავიპარო, შენ ამაღამვე ჩამოგახრბობენ.

ომანა: ამაზე უკვე ვფიქრებ, შენი ჰირუა მე. ომანა ცის ქვეშ გინდა ყოფილა და გინდა არა, სად ჩემი სიციხე და სად შენი. მე რომ ჩამომახრჩონ, თბილისს ერთი ქვიბთურო დააყლდება. ეგ არის და ეგ. შენი სიციხე კი ერთობ ძვირფასია: ქვეყანა თავის მამადა გთვლის.

საბა: იყო ქამი ხალხს მართლაც მამობას ვეწეადი და ეგ სახელი იქიდან შემომჩნა. გული სახე შეწონდა კეთილი ფიქრებთა და იმედებით. მრავალ საქმესაც ვაკეთებდი. ახლა კი, თითქოს სიბერემ უხილავი ბორკილები დამაძლო გასაყთებლად რასაც მივადექი, ყველგან ხელი მომეცარა, ვერარას გავხდი. ჩემი ღამაში იმედები ღრუბლებად იქცენ



და თვითონ ველარ გამიგია, საღ დახეტებთან. ვინ უწყის, ეგებ ეს წვიმაც იმ დღეებში
 ლების ნაცრემლარია. არა, ომანა, აღარ არის ახლა ჩემი სიცოცხლე ისე ძვირფასი, რო-
 გორც შენ გგონია. შეიძლება შენი სიცოცხლე დღეს მერტვ ღირდეს და უფროც გა-
 მოაადგეს ქვეყანას.

ო მ ა ნ : შენი ჰირუკა მე, ნუ იტყვი აგრე, ნუ!

ს ა ბ ა : ორიოდე წოიგი დაწვერე და ისიც არ ვიცი, დრო-ჟამი ამ წოიგებს შეინახავს თუ არა
 აბა, სხვა რაღა ჩანს ჩემი გაკეთებული?

ო მ ა ნ ა : ბრძენაკო, იესე ვის სიცოცხლეშიც დიდ ღონეს გრძნობს და ვერ იმონებს, იმას
 ებრძვის, თორემ აგერ მე არც მაპატიმრებს და არც მღვენის. შენსავით ქუის ხეაებში
 არ მიდგას, მარა მამა-პაპისავან ის კი მისწავლია, ქვეყანა ხმლითა და სიბრძნით ცოცხ-
 ლობსო. მტერი ხელხმლიან მეომრებზე უფრო ხშირად ბრძენაკეთებისა ეშინია. შენისთა-
 ნები რომ არ გვეყვდნენ, ურჯულო სულ არ შეგვეუბებოდა. ზოგი შენი დამარცხება
 ხალხს უფრო ამხნეებს, ვიდრე სხვათა გამარჯვება. ეს კი დიდ რამეს ნიშნავს. მოგეზ-
 სენება, იმედი და სიცოცხლე ძმები არიან. ქვეყანას დიდი ხანია გულში იმედად უზი-
 ხარ და ამ ნუგეშს ნუ მოეშლი. აწ სულ რომ არაფერი გააკეთო, რაკი ხალხს იმედად
 გგულები, მისთვის მიივც უნდა იცოცხლო!

ს ა ბ ა : კეთილი კაცო, ვანა სიცოცხლე მე კი არა მწადია, მაგრამ შენი გაღებული კართი
 აქედან ვერ გავალ! აქამდე ჩიტის ცოდვაც არ მაქვს და ამ სიხერის დროს შენი ცოლ-
 შვილის ცოდვაში როგორ ჩაეღვამ ფეხს?

ო მ ა ნ : ეს არ იქნება ცოდვა, არა! მე სიტყვის კაცი ვარ, მოთქვამს და გააკეთებ!

ს ა ბ ა : ამაოდ გაირჩები. კარები რომ ღია დავინახო, აქედან მაინც არ გავალ და ჩემთვის
 გამზადებულ კოცონზე ორივეს ერთად დაგვეწავენ, მწვავლსაც და შამფურსაც.

ო მ ა ნ : ეგ არა, არა, შენი ჰირუკა მე.

ს ა ბ ა : რამ შეგაკრთო? ჩამობრძობა აინუნშიც არ ჩავიგდია და დაწვამ შეგაშინა?

ო მ ა ნ : შიში რა შუაშია, შენ შემოგველე! ჩემი კეამი ცაში შენს კვამლს რომ ამგზავროს
 და შენს ბაჯალთა ფერფლში ჩემი უღირსი ნაკარი შეერიოს, ამას როგორ გაყადრებ?!

თ ა მ ა რ ი : (სარკმელს მიადგა პირშებურვილი, ხელში სანთელი უჭირავს). სულხან, სულხან!
 ეპ, ჰაბუკოის სახელიც კი დავიწყებია და სხვა რაღა ემახსოვრება. საბა, საბა, მომხედ!

ს ა ბ ა : ვინ ხარ?! ამ წვიმაში ვინ გაბედა მოსვლა? მიჩვენე სახე!

თ ა მ ა რ ი : მე ისა ვარ, ვისაც არ ელოდი, განა ხმაზე ვერ მცინა?

ს ა ბ ა : ხმა კი მეტნობა, მაგრამ მგონია, რომ მეჩვენება.

თ ა მ ა რ ი : არა, ნამდვილად მე ვარ, მე! გავიგე, საბა დიღეგში მძიმედ გამზდარა ავადო და
 გამოვეშურე.

ს ა ბ ა : შენ რომ ის იყო, ვისი ხმაე მეჩვენება, აქ არავინ შემოგიშვებდა.

თ ა მ ა რ ი : გზა კეთილმა ანგელოსმა მომასწავლა, მანვე მიწინამძღვრა.

ს ა ბ ა : მერმედა, ის ანგელოსი სადღა? ეგებ მოგაკილა და ცაში გაფრინდა?

თ ა მ ა რ ი : სულხან, ცას ნუ ესწრაფვი! სიკეთე, სინათლე და სიწმინდე მხოლოდ ზეცაში რო-
 დია, მიწაზე მტრია. ის ანგელოსი, ეტყობა, აქვე, ბოროტების სასახლის ახლო ცხოვ-
 რობს; მომაკილა და გვერდზე რომ მოვიხებდე, ვედარსად დავლანდე.

ო მ ა ნ : გლახაკის კაბა ხომ არ ეტეა?

თ ა მ ა რ ი : ქალბატონისას უფრო მიუგავდა.

ს ა ბ ა : ამ წვიმაში სანთელიც არ ჩაქვრობია, აღბათ ეგეც ანგელოსმა დაიფარა.

თ ა მ ა რ ი : როცა ეს სანთელი ავანთე, ჩაეუთქვი: თუ სულხანის გულში ჩემი ხსოვნა არ
 დამშტარა, არც ეს ჩამიქრება მეთქი. რომ ჩამქარალიყო, უკანვე უნდა გაებრუნებულყოფი,
 მაგრამ, მადლობა უფალს, ქარმა უფრო გააძლიერა. ერთი შენთვისაც ვიგულუ. ვიცილო,
 საკანში შუქი არ გვექნებოდა, ბნელში ყოფნა კი ერთობ ძნელია. ჰა, სინათლე იმედია. თა-
 ნაც უკეთ დავინახე. (საბა გამოართმევს მოკიდებულ სანთელს და საკანში დადგამს).
 ოცნებაში მუდამ ისეთად მესახებოდი, როგორიც გამშორდი, ახლა კი ცრემლიანი თვა-
 ლები მაქვს და ამ ცრემლებში კარგად ველარ გხედავ. ალბად, შეიცვალა.

ს ა ბ ა : ისეთი როგორღა დეარჩებოდი, საყუთარ თავს თვითონაც ძლივსა ცენობ.

თ ა მ ა რ ი : ეპ, სულხან, სულხან, უმაღლერი ყოფილა წუთისოფელი: ქვეყნისთვის კარგის მტრი
 რა გაგიკეთებია და ჯილდოდ ბნელეთი გარგუნეს?

ს ა ბ ა : უგნურნი გონს მოვლენ და გაათავისუფლებენ.

თ ა მ ა რ ი : ხალხში ხმა დადის, დაწვას უპირებენო.

ს ა ბ ა : ამდენად როგორ გაათავებდებთან, სულით ასე როგორ დამდაბლებთან.

თ ა მ ა რ ი : რაკი შენი დაპატიმრება იყადრეს, არც სხვა რამეს მოერიდებთან, ხალხი იმასაც

ამბობს, საბას დაწვა დედოფალს უთავებია, მაგრამ იესე არ დათანხმებულა, ვერ გინდა ბიო.

ს ა ბ ა : ხალხმა ეგებ ისიც გაიგო, განაჩენი სად უნდა ასრულდეს?

თ ა მ ა რ ი : ვინც ამ საიდუმლოს გასცემს, იესე ენის ამოვლეჯით დამუქრებია.

ს ა ბ ა : ხალხი იშვიათად შესცდება ხოლმე, ალბათ, მართალია, რასაც ამბობს.

თ ა მ ა რ ი : შენ რომ დავწვან, მე ქვეყანაზე რისთვისღა ვიცოცხლო? გაუგებელი ქვეყანა არაფერია; მე მოვალ, მოვალ იმ კოცონთან და თუ ვერ დაგიხსნი, მეც იქვე დაიფრულვები.

ს ა ბ ა : თამარ, მამაკრე, შენთან მართლაც დამნაშავე ვარ. გაგეჭეცი და საწამებლად მარტო დაგტოვე. მეწვინა, მთელი ჩემი სიცოცხლე ქვეყნისათვის დამეხარჯა, ხოლო რაც მეწვინა, ვერ ავასრულე: ვერ ვნახე საქართველო წელგამართელი, თუმცა ამოლო დროდ დავშვერიე ემ, ყოველივე ქვეყნისთვის გაეწირე, იმაზე არასოდეს მიფიქრია, დამიძალიან შეთქმა, მაგრამ ამ დღესაც არ მოველოდი. თუ სიკვდილს თავი დავალწიე, ისევე შენ დაგიბრუნდები, თამარ!

თ ა მ ა რ ი : პატივებს ნუ მთხოვ, ნუ! ჩემგან საპატიებელი არაფერი გაქვს ვგრძნობ, ეს სანათელი ორივეს გულში ერთნაირად ნთებულა, წვიმა-აგდარმა იმითომაც ვერ ჩააქრო. ზოგს ჰგონია, სულხანს თამარი არ უყვარდა და იმითმაც გაშორდაო. ყოვლისმხილველმა ხომ უწყის და მეც ხომ ვიცი, ეს ასე არა ყოფილა. ჩვენ არც სიძულვილმა გავყვარა და არც ღმერთმა! ქვეყნის სიყვარული ჩადგა ჩვენს შორის, ამით უბედურება მომეძაბა, მაგრამ როდი დავმცირდი. მეწყინებოდა ჩემისთანა მოკვდავ ღიაღვივებულს რომ გაგეცვალა.

ს ა ბ ა : მეგონა, შენთვის აღარ ვარსებობდი.

თ ა მ ა რ ი : უფრო მეტლაც არსებობდი, ვიდრე წინათ. შენ ჩემთვის მარტო შეუღლე როდი იყავი, არამედ რაღაც სხვა: მაღალი, ღვთაებრივი. შენში უპირველესად აღამიანი მიყვარდა და არა უბრალო მოკვდავი მამაკაცი. მიყვარდი ისეთი, როგორც ხარ: ქვეყნის სანთელი, ხალხისთვის გზის გამნათებელი. მამაკაცი გამშორდი, ხოლო ის დიდი აღამიანი კვლავ ჩემთან დარჩი და როგორ დაგივიწყებდი?!

ს ა ბ ა : დიდი სული გქონია, თამარ.

თ ა მ ა რ ი : ექ, სულხან, გასასოგს ქორწილის დღე, დარბაზში ხელიხელ ჩაქიდებულნი რომ შევედით. მაშინ მთელი ქვეყანა და მარადისობა ჩვენი გვეგონა. ნეტავი შეიძლებოდას წუთისოფლის უკან დაბრუნება!

ს ა ბ ა : ბევრ რამეზე შემეცვალა გული, მაგრამ უკან რომ დავბრუნებულეიყავი, მაინც ამ გზით წამოვიდოდი, თამარ.

თ ა მ ა რ ი : სულხან, მახარებს შენი მხნეობა. ავკაცებმა გული არ გაგიტეხონ, გამაგრდი. შენც მხნეობა შეაშინებს მათ.

ს ა ბ ა : ვის?

თ ა მ ა რ ი : სიკვდილს და იესეს. ამბავი მოვიდა საიდუმლოდ: შპს ვახტანგისათვის ტახტად ბრუნდებოდა. სიკვდილის წინ ერთ თხოვნას ხომ შეგისრულებენ? შევედრე, დასჯა ორიოდვე კვირით გადავიკონ: ეგებ შენმა გაზრდილმა უენებელს მოგისწროს. ამ საიდუმლოს სათქმელად უფრო მოვედი.

რ უ ქ ა : აქ საბას ცოლყოფილი ვინ შემოუშვა?

თ მ ა ნ : ბატონო ქონდაქარო, საბას ვერ მოიტაცებს და ისე, თუ ეხალისება, ამ წვიმაში ქვე იდგეს, რა გვენალვლება!

რ უ ქ ა : მე იმას ვჩივი, ვინ შემოუშვა? ჯერ მაგას გაულებენ კარს, მერმე სხვას და, პერი, გააპარებენ ტუსაღს. ომანა, შენ რაღაც უშნოდ იღრიჯები: ვინც დარაჯად არის დაყენებულ, ის ყველაზე მეტად ხომ არ არის სადარაჯო?!

თ მ ა ნ : ბატონო, რას ბრძანებთ: თავი კი არ მომძულეზია, პრასა კი არა ვარ, მეორედ ამოვიდე. ფეციავ წმინდა გიორგის სახელს და მის სასწაულთმოქმედ ხატსა და ჯვარს მრავალძალში, მე არაფერ ქუაში ვარ.

დ ო მ ე ნ ტ ი : ნუ სწყურებთ, ქონდაქარო! ვინც შემოუშვა, სწორედ მოქცეულა. ეგებ აღამიანი ნახოს ქმარყოფილი, გამოეთხოვოს.

თ ა მ ა რ ი : ნახემდის, სულხან! (მოსულთ ქუშტად გადახედავს და წავა).

ს ა ბ ა : მშვიდობით, თამარ!

დ ო მ ე ნ ტ ი : ქონდაქარო, გამიღე კარი!

რ უ ქ ა : მობრძანდი, კათალიკოსო! (კარს გაუღებს).

დ ო მ ე ნ ტ ი : (შევა საბასთან). ოპო, სანთელიც აუნთიათ შენთვის?!



ს ა ბ ა : კათალიკოსო, გატყობ, ჩემთვის სანთლის ანთება შენც გაგიზრახავს, მაგრამ საკენსაშენსა კი არა, კუბოს თავთან.

ღ ო მ ე ნ ტ ი : ვიღრე საბასთვის კუბო არ გაუთლიათ, მე მწაღია, მანამდე ჯურღმულ გულში აეუღნო სანთელი, რათა პირნათლად წარუდგეს მამა-უფალს. მოვედი სასწენელად აღსარებისა.

ს ა ბ ა : რაკი აღსარების ეამი დამდგომია, ალბათ, საზიარებლადაც მალე მესტუმრებო.

ღ ო მ ე ნ ტ ი : ღვთიურ სამსახურს არ დაგამადლი. მე ჰეშმარიტი ქრისტიანი ვარ და ვალად ვრაცხ. ჭზაბანეულ მოყვასს ვუშველო, ცოდვით დამძიმებული გული შევემსუბუქო, ჯოჯოხეთისაგან ვიხსნა მონა ღვთისა საბა, გაეპატრონო მისი სული.

ს ა ბ ა : ამ ბნელ დღივეშიც, ალბათ, იმიტომ ჩამსევით. რომ ჩემი გაპატრონება გეწადათ!

ღ ო მ ე ნ ტ ი : სიმართლე თუ გინდა. დიღუეს იმიტომ შეგაფარებინეთ თავი და დარაჯიც იმიტომ დაგიყენეთ, მსჯავრის გამოტანამდე ხალხმა არ ჩაგქოლოს, ვითარცა გველი და შეჩვენებული.

ს ა ბ ა : ჩემთვის ყველაზე დიდი პატივი ის იქნება, თუ ხალხისაგან კი არ დამიფარავთ, მის წინაშე დამაყენებთ და სიმართლეს მითქმევიანებთ.

ღ ო მ ე ნ ტ ი : ილოცე. საბა ბერო!

ს ა ბ ა : წელან გველი მიწოდე და ახლა ლოცვას მთხოვე?

ღ ო მ ე ნ ტ ი : გველიც ლოცულობს ხოლმე და ღმერთს ცოდვათა შემსუბუქებას სთხოვს.

ს ა ბ ა : კათალიკოსო, ეგ ერთი კი სიმართლე წამოგცდა: გველმა ლოცვა იცის და. მგონი, ცეკვაც, ხოლო ზოგჯერ კათალიკოსობს კიდევ, თუ მეფის ტახტზე ზრახვათა მოზიარებმა უზის.

ღ ო მ ე ნ ტ ი : შეგაჩვენოს ღმერთმა, შეგაჩვენოს ღმერთმა! (გაბრბის).

ო მ ა ნ ა : ამაზეა თქმული, ვინც მზეს ტალახს ესვრის, იმასვე დაეცემაო.

რ უ ქ ა : (შემოიყვანს საკანში ბარძიმს). ეს იქნება შენი საენე. იმედია, არ მოგწყინდება, ამბობენ საბამ ბევრი ივაგ-არაკი იცისო. ზღაპრებით თავი შეიქციეთ.

ბ ა რ ძ ი მ : რუქა, ეს ელთა თავშესაყარი ოთახია თუ საპატირო?

რ უ ქ ა : აქ ელჩები პირველად მოხვდნენ, ისე კი, აქედან ყველა საელჩოდ მიემგზავრება.

ბ ა რ ძ ი მ : ისეთ ქვეყანაში, საიდანაც უკან აღარავინ ბრუნდება?

რ უ ქ ა : გამოცანა გერგება. (დამცინავდ თავს დაუტრავს და გაეა).

ს ა ბ ა : ბარძიმ, განა აქ დავიბარე პაემანზე?

ბ ა რ ძ ი მ : სტამბაში არ დამხვდი და, აბა, რა მექნა?

ს ა ბ ა : ვინ გააგებინათ, რომ იქ უნდა შემხვედროდი?

ბ ა რ ძ ი მ : არავინ. უმაგისოდ პატიმარმყვეს ვითარცა ვახტანგის მომხრე და შენი ერთგული. შეეშინდათ, თავი არ გამოიღოს და ხალხი არ ავეიჯანყოსო. გავიგე, გაღმეთში ამაოდ გიღეაწინა.

ს ა ბ ა : ამიოდ რატომ? ამ ხეტილმა დამარწმუნა, რომ სხვა ვერავინ გიშველის. თუ თავს თვითონვე არ უპატრონე. ვინც მეზობლის იმედით იქნება, ხშირად უეცრად დარჩება. უცხოეთს ჩვენთვის არა სცალია. მხოლოდ ფეხშიშველა კაპუცინები და ტყბილი დაპირებანი გამოიპატანეს. (პაუზა. ბარძიმი ჩაილიღნებს).

ო მ ა ნ ა : სიკვდილი კარს იქით გელოდება და მღერი, ბატონო?

ბ ა რ ძ ი მ : სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა გონიერსა. სიცოცხლე, აი, აგერ მიკორავს, (ხელს დამუშტავს). ჩემს უნებურად ვერსად გამექციევა. სადარლო რა მაქვს, უსაშველო არაფერია: ზოგს სიკვდილი იხსნის გაპირებებიდან და ზოგს სიცოცხლე. ქვეყანაზე ისეთი ციხე-დიღევი არ არის, თავისი ხერელი არა ჰქონდეს.

ო მ ა ნ ა : ბატონო, ეგ არაკია თუ სხვა რამე?

ბ ა რ ძ ი მ : არაკიც არის და სხვა რამეც.

ი ს მ ი ს ყ ვ ი რ ი ლ ი : რომელიც თანდათან ახლოვდება:
— იუდაე, ისკარიოტელი, წყეულ იყავ ცათა და ქვეყნისაგან!
— კრულ იყავ, რჯულისა და ქვეყნის გამყიდველო!

ბ ა რ ძ ი მ : ეს რა ამბავია?! აქეთვენ ბრბო მოდის?!

ო მ ა ნ ა : თავი მომჭერით, თუ ამ ჯოჯონში ერთი პატიოსანი კაცის ხმა ურეგია.

ს ა ბ ა : ბარძიმ, არ გაუხმაურს! გინდა მაგ რეგენთათვის ვითქვამს რაიმე და გინდა კედლისთვის ცერციე შევიყრია.

ყ ვ ი რ ი ლ ი : წყეულ კაცო, რად დაბრუნდი, რად მოგვიწამლე წმინდა ჰაერი? იუდაე, რა პირით გინდა ხალხს დაენახეთ, გირჩენია მანდვე მოიკლა თავი ქრისტეს გამყიდველო.



გახსოვდეს: თავის დროზე დაღუული შხამიც ტყბილია თვითვე მოისპე საკუთარს მხედველ
ცოცხლენ, თორემ სულერთია, ხალხი ჩაგჭოლავს!

ს ა ბ ა: აი, ესა სწაღიათ, საბამ თავი მოიკლას.

ზ ა რ ძ ი მ: ნუთუ ხალხსაც სჯერა გველკაცთა ნასინინები?

ს ა ბ ა: გულუბრყვილო ყოფილხარ, ბარძიმ, თუ ფიქრობ, ეს მართლა ხალხია.

დ ო მ ე ნ ტ ი: საბა ბერო, ხალხის წინაშე ითხოვე დადგომა და, აჰა, თვითვე გეწვია.

ს ა ბ ა: კათალიკოსო, შენ რომ მალაყებს გადადიხარ, ეს ძველის ძველი როკვია და ამით ახლა მხოლოდ ბავშვების გაბრთბალა შეიძლება, თმაგათერთებული კაცის მოტყუება კი ძნელია.

დ ო მ ე ნ ტ ი: ხალხს გაეცი პასუხი, ხალხს!

ს ა ბ ა: სადაა ხალხი? ეგ მხოლოდ შენი და იესე-ალიყულისანის ხმაა, ოქროთი გამრავლებული. თქვენ მოისყიდეთ ბრბო, თუთიყუშივით დაზებირებინეთ რამდენიმე წყევლა და მოუსიეთ დილეგს.

არეული ყვირილი გრძელდება: კრულმცა არს შენთვის იგი ადგილი, სადაც დადგეს ფერხნი შენნი! კრულმცა არს თვალნი შენნი მხედველად! კრულმცა არს შენი ენა მეტყველად, ფერხნი საეღვლა! კრულმცა არს შენი სიცოცხლე! კრულმცა არს შენი საფლავი!

ს ა ბ ა: ჰეი, იღრიალეთ, იღრიალეთ, მოსყიდულო კაცუნებო, არ მეშინია, არა, მაგ წყველა-კრულმცის დრო შოგა და ეგ სიტყვები თქვენვე დაგიბრუნდებათ!

ყ ვ ი რ ი: ცეცხლში, ცეცხლში ჩააგდეთ შეჩვენებული დასწვით და დაფერფლეთ როკაბი! მოლაღატის არც სული უნდა დარჩეს მიწის ზურგზე და არც ხორცი!

დ ო მ ე ნ ტ ი: საბა ბერო, იცოდე, ჩვენ მალე ერთმანეთს კოცნითან შევხვდებით!

ს ა ბ ა: კათალიკოსო, ნუ ცეცხლდები და ცეცხლით ნუ მემუქრები! წინ ბევრი ცეცხლი დამხედრია, მაგრამ უკან არასოდეს დამიხევია, შეცხულვარ და ჩემი სიმართლით უვნებლად გადავრჩენილვარ. ახლა თქვენს დანთებულ კოცნისაც შევექივები, მწაღია, გავსინჯო, ის მოერევა თუ ჩემი სიმართლე, ოღონდ, თუ მხდალები არა ხართ, იმ კოცნითან ხალხი მოუშვით, ნამდვილი ხალხი. დაე, მთელმა თბილისმა და მისმა შემოგარენმა პირისპირ, საკუთარი თვალთ უტყვიროს სიმართლისა და ცეცხლის ჭიღლის!

ზ ა რ ძ ი მ: დანთეთ, რაც შეიძლება, დიდ ცეცხლს დანთეთ, რომ მისი ალი ცას ასწვდეს: ვნახათ, ვინ დაიწვება! (ისმის არეული ყვირილი და ყიჟინა. სარკმელს ქვები ხვდება).



ცად გაზრენილი სული; ბაცხადებულნი იბაში და თამაში ბედისა

სცენა: პირველი მოქმედებისა. წისქვილის ახლო შემა ახორავებული, მოპირდაპირე მხარეს ჩანს სამი კარავი. კარავების წინ მოწყობილია ჩარდახი, სადაც მსაჯულთათვის დგას რამდენიმე საკარცხელი. ფარდის ახლისას სარანგები საკარცხულებს აწესრიგებენ, შიო და ლეთისო ხორაზე შემას უმატებენ, ბაკური ჩარდახიდან მეთვალყურეობს.

ს მ ე ბ ი: მეფე მობრძანდება, მეფე მობრძანდება!

ბ ა კ უ რ ი: დიდება მეფეს! (სარანგები იმეორებენ).

ი ე ს ე: (შემოდის მცირე ამალით). რუქა სად არის, მდივანებო?

ბ ა კ უ რ ი: როგორც ნაბრძანები ჰქონდა, შემოგარენსა ზეერავს.

ი ე ს ე: მგონი, სადაც ზარებს რეკვენ.

ბ ა კ უ რ ი: ვითომ ეს ზარების ხმაა?

ი ე ს ე: ისეთივეა, საბას დაბრუნებისას რომ აახმინებს.

ბ ა კ უ რ ი: ალბათ, ის ხმა გულში ჩაგრა და ახლა კვლავ გაგახსენდა, თორემ შემოგარენში ჭრაჭინების კრულის გარდა არა ისმის რა, ბრძენთა ბრძენო.

ი ე ს ე: აქ ხომ ყოველივე რიგზეა?

ბ ა კ უ რ ი: როგორც ნაბრძანები იყო, მბრძანებლო.

ი ე ს ე: ხორა მეპატარაებმა, დასჯილებს რომ ჩაეაყენებთ, თავებილა უნდა უჩანდეთ.

ლ ე თ ი ს ო: სწორედ ისე იქნება, მეფეც. (შიგ ჩადგება). აჰანდე, მე უკვე მფარავს, საბას კი ყელამდე ამოუფა. მეტი რაღა საჭიროა, შიგ ორი კაცი უნდა დაიწვას, მთელი სამეფო ხომ არა!

ბ ა კ უ რ ი: ლეთისო, ისე ეტოლები, მგონი, შენც მალე გერგოს ეგ გოლგოთა.

ლ ე თ ი ს ო: (ამოვა). რა უშავს, ჩემო ბატონო, თუ დაგწვავენ, მიწაში მინიც არ ამყარალდები და ოდესმე შენს თავისქალას საბურთაოდ არავინ გაიხდის.

ი ე ს ე: შიო, წისქვილი რატომ დაგიღუშება?

შ ი თ: მე როდი დამიღმეგებია, მბრძანებლო. წლევანდელი ეამი ერთობ ავი დადგა, დიდო ვინაობაა, მაგრამ გვალვაც რომ არ იყოს, ჭირნახული ოფლს მოჰყავს, სისხლს კი არა ახლა კი ისეთი დროა ოფლზე მეტი სისხლი იღვრება.

რ უ ქ ა: სალამი დიდ მეფეს!

ი ე ს ე: ახალს რას იტყვის ჭონდაქარი?

რ უ ქ ა: (ცალკე ჩუმად). ხმა დადის, საბას გაპარებას აპირებენო.

ი ე ს ე: ეჭვი ვისზე აქვთ?

რ უ ქ ა: ჯერჯერობით ვერ გავიგეთ.

ი ე ს ე: დასასჯელნი ხომ სიძმედო გუშაგებს აბარიათ?

რ უ ქ ა: საკუთარ თავზე მეტად ვენდობი.

ი ე ს ე: აქ ხალხი ხომ არ მოიყრის თავს?

რ უ ქ ა: წისქვილისაკენ მომავალი ყველა გზა სარანგებით ჩაერაზე და ჩაეადულაბე: ჭიანჭველასაც არ უშვებენ. მცირე თათბირის მონაწილეთა გარდა, დასჯის ადგილი არც არავინ იცის.

ი ე ს ე: ასი თვალი გამოისხი, ასი ყური გამოიბი! რაკი საფრთხეა მოსალოდნელი, ვიდრე კოცონი არ დაიწვის, მეც აქ ვიქნები. პა, მოჰყავთ უკვე, მიეგებე! (რუქა გადის). მდივანებგო, კათალიკოსი სად არის?

ბ ა კ უ რ ი: კარავეშია და, მგონი, ლოცულობს.

ი ე ს ე: რა დროს დიჭინია, უხმე საჩქაროდ!

დ ო მ ე ნ ტ ი: (ორი ბერის თანხლებით) აქა ვარ, ძმაო.

ი ე ს ე: დაბრძანდი მსაჯულის საკარტულზე და მიხედე საქმეს. მე კარავეში ვიქნები. (შევა-დომენტი თანხმლებლებითურთ ჩარდახში ავა. ამაღის ხალხი და სარანგები ჩარდახთან დგებიან, იქვე ბაკური, ღვთისო და შიო ჩურჩულით გვერდზე მიდგებიან. რამდენიმე სარანგს შემოჰყავს საბა და ბარძიმი. იქვეა რუქა).

ს ა ბ ა: კათალიკოსო, სად არის ის ხალხი, რომელმაც ჩვენ უნდა გავეკასამართლოს და ცეცხლში ჩავყაროს, ვის წინაშეც პასუხი უნდა ვავით?

დ ო მ ე ნ ტ ი: ზღვაზე დიდხანს სეირნობამ და უცხოეთში ფუჭმა ხეტიალმა თვალის ჩინი ხომ არ წაგართვა, განა ვერ ხედავ?

ს ა ბ ა: სარანგები და მეფის ამაღა თუ ხალხია, მაშინ ისიც ღვინო იქნება, რაც ქვეყრის ძირში რჩება ხოლმე. ხალხი ის არის, ვისაც გუთანი უჭირავს ხელში და ქვეყანას პურს აკმევენ, ვინც იცის ქეშმარიტი სიყვარულიცა და სიძულვილიც.

დ ო მ ე ნ ტ ი: ჭკუა-გონებას თავს ეკითხებიან, ქვეყნის თავი კი ჩვენა ვართ. ის შენი ხალხი კი უთავო ბრბოა, რომელსაც მხოლოდ უგუნურებათა ჩადენა შეუძლია. მისი სიყვარულიც ბრბოა და სიძულვილიც. ამიტომ ბრმებს ქვეყნის საქმეს ვერ განვასჯევინებთ.

ს ა ბ ა: ალიყულიხანი სად ბრძანდება, თქვენი ყველაზე დიდი ბაში. ვიცი ხალხის ეშინია და ამიტომაც აქ პატიმრები ქურდულად მოაყვანინა, მაგრამ ხელმეშვერულ საბას რატომღა ემალება?

ი ე ს ე: (გამოვა) მზღალებს ტახტისაკენ ნაბიჯის გადადგმაც კი აფრთხობთ, მე კი კარგახანია ტახტზე მორკმით ვზივარ.

ს ა ბ ა: ტახტისკენ ორი ბილიკი მიდის: ერთზე ლომი მიამბიჯებს და მეორეზე გველი მიცოცავს. ასე რომ, ალიყულიხან, ტახტი ყოველთვის ვაეკაცებს როდი უტყრიათ.

ი ე ს ე: მეზღაპრე საბას სიყვდილის წინ გული აჰქავებია და ენით იფხანს.

ბ ა რ ძ ი მ: ზოგი მეფე მალე დაუტრავს თავს წუთისოფელს და მის სახელს უმაღლე დაიფიწყებენ, საბას ზღაპრები კი, ვით ცოცხალი ადამიანები, მიწის ზურგზე ივლიან მარად. მისი პატარა იგავ-ზღაპარი ზოგიერთი მეფის მთელ სიცოცხლეს გადაიწონის.

ი ე ს ე: დიდად საბატყვემლო ბერი ყოფილა! ვნანობ. აქამოდ ვერ მივაგე საკადრისი ვახტანგის გამორდელი დიდო მეზღაპრე, ეერაობის პაერმა ხომ არ დაგხამა ან ზღვამ ხომ არ გაწყინა? გავიგე, ქრისტეს აქვანი მოგინახულეზია, წმინდა პეტრეს საფლავზედაც გილოცნია. მე რომ იქ ყუოფილიყავი, პეტრე მოციქულის გვერდით დავენებულ მის ასულზე ვილოცებდი.

ს ა ბ ა: საბა ბერიც რომ ისეთი აქლემი იყოს, ყველას კარზე რომ იჩოქებს, მაშინ ისიც იესუსავით მოაქცეოდა.

ი ე ს ე: აბა ახლაც გასძახე ზღვის გაღმა, მოუხმე ჭიმაგებს, ეგებ გიშველონი!

ს ა ბ ა: თქვენ შევიძლიათ სიცოცხლე წამართვათ, პატიოსან ქართულ სულს კი ვერ წამართმევთ.

ი ე ს ე: ეგ კი ქეშმარიტი ქართულია. რაც შენ რომსა და ვერსალში გაჰყიდე, იმას თბილისში ველარაინე წაგართმევს. (ისმის მგლის ყმული, ვირის ყროყინი, მამლის ყიფილი და ძალ-



ლის ყეფა). ეს რა გნისაია? (შემოვლენ როკვით მხარე, ყამარი და სხვები, რომლებსაც უკეთით საბას იგავთა გმირების ნიღბები: მამლის, დათვის, სახდრის, აქლემის, კატის, ლომის, მელისაი და სხვათა).

რ უქა: ვინ ხართ? აქ რას დაეძებთ?

მახარე: დასაწვავი ბერის იგავთა გმირები ვახლავართ. როცა საბას ცეცხლში ჩასვავენ, გარშემო უნდა უბრბინოთ და ისე გაეცილოთ ჩვენი მასხრად ამგდები.

ყამარი: გეწადია, შევაჩვენოთ ის, ვინც ჩვენ შეგვაჩვენა.

ომანი: (ხელში უტირავს თავისჯალა და ჯვარცმა. წინ მოუძღვის დაუღლლო სიკვდილ-სიცოცხლეს. სიცოცხლე მთლიანად ნაირფერი ყვავილებითაა შემოსილი. სიკვდილს, სუ-დარაჩაკმულს, ტანზე ჩონჩხი ახატია). ჰა, აქ შეჩერდი, ოხერო წუთისოფლო!

იესე: ომანი, ეს რალას ნიშნავს?

ომანი: (ასწევს თავისჯალასა და ჯვარცმას). აქ დღეს სიკვდილი ტრიალებს და კაცი ჯვარ-ზე უნდა ეცას, უნდა ეწაოს. ესეც წუთისოფლის ერთიანი სახეა: სიკვდილ-სიცოცხლე, ზოგიერთი მოშუქებული კოლქმარით, ერთ უღელში გამბულან, ვერ შორდებიან ერთ-მანეთს, ვერც ერთიმეორეს ურიგდებიან და ასე ტანჯვა-ვაებით ერთად ეწევიან დრო-ყამის ჰვანს. დღეს ხომ აქ სიკვდილ-სიცოცხლის ჰიდილი გაიმართება და...

იესე: რუქა, გარეეც ეს ტივი-მასხრები!

დარეჯანი: (შემოვიდა). იყენენ, ვის რას უშაეებენ! საბას სხვა ჰირისუფალი არა ჰყავს და მისმა შეთხზულმა კაცუნებმა, ნადირებმა და პირუტყევებმა მინც გააცილონ სულეთში!

იესე: დელოფალო, შენც მოხვედი?

დარეჯანი: ვითომდა, რატომ არ უნდა მოვსულიყავი?

იესე: მეწადა, ამ ამბის ხილვა ამერიდებინა.

დარეჯანი: ეს ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა სეირთა ყურება. დღევანდელი სეირი კი, აღბათ, საშვილიშვილოდ დასამახსოვრებელი იქნება.

იესე: რუქა, სიფრთხილე სიბრძნის ძმა არის. შემოგარენს სარანგთა ალყა შემოარტყი. მაგ სახიობებზედაც თვალი გეპიროს, დასასჯელნი არ მოგეტაცონ, თორემ ხომ იცი, გა-ლიიდან გაქცეული ღომი უფრო მძინეარეა და დაუნდობელი. (რუქა თავს დაუტრავს, სა-რანგებს ნიშნს მისცემს და ისინი გავლენ). კათალიკოსო, დრო! ახსენით პატმარება ბორკილები! (ახსნიან).

რ უქა: ვინც სეირის საყურებლადაა მოსული, განზე გადგეს! (ნიღბოსნები გვერდზე გადგე-ბიან. შიო, ომანი და ლეთისო ამ დასს შეუერთდებიან).

დომენტი: (მიუახლოვდება ბორკილახსნილებს და პირჯვარს გადასახავს. ბარძმის მიმარ-თავს). სახელთა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა! ჭეშმარიტად აღიარე ცოდვები ღვთის წინაშე, შესთხოვე უფალს, ყოველივე პატივტევოს, რათა საიქიოს შეხი სული გაწმენდილი გაუშვას!

ბარძიმი: იმის მეტი ცოდვა არაფერი მაქვს, რომ ცოდვილი კაცი მომიახლოვდა და აღსარე-ბასა მოხოვს. მე ღმერთს მხოლოდ იმას ვევედრები, გულაფრაც დომენტი კათალიკოსს არ შეუნდოს ცოდვანი! არც აღიყულობსან მოუტევოს ის სიაყაყე, მე რომ გულის-სწორი წამართვა!

დომენტი: წყუელიმც იყავ უკუნითი უკუნისამდე! (საბას). ღვთისო მონა საბა, შენი ჯერი არს, აღიარო ცოდვანი და განიწმინდო. შეიმსუბუქე გული ჭეშმარიტი აღსარებით! და-ემზე ჯერის წინაშე, ვითარცა ღვთის მორჩილი და მსხვერპლი! ნუ სდუმხარ, გახსენ ბაგენი! მოგაგონებ: თუ აღსარებას არ იტყვი, ზიარებას ვერ მიიღებ, ყოველი ცოდვა თან წაყვეება და იქ დაგვარჯავს! მისმინე! შენი სულისთვის ვზრუნავ და არა ჩემთვის!

საბა: ზენაარსს მე უკვე შეუვრიგდი, ჩამომეფხოვე!

დომენტი: საბა-ბერო, ცოდო, ნებსით თუ უნებლიედ, ყველასა აქვს, შენ კი რა წმინდანი გამოჩნდი?! მხოლოდ ღმერთთა უცოდველი და გვეც მკრებელობაა, სიწმინდით ღმერთ-თან გატოლებას რომ ეჭირობ. როცა ბერად აღიკვეცი, ცოლი უნებღურებაში რომ მია-ტოვე, დაგვიწყდა?

საბა: თამარმა იცოდა მიზეზი, რამაც მიძელა სახლიდან წასვლა და ჩემი საქციელი ცოდ-ვად არც მიუჩნევია.

დომენტი: შენ უარსყავი მართლმადიდებელი ეკლესია, რჯული ჭეშმარიტი და სული ცრუქრისტიანებს მიჰყიდე.

საბა: მაშ, ამ ჯვარს გულით რალად ვატარებ, თუ ჭეშმარიტი ქრისტიანი არ ვარ?!

დომენტი: შენს გულზე მაგ ჯვარს სიცხოველე დაკარგული აქვს.

საბა: ათას შეიდას შეიდ წელს, კარგად მახსოვს, დომენტიმაც პატრ ბასილას უსტარი და-



აწერინა და თავისი სურვილი რომის პაპს აცნობა: ჭეშმარიტ ქრისტიანობაზე
 ცევა მწადია, მზად ვარ კათოლიკობა მივიღოო. ასე არ იყო, კათალიკოსო?

ღო მ ე ნ ტ ი: (დამფრთხალი). სიცრუეა, მაგას ვერ დაამტკიცებ!
ს ა ბ ა: მართალია, ბასილა აელანეთში მოკვდა და მკვდარი ველარაფერს იტყვის, მაგრამ ცოცხალი საბუთი კი რომის პაპთან ინახება. შენსავე ჯვარზე დაიფიცე ძალადი ღმერთო, თუ მე სიმართლე არ მოვგავნე!

ღო მ ე ნ ტ ი: (დაიბნა). სულწარწყმენდილო, შენი ჩამოყვანილი რომაელი კაპუცინები კარდაკარ დადიან და პურ-ღვინოს თხოულობენ.

ს ა ბ ა: კაპუცინები ხალხს მკურნალობენ და სიკეთისთვის მცირე გასამარჯელოს იღებენ, რათა თავი ირჩინონ. ეს გლახაკობა როდია. მათხოვრობა იმას მიქვია, ქართველი დიდებულნი შაჰის წინაშე ხელგაშვერილი რომ დადგება და დახოქილი ეღრიჯება, ტახტი მიწყალობეო.

ღო მ ე ნ ტ ი: კიდევაც იცავს ცრურჯულიანებს.

ს ა ბ ა: კათოლიკენი ჩანთით მალამოს ატარებენ, სიკეთესა თესვანი და თვითონაც ქართველ-ღობიან, თქვენი მოყვანილი სპარსელ-ოსმალები კი ხმაღს ატრიალებენ, ხალხის ნაწილს ზოცივენ, ნაწილსაც უცხოეთში მიერეკებთან.

ი ე ს ე: რაღა ბევრს აყებდებთ: ქვეყნის მოღალატეებს წაერთვათ სიცოცხლე და რაკი თავისა საფლავის მიწა უცხოელებს მიჰყიდეს, ისიც წაერთვათ! რას იტყვის სამსჯავრო?

ს ა ბ ა: მეღას თავისი კული დაემოწმება.
ი ბ ე რ: სარეველა რომ არ გავრცელდეს, ყანა დროულად უნდა გაიმარჯლოს!

მ ე ო რ ე: ჭეშმარიტი ქრისტიანეთი უნდა ვანიწმინდოს ცოველითაგან!
ღო მ ე ნ ტ ი: ზეცას ვკითხე და დასტური მომცა, რომ ურჯულთა საბა და მეფის ორჯული ერისთავი შეჩვენდნენ და მიეცნენ ცეცხლს დასაწვავად!

ბ ა რ ძ ი მ: გმადლობ! დღევამი შემიცვდა და ეგებ აქ მაინც გავთბე. ღვთისო, ხომ ხმელი შეშაა, რიგიანად ხომ აენთება, კვამლი მწარე ხომ არ იქნება და თვალთაგან ცრემლებს ხომ არ მაყრევინებს? პეი, მოყვასნო, როდის მოხვალთ ჩემთან, რომ გულაიანდ ვიხარ-ხაროთ?

ღ ვ თ ი ს ო: კაცო, გწვივენ და იცინი?
ბ ა რ ძ ი მ: სადარდო რა მიქვს! ამ ქვეყნად ყოველი კაცი უკვდავებისაყენ მიისწრაფვის, მე თუ საბასთან ერთად დამწვივენ, ჭეშმარიტ უკვდავებას ვეზიარებო, ეს სასიხარულო ამბავი ვინაღვლო?

ი ე ს ე: საბა ბერო, რამ ჩაგაფიქრა? ცეცხლში დაწვას ეგებ ჩამოხრჩობა ვირჩევნია? ან ცხენის კუდზე გამოშპის ხომ არ ირჩევდი? (საბა სდუმს).

ი ბ ე რ: საბას ბოროტება შუბლზე აწერია, ხოლო ბოროტება ბალახად და ხედ კვლავ ევლარ უნდა ამოვიდეს მიწიდან. კვამლად უნდა გაქრეს ცაში, კვამლად!

მ ე ო რ ე: ორბელიანმა თავისი წმინდა რჯული უცხო საეცხლურში ჩაავდო, ამიტომ შეჩვენებული თვითაც უნდა დაიწვას, უნდა მიეზღოს ცეცხლი ცეცხლის წილ!

ი ე ს ე: დედოფალი რას იტყვის?

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი: დედოფალი ედასტურება მეფესა და სამსჯავროს. ცოდვილი სული დაწვის ღირსია, ხოლო თუ საბა მართალია, მას თვითონ ღმერთი იპატიებს. ცეცხლს განარიდებს. კაცს თავისი სიმართლე აღაფრენს ცათა. საბამ თუ რაიმე შესცოდა, მისთვის ანგარიშის გასწორება მხოლოდ უფალს ძალუძს.

ი ე ს ე: ჰოდა, საბას სწორედ ღმერთი უსწორებს ანგარიშს. აქ ყოველივე, როგორც კათალიკოსმა ბრძანა, ზეცის დასტურით ხდება, დაწვა საბას თვითონ ღმერთმა მიუსაჯა.

ს ა ბ ა: ღმერთად შენს თავს გულისხმობ, ალბათ.

ი ე ს ე: ამ მიწაზე მე ყველაფერი ვარ: გამკითხავიცა და მსჯავრმდებელიც, ხოლო ცაში რომ წახვალ, იქ ვისთანაც მოგებრიანოს, იმასთან იჩივე!

ღო მ ე ნ ტ ი: საბა, გული მტკიცია, რომ გსჯი, მაგრამ ქვეყნის და რჯულის მოღალატე რომ დაეინდო, ესეც არ ძალმიძს. გულს ებრალები, გონება კი სიბრალულს შლის და სხვათა მიყარნახებს.

ბ ა რ ძ ი მ: ეპ, საწყალი კათალიკოსი, ღამის ნიანგის ცრემლები გადმოღვაროს. (ღვთისო ჭინჭებზე ნათეს დასახმის, ჭინჭებს ხორას მიყარის და აანთებს ცეცხლს, რომელიც თანდათან ღვივდება და ძლიერდება).

ხ ა ბ ა: აანთეთ ცეცხლი და მიუმატეთ სახშილი! ჩემი დაწვა ვატყობ, ალიყუღიანს უფრო აყანაქლებს და ღომენტო კათალიკოსს უფრო აწინებს. თქვენ გწადითთ ცეცხლში დაწვათ არა ჩემი კათოლიკობა, არამედ ის თავდადება, რომ მე ვცდილობდი, საქართველოში



სამეფოდ ვახტანგი დამებრუნებინა. მეშულღებოდით და მსჯით იმიტომ, რომ საერთოდ გწლით ჩემი დასჯა, ვითარცა თქვენთვის არასასურველი კაცისა. სხვა მიზეზი რა მოსატანია! აქ რომ ურჯულოებისათვის კაცსა სჯიდნენ, პირველად ის უნდა დაეწვათ, ვინც დღეს აქ თვითონ არის მთავარი დამსჯელი! (ჩარდახიდან ხშირად ისმის: წყველი იყავ! კრულ იყავ!)

ღვთისო: (ომანას ანიშნებს საბაზე) აი, ნამდვილი ღმერთი! არიული ცის ღმერთს! თმანა: ვაჩუმდი, კაცო! (პირჯვარს იწერს).

საბა: ღმერთი რა შუაშია, თქვენ იმ აღმანიებს ებრძვით, რომელთაც თვითონ თქვენ არა სწამხართ ხალხის პატრონებად. და ნამდვილად არცა ხართ, თუმცა კი ყველგან გაიძახი: იმას ვაყვებთ, რაც ქვეყანას სურსო. აი, თუნდაც დღევანდელი ამბავი: ხუთიოდე კაცი მოვიდა ჩემს დამსჯელად და თან თავისი დაქირავებული სარანგები მოიყვანა, ხოლო მთელი თბილისის ხალხს, რომელსაც, ვიცი, ჩვენი სიცოცხლე გეწადა, გზა შუბის წვერებით ჩაუტეტეს, რათა ისიც ვერ გაეგო, სად და რისთვის გესჯიან. რად გაგეცინათ, გულში მოგხედათ, განა, ჩემი სიმაართლე! თოფი და შუბი რომ არ გეხმარათ, სხვა რა-მის რომ თავი დავანებოთ, ხალხს სიერი უყვარს და აქ ამისთვის მაინც მოვიდოდნა. ამ კოცონზე ხელებს მხოლოდ თქვენ ითბობთ, სხვა არავენ. გეშინიათ, რომ ხალხის წინ აშკარად დამწვით. კათალიკოსო, აღსარებას ელოდი ჩემგან და, აჰა, ისმინე ბოლომდე! დიდი ხანია ჩემი გული ღიჯა ცისა და დედამიწისათვის, ზენაარსი საბას გულს ისედაც ხედავს და სიტყვის დიქონი რაღა საჭიროა! ყოველის მზილველმა ისედაც უყვარს, ვინა ვარ და რა ვარ, თქვენ კი მაინც ვერ გაიგებთ, ათასი აღსარებაც რომ ვილადაო. რა საიდუმლო გაგანდოთ: ავი საქმე არასოდეს ჩამიდენია და შესანდობარი რა მაქვს? ეგებ ის არის ცოდვა, ბერის ჩოხის ქვეშ ჯაჭვის პერანგი რომ მეცვა, ცალ ხელში ჯვარი რომ მეკავა, მეორეში — ხმალი და ქვეყნის საკეთილდღეოდ ისე ვიბრძოდი? ეგებ ისაა ჩემი ცოდვა, ყველა ღმერთს რომ ვემუდარებოდი: საქართველოსათვის აუშორებინა ავი ქამი და სისხლის წვიმები? თქვენ გაიძახით, რომ საბა კათოლიკე გახდაო, მე კი გულს სარქველს მთლიანად ავხდი და ისე გეტყვით, რომ ჩემი უზენაესი რჯული არც კათოლიკობაა, არც მართლმადიდებლობა, არც ალაჰი და არც ბუდა: საქართველოა ჩემთვის ყველაზე კომუნიკატი, ყველაზე დიდი რჯულიცა და ღმერთიც. თუ ამას ჩამითვლით ცოდვად, რომ საქართველო ყველა ღმერთზე მეტად მიყვარდა, ეს ცოდვა ჩემთვის ნეტარებაა და მისი მოშორება არცა მწადა. დაე, ეს უტრატის ცოდვა სულეთშიაც წამყვეს. აჰა, ესაა ჩემი აღსარება. ამ ცოდვებისათვის მზადა ვარ დავიწვა!

იესე: რას ითხოვ სიკვდილის წინ?

საბა: ზენაარსს საქართველოს სიცოცხლეს ვავედრებ.

იესე: ვინუღეთიდან დაბრუნებულო, შენ რაღაა ითხოვ?

ბარძიმი: აქ ერთობ დამცხა და ვასაგრილებლად ცოტა თოვლი მომიტანეთ!

რუქა: ამ თაკარება ზაფხულში რა დროს თოვლია?!

ბარძიმი: არა უშავს რა, ზამთრის მოსვლას დაველოდებო.

რუქა: ზამთარი ციდან მოდის და უმჯობესია, შენ მიეგებო კვამლადქცეული.

ღომენტი: ილოცე, საბა!

საბა: მე მხოლოდ სხვისთვის ლოცვას ვარ ჩვეული.

ღომენტი: ერთხელ შენთვისაც ილოცე!

საბა: ჩემთვის, დაე, სხვებმა ილოცონ.

ღომენტი: კაცსა ჰკითხეს, ვინა გყავს ყველაზე დიდი მტერიო და საკუთარი თავიო. ჯიუტობა და არას ამბობთ, მაგარამ მაინც შევიდნოთ და მოგეტყვოთ ღმერთმა შეიდიე ცოდვა.

ბარძიმი: ამას ჰქვია, ძალით გაცხონებო.

იესე: მდივანგეო, რაღას უციდი, დროა მზიანეთს დაემშვიდობონ!

ბაკური: (რომელიც აქამდე ჩაფიქრებული იღვა, უცებ გამოფხიზლდა). აღსრულდეს განაჩენი! (რუქა ორი სარანგით მუთაბლოვდება საბას).

საბა: ხელი არ მახლოთ, თვითონ შევალ! (მოდის).

ბარძიმი: საბა, წინ მე გამიშვი, გზას ვაგვიკაფავ! (წინ წავა).

მახარე: არიული ეშმაკებს! (ნიღბოსნები ცეცხლს როკვით უვლიან. წინ „წუთისოფელი“ მიუძღვით.) თამაშობა ხერხით უნდა, დათვამაც იცის ძუნძული.

იესე: მხეცებო და პირუტყვებო, რას აცუნდრუდით?

მახარე: იმ სიმღერას, თქვენ რომ სთქვით, მეფე ბატონო, ამისთანა სამია და ცეკვა შენისა.

იესე: მოუმატეთ ცეცხლი! (რუქა და ბაკური მის ძახილს იმეორებენ).



- ღეოთისო:** აბა, ჰე, მიეფმატოთ სახშილი, რომ უფრო მალე დაიწეას კაცთა ბოროტი ზრახ-
ვები და ქვეყანაზე სიკეთე დარჩეს! (შეშას წინიდან ძენძს შეყარის, ნავთს გადასხამს,
ცეცხლს მოუკიდებს და ცისკენ წაეა კვამლის სვეტი. ალი თანდათან ძლიერდება, შეპ-
დეგ მისი კვამლი დასჯილებს ეფარება). არიული ეშმაკებს!
- ოშანა:** ღეთისო, რამ გადაგრია, რამ გაგახარა, შენც იესეს ეშხრობი თუ?!
- ღეთისო:** მე სიკეთეს და სიმართლეს ეეშხრობი. არიული ეშმაკებს!
- იესე:** მდივანბეგო, სახიობებმა იშვილ-ოინაზობა არა მოგვიწუნ რა! დაითვალე ახლაც და
წასვლის დროსაც, შეტი არ გახდენი, გესმის! (ბაყური თაეს დაუქრავს).
- ბარძიმ:** კათალიკოსო, აბა, კარგად გვიყურე, შენი დალოცვის გარეშეც კვამლთან ერთად
ღმერთისკენ როგორ გავფრინდებით და ციდან როგორ გადმოგზედავთ!
- მახარე:** (ნიღბოსანს, რომელსაც შტირალას სახე აქვს). ჰეი, შე ცრემლის გუდაე, ავზე და
კარგზე, საცინელზე და სატირალზე, სულ რატომ სტირი? ხომ არ გგონია, შენი ცრემ-
ლები ამ კოცონს ჩააქრობს?
- შტირალა:** ეჰ, ეს ამბავი სატირალია და მეც ეტირი, აბა, ხომ არ ვიციენებ?!



მ ა ხ ა რ ე : (სიცილას ნიღბოსანს). შენ რაღა ვაყინებს?
ს ი ც ი ლ ა : ამისთანა სასაცილო ამბები ხდება ქვეყანაზე, და აბა, როგორ არ ვიცინობ?
ო მ ა ნ ა : ეჰ, სიკვდილ-სიციოცლისა არ იყოს, ამ საწუთროში სიცილიცა და ტირილიც თურმე ერთ უღელში გაბმულნი დადიან. (მამალი ყვიის, ძალი ჰყეფს).
მ ა ხ ა რ ე : საქმეს მიხედვით, ის გირჩევნიათ: ყვეფითა და ყვილით სოფელი არ აშენდება (საღდად ისმის ქუხილი). ხალხნო, ზეცა რაღაცას იძახის, დაუგდეთ ყური!
ი ე ს ე : ალბათ, საბას უხმობს, მალე წამოდიო. ჰე, ბერო, გესმის!
დ ა რ ე ჯ ა ნ ი : საბას უციდან მარადისობა უხმობს და არა ღმერთი.
დ ო მ ე ნ ტ ი : საბა ბერო, აქ ფრიად გიყვარდა წიგნებთან ფუსფუსი, ჯდაბნა და კითხვა, ხოლო საიქიოს რომ არ მოგეწყინოს, აბა, თან წაიღე შენი „სიბრძნე სიტურისა“! (წიგნს ცეცხლში შეაგდებს).
ს ა ბ ა : გმადლობთ, გმადლობთ, კათალიკოსო! (წიგნს გულთან მიიკრავს).
ი ე ს ე : შენ სხვა მრულდაცობა რომ არ ჩაგედინა, ამ უწმინდური წიგნის დაწერისთვის მაინც არ აგცდებოდა ჯოჯოხეთი.
ყ ა მ ა რ ი : ღმერთის რჩეული კაცი ისჯება, რამე ვიღონოთ! ომანა, რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღე!
ო მ ა ნ ა : ხმასაც ამოვიღებ და ხმალსაც, მაგრამ ახლა რაღას ეუშველით?! თავის დროზე ვუთხარი და არ დამიჯერა, ეჰ! (ყვავე ქუხილია).
ბ ა რ ძ ი მ : აბა, ისევ დაიქუხა დალოცვილმა. (პირჯვარს იწერს).
ს ა ბ ა : ასე მგონია, ეს ქუხილი ციდან კი არაა. ჩემი მკერდიდან ისმის მეთქი. ეს ცეცხლიც ჩემი მკერდიდან ამოსულად მეჩვენება. კვამლი ჩემი სევედა უნდა იყოს. ხოლო რაც ამ ცეცხლიდან დარჩება, ისიც ჩემი გული იქნება, ფერფლად და ნაცრად ქვეული. საბას თავისივე იციხის სწავლეს. მალე ჩემი ფერფლნაცარი ქართული ცის ქვეშ იქროლებს, შემდეგ სამშობლოს მიწას გადაეყრება და სამარადისოდ შეუერთდება. აი, შეხედეთ, სისხლისფერია ალი. ესეც, ალბათ, ჩემი სისხლი ანთია. საბას საკუთარი სისხლივე სწავას, თამარ, სადა ხარ, ბედშვიო და ბედუცეთურო, ვერ მომგვინე? ზენაარსი იყოს მოწმე, შენი სანთელი ჩემს გულში არ ჩამქრალა, არა!
ბ ა რ ძ ი მ : ნახვამდის იესე, ნახვამდის კათალიკოსო, მალე მერბნეთ!
ს ა ბ ა : მშვიდობით, ქვეყანავ! (ორივეს კვამლა აეფარა და ისე ჩაინთქნენ, თითქოს ფეხქვეშ მიწა გამოეცალათ).
მ ა ხ ა რ ე : ცაო, გამოგვიგზავნე მოციქულები საბას სულის წასაღებად! (მახარეს სიტყვებს ახლა და შემდეგაც ზოჯჯერ სხვებიც იმეორებენ).
ო მ ა ნ ა : (თავისქალას ცეცხლში შეაგდებს). აბა, სიკვდილო, ბარემ შენც დაიწვი!
ი ე ს ე : ეს რა ამბავია, ასე უცებ დაიფერფლენ?
ბ ა კ უ რ ი : გასაკვირი არაფერია: კაცი ცეცხლში ყველაზე ადვილად იწვის.
დ ე თ ი ს ო : (ჩარდახისყენს). საბას მოსვლამდე არაფერი გეტყვინოთ!
ი ე ს ე : რუქა, ხომ ფიზიკალ უთვალთვალეზი, ცეცხლიდან ხომ არ გამოსულან?
რ უ ქ ა : ჩემი თვალთ დავინახე, ჯერ ერისთავი ჩაინთქა. მეზე საბა.
ი ე ს ე : ალაჰ! მაინც გაჩხრიყე კოცონი! სახიობებიც გაჩხრიყე. მათში არ ერიონ ის წყეულები (რუქა კოცონს ათქალიერებს, ნიღბოსნებსაც აკვირდება და მხრებს იჩეჩავს).
მ ა ხ ა რ ე : (ცდილობს რუქას ყურადღება გაფანტოს). გადარჩა საბა, გადარჩა!
ი ე ს ე დ ა დ ო მ ე ნ ტ ი : როგორ თუ გადარჩა?!
მ ა ხ ა რ ე : აგერ, ცეცხლიდან უჩინაჩინმა ამოიყვანა და მიჰყავს გაღმისაკენ.
ი ე ს ე ს ა ნ ი : იქ მხოლოდ ბალახია?!
დ ა რ ე ჯ ა ნ ი : ეს, ალბათ, საბა იქცა ბალახად. (რუქა ჩარდახს უბრუნდება).
ყ ა მ ა რ ი : აი, შეხედეთ, მადლდება უკვე. უცებ ზეცის ნეტარსულად იქცა და სხივოსილი, დაიღო და უკვდავი მტრეფის ფრთებით მიფრინავს ზეციური სამყოფელისკენ.
დ ო მ ე ნ ტ ი : იქ მხოლოდ თეთრი ღრუბელი მოჩანს.
დ ა რ ე ჯ ა ნ ი : ალბათ, იმ თვით ღრუბლად საბა იქცა. (საღდად რეკენ ზარებს, კოცონი თანდათან პატარავდება, თუმცა მთლიანად გვიან ქრება).
ი ე ს ე : საბა უღლიანი ვარსკვლავი იყო, მოწყდა და გაქრა. რაებს რომაეთ!
შ ი ო : ცას შემურდა და მიწას მოსტაცა საბა: ხმაძლიერი და გონებაბრძენი, სიკეთის კონა და გვირგვინი. თუმცა კაცთა მიწრიდან განდევნეს. ღმერთმა დაეთმო ზეციური საფანე. რაც შეშენის კახაბერსა, ის შეშენის საბა ბერსა.
მ ა ხ ა რ ე : შეხედეთ, შეხედეთ, ზეცა როგორ დაბლა დაეშვა! საბას სულს გზაშივე ვეგებება, ზეცა ფერებს აუესიათ. პირმცინარე ანგელოსები სალაშს აძლევენ და უღმიან საბას



ნათელ სულს. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გულიც სავსე იყო ანგელოსებით. **ვახანდელაძე**
 საბასთან შესახვედრად მეცხრე ციდან ღმერთიც დაბლა მოფრინავს. **ზინზინიძე**

ომანა: ქვე შენი ჭირიმე, ღმერთსაც ხედავ?

მახარე: ვხედავ, მამ!

ომანა: არ გადაპირო კაცი! ავი უხილაეიოა?!

მახარე: მაშინ ჩნდება, როცა თავის ფრთებზევწ წმინდანებს იღებს.

ომანა: მე რომ ვერ ვხედავ?!

ყამარი: ჩვენ გუშინ ზეარაკად და ზედაშედ ღმერთს ისეთი ცხვარი და ღვინო მივართეთ, სულ მოგვიტევა, თუ რაიმე ცოლო გავვაჩნდა. იმის ნებაც მოგვცა, მთელი დღე უუპურეთ ჩემს საქმიანობასო.

ომანა: აი, ღიღება და მადლი მის გამჩენს! (პირჯვარს იწერს). მრავალძლის ხატო და ჯვარო, შენ შემეწეო, ეს რა მესმის?!

ღვთისო: ერთობ დიდი მეჭრთამე ყოფილა თქვენი ღმერთი, თუ კარგი ძღვენის გარეშე კაცს თავს არ დაგანახებს. არიული ღმერთს!

მახარე: აჰა, ანგელოსებმა ფართოდ გაუღეს ცის ლურჯი კარი, მზით მოვარაყებული, მიწის შობილმა და გაზრდილმა მიატოვა ცოდილი ქვეყანა.

შიო: აჰა, უკვე გაიარა კარიბჭე მარადისობისა. ომანა, რას მისჩერებხარ პირდაღებულა, დამედასტურე!

ომანა: შენი ჭირიმე, ვერაფერსა ვხედავ და რა ვთქვა?

შიო: ომანა, იცოდევ, ვისაც გულში მოუნანიებელი ცოლვა უძევს, ახლა ღმერთსა და ანგელოსებს მხოლოდ ის ვერ დაინახავს.

ომანა: შენი ჭირტუა მე, ცოლვა არა მაქვს. მარა... (თვალებს იღმუნეტს).

შიო: ეპ, რა გულუბრყვილო ხარ! (ჩუმად). სთქვი, ვხედავ-თქო, რა გენალელებ! თორემ მართლა ცოლვიანი ეგონები ვინმეს. ხომ იცი, წისქვილის ქვეები ერთმანეთს რომ არ ეხმარებოდნენ, ცალმა რამდენიც უნდა იბრუნოს, ვერაფერს დაფქვავს.

ომანა: (თავისთვის) ღმერთო, მომიტევე, ტყუილს რომ ვამბობ! (ხმაშალდა) აჰა, დაეინახე, დაეინახე! სულხან-საბა ორბელის ძე სიბრძნით აღხდა ორბების ზე.

შიო: ზეცად წყაიდა ღვთიერი საბა, ანგელოსები შეუღდგენ მხარში და გააფრინეს მეცხრე ცისაკენ. ჰა, უკვე განვლო სამყაროსი თათანი.

მახარე: მარადისობის სავანე იღიმება, რაკი საბა იხილა თავის მეკრდში ჩახუტებული.

იესე: რაებს როტავენ?! შეიყარით ეს მავნე ხალხი! რატომ მე ვერაფერს ვხედავ?

მახარე: ვისაც დიდი ცოლვა აქვს ჩადენილი და აქამდე არ მოუნანიებია, ახლა მხოლოდ ის ვერ დაინახავს ცის სასწაულებს. ბერებო, განა თქვენ ვერ ხედავთ?

ბერები ერთმანეთს შემუხებულნი გადახედავენ.

პირველი: რაიო, როგორ თქვა?!

მეორე: ვისაც დიდი ცოლვა აქვს ჩადენილიო, ისაო...

პირველი: აჰა!.. მე ყოველივეს ნათლად ვხედავ და შენი არ ვიცი.

მეორე: მეც ისე ვხედავ, თითქოს ცა მთლიანად ხელისგულზე მედოს.

სარანგები და სხვები: (ჯერ კანტი-კუნტად, შემდეგ ერთხმად). ვხედავთ, როგორ არ ვხედავთ, ჩვენც ვხედავთ, ჩვენც!

დომენტი: აი, როგორ შეეუხნდე ყველა ცოლვა: ღმერთის ხილვის ღირსიც კი გავხადე ცოდილი ბერი. ახლაც იტყვის ვინმე: დომენტი საბას პირადი ანგარებით და მტრობით მოექცაო?

დარეჯანი: მეფევე, თურმე ყველა ხედავს შენს გარდა.

იესე: (ჭოგრიტით ვახედა). ჰო, ვხედავ, მეც ვხედავ რალაცას.

მახარე: აი, ღიღება ეს არის მართლაც. ლეთაებამ საბა თავის ტახტზე გვერდით დაისვა.

ყამარი: სასმისიც მიაწოდა: მუსხავით ნათელი და ზეციური.

შიო: საბა გაღიმებული სვამს.

ღვთისო: ალბათ, ესაა უკვდავების ფიალა! აჰანდე! (იციინის).

ომანა: ეპე, ეპე! რალაცას ეჭურჩულება.

შიო: შეიძლება კელე ქვეყნადეე დააბრუნოს.

მახარე: დასასრულია საქმის გვირგვინი, აჰა, დასრულდა ესე ამბავი: საბა და ღმერთი ორივე ერთად გაუჩინარდნენ. მშვიდობით, საბა, მშვიდობით!

შიო: ამიერიდან საბას სიცოცხლე დრო-ვამს დარჩება ივავ-არაკად!

ომანა: აი, ღიღება და მადლი შენს გამჩენს!

დარეჯანი: ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია.



- მ ხ ა რ ე: ჩვენ აქ აღარა გვესაქმება რა! აბა, მომყევით! (ნიღბონები სიმღერით და მიღობენ).
- ე ს ე: ბაკურ, ამ ნაცარსა და ფერფლს ამაღამ დარაჯი დაუყენე, რომ საბას თაყვანისმცემლებმა არ დაიტაცონ, ხელ კი მთლიანად მტკვარში გადაყარეთ! სიფრთხილე გვპართება, რომ ხალხმა საბა წმინდანად არ აღიაროს და ჩვენ მწვალებლებად არ მოგვხათლოს! თუ ვინმე მოგვძალათ ფერფლის წარსატაცებლად, ისიც ფერფლად აქციეთ! დედოფალო, შენ საით? ხომ ხედავ, უკვე ბინდია: ახლა ჩვენთვის მგზავრობა უხიფათო როდია, ეს ღამე კარგებში გავათიოთ!
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ჩემი ბრძენი მეფე მართალსა ბრძანებს! სჯობს ეს ღამე აქვე გავათინოთ!
- ს ც ე ნ ა: იგივე, რიერაის ვაშია. ომანა ნაკოცონართან დაღლილი დადის, კარვის წინ იესე ბოლთასა სცემს. შემოდის დარეჯანი.
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი: იესე, რამ ავამორგა? მამლები მესამედ ყვირან უკვე, საცაა მთიებიც ამოვა, შენ კი ბოლთასა სცემ. ავი სიზმარი ხომ არ დაღანდე?
- ი ე ს ე: თვალი წამითაც არ მიმილულავს, ხოლო უძილოდ სიზმარი სად გავინილა! მე ის უფრო მათორიანებს რაც ცხადად ვნახე. ცად რად გაფრინდა, ცად?
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ვინ?
- ე ს ე: ის წყეული ბერი.
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი: დედაჩვენა ზეციდან უფრო ფართოდ მოჩანს და საბაც ცად ამაღლდა, რომ უფრო თვალნათლივ უტკიროს ქვეყანას და თავის ხალხს მეტად დაეხმაროს: ახლა იქ ებრძოლოს იმ ღრუბლებს, რომლებიც საქართველოს წარღვნით ემუქრებიან. ვატყობ, ჩემი მეფე იმას შეუწუხებია, საბას ცაშიც რომ ვეღარ დაუწყებს დევნას.
- ე ს ე: დედოფალო, როცა მე სახემოქუფრულსა და გულდარდინას მხედავ, შენ გული მელამ რატომ გიხარის და სახეც მარად რატომ გიცივის? ხოლო დღეს ღამის ცად გაფრინდე ნეტარებითა, რომ იქ კვლავ ნახო შენი მოყვარე ბერი.
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ჩემო ძვირფასო, გულსატყვილო არ არის განა, რაც დღეს მოხდა?! ერთ ცეცხლში ორი მტერი ჩაეფერფლეთ.
- ე ს ე: ახლა კი ვატყობ, დედოფალა ერისთავს მისტირის მწარე სიცილით.
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ეჰ, ჩემო მეფე, დამწვარი და მკვდარი სიყვარული რალა სატირალია. მე ბარძიმი მანამდე მეღარადებოდა და მეტირებოდა კიდევ, ვიდრე მისი დასაკუთრების მცირე იმედი მაინც მქონდა, მაგრამ რაკი ეს იმედი ბარძიმთან ერთად ცეცხლში დაიწვა, რალა დავიმალე და თან ხომ არ გადავყევი, ხელი ჩავიქნე, რატომღაც შეგება ვიგრძენი და ამირიდან ჩემს გულს მთლიანად შენ გაგიფენ ფიანდაზად.
- ე ს ე: (გაეხარა). მწამდა, ჩემს გულმწყაზარ დარეჯანს გულზე დროებით დაწოლილ ვარამს მალე გაუქარებელი და, აბა, მოვესწარ. შენმა გულითადაც აღსარებამ მეც გადაწყარა გულიდან ურვა. ასეთი ტყბილი სიტყვა-ვალობა შენგან აქამდე არცა მსმენია. მოდი, სიცოცხლე, თავი კალთაში ჩამიდე და მაგ საამო სიტყვა-ვალობით კუბოს კარამდე შე-სირინოხე! (წამოწევა ნაბაზე. დარეჯანი გვერდით მიუჯდება).
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ღამეს ზღაპრები უყვარს.
- ე ს ე: ჰოდა, მიაბე რამე ზღაპარი, ისევე გრძელი, როგორც ათას ერთი ღამეა.
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ერთ მეფეს ფრიალ უყვარდა უხუცესი ვაზირი, ზოლო დანარჩენ ოთხ ვაზირს იგი სიყვდილით სძულდა: მუდამ დიდვაზირს ეკითხება ქუქას, ჩვენ კი არაფრად გვაგაღვდებსო. აუმტრებდნენ, ეწიადნენ მისი მოშორება და შეკრეს პირი. განთადისას მივიდა ერთი მეფესთან და მოახსენა: წუხელის სიზმრად მამათქვენი გამომეცხადა და დამაბარა, დიდვაზირი ცეცხლში გამოტარებით გამომიგზავნოს, ფრიალ საქირო სიტყვა უნდა გაგანდო და მალე უკანვე დაეაბრუნებო. მეორემ, მესამემ და მეოთხემ ცალცალკე ასევე მოახსენეს. ირწმუნა მეფემ: რაკი ყველას დასიზმრებია, უცილოდ მართალი იქნებაო. ისმო ბერი ვაზირი და ყოველივე აუწყა. მისხდა დიდვაზირი, სხვა ვაზირთა ხრკი იყო. ესე მოახსენა: — მეფობასა თქვენსა ამას ევედრები, ჩემს დასაყვავად სხვისი ხარი, ანუ მუშა არ დაშვრეს. ბედნიერს მეფეს ცოდვილი არ შევეყარო. ორმოცი დღე მაცალე, შეშა და ნიუები მოვამზადო, ფასი ჩემი მიეცე და სიხარულით დიდს მეფესთან წავიდე! — აცადეს ორმოცი დღე. გაენდო ოთხს გულითადაც მონთა. მოახსენა ორნი მთხრელი მისწინანი. ვაზირის სახილდამე ვარეთ ასპარეზამდე გახერტეს ქალაქი. და ასპარეზში ხერული რომ გაიღეს, ზე შეშა დაღვრეს მრავალი, მსგავსი ბორცისა. ბანი ზესაპროველი უქმნეს. რა გასრულდა ორმოცი დღე, მოვიდა ვაზირი მეფესთან, მოახსენა: — მობრძანდეს მეფე. იხილოს დაწვა მონისა თვისისა, რომელი მამასა შენსა თანა მივა! — გავიდა მეფე და ყოველი ერთი ქვრეტად მისა. აღვიდა ვაზირი ზედა შეშასა. შემოაყარეს ნაქენძი,



დაასხეს ნავთი და აღუდევს ცეცხლი. რა კვალი ამდლდა, ვაზირი ხერგელსა ქვეყნულს ნახერგელ ვაიარა ქვეშე ქალაქისა და მივიდა სახლსა თვისსა. შეშა იგი დაიწვება ნახერგელსა დაანაოებს და ველარც ძვალი პოვეს. ხერგელი ნაცარმან ამოაოსო. ვაზირმან ოცი დღე შინ დაყო მალეით და მერმე შეიმოსა თეთრი სამოსელი, არგანი ხელში აიღო და განთიად მეფისა კარსა მივიდა. აცნობეს მეფესა მოსულა მისი ვაზირისა. ვაზირმან სამოთხის ამბავი მოახსენა და შრავალი ტყუილი შემომპევრა, მართალ მართლსა ამჯობნა. მერმე ეს მოახსენა: — რაც ჩემთან ესაქმებოდა, ყველა აღესარულე. აწ ეს ოთხნი ვაზირნი იხმოო. — სიზმარს დაუჯერეს, ცხადად მოსულს ვინ არ დაუჯერებდა? მოასხეს ვაზირნი. უბრძანა წასვლა მეფემან. იგი ხრიკი შათ კი არ იყოდეს. ჩაყარეს ცეცხლში და დაიწვენენ. ხვდეს გაუთხარეს ჯოჯოხეთის ორმო და თვითონ კი ჩაცვივდნენ.

- ი ე ს ე: (დაეკევიბთ). გეგ ამბავი მართალია თუ არაქი?!
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მართალიც არის და არც არის მართალი. არაქიც არის და არც არის არაქი. რე წიგნში წამიქითხავს, კათალიკოსმა ცოდვილ საბას ცეცხლში რომ ესროლა და საიქიოს თავშესაქცივედ გაატხა.
- ი ე ს ე: იმ წიგნშიო? დედოფალი, ჯერ გამწარებული გული დამიამე და ახლა ამ გულზე წყეული კაცის არაქი პიღბილად დამაყარე?
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი: კაცს ასეთი არაქების დაწერა ცოდვად ჩაუთვალეთ, ჯოჯოხეთის მეგზურად გაატანეთ და წიგნი კი ყსიდად მაინც არ წაგეკითხავთ? ეს სადაური სამართალია?
- ი ე ს ე: დედოფალი, რაქი შენ ყოველივე გულახდილად მითხარი, მე რალა დაგიმალე, იესეს რაშს, სამეფო ტახტისაკენ მიმავალს, საბას ივავები კი არა, თვითონ საბა ებორკებოდა ფეხებში და მისი წიგნი რად მედარდებოდა?!
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ეპ, მეფეც, ცხოვრების ერთი სიბრძნე გამოვჩენია. ეგ ივავები ახლა უფრო მეტ საქმეს აკეთებდა, ვიდრე თვით საბა ბერი. ვერ ხედვები? ხალხს ჭკუას ასწავლიდა, რომ შენი და შენი კარისკაცების თავი მოხერხებულად გაემსხრებინა, ქვეყნის შარახე სასაცილოდ გაეხადა. აი, ასე გებრძოდა საბა, შენ კი ვერა ხედავდი! რომ მიმხედარიყავი. ალბათ, პირველად მაგ წიგნს მოსპობდი, რადგან ხშირად ასეთ წიგნს უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე ათას მეომარს.
- ი ე ს ე: კაცი მოვსაე და მისი დაწერილი ქალაღი საღდა გამექცევა, საბას წიგნის სახსენებელს ხვალეც სრულიად გაეაქრობ!
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ახლა ველარ გააქრობ: ის წიგნი ცეცხლში აღარ იწვება, რომელიც უკვე ხალხშია გასული.
- ი ე ს ე: დარეჯან, შენ დღეს ისე მათამაშებ, როგორც კატა თავეს: ხან მეალერსები, ხან ბასრ ბრჭყალეებში მბებურთავებ, ხან გულზე მალამოდ მეღები, ხან სულს მიფორიაქებ. რა გინდა ჩემგან, რა!
- დ ა რ ე ჯ ა ნ ი: რაქი თავი შევაწყინე, ძილი ნებისა! მე ჩემს კარავში წავალ, შენ შენთვის მოსიყენე! (მიღის). ოღონდ ვეღად, გული დაიმშვიდო, თორემ რეტი დაგესხმება და შენც ცოდვები ავ ლანდებად დაგებევიანს! (გავიდა).
- ი ე ს ე: რალატას მალავს დედოფალი. ვით ცა და მიწა, მისი გულიც საესეა იღუმალებით. შენი ცოდვები ავ ლანდებად დაგებევიანო. მაშინებ? ევრე გულსტესტი არა ვარ, არა, როგორც შენ გგონია. თუ საიდუმლოებებით საესე გულს ნებთ არ გამიღებ, ხანჯლით გავიხსნი და ისე ჩაგხედავ შიგ. (იესე კარავში შევა, ომანა წისქვილს მიეფარება).
- ხ ა ს ა ნ: (შემოვა მეორე მხრიდან და კარავთან გაჩერდება). იესე ხან გძინავს?
- ი ე ს ე: ვინ ხარ?
- ხ ა ს ა ნ: გამოიხედე, ძვირფასი ძღვენი მომაქეს!
- ი ე ს ე: (გამოვა ხმალშემართული). ვინ ხარ მეთქი?!
- ხ ა ს ა ნ: (უკან იხვეს სიცილით). ფრთხილად, იესე ხან, ჩემს თავთან ერთად შენს თავზე დასადგმელი ახალი გვირგვინიც არ ვაგგორო ძირს!
- ი ე ს ე: ვისი აჩრდილი ხარ, ვისი?
- ხ ა ს ა ნ: შამს უყვარს თქმა: გვირგვინი თავებს იცვლისო.
- ი ე ს ე: ისპანში ეს სიტყვები ხშირად მსმენია.
- ხ ა ს ა ნ: თბილისში კი ახლა ის მოისმინე, რომ ქართლის მეფის გვირგვინი შამსა იესეს უკვე წაართვა და ვახტანგს მისცა. გვირგვინის თავი გამოუტევალა.
- ი ე ს ე: ეს ამბავი მოულოდნელი არ არის, თუმცა პირველ მაყნედ შენ მომეკლინე!
- ხ ა ს ა ნ: კარგია, ზაფხული რომ დაგესწრო და ქალაქის სასახლეში არ ხარ: ვახტანგი უკვე იქ არის, თან დიდძალი სპა ახლავს!



- ი ე ს ე: სტყუი! შხამიან ისრებს განგებ მიშენ, რომ გული მომიკლა, ცრუ მაცნედ ხარ მარტოა ნილი! გამშორდი, თორემ, ალახის მადლმა, ასად ვაგჩეხავ!
- ხ ა ს ა ნ: (სიცილით) იესე ხანს ასეთი გულმაფიწყობა არ ეპატიება, რომ გაქირვების ქამს თავისი გულთაღი მეგობარი ველარ იცნოს!
- ი ე ს ე: მოყვასი თუ ხარ, ისიც მარჭეი, ვინ გაცნობა ავი ამბები?
- ხ ა ს ა ნ: მე ქვეყანას სხვისი თვალით არ ვუცქერი არასოდეს, არც სხვისი ყურით ვუსმენ. მზეს, ქარსა და ხასანას ცისქვეშეთში არაფერი დაემალეათ.
- ი ე ს ე: ხასანა!!!
- ხ ა ს ა ნ: იესე ხან, ვახტანგი რომ უკვე თბილისშია, ეს შენთვის სატირელი კი არა, სასიმღერო ამბავია. აქ მოლაშქრებულ ოსმალებს ტახტზე ვახტანგი რომ დაუხედებათ, უფრო ირწმუნებენ: ალიყულიხანი შაჰის ერთგული არ ყოფილაო. კეთილ მხაზრობლად გეწვიე. შენ კი ავის მაცნე მიწოდე!
- ი ე ს ე: ჯერჯერობით მხოლოდ ტახტის დაკარგვა მაუწყუა, უკეთესი არა გითქვამს რა და კეთილ მაცნედ როგორ მოგნათლო?
- ხ ა ს ა ნ: მართალია, გვირგვინი თავებს იცვლის, მაგრამ იესეს ისეთი ბედი აქვს, შაჰის ნაბიჯები გვირგვინის მოხდისთანავე სულთანის გამოგზავნილი გვირგვინი მოუტანეს, რომ ცარიელი თავით არ დარჩეს. ასე რომ, მარტო გვირგვინი კი არ იცვლის თავებს, ზოგჯერ თავიც იცვლის გვირგვინებს.
- ი ე ს ე: ხასანა, შენ კარგად იცი, უეშპირიტად არცერთი ღმერთი არა მწამს, მაგრამ თუ ოდესმე ვიწამე, ასეთი ღმერთი ჩემთვის შენ იქნები, ოღონდ ეს მარჭეი: სულთანის გამოგზავნილი გვირგვინი ობოლი და ცარიელი ხომ არ არის?
- ხ ა ს ა ნ: როგორ თუ ობოლი და ცარიელი?!
- ი ე ს ე: მეფის გვირგვინს თუ დიდძალი თოფ-იარაღი არ ახლავს, გლახაკის ქუდი სჯობია!
- ხ ა ს ა ნ: სულთანის ჯარის დიდი ნაწილი უკვე გორს გამოსცდა და, ალბათ, სადმე გზაში დაელოდება, იესე ხანი გვირგვინის მისაღებად როდის ეწვევა, ხოლო მინამღე თავის ციხე-ქალაქთა გასაღებებს როდის მიართმევს ხასანას ხელით.
- ი ე ს ე: აუწყე სარდალს, რომ იესე კეთილ სტუმრებს გასაღებებით თვით ეახლება. ასე უფრო უსისხლოდ და უდავიდარაბოდ გაიღება ციხე-ქალაქთა კარიბჭენი.
- ხ ა ს ა ნ: იესე ბრძენია: გაცვლა ნაღდზე უყვარს! (თავს დაუქრავს).
- ი ე ს ე: (მარტო). დარეჯან ღვაფაფალო, გუმანმა გიღალატა, ავი ლანდის ნაცვლად კეთილ ანგელოსი გამომიცხადა.
- ს ა ბ ა ს ხ მ ა: ჰაუ, იესე! ქრისტე აღსდგა, ძრწოდე და გეშინოდეს! აქამდე შენ დამღვედი და, აჰა, ახლა თვითონ მოვდივარ შენთან!
- ი ე ს ე: (შეცბა). ალაპ! საბას ხმა მეჩვენება! ჰო, ეს საბას სულია ნამდვილად. მაგრამ მამლებმა მესამედ ხომ უკვე იყილეს, ამ დროს სულს რაღა უნდა დანდამიწაზე?! (დაფეთებულა. საბა ამოვა იმავე ადგილიდან. სადაც დაინთქა. აბჯროთაა, სადათი უჭირავს). ის არის, ის სწორედ! ქრისტე ღმერთო, მიშველე და, სადაც მიბრძანებ, ჩემს ცოდვათა მოსანანიებლად შენი ხატებით საესე ტაძარს აგიკებ! შემეწიე, ალახო, და მთელ ყურანს დავიზეპირებ, ხოლო ათას ქრისტიანს ეყვს გამოუკრი და მათ სისხლს ზედაშედ მოგიტანი! თუ ნამდვილად ხართ ცაში, ან ერთმა გამოიგონეთ, ან მეორემ! აი, მიახლოვდება უკვე! განვედ ჩემგან, მოხეტიალე სული, ისედაც აღმფოთებულ სულს ნუ მიფორიკებ! წყველო მოჩვენება, აქ საიდან გაჩნდი: ფერფლიდან წამოდექი თუ ციდან დაბრუნდი?
- ს ა ბ ა: მე მოჩვენება და აჩრდილი არა ვარ, არა: მოჩვენება სანათით არ დაღის! მე მარტოსული არა ვარ, არა: ჩემი სულ-ხორცი კვლავ ერთადაა!
- ი ე ს ე: განვედ! შენი სიცოცხლე სულ-ხორციანად ცეცხლში დაიწვა!
- ს ა ბ ა: ვანა ვერ დამიხატე, ცაში რომ წავედი! იქ ღმერთმა ყოველივე მკითხა, გაწყრა თქვენზე, მაღლი ცოდვებად როგორ მოგივალესო, ყოველივე შემინდო ზენამ, ჩემს სულს ჭურჭელი დაუბრუნა და ხორციელი კვლავ მზიანეთში გამომისტუმრა.
- ი ე ს ე: ღმერთის მოციქულად მოხვედი თუ სიკვდილისა?
- ს ა ბ ა: საიქოს ღმერთიც ენახე და სიკვდილიც. არცერთმა არ მიიღო. ორივემ შენთან მპატივობლად გამოგზავნი. ციდან მამაძლიც წყველს ყოველივე მკითხის და ქრისტეც: ორივე რჯულის მაღლი გაგიწყრეს! ჰა, ჩაიხედე საყუთარ გულში, თუ გსურს გაიგო, ჯოჯოხეთი რანაირია!
- ი ე ს ე: ეხედები, ახლა ეხედები ყოველივეს: საბა არ დამწვარა, არა!
- ს ა ბ ა: დიახ, არ დამწვარა. რაჟი იცოდი, რომ ეშმაკთა თანამზრახველი ვიყავი, ისიც უნდა გავეგო, ეშმაკი ცეცხლში არ იწვება.

იესე: სტყუი, სტყუი, სტყუი!

საბა: თუ ესეც არა გჯერა, მაშ, იმას მოგახსენებ, ცეცხლში არც სიმართლე იწვის! მე განა მართლა ღმერთმა არ როკაპმა გადამარჩინა; ყოველივე ხალხის და მიწის ნება-სტრევილია: მოხდა! ჰა, სცანი, ცრუ კაცო, სიბრძნე სიტყვისა!

იესე: მომატყუე, ბერად შემდგარო მელაგე?! (ხმალს გააშიშვლებს)

საბა: (სანათს ისერის, ხმალს შემართავს). ღრიანკალო, ხმალი ქარქაშში ჩააგე! ნუ მაიძულბე. ქაბუტობის დღენი გავისხნო და ხმალი კვლავ დაეატრიალო! ჩემს სიცოცხლეში ქართველი დედის ნაშობი კაცი არ მომიკლავს, ვერიდები ხალიბური ფოლადის ივერიული სისხლით შეღებვას, თორემ სიკვდილის უღელში შენი შებმა რაღაც გამიჭირდება! ხომ არ დაგვიწყებია, რომ იესეს ქაბუტობისას ხმლის ტრიალი სულხანმა ასწავლა?

იესე: ქაბუტ ლომს ბებერი კატა რაებს მიბედავს?! (იწყება ხმლებით შერკინება). ჰეი რუქაე! ჰეი, მდივანბეგო! მომეშველეთ!

საბა: ქაბუტ ლომს ბებერ კატასთან ოში ტურების მოშველება უკადრისად უნდა მიაჩნდეს, თუ ნამდვილი ლომია და ლომური სინდისი აქვს! (უტყევს).

იესე: (ხმალი გაუეარდა და გვერდზე გახტა). ფარის უტყუარი მოხმარა და ხმლის ჩრჩბული იელთი გცოდნია, ბერო! ქაბუტობისას სხვა ფანდები, რომ მასწავლე, ამის ცოდნა რაღად დამიძალე?

საბა: შეგირდყოფილო, ეს ფანდი ამ დღისათვის შემოვიანახე, რათა გაჭირვების უამს მომეხმარა. ახლა ხომ დარწმუნდი, რომ შენი მოკვლა, თუ დასჭირდება, საბა ბერს არ გაუძნელდება! აბა, ვახედე, თენდება უკვე, შენი სიცოცხლის დღე კი იწურება!

იესე: ჰე, დამკარ ბარბე, რაღას უტდი! ხომ არ გგონია, მათხოვარი ვარ და სიცოცხლეს შეგვედრები?

საბა: ჰო, ვიცი, მეფე რაც არ უნდა უსინდისო იყოს, ისე არ დაგლახაკდება, ბერს სამოწყალოდ სიცოცხლე სთხოვოს.

იესე: მაშ, რაღას უტდი, შენს ხელთა ვარ!

საბა: ხომ გითხარი, ქართველი კაცის სისხლს არ დაეღერი მეთქი!

იესე: თუ ჩემს მოკვლას არ ფიქრობდი, აქ ქურდულად რისთვის მოხვედი?

საბა: ლომად თავის მოჩვენება მხოლოდ შებორკილ კაცთა წინაშე შეგატლება, ისე კი, ნამდვილად, კატისოდენა ღონეც არა გქონია. იმად მოველ, შენთვის ამის დამტკიცება მეწადა-

შახარე (ამოვა ხერელიდან). საბა, ვახტანგ მეფე გიხმობს საჩქაროდ: უკვე ჩემს ეზოში!

საბა: სადაც ნამდვილი მეფეა, იქ ბერი მსაჯულად არ გამოადგება. აი, მეფე ვახტანგი ეწვევა ალიუტლიხანს და მამამ, დეა, მძის წინაშე აგოს პასუხი! სჯობს, შენი ავხნება მეფემ განსაჯოს და საკადრისიც მოგაგოს! (იესეს ხმალს აიღებს და მახარესთან ერთად გაიის).

იესე: ეს სიზმარია, თუ ცხადი, ვერ გამიგია! ეგება მართლა რეტი დამესხა და კეთილ-ბოროტი ლანდები ჩემს ვარშემო დავლურს უვლიან. ეს ცარიელი ქარქაშში როგორ ამებულანდა ფეხებში! კაცს გინდა ქარქაში გიტარებია უხმლოდ და გინდა თავი უქუკოლ! (ქარქაშს მოიგლეჯს და გადაადგებს). აბა, თენდება, თენდება უკვე! დამესთან ერთად გაიფანტეთ, შავო ლანდებო, და თან წაიღეთ წუხანდელი მწარე სიზმრები! მაგრამ სიზმრები იყო ვითომ? (თითზე იბეხნს). მტკიცია, მტკიცია! სიზმარში არ ვარ, არა: ნეტავი კი სიზმარში ვიყო! ეს ლანდებიც დამემ კი არა, ვილაე სხვამ მომიჯანა! აი, იმან, ვინც საბა გააპარა! ხოლო საბა ვინ გააპარა, ვინ?! საბას დაწვის დღე და ადგილი ხომ სასახლეში დავთქვით საიდუმლოდ? ვინ გატება ციხე შგინდას, ვინ მომიწია ხროკბი? ეს ადგილი საგოლგოთედ მდივანბეგმა ამოირჩია, დედოფალმა კარს სახიბობები მომაყენა და აქ როკვა გააპართინა... მერმე საბას უტყუარი არაკიც მიამბო... ვხვდები, ახლა კი ვხვდები, ყოველივე იმათი მოწყობილია! (ფერფლს დაუწყებს ჩხრეკას). აქ დამწვარი კაცის ნიშან-წყალიც არ ჩანს! თუმცა არა! ავერ თავისქალა ყოფილა! მე ნამდვილად სული გამომეცხადა და არა თვითონ საბა! იმიტომ მაჯობა: კაცის სული ხომ უკვდავია და უძლეველი! მაგრამ ეს თავისქალა ეგებ საბასი კი არა, ერისთავისა? (აშოკაროვება და უტებ) ეკ, ყუყჩო, რაებს ბოდავ? დაგაიწყდა, თავისქალა ომანამ რომ შეეგდო? ფუ! (თავისქალას ფეხს გაქარავს. კვლავ ნაკოცონარს მიადგება). აბა, ხერელია ნახორალთან! ალბათ აქედან გაიპარნენ წყულები: საბაცი ხომ აქედან გამომეცხადა! ბრმა ცყოფილვარ, ხელქვეითებიც ბრმები მყოლიან, თორემ ასე როგორ მომატყუეს?! ჰეი, დარაჯო! ჰეი, რუქა!

ომანა: (მორბის). რა ამბავია, მეფე ბატონო?

იესე: შენც ხომ ერეი იმ ხალხში?

ომანა: რომელ ხალხში, ბატონო?

- იესე: კოცონთან რომ როყავდა.
- ომანა: კი, ბატონო: ნიშანიგორასავით დაუღღღ სიკვილ-სიციოტლეს ცეცხლის გარშემო წუთისოფლის კალოს ვაღწინებდი.
- იესე: შენ გააბარე?
- ომანა: ვინა, შენი კენესა მე?
- იესე: საბა.
- ომანა: საბა ხომ ცაში ვაფრინდა? რაჲ, ცოცხალი დარჩენილა თუ? ვვიცავ მრავალძალს, სასწაულია სწორედ! აი, დიდება და მადლი შენს გამჩენს!
- იესე: ვინც ხორასთან ტრიალებდა, ყველა ცეცხლშია დასაწვავი!
- ომანა: (პირჯვარს იწერს). ღმერთო, ნუ გადამრე, ღმერთო, ნუ გადამრე, შენი მადლის ქირიმე! ვატყობ, აქ კვლავ სიკვილის სუნი ტრიალებს. (გაეცლება).
- რუჟა: გაეხელ, მეფე!
- იესე: ერთობ მაგარი ძილი გცოდნია, ქონდაქარო! გუშაგვიც ერთობ შორს დაგოყენებია!
- რუჟა: დედოფალმა ბრძანა, ასე სჯობსო: თუ მტერი მოდის ჩვენსკენ, მახეში მანამდე გაებმება, ვიდრე მეფის კარავს დალანდავსო.
- იესე: საჩქაროდ ცხენები მომგვარე და შენი ბანაკი წამოყარე!
- რუჟა: ვაფთრებულნი ხარ, მეფე, რა დაგემართა?!
- იესე: შენ რაც გიბრძანებს, ის გააკეთე! მზის ამოსვლამდე მცხეთას უნდა გავსცდეთ, თორემ თავებს გზაში დაგერიოთ! იჩქარე, რაც შეიძლება, იჩქარე!
- რუჟა: ბატონი ბრძანდები! (შემცბარი გარბის).
- ბაკურ: (შემოღის მეორე მხრიდან). მეფე ბატონო, ავი რამე ხომ არ შეგემზავა?
- იესე: მდივანბეგო, შენს გულში ეშმაკებს ბუდე როდის გააკეთებინე?
- ბაკურ: რამ გავარისხა, მბრძანებულო?
- იესე: კოცონი მიინცლამინც ამ წისქვილთან რატომ ზანთებინე?
- ბაკურ: ასეთი იყო რჩევაც და ბრძანებაც. ჩემი ზრი მეფეს რომ მოვახსენე, დასტური მომცა: კარგად მოგიფიქრებია, უშიშარი აღგილიაო.
- იესე: ვინ გირჩია და ვინ გიბრძანა? ეგ ჩემთვის მაშინ არ გითქვამს.
- დარეჯანი: (შემოვა). მე ვურჩიე და მევე ვუბრძანე. შენ ხომ ამბობდი: საბა ოღონდაც მოლაღატედ მონათლეთ და ხალხი თვითონ გაუთხრის ორმოსო! აჰა, აგისრულდა სიტყვა: ხალხმა მართლაც გაუთხარა ორმო.
- იესე: ასეც ვიცოდი! მაშ, საკოცონესთან ზერელი წინდაწინ შენ გაათხრევენე, არა?
- დარეჯანი: ერთ კვირაში ამოდენა ზერელს ვინ გაქრიდა? აქ ოღესდაც ციხე-სიმაგრე მდგარა, რომლის გვირაბიც მტკვართან გადის. ამ გვირაბში ბავშვობისას მეც ხშირად მითამაშინა ბარძივთან ერთად.
- იესე: და ახლა ორივემ საბა გადაარჩინეთ, არა?
- დარეჯანი: საბა თავისმა სიბრძნემ და იმ იგავ-არაკმა გადაარჩინა, რომელიც მეფემ მხოლოდ წუთად მოისმინა, ხოლო ხალხმა დიდი ხანია ზებირად იცის.
- იესე: მდივანბეგო, შენს გომბოსთან პირი შექპარი და მომატყუე?
- ბაკურ: მე... მე არაფერ შუაში ვარ, ჩემო მეფე!
- დარეჯანი: დარეჯანი ისე დაუკვირვებელი ან არის, საიდუმლო მდივანბეგისთვის გაემყლავებინა. მეტსაც გეტყვი: საბასთვისაც არ გეთქვამს, რადგან ის ისეთი კაცია, წინდაწინ რომ გაეგო, შეიძლება ამაზე არც დათანხმებულიყო. ყოველივე ჩემი, ბარძივის და ორიოდ სხვა კაცის მოწყობილია. აჰა, ახლა გინდა მოქალი და გინდა დამწეი. შენს ხელში მინც ბედდამწეარი ვიყავი ჭედამ: სხვისთვის წყეულო მეფე, ჩემთვის ყორანო და საზიზღარო ქმარო!
- იესე: მაგ სიტყვებისთვის მხოლოდ ასეთი მეფური ჯილდო გეკუთვნის! (მოულოდნელად ხანჯალს ჩასცემს და შემცბარი უკან დაიხვეს).
- ბაკურ: ვაჰ, შეილო! (მივარდნა წაქცეულ დარეჯანს).
- დარეჯანი: (წამოიწეეს). იესე, შენთან ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ტანჯვა იყო. სულ მპირდებოდი, ნურას დარდობ, მაღე ბედნიერებას მოგანიჭებო და, აჰა, მოვესწარი თვალი-ლულო სიკვილო, შენ ჩემთვის ბედნიერების მოცემა სხვანაირად არც შეგეძლო. ამ დღეს და სიკეთეს შენგან რა ხანია ველოდი, ამიტომ არ ვკენის, არა, წყეულო კაციო! თუ მეორედ მოსვლა იქნება, შენ გველად მოხვალ და არა კაცად! მაპატიე, მამი, ბევრჯერ მკაცრი სიტყვა გაკადრე!
- ბაკურ: თვით მაპატიე. შეილო! ეს ხანჯალი გულში იესემ კი არა, მამამენმა ჩავცა. ვაი და ვუი ბაკურის გამწარებულ სიცოცხლეს! (დაემხოზა და ტირის).

შოის ხმა: გაუმარჯოს ვახტანგ მეფეს, დილოცოს მისი მოსვლა!

იესე: აჰა, მოღის სიკვდილი უკვე! ეს სიკვდილი ახლა ჩემი ძმა არის, ძმამ საღ დაიკარგა აქამდე რუქა? (თავისქალა აებლანდა ფეხებში). ეს დაწყველილიც რაღას მეხიერება! (კვლავ ფეხს გაკრავს). წინ წყალია და უკან მეწყერი, საით წაიღე, საით? აჰა! ამ ხერეღმა საბა თუ ვადაარჩინა, იესეს რატომ არ უნდა დაეხმაროს? (ხერეღში ჩასვლას აპირებს. უცებ უკან დაიხვეს).

მახარე: (ხერეღიდან ხერხემლიანი წამომართება. აცეო ვეფხის ტყავება). ალიყულობან, შენ ისე დიდი ბორბოტება ხარ, ამ ვიწრო ხერეღში ვერ გაეტევი! (ქამანდით გათოკავს).

ვახტანგ: (რომელსაც მცირე ამაღა ახლავს) არ მოჰკლათ! რაც არ უნდა იყოს, ძმა არის ჩემი! ისეთ დილეგში ჩასვით, ვერსად გაიქცეს! სასჯელად ჯერჯერობით ესეც ეყოფა!

ბაკური: მეფე, ლობიერებას იჩენს შენს ადგილას რომ ეგ ყოფილიყო, უმაღლე გაგიშვებდა საწუთროს. აი, შეხედეთ, თავისი დედოფალიც კი არ დანდო!

ვახტანგ: ბაკურ, ლომისთვის გალიაში ყოფნა სიკვდილზე ნაკლები სასჯელი არ არის: თვითონვე გამოვცადე.

ბარძიმი: დარეჯან, როცა თენდება, ახლა ხუტავ თვალებს? განა ამას დამპირდი?

საბა: დედოფალი, რად არ გაეცალე, რად? განა არ იცოდი წყვეული კაცის ამბავი? შიო, ხირაული ჩქარა!

ვახტანგ: კარავში შეიყვანეთ, ეცადენით, ვადაარჩინოთ! თურმანიძე, მიაშველე შენი ხელი და მალამო!

დარეჯანი: მეფე, ადამიანისთვის ყველაზე კარგი მალამო თვითონ ადამიანია. რაკი თქვენ გამარჯვებულებს გხედეთ, მე აღარ მოგვკვდები, არა! (კარავში შეიყვანენ. შეკვებთან ბარძიმი, ბაკური და თურმანიძე).

რუქა: (შემობრბის ყვირილით). დიღო მეფე, მზად არის ცხენები!

საბა: რუქა, აქ შენი მეფე უკვე აღარ მეფობს (მახარე გაიოჯავს რუქას).

რუქა: მომიტევე! ეტყობა, დამაგვიანდა!

იესე: სამაგიეროდ სიკვდილი არ დაგიგვიანდება. თუმცა ვნახოთ: ეს წუთისოფელი ხან ისე ტრიალებს და ხან ასე. ხან გვირგვინი იცვლის თავებს და ხან თავი გვირგვინებს! კაცი იმედით ცოცხლობს! (მწარედ გადაიხარხარებს).

ვახტანგ: იესე, რა გახარხარებს, საკუთარ ბედს დასცინი თუ სხვა რამეს?

იესე: მაგის პასუხს სამიოდე დღის შემდეგ მიიღებ!

ომანა: ალიყულობან, შენი მეფობის ქამს თბილისის შემოგარენი სულ თავისქალებით აივსო. რაკი ასე ფრიალ შეგყვარებია, აჰა, ჩაიხუტე გულში და საიქიოში თან წაიღე! (თავისქალას ფეხებში გაუფორებს). ეგებ ჩვენში მაგის ბარაქა გაწყდეს და სიცოცხლეს ბარაქა მოემატოს! (ისმის საგანგაშო ზარების რეკა).

ვახტანგ: რაღაც ავ ამბავს გვაუწყებენ, მგონი, ისეც გაწყრა ღმერთი!

მაცნე: (ცხენით მოჰქნდა. შორიდან იძახის). მეფე, მეფე!

ხალხი: სახეზე ეტყობა, შვიი ამბის მაცნეა.

ვახტანგ: ან ლეკები დაგვესმოდნენ თავს, ან ოსმალები.

მაცნე: გორის გზით სულთნის დიდი ლაშქარი დამრულა და თბილისის ასაკლებად მოეშურება!

ვახტანგ: ჯარის შესაყრელად მალემბროლნი აფრინეთ! აჰა, ქართველნო, მამა-პაპურა დროშა ვაშალეთ! მივხედით ჩვენს ქვეყნის გულს და სიცოცხლეს!

საბა: ზენაარსო, როდის გვაღირსებ, საქართველომ თავისუფლად ამოსუნთქოს და მშვიდობით მოისვენოს? ზენაარსო..

ამ სურათს მოსდევს ეპილოგი, რომელშიც ასახულია სულხან-საბას უკანასკნელი დღე.



მიხეილ კეჩელიძე

საბამი თანხმობა

მას შემდეგ, რაც საბამ თანხმობა განაცხადა პეტერბურგს გამგზავრებაზე, გამოიცვალა, უცნაურად გულჩვილი გახდა, ყველას ალერსიანად და სიყვარულით ელაპარაკებოდა, ძველ ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრის დროს წარსულს იგონებდა, ხუმრობდა და ბავშვივით იცინოდა, სნეულთ ანუგეშებდა და ჯანმრთელთ ამხნეებდა.

ათ სექტემბერს შუალამემდე ვახტანგის ოჯახში დარჩა, მეფე-დედოფალს, მცირეწლოვან გიორგი ბატონიშვილს, ბაქარსა და მის ცოლს, ვახუშტი ბატონიშვილს, მის ცოლს მარიამს და შვილებს იოანესა და დავითს, დიდ თავადებს, ეპისკოპოსებსა და მსახურთ, რომლებიც ვახტანგთან იმყოფებოდნენ, ევროპის ამბების მოყოლით ართობდა და აცინებდა. შემდეგ ყველას გულთბილად გამოესალმა, დალოცა და მოსასვენებლად შინ წავიდა.

თორმეტ სექტემბერს საბა უკვე მზად იყო გასამგზავრებლად. ვახტანგმა ვრცელი წერილი გაატანა დარეჯან ბატონიშვილთან. ბარგი და სურსათ-სანოვაგე თვითონ მეფის მეთვალყურეობით მოუშვადეს. საბას გაჰყვინენ არქიმანდრიტი არსენ ბარათაშვილი, უმცროსი ძმა ზოსიმე, აზნაურები დიმიტრი და ტიტე კარგარეთლები, დიაკვანი დავითი და ერთი მსახური რუსი არტამონი. ეს მცირე ამაღა ვახტანგ მეფემ სოლაღიდან კარგა დიდ მანძილზე თვითონ გააცილა. გამომშვიდობებისას საბამ მეფეს მაჯაზე ხელი მოუჭირა და ხმის კანკალით უთხრა:

— მე შეილი არა მყავს, მაგრამ როგორც ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი მამაშვილურად გლოცავ! ჩემს ხელში გაიზარდე. მახსოვს, როცა პატარა იყავი და ტიტინებდი, შენი თავი ნეტარხსენებულმა ლევან ბატონიშვილმა ჩამაბარა და მიიხრა, ვახტანგს მოუარე და გაზარდე, გონება გაუხსენა და ქვეყნის სიყვარული აწაველი. არაფერი არ დამიმურებია, რის მოცემაც შემეძლო, მოგეც, სიცოცხლეც არ მენანება შენთვის. თუ ვინიცობაა რაიმე შემემთხვეს, შენლობა მიბრძანეთ!

ვახტანგს თვალებზე ცრემლი მოადგა, მაგრამ თავი შეიკავა. ძლივს მოახერხა ორიოდ სიტყვის თქმა.

— მამატიე, ჩემო მამავ, ჩემო გამზრდელი, თუკი ოდესმე რაიმე შეგცოდდე... მე შენ შემაშინე, ისე ლაპარაკობ, თითქოს უკანასკნელად ვხედავთ ერთმანეთს!

— ვინ იცის, ეგ ჩვენზე არაა დამოკიდებული...
ვახტანგი შეწუხდა.

* ნაწყვეტი რომანიდან.

— მაპატიე, ბატონო საბა, მოხუცებულს ესოდენ დიდი საქმე რომ დავაგვიტოვებთ, მაგრამ ღმერთი არ გაგვწირავს და კვლავ მშვიდობით ვნახავთ ერთმანეთს!

მაგრამ ღმერთმა ისინი გასწორა: ეს იყო საბა ორბელიანისა და ვახტანგია უკანასკნელი გამომშვიდობება. მეფეს თავისი გამზრდელი ამის შემდეგ აღარ უნახავს.

*
* *
*

მოზრდილი სოფელი იყო ვსესვიატსკოე, მდინარე ტარაკანოვკას ორივე ნაპირზე გაშენებული. შუა ადგილას ძელუბისაგან ნაშენი დიდი სასახლე აღეშენათ. მის მახლობლად, ნახევრად დანგრეული და ხავსმოკიდებული ეკლესია ჩანდა. სოფელი მოსკოვიდან ხუთ ვერსზე იყო დაშორებული. გარშემო ფიჭვნარის ლამაზი ტყე ეკრა და ახლა თოვლით დაბარდნილი კიდევ უფრო ლამაზად გამოიყურებოდა. ვსესვიატსკოე და მის ახლო მდებარე სხვა სოფლები, ტყეები და სახნავ-სათესი მიწები, თვალუწვდენელი მამულები ალექსანდრე ბატონიშვილის სიმამრს ივანე მილოსლავსკის ეკუთვნოდა. მას შემდეგ, რაც პეტრე პირველმა დედინაცვალი სოფლი თავიდან მოიშორა, მილოსლავსკების მთელი გვარეულობის საქმე უკუღმა დატრიალდა. პეტრე პირველმა და მილოსლავსკების მეტოქე ნარიშკინებმა მოწინააღმდეგეებზე სასტიკად იძიეს შური. პეტრემ სიკვდილით დასაჯა ალექსანდრე ბატონიშვილის ქვისლი პოლკდენიკი ციკლერი და მოისართა უფროსი თევდორე შაკლოვიტი. ვასილი გოლიცინი კი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ალექსანდრე ბატონიშვილსა და მის უმცროს ძმას მამუკას მეურვეობდა, ციმბირში გადაასახლა. ერთადერთი ვინც მან დაინდო, გავლენიანი და შორსმკვრეტელი დიდებული პატრიკ გორდონი იყო. ჭკვიანი კაცია, სამხედრო საქმე იცის და იქნებ, გამოდგესო, ფიქრობდა პეტრე და არც მოტყუებულა, შემდეგში გორდონი მისი უახლოესი მეგობარი და მრჩეველი გახდა. მილოსლავსკებზე თავდატეხილმა რისხვამ თავის დროზე საშინლად დაამწუხრა არჩილ მეფე და მისი ოჯახი. ყოველდღე ელოდნენ, რომ პეტრე მასთან შეზრდილ ალექსანდრე ბატონიშვილსაც არ დაინდობდა, სასახლიდან გააძევებდა და ამით არჩილის ყოველგვარ იმედს სამუდამოდ დაასამარებდა, მით უმეტეს, რომ ალექსანდრე შფოთავდა და ზოგჯერ მოურიდებლადაც ეუბნებოდა პეტრეს:

— ხელმწიფევ, ნუთუ ყველა მილოსლავსკი დამნაშავეა თქვენს წინაშე?

პეტრე თვალს მოხუჭავდა და სიცილით აძლევდა პასუხს მეგობარს:

— ალიოშა, ეგენი ყველა მელაძუებია, ერთ ნაბიჯზე ვერ ენდობა კაცი! განა ეგენი არ იყვნენ, ჩემი მამამაძუქე შუბის წვერზე რომ ააგეს? განა მაგათ არ დაჩეხეს ხმლებით ჩემი ბიძები ივანე და ათანასე ნარიშკინები?

ალექსანდრე ოხრავდა, პეტრე კი ისევ ღიმილით ეუბნებოდა:

— ალიოშა, შენ ამ საქმეში ნუ გაერევი, მე თვითონ მოვუვლი ყველას! ნურც ნურავისი გეშინია, ცოლს არავინ წაგართმევს. გყავდეს თეოდოსია მილოსლავსკაია და ეტრფიალე რამდენიც გინდა.

პეტრემ იცოდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს მაინცდამაინც არ იზიდავდა ცოლი და მხოლოდ მამის დაყინებული თხოვნით შეიერთო, ამიტომ ხანდახან თანშეზრდილის გაბრაზება უყვარდა.

— მე ხელმწიფევ, ცოლის სიყვარულის გამო როდი მოგახსენებთ ყოვე-



ლივეს. მამაჩემისაგან ვიცი, რომ ჩვენში, საქართველოშიც უამრავი იღვრება ტახტის გარშემო და მიკვირს, ნუთუ ეს გარდუვალია?

პეტრე პირდაპირ პასუხს არ აძლევდა.

— მამაშენი ჭკვიანი კაცია, მილოსლავესებზე დაყრდნობით უნდოდა თავის ქვეყნისათვის ეშველა. რაც იყო, იყო. ახლა ჩემი იმედი გქონდეს. მხოლოდ, ალიოშა, ქალის კაბაზე არ გამოება. ისევ ძველებურად ვიმეგობროთ, ძალიან მიყვარხარ, ნათელი გონება გაქვს. წავიდეთ ერთად, უცხო ქვეყნები ვნახოთ, ბევრ რამეს ვისწავლით და მომავალში გამოგვადგება.

— მე თქვენთან მინდა ვიყო ყოველთვის ლხინსა და ჭირში. ასეც მოხდა. პეტრე გვერდიდან არ იშორებდა ალექსანდრე ბატონიშვილს, მასთან ერთად შემოიარა ჰოლანდია და ინგლისი, მასთან ერთად ერთობოდა და შრომობდა. მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ დიდ ხელმწიფეს არჩილის ოჯახისათვის წყალობა არ მოუჟლია, ვესესვიატსკოე და ბევრი სხვა მამული არჩილ მეფისა და მისი მემკვიდრის სამუდამო სამფლობელო გახდა.

აი ამ სოფელში იმყოფებოდა ახლა საბა ორბელიანი, თბილ ოთახში ისევე ნებდა და დარეჯანის ნალაპარაკეც ყურადღებით ისმენდა.

— ჩემი განზრდელის საფლავი მინდა ვნახო!

— ორ-სამ დღეში ვნახავთ, ბატონო სულხანი! ხედავ როგორ. გახველებთ? გაცივებულხართ, ცოტა მოკეთღებით და მოსკოვში ჩავალთ. იქ მამიჩემისაგან დატოვებული მეორე სასახლეც გვაქვს. გოლიცინს ეკუთვნოდა წინათ. საგარეო საქმეთა კოლეგიაშიც მოგვაგვარებთ ჩვენს საქმეს. დიდი ხელმწიფე ისევ სწყალობს ჩვენს ოჯახს.

— ქართველნი ბევრი შემოგრჩათ? — ჰკითხა საბამ.

— უმრავლესობა ქართველები მყავს. მოსკოვში ბევრ დიდებულს შეგახვედრებთ!

დარეჯანი თავის დიდსა და კეთილშობილ ნათესავს ერისკაცობის სახელს უწოდებდა. საბას ეს სიამოვნებდა, რადგან მრავალ ჭირთან ერთად ახალგაზრდობის დღეებს აგონებდა. მაინც ღიმილით უთბრა ერთხელ.

— დავით გარეჯის მონასტრიდან გამოსვლის შემდეგ, უკვე საბა ვარ, ჩემო დარეჯანი!

— იყავით, ბატონო, მე კი სულხანი მინდა გიწოდოთ. თუ გინდათ, სულხანი-საბას გიწოდებთ.

საბას გაეღიმა.

დარეჯანი იცინოდა, მოხუცებულთან მივიდა და როგორც ბავშვს ისე უაღურსებდა. საბა წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა. ეკლესიას შეხედა და თქვა:

— ძველი ჩანს.

— ძველისძველია. მილოსლავესების ეკლესია იყო. წირვა-ლოცვას მანდ ვიხდით, როცა აქა ვართ. თუ მშვიდობა იქნა, მაგ ადგილს დიდი ეკლესია მინდა ავაგო.

*
*
*

დარეჯანისა და მისი სტუმრების მოსვლამ არჩილისეული სახლი მოსკოვში გამოაცოცხლა. ყველანი ფეხზე დადგნენ და საქართველოდან მოსულ მოციქულებს თავს ეველებოდნენ. ვესესვიატსკოეს სასახლესთან შედარებით მოსკოვის სასახლე გაცილებით უფრო ბრწყინვალე და მორთული იყო, მაგრამ და-



რეჯანს მშობლებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ აქ გული არ ჰქონდა და სოფელში განმარტოებული შედარებით მყუდროებაში ატარებდა თავის სიცოცხლის დღეებს.

— დედაჩემის შვილობილი სადაა, მზეხა? — ჰკითხა დარეჯანმა ერთ მის მსახურ ქალს.

— შეუძლოთ არის, ქალბატონო.

— რა მოუვიდა საცოდავს?

— მოგესხენებოთ მისი ჩვეულება ქალბატონო, ყოველდღე მონასტერში დადის და არჩილისა და ქეთევანის, თქვენი უდროოდ დაღუპული ძმების საფლავებს უვლის, წმენდს, ლოცულობს და ტირის.

— წადი, ავადმყოფს მიხედ, მზეხა. ბეჟიასაც დამიძახე! — უთხრა დარეჯანმა მსახურს. იმავე წუთში გამოცხადდა თმაგაჰლარაგებული ბეჟია, დარეჯანს გაუღიმა და თავი დაუქრა.

— ჩემო ბეჟია, ახლავე წადი ივერიის ღვთისმშობლის ტაძარში და ივანეს თხოვე, საღამოს ჩვენთან გამოიაროს, ვახშამზე გვეწვიოს.

— ნუ შეწუხდები დარეჯან, მოხუცებულს მოსვენების მეტი არაფერი უნდა! — თქვა საბამ.

— ეს ჩემთვის სასიხარულოა. თქვენზე საყვარელი ნათესავი და სტუმარი ღმერთს ჩემთვის კარგა ხანია არ გამოუგზავნია! — უპასუხა დარეჯანმა.

ოთახები დაიარა, ყველას განკარგულება მისცა, ღუმელებში ცეცხლი მოამატებინა და სახელდახელო სუფრა გააშლევინა. სტუმრები სუფრასთან მიიწვია და თვითონ დასახლისობდა. ნელ-ნელა საუბარი გაცხოველდა და გახალისდა.

— მიირთვიოთ, თქვენ გენაცვალოთ, მიირთვიოთ და შემდეგ მოისვენეთ! — ეხვეწებოდა ყველას დარეჯანი.

მრავალნაირი ღვინო მოიტანეს. კარგარეთელი მოწყურებული იყო, სმა უნდოდა, მაგრამ ერიდებოდა. საბასა და ზოსიმეს სასმელი არ უყვარდათ და მხოლოდ ცოტ-ცოტას სვამდნენ. ნავსი არქიმანდრიტმა არსენმა გასტეხა, მოზრდილი ჭიქა ფსკერამდე დასცალა და თქვა:

— ერისკაცობაში მივეჩვიე! არც გასამტყუნია, მხედარმა თუ არ ჭამა და სვა, ისე ჯანი დაუსუსტდება, ჯანსუსტი მხედარი კი მტერს ვერ შეებრძოლება! — მართალს ბრძანებს მამა არსენი! — ჩუმად დაადასტურა კარგარეთელმა და თვითონაც დასცალა სასმისი.

საბას გარდა ყველანი მაღიანად შეექცნენ საჭმელს.

ბეჟია დაბრუნდა და დარეჯანს გადასცა, საღამოს ივანე აუცილებლად მოვიო. წასასვლელად მოემზადა, მაგრამ დარეჯანმა შეაჩერა:

— მოდი, ბეჟია, დალოცე!

ბეჟია ფრთხილად მიუხალოვდა სუფრას, ცარიელ ჭიქას ხელი მოჰკიდა, თვითონვე შეივსო და თქვა:

— ღმერთმა გადღეგრძელოთ! სამშობლოს მონატრულნი არასოდეს ყოფილიყოთ!

დალია და ოთახიდან გავიდა.

— რაღაც გულდათუთქული ჩანს. — ჩაილაპარაკა ზოსიმემ.

— მამაჩემს ერთგული ყმა ჰყავდა ერთი, ჭიტა ჯოხაძე, ბრძოლაში მოკვდა ქუთაისში, იმისი ვაჟია. ჩემს ძმას ალექსანდრეს გადმოჰყვა რუსეთში, მასთან ერთად ცხოვრობდა და ემსახურებოდა. შევდებთან ომში ალექსანდრეს ახლდა. მძიმედ დაჭრილი მოგვიყვანეს და გადავარჩინეთ, მაგრამ ჯერ ალექსანდრეს ტყვეობამ გასტეხა, მერე მისმა სიკვდილმა სულ გამოსცვალა. სიცოცხლით სა-



სე იყო და ხალისიანი, ახლა კი თითქმის სულ დაღვრემილია... მეცოდებოდა რამ რით ვუშველო?

— არაფერს დარჩა? — იკითხა კარგარეთელმა.

— იმერეთში დედა და ორი ძმა უნდა ჰყავდეს. მაგრამ კაცმა არ იცის, ცოცხლები არიან თუ არა.

ამ დროს სასახლესთან მარბილი გაჩერდა. ლაპარაკი შესწყვიტეს, სტუმარს დაელოდნენ. საბამ ვარკვევით გაიგონა ქართულად ნათქვამი სიტყვები:

— მობრძანდით ბატონო გიორგი, მობრძანდით!

დარეჯანი წამოდგა და მსახურს უბრძანა:

— სტუმარი მოიპატიეთ!

მერე საბას მიუბრუნდა:

— დადიანი იქნება.

მართლაც რამდენიმე წუთის შემდეგ. წარმოსადგეგი და ემზიანი გიორგი დადიანი დარბაზში შემოვიდა და ყველას მიესალმა. დარეჯანი მისკენ წავიდა. დადიანი ბრწყინვალე სამხედრო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, ოქრომკედლით მოსირმული მუნდირი ეცვა. ჯერ თავი დაუქრა, შემდეგ ხელზე ეამბორა დარეჯანს და ღიმილით თქვა:

— კარგ დროს მოვსულვარ!

— ნამდვილად კარგ დროს, ბატონო გიორგი!

დადიანმა გაოცებით შეხედა სტუმრებს და განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საბა ორბელიანს, რომელიც მას თვალს არ აშორებდა. დარეჯანმა დადიანი საბასთან მიიყვანა.

— ვახტანგ მეფის ელჩი ხელმწიფე იმპერატორთან, ჩვენი ოჯახის ნათესავი თავადი სულხან ორბელიანი.

დადიანს საბასთან ახლო ნაცნობობა არასოდეს არ ჰქონია. დიდი ხნის წინათ, ერთი-ორჯერ უნახავს თბილისში, მაშინ საერო კაცად იცნობდა. ახლა კი მთლად შეცვლილი იყო, მაგრამ მისი სახელი, სადაც ფეხი გადაუდგამს, ყველგან სმენია. სახე გაუბრწყინდა. დაიხარა და მხარზე აკოცა. საბა წამოდგა და შუბლზე ეამბორა.

დარეჯანი განაგრძობდა დადიანისათვის სტუმრების გაცნობას. — ესეც ჩემი ნათესავია, ზოსიმე, სულხანის უმცროსი ძმა. ეს ყოვლად ღირსი მამა ეპისკოპოსი არსენია, მის გვერდით, ბატონო, სულხანის ერთგული მეგობარი აზნაური ღიმიტრი კარგარეთელია.

დადიანმა ისევ დაუქრა ყველას თავი და თქვა:

— კეთილი მასპინძლობა გაგვეწიოს თქვენთვის, ჩემო თანამემამულენო! ადგილი საბას გვერდით შესთავაზეს და საჭმელი მიართვეს.

— როდის ჩამობრძანდით, ბატონო გიორგი? — ჰკითხა დარეჯანმა.

— წუხელ საღამოს პეტერბურგიდან გეახელით. ამ დღით საგარეო საქმეთა კოლეგიის კანტორაში გამოვცხადდით, შემდეგ უფროსთან ერთად თავადი ვასილი ნარიშკინი ვნახეთ. სახლში მხოლოდ ერთი საათი დაეყავ. თქვენ გიკითხეთ და მითხრეს, სესენცკაშია ქალბატონიო. თქვენ სანახავად გამოვეშურე. ახლა იქიდან მოვდივარ.

საბას ძალიან უნდოდა ეკითხა ამილახვრის მოციქულობის შესახებ, მაგრამ თავი შეიკავა და საუზმის დამთავრებას დაელოდა. შემდეგ დაიჩემა. დაღლილი ვარ და ცოტას მოვისვენებო. დარეჯანმა საბატიო სტუმარი მეორე ოთახში ვაიყვანა, ცოტა ხნის შემდეგ სხეებიც ცალ-ცალკე ოთახებში მოასვენა და თვითონ საბასთან შევიდა. ოთახში თბილოდა, მაგრამ რბილი სავარძლის ზურგს

მიყრდნობილი საბა მაინც იფუთვნიდა ტანსაცმელს. ხანდახან ყრულ წაგვრანს ლობდა.

— ხომ არ მიბრძანებთ რაიმეს, ჩემო სულხან? — იკითხა დარეჯანმა.

— ბატონიშვილო, სთხოვეთ დადიანს, შეწუხდეს ჩემთვის და ცოტა ხნით მომისმინოს!

დარეჯანი გაბრუნდა და საბასთან დაუყოვნებლივ შემოიყვანა გიორგი. დაბალ შავიდას მიუსხდნენ საპიეწი.

— ბატონო გიორგი, თქვენს შესახებ დარეჯანი მელაპარაკა. ღმერთმა სიკეთე მოგაგოთ სიკეთისათვის!

— უბედურებამ და ლალატმა ქართველთა მეფე ვახტანგი აიძულა სამშობლო დაეტოვებინა და რუსეთს წამოსულიყო. მეფეს დიდი ამაღა ახლავს, სოლდში ჩვენი ყველანი მშვიდობით მოვედით. იქ ჩასვლისთანავე მეფემ ვახტანგ ამილახვარი გამოაგზავნა იმპერატორთან და სთხოვდა ლაშქრით შემწეობას. რამდენიმე დღის შემდეგ მეც აქეთ გამომისტუმრა. წერილი მომაქვს დიდ ხელმწიფესთან. ქართველთა მეფე დასტურს ითხოვს, მცირე ამალით პეტერბურგს ეახლოს ხელმწიფეს და პირადად მოელაპარაკოს ჩვენი ქვეყნისა და სპარსეთ-ოსმალეთთან ურთიერთობის შესახებ. ვაისარჯეთ და პეტერბურგს წამყევით. რაც აღრიწავალთ, მით უკეთესი იქნება. მანამდე მითხარით, როგორ მიიღეს ამილახვარი პეტერბურგში!

დადიანი საქმიანი კაცი იყო, შორიდან არ დაუწყია და მოკლედ მოახსენა:

— ხვალ ჩვენ საგარეო საქმეთა კოლეგიის კანტორაში მივალ და პეტერბურგში გამგზავრების ნებართვას ავიღებთ. მეც თქვენთან ერთად წამოვალ. ამილახვარი პეტერბურგში პატივისცემით მიიღეს, მაგრამ ხელმწიფე-იმპერატორს ავადმყოფობის გამო პირადად არ მიუღია. გენერალ-პროკურორს უბრძანა, რომ სენატს გულდასმით მოესმინა ვახტანგ მეფის ელჩისათვის და შედეგი მისთვის ეცნობებინათ. შეიღ ნოემბერს ამილახვარმა საგარეო საქმეთა კოლეგიას მეფის წერილი გადასცა და სიტყვიერადაც ყველაფერი მოახსენა. იმავე დღეს მე მოსკოვს გამოვემგზავრე.

— ჩემთვის აუცილებელია ხელმწიფის ნახვა! — თქვა საბამ და დადიანს შეხედა.

— მე მზად ვარ, გეახლოთ პეტერბურგს, მაგრამ იქნებ სჯობდეს ჯერ გავიკოთ, რა პასუხს ეტყვიან ამილახვარს.

— რამდენ ხანს შეიძლება ლოდინი? — ჰკითხა დარეჯანმა გიორგის.

— ერთ კვირაში ჩვენ ყველაფერი გვეცოდინება!

— მეფის დავალების გადადება არ შეიძლება! — მტკიცედ თქვა საბამ.

— მაშინ, ბატონო საბა, უმჯობესია მახეგ გავემგზავროთ! — უპასუხა დადიანმა.

— ძალიან კარგი იქნება!

დარეჯანს საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს. საუბარში მოსკოველ ქართველთა ცხოვრებაზე გადავიდა და საბა ცნობისმოყვარეობით ისმენდა ყოველ წერილმანს, რაც მის თანამემამულეებს შეეხებოდა. საღამო ისე დადგა, არც გაუგიათ, როგორ მიიწურა დღე. სამივენი დარბაზში გავიდნენ. დარეჯანმა განკარგულება გასცა ვახშამი გაეწყოთ, თვითონ კი გრძელი დერეფნით ერთ პატარა ოთახში შევიდა. მკრთალ სინათლეზე მოხუცი ქალი დაინახა. ლოგინში ჩაწოლილი. გვერდზე დაუჯდა და სიყვარულით ჰკითხა:

— რა დავემართა ჩემო ვაღი?



— გაცვივდი, ქალბატონო, ჩემი ძვლები ველარ უძლებს ყინვას. სამოქალაქო ომის ხუთი წლისა ვარ!

— ნუ გეშინია, ჩემო მართა. ღვთის შეწევნით ყველანი კარგად ვიქნებით. მოხუცებულმა გაიღიმა, დანაოჭებულ სახეზე ხელი მოისვა და უპასუხა:

— მართას ნუ მეძახით, ქალბატონო, თორემ მეწყინება.

— ნუ ჯავრობ, ჩემო გაღია, რუსები როცა გეძახიან მართას, ხომ არა გწყინს?

— არა, შვილო, არა, არც შენგან მწყინს, გეხუმრე მხოლოდ.

— კარგი, ჩემო გაღია, კარგი! მაპატიე, აქამდე რომ ვერ შემოვედი შენთან. საპატიო სტუმრები მეწვივნენ საქართველოდან და ვერ მივატოვე.

— ვინ არიან, ქალბატონო?

— ჩემი ნათესავი სულხან ორბელიანია. ვახტანგ მეფეს ელჩად გამოუგზავნია ხელმწიფესთან. ძმა და რამდენიმე კაცი ახლავს. ავადმყოფმა დაიკვნესა. დარეჯანმა მიუთალერსა და უთხრა:

— ახლავე წამლებს გამოგიგზავნი, მხოლოდ თბილად იყავი! — საბანი თვითონ შეუსწორა. ოთახიდან გავიდა და კარები ფრთხილად მიხურა. მოხუცებულმა კი რამდენჯერმე ჩურჩულით გაიმეორა სულხან ორბელიანის სახელი და მერე დადუმდა.

დარბაზში თავი მოეყარა სტუმრებს. სოლოვიოვიც მოსულიყო. დარეჯანი მაშინ შევიდა დარბაზში, როცა გიორგი დადიანი სოლოვიოვს საბას აცნობდა.

— არჩილ მეფის ოჯახის მეგობარია, ბატონო საბა! ჩვენი ხალხის დიდი მოყვარულია. ათონის მონასტერში ცხოვრობდა რამდენიმე წელს და ქართველებთან ერთად ლოცულობდა ადამიანთა ბედნიერებისათვის.

საბა გულთბილად მისჩერებოდა მთლად გათვთრებულ რუს ბერს, რომელიც ბეჭებში ოდნავ მოხრილიყო.

— ღმერთმა სიკეთე მისცეს!

— იცოცხლეთ, ბატონო! — უპასუხა ქართულად სოლოვიოვმა.

ეპისკოპოს არსენს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა.

— ქართული სცოდნია. — სიამოვნებით თქვა მან.

— ქართულიც იცის და ბევრი საინტერესო ამბავიც! — ჩაერია საუბარში დარეჯანი. — მალე ყველას შეგიყვარდებით.

დარეჯანმა საბა მაგიდასთან მიიყვანა და სკამი შესთავაზა. ცოტა ხნის შემდეგ ყველანი სუფრას მოუსხდნენ. ნელ-ნელა საჭმელს შეექცნენ და გულთბილი საუბარი გააბეს.

სოლოვიოვი საბას გვერდით უჯდა, სულ რამდენიმე ლუკმა გადაყლაპა და ამით დაეკმაყოფილდა. მას ძალიან მოეწონა საბას ახოვანი შეხედულება, მისი თავდაპირველი სიტყვა-პასუხი და არაჩვეულებრივი სიდაჯიწე. მორიდებით უთხრა:

— შორი გზა დაგვლიდათ, ბატონო, უჩვევი იქნებით!

— შორ გზაზე სიარულს ნაჩვევი ვარ. ჩემი ბედი ასეთი ყოფილა! — ღიმილით უპასუხა საბამ.

— სად ბრძანდებოდით?

— სად არ ვიყავი, ჩემო ბატონო! მოვლილი მაქვს კონსტანტინეპოლი, მარსელი, პარიზი, ვერსალი, რომი და ნეაპოლი, ნიცა, გენუა, მალთა და ისპაჰანი. მინახავს უცხო ქვეყნები, მოავარნი ამა ქვეყნისანი: ფრანციის კოროლი ლუდოვიკო და რომის პაპი, კარდინალები და მხედართმთავრები, უბრალო ყმაგლე-

ხები და ტყვექრისტიანები. ახლა მოსკოვს ყოფნამ მომიწია. სიბერის დროებით პეტერბურგსაც ვნახავ და ხელმწიფე პეტრესაც.

— დიდი საქმე გექნებოდათ!

— გააჩნია, ვინ დიდად მიიჩნევს და ვინ პატარად! ჩემთვის კი უდიდესი იყო. გზის მაჩვენებელ ბრწყინვალე ვარსკვლავს ვეძებდით და ვეძებთ ამჟამად.

— ვარსკვლავს?

— დიახ, ჩემო ბატონო. ამ ქვეყნად ყველას ერთი ბედი როდი დაჰყვება. ჩვენი ქარავანი უკუნეთიდან მოდიოდა, გადმოლახა ტიგროსი და ეფრატი, განვლო ხრიოკი და უდაბური ადგილები და წალკოტს მოაღწია. ეს დიდი ხნის წინათ იყო. დავსახლდით და მზეს შევცინოდით, მაგრამ გრივალი ამოვარდა, შავი ღრუბლებით ცა დააბნელა. ცოცხალი ადამიანისათვის სიბნელეში ყოფნა ძნელია, სინათლისაკენ მიისწრაფვის, მეგობარს ეძებს! გზა ბევრგან მიდის, მაგრამ დამეში სიარული ფრიად სამძიმოა, შეიძლება უფსკრულში გადაიჩენოს კაცი. ამიტომ ვწვალობთ და სიბნელეშიც ცას შევსცქერით, იქნებ ვარსკვლავმა გზა გავგინათოს.

ბერი ივანე სოლოვიოვი ყურადღებით უსმენდა საბას, ამოიოხრა და თქვა:

— გულისტივილს მიგიხვდით ბატონო. მსგავსი სიტყვები მე ათონზედაც მომისმენია თანამემამულეთაგან. ვინუგეშოთ, რომ ღმერთი შეისმენს თქვენს ვედრებას და ყოველივე სიკეთეს მოგაგებთ!

— პატარა რომ არ იყოს ჩვენი ქვეყანა, მტერს თვითონვე გავუსწორდებით! — სინანულით ჩაილაპარაკა დადიანმა.

— ღმერთი არ არჩევს დიდსა და პატარას, ყველა ერთნაირად უყვარს. მით უმეტეს თქვენი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვდომილია და რამდენადაც მსმენია, ედემის მსგავსია, ხალხი კი ნიჭიერი და გულკეთილი! — უპასუხა გიორგის სოლოვიოვმა.

— ჩემი ქვეყანა სამოთხეა! — თრთოლვით წამოთქვა დარეჯანმა.

— ყოველმხრივ შემკულია! — დაუმატა არსენ ბარათაშვილმა.

საბა მაღალ ჭერს მიაშტერდა და თითქოს თავისთვის თქვა:

— ხანდახან ეგ სილამაზე და შემკულობა ქვეყნისა უბედურების მიზეზია. ყველას სურს ხელი წაუბოტინოს ასეთ ქვეყანას და რაღაც წაგლიჯოს, ზოგმა ძალით, ზოგმაც აღერსითა და მოფერებით, ამიტომ ყოველთვის სიფრთხილეა საჭირო.

— უდავოდ! — დაუმოწმა დადიანმა.

საუბარმა შუალამემდე გასტანა.

*
*
*

მეორე დღეს საბამ დარეჯანისა და დადიანის თანხლებით საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის კანტორა ინახულა და პეტერბურგს გამგზავრების ნებართვა მიიღო. იქიდან გამობრუნებულნი არჩილის საფლავზე წავიდნენ. მღელვარებით უახლოვდებოდა საბა მოსკოვის განთქმულ დონის მონასტერს, რომელშიც დაცული იყო დონის ღვთისმშობლის ხატი. კულიკოვის ველზე ბრძოლაში ეს ხატი თან ჰქონდა მამაც მეომარს დიმიტრი დონელს და მორწმუნე რუსნი თავგანწირულ ბრძოლასთან ერთად მტრების სასტიკად დამარცხებას ამ ხატის ძალასაც მიაწერდნენ. ამიტომ ძვირფას განძად მიაჩნდათ და ნის წინაშე მუხლ-



მოდრეკილი გულმხურვალედ ლოცულობდნენ რუსეთის აყვავებისათვის. ერეკლესში
გაბრიელის
 დარეჯანი წინ წაუძღვა საბასა და დადიანს, სათოფურებიან და თეთრქონ-
 გურებიან კედელში დატანებული კარი შეაღო, ეზო გადასტრა და მონასტრის
 საკურთხეველში შეიყვანა. დარეჯანს იქ დახვდა ქართველი მღვდელი ეფრემი,
 რომელიც ყველას მორიდებით მიესალმა და გულზე ხელდაჭდობილი მორჩილად
 დადგა. საკურთხეველში ექვსი საფლავი ერთმანეთის გვერდით იყო ჩამწყრა-
 ვებული. თლილი, წარწერებიანი ქვები ფარავდა მათ. დარეჯანი ორ საფლავს
 მიუახლოვდა, დაიჩოქა და თქვა:

— ბატონო საბა, აქ განისვენებენ ჩემი მშობლები. ეს საფლავი მეფე არ-
 ჩილისაა, ეს კი დედაჩემის ქეთევანისა.

საბამ მუხლი მოიდრია, თავი გამზრდელის საფლავზე ჩაქინდრა და დიდ-
 ხანს იყო მდუმარედ. ჩურჩულებდა და მხურვალედ ლოცულობდა. მერე ხელი
 მალა აღაპყრო და გაბზარული ხმით წარმოთქვა:

— ვაი ჩემს მოსწრებას, ძვირფასო გამზრდელო, რომ ცოცხალნი ვერ ვე-
 ღირსენით ერთმანეთის ხილვას! ვაი ჩემს მოსწრებას, რომ ჩემი საპატიო გამზრ-
 დელი ბატონი გიორგიც უღროოდ დავკარგე და საფლავის ნახვაც არ მეღირ-
 სა! ვაი ჩემს მოსწრებას, რომ ჩემი ძვირფასი ჭკუის მასწავლებელი და სიბრძნის
 სალარო ლევან ბატონიშვილიც აღარ მყავს ცოცხლებში! ვის ვუთხრა ჩემი ქვეყ-
 ნის გასაჭირი, თუ არა თქვენ? ვინ გაიგებს ჩვენს უბედურებას თუ არა თქვენ?
 სამოთხეში ადგილდამკვიდრებულნო, ღმერთთან გვიშუამდგომლეთ, რომ წყა-
 ლობით გადმოგვხედოს! საქართველოსათვის მრავალჭირგამოვლილნო, ჩაგ-
 ვაგონეთ და გონება გაგვისხენით, რომ სწორ გზაზე ვიაროთ! ჩვენი ქვეყნისათ-
 ვის დაღუპულნო, ნეტარება და დიდება თქვენს სახელს. ღმერთო, ისმინე შენი
 მადიდებლის, ბებერი საბას ვედრება და პირნათლად შემყარე სამუდამო გან-
 სასვენებელს ყველა პატიოსან ქართველთან, რომლებიც თავისუფლებისათვის
 იბრძოდნენ და თავის სამშობლოს ნახვას ვერ ეღირსნენ!

საბას ცხელი კურცხლები ცვიოდა და არჩილის საფლავზე ეცემოდა. შემ-
 დევ დონის ღვთისმშობლის ხატს მიაჩერდა და უხმოთ ლოცვა განაგრძო.

— გეყოფათ, ბატონო, ღვთის განგებას ვერაფერს გადავა. — მიმართა და-
 დიანმა საბას.

ორბელიანს წინააღმდეგობა არ გაუწევია, გაჭირვებით წამოდგა და ახლა
 დედოფალ ქეთევანის საფლავზე იტირა. შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილის,
 ნისი ცოლის თეოდოსია მილოსლავსკაიას, მამუკა და დავით ბატონიშვილები
 საფლავებთან მოიდრია მუხლი. ყველას ქართული ცრემლი დააყარა და წა-
 პოვდა. მხოლოდ დარეჯანი იყო ისევ დამხობილი დედის საფლავზე და გულ-
 ამოსკვნით მოთქვამდა:

— ამოწყრა არჩილ მეფის დიდი ოჯახი, ბატონო სულხანი! მხოლოდ მე
 ერთილა შევრჩი ობლად ამ ქვეყნად. მაგრამ სიცოცხლე აღარ მიხარია.

საბამ ხელი მოხვია დარეჯანს, წამოაყენა და გულში ჩაიკრა.

— ღმერთს ნუ სცოდავ, შვილო! არჩილის ოჯახი ისევ ბურჯად უდგას
 საქართველოს და ეს შენ ყველაზე უფრო უნდა გიხაროდეს. იფიქრე მამაშე-
 ნის ძმის შვილზე მეფე ვახტანგზე, იფიქრე იმ ქართველებზე, რომლებიც მას
 ვაღმპოყვნენ და უკეთეს მერმისს ელიან, იფიქრე ჩვენს სამშობლოზე, რომე-
 ლიც სისხლისაგან იცლება და განუწყვეტლივ მტრებს ებრძვის!

ტაძარში სანთლები ენთო და მათი სინათლე ოქროსა და ვერცხლით შე-
 ქედნილ ხატებს რაღაც გამოუცნობ და მოწიწების აღმძვრელ ბრწყინვალეებას
 აძლევდა.

საბა სიცივისაგან გალურჯებულიყო, ხველა აუტყდა.

— წავიდეთ, ბატონო სახლში. დიდხანს აქ თქვენი გაჩერება არ შეიძლება. სხვა დროს კიდევ მოვალთ! — უთხრა დარეჯანმა საბას.

საბა გამოემშვიდობა ეფრემს და დარეჯანთან და გიორგისთან ერთად მარხილში ჩაჯდა.

— ჩქარა, სასახლისაკენ! — უბრძანა მემარხილეს დარეჯანმა.

— არა, დარეჯან, ბატივი მეცით და დღესვე ივერიის ღვთისმშობლის მონასტერი მაჩვენეთ!

— გვიანაა, ბატონო საბა, დილას აქეთ ლუქმა არ მიგიღიათ — უთხრა ორბელიანს გიორგიმ.

— თანაც ყინავს! — დაუმატა დარეჯანმა.

— არა უშავს, მე უარესიც შემხვედრია. გთხოვთ მონასტერში წამიყვანოთ!

— დაიღლებით, ბატონო საბა. თქვენ მოსვენება გეპირვებათ. პეტერბურგამდე გზა არც ისე ახლოა. — შეწუხდა გიორგი.

მაგრამ ორბელიანს სურვილი ვერ შეაცვლევინეს და იძულებული გახდნენ ივერიის მონასტერში წასულიყვნენ. აქ მათ ივანე სოლოვიოვი შეხვდა, გულკეთილად მიიღო ყველანი. ილოცა საბამ, ივერიის ღვთისმშობელსაც შეავედრა ჩვენი ქვეყანა და გვიან დაბრუნდა არჩილის სასახლეში. ვახშამი მიართვეს, მაგრამ ვერ ჭამა, ძალა არ ჰქონდა. დაწოლა ითხოვა. იმავე დამეს საბას დიდი სიცხე მისცა და ხველა გაუძლიერდა. მეორე დღეს ლოგინიდან ვეღარ წამოდგა. თუმცა თვითონ ითხოვდა, მაგრამ პეტერბურგში გამგზავრებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. საბა შფოთავდა და ვერ ისვენებდა.

— დემრთი გვირისხდება, დარეჯან, თორემ სენი ვერ მომერეოდა.

— დამშვიდდით, ბატონო. სამწუხარო არაფერია!

— როგორ მოვიქცეთ, შვილო?

— ძვირფასო სულხან, რაკი საქმე საჩქაროა, წერილი გიორგი დადიანს გავატანოთ პეტერბურგში.

საბა დაფიქრდა.

— საფიქრებელი არაფერია, ბატონო. წერილს თვალისჩინივით გაუფრთხილდება გიორგი და საგარეო საქმეთა კოლეგიას დროზე ჩააბარებს.

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ საბა დაეთანხმა დარეჯანს და ვახტანგ მეფის წერილი, ლოცვა-კურთხევით, გიორგი დადიანს გადასცა.

თხუთმეტ ნომებერს დადიანი პეტერბურგს გაემგზავრა. ერთ კვირას კიდევ დარჩა საბა მოსკოვში და ოდნავ მოიკეთა თუ არა, დარეჯანმა ის ვსენიატსკოეში წაიყვანა.

თეთრი საბანი ეხურა მოსკოვის მიწას. თოვლით იყო დაფარული მისი მიდამოებიც. შუაგული ზამთარი იწყებოდა. დღედაღამ კვამლის ღრუბელი აღიოდა სახლებიდან. ირგვლივ არაჩვეულებრივი სიწყნარე სუფევდა, რომელსაც ხან ძაღლების ყეფა არღვევდა, ხანაც ზარებიანი მარხილების ქროლა. ჩრდილოეთის სუსხი და ყინვა მატულობდა. საბამ თუმცა მოიკეთა, მაგრამ დასუსტებული იყო და დარეჯანის სასახლიდან გარეთ იშვიათად გამოდიოდა, თბილად ჩაცმული ქართველებთან საუბრით ერთობოდა. მისი ხშირი სტუმარი იყო ივანე სოლოვიოვიც. რუსი ბერი გულწრფელად შეიყვარა საბამ და მასთან საათობით ბაასობდა. გვერდიდან არ შორდებოდა დარეჯანს ბატონიშვილიც, უყვებოდა ცისა და მიწის ამბებს, აცნობდა რუსი ხალხის წინაგვეულებას. ხოტბას ასხამდა პეტრე პირველის ძლიერებასა და ჭკუას და აიძვებდა, რომ



საქართველოს მალე ეშველებოდა. დარეჯანმა უზარმაზარი კარადები და საბას სათუთად შენახული ხელნაწერები უჩვენა. არჩილს თითქმის მთლიანად მოეყარა თავი ქართველთა საგანძურისათვის. „დაბადება“, „წმინდანთა მარტვილობანი“, „ქართლის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“, თეიმურაზის ლექსები, „შაჰნავაზიანი“ და „დიდმოურავიანი“ ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ.

— სიბრძნის მოყვარული იყო ბატონი არჩილი და აკი ამიტომაც შეუნახავს ყველაფერი! — აღტაცებით თქვა საბამ.

— ძვირფასო სულხან, მამას საუცხოო წიგნსაცავი ჰქონდა, მაგრამ მის სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე უბედურება გვეწვია. სასახლეში ხანძარი გაჩნდა და ცეცხლმა ბევრი ძვირფასი წიგნი შთანთქა, მაშამ მაინც შესძლო წიგნთსაცავის აღდგენა და ხელნაწერთა თავის მოყრა; მეორე კარადაში მოსკოვში დაბეჭდილი ქართული წიგნები აწყვია.

საბა კარადისაკენ გაემართა, მაგრამ დარეჯანმა შეაჩერა:

— მოითმინეთ, რა გაჩვენოთ!

დარეჯანმა მომცრო ზანღუკი გახსნა და აბრეშუმში ცალკე გახვეული ხელნაწერები საბას წინ დაულაგა. ორბელიანმა ფურცვლა დაუწყო. ერთ მათგანს დააქერდა და სიამოვნებისაგან ბავშვით გაწითლდა. „სიბრძნე სიცრუისა“ იყო.

— ქაბუჯობის ჟამს დაეწერე! — წყნარად თქვა მან და გაიღიმა.

დარეჯანმა ყველა ხელნაწერი გაშალა.

— ეს მამაჩემის ქმნილებაა „არჩილიანი“, ესეც ჩემი ძმის ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ თარგმნილი „ტესტამენტი“ და სიმეონ პოლოცკის ქადაგება „სიტყვა ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მიძინებაზე“.

საბა დაჰყურებდა წიგნებს და ერთდროულად სიხარულიც და მწუხარებაც ეუფლებოდა.

— ღმერთო, როგორ დაიფერფლა დიდი და სახელოვანი ოჯახი! ღმერთო ყველას თავის ქვეყანაში ცხოვრება და სიკვდილი მიაჩნქე!

და როცა წარბიდგენდა, რომ შეიძლებოდა ვახტანგ მეფესაც არჩილის ბელი სწევოდა, ღელავდა და დარეჯანს კითხვებით არ ასვენებდა:

— დარეჯან, პეტერბურგიდან არაფერი ცნობაა? სანუგეშო არა ისმის რა!

— ყველაფერი კარგად იქნება, ბატონო! გიორგი დადიანისაგან ბარათი მივიღე, მეფის წერილი კოლეგიისათვის ჩაუბარებია და მალე დიდ ხელმწიფეს გადასცემენო. ვახტანგ ამილახვარიც დიდი პატივით მიუღიათ და იქ პასუხს ელოდება.

— დარეჯან, პასუხს რად აგვიანდება?

— მწერენ, ხელმწიფე პეტრე ისევ ავადმყოფობსო. როგორც კი მოკეთდება, მაშინვე პასუხს მოგვცემს.

ასე მიდიოდა დღეები ლოდინში. საბა ისევ სუსტად იყო, გულისტკივილს უჩიოდა, სუნთქვა უჭირდა და ხშირად იწვა. ძალიან გაიხარა, როცა თავის აღზრდილის ვახტანგის წერილი მიიღო 1724 წლის ცხრა დეკემბერს, ასტრახანში ყველანი მშვიდობით მივედითო.

— ღმერთო, ხელი მოუშართე! — ლოცულობდა საბა.

პირველს მეორე დიდი სიხარულიც მოჰყვა. ოც დეკემბერს პეტერბურგიდან ვესესვიატსკოეში ვახტანგ ამილახვარი და გიორგი დადიანი დაბრუნდნენ და სანუგეშო ამბები მოიტანეს.

საბამ ვერ მოითმინა, ლოგინიდან წამოდგა. ორივე გულში ჩაიჭრა და თავალი აუტრემლდა.

— ვახტანგ, რა ამბები მიგაქვს მეფესთან? — ჰკითხა ამილახვარს.

— სასიხარულო, ბატონო! დიდმა ხელმწიფემ მეფის სურვილი დააკმაყოფილა და პეტერბურგს მიიწვია მცირე ამალით სათათბიროდ. პეტრეს წერილი ვახტანგისადმი ბატონმა გიორგი დადიანმა თარგმნა ქართულად. ღმერთი არ გავეირისხდება და არც მეფე დაგვზრახავს, თუ თქვენ მას გაეცნობით და გაახარებთ.

ამილახვარმა ფრთხილად შეხვეული წერილი საბას გადასცა. თვითონ გიორგი დადიანთან ერთად დარბაზის მეორე კუთხეში დაჯდა და ასტრახანში გამგზავრებაზე სიტყვა ჩამოაგდო.

საბამ დარეჯანს მოუხმო და წერილი ხმადაბლა წააკითხა.

ორბელიანი ყურადღებით უსმენდა.

„უბრწყინვალესო პრინცო!

თქვენი წერილი 5 სექტემბრისა თქვენგან გამოგზავნილი გენერლის თავადი ვახტანგ ამილახვრის ხელით ჩვენ მივიღეთ. იქიდან და აგრეთვე იმავე გენერლის სიტყვიერი მოხსენებით ჩვენ გავიგეთ თქვენი ბრწყინვალეობისა და მთელი თქვენი ოჯახის წმ. ჯგრის ციხეში კეთილად მიბრძანების ამბავი. შემდეგ კი ჩვენ მივიღეთ მეორე ცნობა, რომ თქვენ უკვე ბედნიერად მისულხართ ასტრახანში. აქედანვე გავიგეთ ჩვენ, რომ თქვენს ბრწყინვალეობას სურვილი აქვს ჩვენთან მოსვლისა მცირე ამალით. ამაზე ჩვენ დავთანხმდით და შესაფერისი განკარგულებანი გავუგზავნეთ ჩვენს სარდლებს, რათა თქვენ ყოველგვარი კმაყოფილებით გამოგისტუმრონ ჩვენთან. ხოლო ჩვენთან მოსვლის შემდეგ ყველაფერზე მოვილაპარაკებთ და შესაფერის გადაწყვეტილებებს მივიღებთ.

ჩვენ თქვენს მიმართ ყოველთვის კეთილგანწყობილნი ვართ“.

— მოწყალეობით საცხე წერილია! — წამოიძახა სიხარულით საბამ.

— განთიადი ჩვენთვისაც დადგება! — იმედი გამოთქვა დარეჯანმა.

ჯოხზე დაყრდნობით წამოდგა საბა, ვახტანგ ამილახვარს მიუახლოვდა და უთხრა:

— სარდალო, გააფთრებულ ბრძოლაში კარგი მეომარი ხმაღს ვერ დაუშვებს, თუ ბრძოლა არ შეწყდა!

— თუნდაც დაღლილი იყოს და მოსვენება ეჭირვებოდეს! — დაუმატა გიორგი დადიანმა.

— ყველაფერი მესმის! — უპასუხა ამილახვარმა. — მე მზად ვარ დღესვე გავემგზავრო ასტრახანში.

საბას ისევ აუტყდა ხველა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა:

— რაც ადრე წაბრძანდებით, მით უკეთესი იქნება ჩვენი საქმისათვის. ხვალ დაგილოცავთ გზას და ასტრახანში მშვიდობით ჩასვლას გისურვებთ. ჯადავციტ მეფეს, რომ მოუთმენლად ველოდებით.

მეორე დღეს ამილახვარი მოსკოვიდან გაემგზავრა.

დეკემბერი მიიწურა. 1725 წლის ახალი წელი ორბელიანმა ვსესვიატსკოეში გაითენა. ქართველებით გარშემორტყმული საბა ხუმრობდა და ყველას ლოცავდა, ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებდა. დარეჯანის სასახლეში სამ დღეს ლხინი არ შეწყვეტილა. მიდიოდნენ ქართველ ბატონიშვილთან დაახლოებული რუსი დიდებულები, სასულიერო და საერო პირნი, მოხუცებულნი და ახალგაზრდანი. სტუმრებს შორის ივანე სოლოვიოვიც იყო, გამხიარულდა და გამომშვიდობებისას დაილოცა:

— ღმერთმა ბედნიერება ნუ მოაკლოს არჩილის სახელოვან ოჯახს. საბა-



ტიო სტუმართა გულკეთილ მასპინძლად დარჩენილიყოს მუდამ ეს სახლი.
 — გმადლობთ, ჩემო ივანე. ამ ოჯახს ბევრი უბედურება შეხვდა, მსგავსი
 ლხინიც ბევრჯერ უნახავს. ჩვენი ოჯახის კარები ყოველთვის ღია იყო დიდთა
 და მცირეთათვის. კვლავაც აქვე დარჩება! — უბასუხა დარეჯანმა.

— სამახსოვროდ ვსესვიატსკოეს სასახლეს ისიც ეყოფა, რომ რუსეთის
 დიდმა ხელმწიფემ შეედებზე გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმი აქედან დაიწყო.
 გაუმარჯოს ხელმწიფე პეტრეს! გაუმარჯოს დიდ რუსეთს! — დასცალა ბურ-
 გუნდული ღვინო გიორგი დადიანმა.

— ეგ როდის იყო, ბატონო? — ჩუმიად შეეკითხა სოლოვიოვს დიმიტრი
 კარგარეთელი.

— სწორედ სამი წლის წინათ! — ხმაილა უბასუხა ბერმა.

— რაზე ბრძანებთ? — ჩაერია საუბარში საბა.

— იმპერატორ პეტრეს ზეიმიზე მოგახსენებთ. მოსკოვიდან მარხილებზე
 დადგმული ხომალდით ეწვია ვსესვიატსკოეს. თან ახლდა ხელმწიფეს დედოფა-
 ლი ეკატერინე, გენერალ-ფელდციეხმეისტერი ბრიუსი, პერცოვი ჰოლდშტი-
 ნელი, დიდ-დიდი თავადები მენშიკოვი, ვალარსკი, აპრაქსინი, გენერალ-მაიორი
 მათიუშკინი, საპატიო უცხოელნი და ბრწყინვალე ამაღლა. დარია არჩილოვანს
 სასახლეში დაბინავდა ხელმწიფე და ზეიმის დაწყება ზარბაზნების სროლით
 აღნიშნა. თვალწარმტაცი სანახაობა იყო! იმპერატორ პეტრეს უყვარს ქართვე-
 ლები, უყვარს ბუსურმანებისაგან ნაწამები საქართველო და თავის წყალობას
 არ მოაკლებს მას. გაუმარჯოს დიდ ხელმწიფეს! გაუმარჯოს ქართველთა მეფეს,
 სახელოვან ვახტანგს!

— გაუმარჯოს იმპერატორ პეტრესა და მეფე ვახტანგს! — გრგვინავდნენ
 დარბაზში შეკრებილნი.

— ძალიან კარგია, თუ გულით უყვარს იმპერატორს ჩვენი ქვეყანა — თა-
 ვისთვის ჩაილაპარაკა კარგარეთელმა და მარცხენა თვალი აუთამაშდა-
 ევისკოპოსმა არსენიმ მის სიტყვებს ყური მოჰკრა და ჰკითხა:

— რა თქვი დიმიტრი?

— ძალიან კარგია, თუ გულით უყვარს იმპერატორს ჩვენი ქვეყანა-მეთქი.
 ესა ვთქვი, ბატონო! — უბასუხა კარგარეთელმა.

— ჰოო, გულწრფელ სიყვარულსა და მეგობრობას არა სჯობს რა ცხოვ-
 რებაში! — თქვა ზოსიმე ორბელიანმა და წვერ-ულვაშზე ხელი ჩაშოისვა.

საბა დაიქანცა და მოსასვენებლად წავიდა.



ორი დღის შემდეგ დარეჯანი თავის სახელოვან ნათესაეს არ მოეშვა და
 მოსკოვს წაიყვანა, იქაურ სასახლეშიც ბრწყინვალე ნადიმი გამართა და ქართ-
 ველებს ერთად მოუყარა თავი. საბა დიდხანს ვერ გაჩერდა მოსკოვში, ვსესვი-
 ატსკოეში დაბრუნება ირჩია, მუხლებში სისუსტე იგრძნო, გულმა კვლავ შეაწუ-
 ხა და ყინვიაგან თვალები ეცრემლებოდა. დარეჯანმა მაშინვე ააპრულა მისი
 სურვილი და ვსესვიატსკოეში გაბრუნდა. თან წაიყვანა ორი მსახური ქალი და
 გადიასაც თხოვა გაჰყოლოდა, მაგრამ მან ვედრებით უბასუხა:

— ჩემო ქალბატონო, დამტოვეთ მოსკოვში, მე აქ ოჯახს მოგვევლი ლა
 უკეთესი იქნება. ხომ იცით, რომ ხალხში ყოფნა მიჭირს, მე უკვე ცოცხლებშია
 აღარ ვწერივარ.

დარეჯანმა გაოცებით შეხედა მოხუცებულ დედაკაცს.

— შენ ეს ორი-სამი თვეა სულ გამოიცვალე, გადია. ან ავად ხარ, დაღა დაღა გაწუხებს, მითხარი, რით გიშველო? მე ხომ შენს ხელში გავიზარდე?

— კი, ჩემო გვრიტო, ჩემს ხელში გაიზარდე და ამიტომ არაფერს გიმალაგ. მარტობა მიყვარს.

— მარტობა გიყვარს, მაგრამ ეგრეც არ შეიძლება. წინათ მოსკოვში ჩამოსულ ყოველ ქართველს თავს ევლებოდი, ახლა კი არავესთვის სიტყვა არ გითქვამს.

— მე ახლაც მიყვარს ყველა ქართველი.

— შენ იცი... როგორც გსურდეს, მაგრამ მაინც საკვირველია, რომ ჩემს სტუმრებს ახლოს არ ეკარები. მერედა იცი, რა საპატიო სტუმარი მყავს? სულხან ორბელიანი მამაჩემისა და ჩემი ბიძების გიორგისა და ლევანის აღზრდილია.

— ვიცი, ქალბატონო! სულხან ორბელიანი დიდი კაცია, საქართველოშიაც მინახავს, მაგრამ მე რით უნდა ვასიაშოვნო? საკადრისი პატივი რით ცვე? ერთი საწყალი დედაბერი ვარ და გინდ ვუნახივარ, გინდ არა, ამას რა მნიშვნელობა აქვს? ოღონდ კი თვითონ იყოს კარგად და ჯანმრთელად.

დარეჯანმა დაღონებით უპასუხა:

— ვაი, რომ კარგად არ არის, მოვლაში მომეშველებოდი. ტკბილი ხელო გაქვს. ამას ღმერთი დაგიმადლებდა.

— თუ საჭირო ვიყო, შემდეგ მიმსახურეთ.

გულნატკენი გამოემშვიდობა დარეჯანი თავის საყვარელ გადიას, რომელიც მას დედასავით ეფერებოდა და თავს ევლებოდა.

— სესენცკაში წავიდეთ, სესენცკაში! — ჩქარობდა საბა.

დარეჯანი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ვესევიატსკოეში და ქართველების დიდი ჯგუფიც გაიყოლია თან. შვება იგრძნო საბამ, თავს უფრო მოსვენებულად გრძნობდა უხმაურო და წყნარ სოფელში, მაგრამ ავადმყოფობასა და სისუსტეს თავი მაინც ვერ დააღწია, ლოგინზე მიაჯაჭვა და სანთელივით დააღწია. იანერის შუა რიცხვებში საბა უფრო ცუდად გახდა, მშრალი ხველა გაუძლიერდა და სიცხემ თანდათან უმატა.

— ვიწვი, დარეჯან! წყალი დამალევიენ!

დარეჯანი პირველ დღეებში გულს არ იტეხდა, მოხუცს ანუგეშებდა, და ამხნევებდა, მისი მეუბნებულობა იკისრა, ღამეებს უთენებდა და თვითონ უმზადებდა ფაქიზ საჭმელებს, მაგრამ საბას მანა დაეკარგა და ძალით მიირთმევედა თითო-ოროლა ლუკმას. დარეჯანმა მოსკოვიდან საუკეთესო მკურნალები მოიყვანა და თავს დაახვია, ათასნაირი წამლები იშოვა და ყოველნაირად ცდილობდა მოხუცი ნათესავი ფეხზე დაეყენებინა, მაგრამ უკეთესობა არ ეტყობოდა საბას.

შეკრთა დარეჯანი, შეშფოთდნენ მოსკოველი ქართველები, დღედაღამ ირეოდნენ დარეჯანის სასახლეში და ჩურჩულებდნენ. ჩუმაღ იცრემლებოდა ზოსიმე, ხედავდა, რომ ძმა ხელიდან ეცლებოდა. თითქმის ყოველდღე მოდიოდა ივანე სოლოვიოვი და ცდილობდა საინტერესო ამბების მოყოლით ავადმყოფი გაერთო. უკანასკნელ დღეებში კი ის სასახლეში ათევედა ღამეებს და მონასტერში აღარ გაბრუნებულა. ფეხაკრეფით დადიოდა გიორგი დალიანი, ლოცულობდა და პირჯვარს იწერდა ეპისკოპოსი არსენი, ოხრავდნენ დიმიტრი და ტიტე კარგარეთლები, ცრემლებს იწმენდნენ ქართველი ქალები.

„ოღბათ, სიკვდილი მიახლოვდება!“ ფიქრობდა საბა, მძიმედ სუნთქავდა და დარბაზში მყოფთ უსიცოცხლო თვალებით მისჩერებოდა.

— ვიწვი, დარეჯან, გულმკერდზე აღმური მეკიდება, შუბლი მიხურს! —



სულ უფრო ხშირად ეუბნებოდა ის დარეჯანს, მაჯაში ხელს ავლებდა და გინიდან არ უშვებდა.

— ნუ დელავ, ძვირფასო სულხან! გაციებულნი ხარ და სულ მალე მოიკეთებ! — თრთოლვით აძლევდა პასუხს დარეჯანი.

— დამშვიდდით, ბატონო! მე თქვენ სასიხარულო ამბავი მოგიტანეთ, ვახტანგ მეფე უკვე გამოსულა ასტრახანიდან.

საბა დარეჯანს მიაჩერდა, თვალები ცრემლით ავესო და ვედრებით ჰკითხა: — მომხსწრებს ცოცხალს?

ამას კი ვეღარ გაუძლო დარეჯან ბატონიშვილმა, თავი ვერ შეიკავა და აჭკითინდა.

აღელდა საბა და დარეჯანს დამშვიდება დაუწყო:

— ნუ, ნუ ტირი, შვილო! რა ვუყოთ, ყველა სიკვდილის შვილები ვართ. მინდოდა კი ვახტანგი ერთხელ კიდევ შენახა!

— ნახავ ბატონო. გული ნუ გაგტეხია! — უპასუხა დარეჯანმა, გაწურული ტილოთი შუბლი მოსწმინდა და თავის რუს მსახურს ტიხონს დაუძახა.

— ტიხონ, ახლავე მარხილი გაამზადე და მართა აქ მომიყვანე.

— დარეჯან, შენი ჭირიშვილი ნუ აწუხებ ამ კეთილ ხალხს. გარეთ სიცივეა, ყინვაა...

— არა, ბატონო სულხან, არავის არ ვაწუხებ... მინდა გვერდით მყავდეს ჩემი ვადია, ტკბილი გული აქვს, ტკბილი სიტყვა აქვს, ტკბილი სული აქვს! იქნებ წამლებიც იცოდეს, იქნებ მისმა ლოცვამ გასჭრას...

„სიკვდილი მიახლოვდება!“ — კიდევ გაიფიქრა საბამ და დარეჯანისათვის აღარაფერი უპასუხნია.

დარბაზში კი კვლავ ჩურჩულებდნენ, რომ ასეთი არეული და ყინვიანი ზამთარი მათ კარგა ხანია არ მოსწრებიათ, რომ ბევრია ავად, რომ თვითონ ხელმწიფე იმპერატორიც ავადმყოფობს და სენი თავიდან ვერ მოუშორებია, მაგრამ, ღვთის შეწევნით, ყველანი კარგად იქნებიან. ბოლოს მიყუჩდნენ, დარბაზიდან გავიდნენ და თავიანთ ფიქრებს მიეცნენ. საბაც დაშვილდა და ჩაეძინა. დარეჯანი ფეხაკრფით გავიდა საბას ოთახიდან, კარები ღიად დასტოვა და დარბაზში საეარძელზე დაეშვა; გამოუძინებელი იყო, თვალები დახუჭა და მამინეე ჩასთვლია. რამდენხანს იყო ასე არ იცოდა, ხოლო, როცა თვალი გაახილა, ყელზე ვადიას მოხვევა იგრძნო.

— მიმსახურე, ქალბატონო! — ხმის კანკალით წარმოთქვა მან.

— მიშველე, ჩემო ვადია! ცუდად არის ბატონი სულხან ორბელიანი. ტკბილი გამაგრებელი სასმელები შემიმზადე შენებურად. მმარში დასველებული ტილოთი მინდა გულმკერდი დავუხილო და მომეშველე, იქნება სიცხემ დაუქლოს.

ვადიას ცრემლები გადმოსცვივდა.

— რა გემართება ჩემო ვადია?

— არაფერი, ქალბატონო, ვწუხვარ, რომ ბატონი სულხანი ავადა.

სულხანის ოთახში ფრთხილად შევიდნენ. ავადმყოფს მოუსვენრად ეძინა. ორივე წყნარად დაჯდა ფანჯრის ახლოს მდგარ საეარძელზე და ხმას არ იღებდნენ.

სულხანი შფოთავდა და ახველებდა. მერე ტკივილისაგან შეწუხებულმა წამოიძახა:

— ვაი დედა, თავი!

რამდენჯერმე დაიკვნესა და თავზე ხელი მოიჭირა.

გვერდები 12-13

— საქართველოში თავის ტკივილის დროს შუბლზე მხალის ფურცლებს დასველებს და იცოდნენ. ოფლს დაასხამდა და ავადმყოფს ტკივილი გაუვლიდა. აქ მხალი არა გვაქვს, ქალბატონო. ვეცდები ხვალ, სხვა რამე ვიღონო.

— თავს შევუყავ! — თქვა დარეჯანმა.

— ნუ გააღვიძებთ, ძილი ყველაზე ძვირფასი წამალია.

— არა, არ გაავლიძებ. გაღია, მე გავალ, საკმელს მოვამზადებინებ მზესას. შენ კი აქ დარჩი და თუ გაიღვიძოს, მიჰხედე.

გაღია შეკრთა, მაგრამ, ვიდრე რაიმეს იტყოდა, დარეჯანი უკვე გავიდა ოთახიდან.

— ღმერთო, რა დღეს მოვესწარი! — თქვა მოხუცმა ქალმა და სავარძელი ნელა, ძალიან ნელა ავადმყოფის ლოგინისაკენ მისწია.

— რა იყო, დარეჯან? — წამოიძახა უცებ შემკრთალმა სულხანმა და ოდნავ წამოიწია.

— დარეჯანი მალე დაბრუნდება, ბატონო!

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე... მე... — ენა დაება მოხუც ქალს — მე... დარეჯანის მსახური ვარ. საბა დიდხანს უტკეროდა მას. უტკეროდა დაყინებით და რაღაცას იგონებდა. ეს თვალები სადღაც უნახავს, ეს ხმაც თითქოს სადღაც მოუსმენია, მაგრამ სად? თვალების ირგვლივ ახლა ნაოჭები აკრავს, ხმა გაბზარულია, თმა გათეთრებული...

საბას საშინელი ხველა აუტყდა. ქალმა ჭიქით წყალი მიაწოდა და უთხრა:

— მოსვით, ბატონო! ხველას შეგიწყვეტთ.

საბამ უხმოდ მოსვა წყალი და დაფიქრდა. დიახ, ნამდვილია! ეს ხმა ეცნობა! კიდევ უნდა ალაპარაკოს.

— დარეჯანი სადაა?

— საკმელს გიმზადებთ, ბატონო. ჩვენში როცა ავადმყოფს სიცხე აქვს, მაწონს აქმევენ. ყველა ოჯახი აკეთებს მაწონს. ზოგჯერ ბავშვები ერთმანეთს თხუნიან კიდევ მაწონით.

საბას თვალები გაუფართოვდა. ისევ მიაშტერდა მოხუც ქალს, მიაშტერდა დაყინებით და მოულოდნელად გაცემისაგან წამოიყვირა:

— მაყვალა!

— მაყვალა ვარ, ბატონო სულხან, ტანძიელი, თქვენი მეგობარი, მამა თქვენის ყოფილი ყმის შვილი. აქ ყველა მართას სახელით მიცნობს.

— მაყვალა! — კანკალებდა სულხანი.

— მაყვალა ვარ, ბატონო სულხან, გაზაფხულზე აყვავებულ ვაშლის ქვეშ ჭილოფს რომ აფენდა და თქვენთან ერთად წიგნებს კითხულობდა.

— მაყვალა!

— მაყვალა ვარ, ბატონო სულხან, ერთხელ მძინარეს თავს რომ წამომადექი და მე თმა გაგიჩეჩეთ.

ორბელიანი ცახცახებდა, ძლივს სუნთქავდა და ერთხელ კიდევ წამოიძახა:

— მაყვალა!

— მაყვალა ვარ, ბატონო სულხან, რომელსაც თქვენ დაჰპირდით, რომ სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, მომნახვდით და ოქროს კოშკში მაცხოვრებდით. დაიგვიანეთ! მე სული შემრჩა იოთამ მშვენიერადის ასულისა, თორემ სხვა მხრივ ის ალარა ვარ! ის მაყვალა შემოდგომის ფოთოლივით დაქცნა, დაიშრიტა და ცხოვრებისაგან დაიღეწა. რაც ქეთევან დედოფალს მოსკოვს წამოვეყვი, მას



შემდეგ ჩემი გული ღმერთს მივუძღვენი და მხურვალე ლოცვაში ვაძებნებდი დღეებს.

საბამ მაყვალას ხელზე ხელი მოჰკიდა და თქვა:

— ნუ განვსჯით იმას, რის განსჯაც არ შეიძლება! მეც ჩემი გული ღმერთს მივუძღვენი და ვლოცულობ, ვლოცულობ საქართველოსათვის!

— ღმერთმა ისმინოს თქვენი ლოცვა, ბატონო სულხან!

— მაყვალა, ვინ გიწოდა შენ მართა?

— რუს მსახურთ უჭირდათ ჩემი სახელის გამოთქმა და მართა შემარქვეს.

— მაყვალა! რა ბედნიერად ვგრძნობდი თავს ბავშვობის დროს!

— მეც, ბატონო სულხან. ჩემზე ბედნიერი არავინ იყო მაშინ მთელს ქვეყანაზე.

ორივეს ცრემლები სცვიოდათ. დარეჯანი დაბრუნდა და მათ დანახვაზე შეწყუხებით იკითხა:

— რა ამბავია? ხომ კარგად ხართ, ბატონო სულხან?

— კარგად ვარ დარეჯან. გამახარე კიდევ: შენი გადია მართა ჩემი ნაცნობი მაყვალა ყოფილა, ჩემი ტანძიელი მეზობელი და ბავშვობის მეგობარი. მე მაგათ ოჯახში ბევრჯერ ვყოფილვარ და დამეხებოც გამითენებია.

— ღმერთო ჩემო, სად არ შეხვდება კაცი კაცს! რატომ არ მითხარ გადია, თუ ბატონ სულხანს ასე ახლოს იცნობდი?..

მაყვალამ არაფერი უპასუხა.

— კარგად ვარ, კარგად ვარ! — რამდენჯერმე გაიმეორა საბამ და ბალიშს მიეყრდნო.

მაგრამ ის სულ უფრო ცუდად გრძნობდა თავს.

თავს ევლებოდნენ ქართველები ავადმყოფს. ამო იყო ყველაფერი: სიკვდილი უახლოვდებოდა საბას. ოცდა სამ იანვარს სიცხემ აუწვია, საბანს მკერდიდან იგლეჯდა და თითქმის ყვიროდა:

— სად არის ვახტანგი?

— მეფე ასტრახანიდამ გამოსულია, ბატონო. დღედღეზე ველოდებით! — აძლევდა პასუხად ნაპტირალევი დარეჯანი.

— ბედი არ მქონია თორემ სწრაფად ივლიდა, ცოცხალს მომიწერებდა...

— ნუ შფოთავ, ძმაო, ვახტანგი შენზე ლოცულობს და გნახავს! — სლუკუნებდა ბერი ზოსიმე.

— ზოსიმე, შენა ხარ? მოდი ახლოს, გულზე ხელი დამადე, დედმამის შვილი ხარ და გამიხარდება.

ზოსიმე მივიდა, დაიჩოქა და ლოგინთან თავი ჩაქინდრა.

— ზოსიმე, მამაჩემს თერთმეტნი ვყავდით, დიდი ოჯახი გვქონდა, სახელოვანი. მამაც მოგვიკვდა, დედაც მოგვიკვდა, ჩვენც დავიფანტენით ბიჭო...

ზოსიმე ბავშვივით ატირდა.

მეორე დღეს საბა უფრო ცუდად გახდა. მოეშვა. თვალები მილულა და ამაფორიაქებელმა ფიქრებმა მოიცვეს.

— დიახ, სწორედ ეგრე იყო, რომის პაპი დახმარებას გვპირდებოდა, ლუდოვიკო ბრწყინვალემაც ტკბილი სიტყვები მითხრა. მალთაზე მე ტყვე ქართველები ვნახე, ყველას სამშობლოში უნდოდა დაბრუნება, მაგრამ მე რა შემეძლო მოხუცსა და ღარიბ კაცს? ფერეიდანშიც არიან ქართველები. მათ შეეღა უნდათ! კარგი კაცი იყო ომარ ხუციშვილი. ბიძაჩემი თამაზ ორბელიანი კი ვერავი ყოფილა. ვაი, რა უბედურად დაიღუპა გიორგი მეფე! ლევან ბატონიშვილო, კარგად ვერ გაგიზარდე შვილი? რაც შემეძლო, ის გაავათე! პეტრე გვპირდება



შემწობას. ბაქარი ძალიან ფიცხია და ყველაფერზე ექვიანობს. სიტყვის კონტექსტში კარგა ხანია დავამთავრე. ვახტანგსაც შევაყვარე მწიგნობრობა. უჰ, ღმერთო, რა ცუდად ვარ!

უცებ თვალი გაახილა და კვლავ იკითხა:

— სად არის ვახტანგი?

— მოვა, ბატონო, მალე მოვა!

— იგვიანებს, ძალიან იგვიანებს... ცოცხალს ვერ მომისწრებს! როცა მოვიდეს გადაეცით, რომ ბებერი საბა ანდერძად უბარებს: ჩვენი ქვეყნისათვის იზრუნოს, იმედი არ დაკარგოს!

— თქვენი იმედი არ მოგვეშალოს! — ატირდა დარეჯანი.

— ხალხნო, დამილოცინიხართ! ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ, ირეკდეთ და განგელოთ კარნი ბედნიერი ცხოვრებისანი!

საბა დადუმდა.

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. ტიროდნენ, ცხარე ცრემლებს ღვრიდნენ. ყველანი გრძნობდნენ, რომ სიკვდილი უახლოვდებოდა სულხან ორბელიანს.

ორ დღეს კიდევ რწფოთა საბამ, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, მშვიდად ელოდა სიკოცხლის დასასრულს. არც ის იყო შორს. 1725 წლის 26 იანვარს, სალამოს, დარეჯან ბატონიშვილის შემზარავმა კივილმა და ქართველების გულამოსკენილმა მოთქმამ ყველას გაავებინა, რომ მოსკოვის ახლოს, სესენცკაში სამუდამოდ დახუჭა თვალი ტანძიაში დაბადებულმა და საქართველოსათვის ნაწამებმა სულხან ორბელიანმა.



გიორგი გიგაუჩი

ჭ ი უ ხ ი

მამას სიბერემ დარია ხელი,
ზის მოკეცილი სახლის დირესთან,
დღეებს აღამებს ლექსების წერით,
აქებს მეგობარ მონადირეთა.

ქარაფებს თვითონ ვეწვიე ახლა
და მონადირის სისხლი მიღელავს,
ხან ჯიხვთა ხოცვის სურვილი მახლავს,
ხან გამიტაცებს ჯარჯოს სიმღერა.

ჭიუხს ჰკიდია ღრუბლის ნაფლეთი,
ჯარჯოს ეძახის არწივი მთების:
„ჯიხვს რად ჩაჰყევი კლდეზე გაფრენილს
რად ჩამიფინე ბუდეში თმები“...

ჭიუხი ღრუბლით იფარავს თვალებს,
სირცხვილით თვალში ველარ მიცქერის,
ხეესურს დღეები რომ მისცა მწარე
და გაუმართა ბრძოლა ფიცხელი.

მოკლული ჯიხვი დაუგდო ოხრად,
კლდეში დატოვა ორივე ერთად,
ახლაც ჩამესმის ვაჟკაცის ოხვრა
„რად მარგუნაო ეს ბედი ღმერთმა“...
და ჭიუხი კი სისხამ დილისას
დგას, როგორც ძეგლი მონადირისა.

გ ა ზ ა ვ ხ უ ლ ი

მერცხალავით დაჰქრის სიო ფრთაფარფატა,
ფართე ფოთლებს ფარჩასავით აშრიალებს,
ბაღმა ნაზად აიკეცა მწვანე კალთა
მსხლიანი და ვაშლიანი.

მომახარა იამ ზამთრის დაბერება
ტყეებიდან,
გორებიდან,
ველებიდან,
შთის ბუნებას გაზაფხული ეფერება
ნაკადულის ხელებითა...

და უშენოდ მაინც ვრჩები დაზაფრული...
მოგიგონებ და სიშორე დამნანდება.
მოდო,
შენ ხარ ჩემი მზე და გაზაფხული,
შენ ხარ ჩემი სიყვარულის დაბადება.



კარლ კობერიძე

ბ ა ს ს ე ნ ე ბ ა

მაშინ სხვა იყო ბაღიც და ღობეც,
როცა პირველი ნუში აინთო;
თურმე სხვაგვარად ვუმზერდი ღრუბელს
და სხვანაირი ჩანდა ამიტომ.
მე სხვანაირი მეგონა გზეზიც,
როცა პირველად სული აინთო;
მე მიმირბოდა თვალები ზევით, —
თურმე ელამი ვჩანდი ამიტომ.
მაშინ სხვა იყო...
სხვა იყო ერთხელ,
დაუკითხავად მოსული სევდა;
ჩუმი ცრემლებიც შენ იყავ ერთხელ
და სანატრელი ადგილის დედაც:
ისე უბრალო, როგორც ბალახი
და უმიზეზო, როგორც ნამია;
ისე გაზრდილი, როგორც ბალახი
და უცოდველი, როგორც ნამია;
ისე მართალი, როგორც ბალახი,
ესე კეთილი, როგორც ნამია, —
ისე ლამაზი, როგორც ბალახი
და უმიზეზო, როგორც ნამია...
მაშინ სხვა იყო დუმლიც ტყისა,
გავიდნენ დღენი და მოხდა ისე,
რომ ჩვენშიც ერთხელ თოვლი მოვიდა.
წახველ და მაინც გზა დაგილოცე,
რომ უებარი წუხილი იცნო
და შემრჩა ფიქრი და პაპიროსი
და ჩვეულებრივ ბეჭები ვიწრო.
დავდივარ, თითქო ვითვლი ნაბიჯებს
და უთვალავი გამოდის მაინც.
მინდა დავტოვო თვალი ძმა-ბიჭის,
მინდა ცრემლებით ვეჩვენო მაისს.
მინდა დამჩაგროს სიმართლევმა,
სადაც ნუში და მარტო ნეშოა;

გაულიმარი ვნახო რტოები
და გავიმეტო სანუგეშო რამ...
რომ იყოს ელდა ფერივით უხვი,
რომ ავირიო არავგივითა, —
მე ლენინგრადის ქუჩაზე ვუხვევე
მე მახსენდება არაკივითა:
გზა გალელული ქარიან ღამით,
წვიმა რატომღაც მოსული გვიან,
შენი ღამაში თვალების ნამი
და დარჩენილი სარკმელი ღია.

*
* *

ერთდროს ეგ გოგო მეძახდა ძიას,
და ვაგზავნიდი წყაროზე სურით
და ვადარებდი იისფერ იას —
მისი ღამაში თვალების სურვილს.
და როგორც მუდამ...

და როგორც არსალ
ქარში ტიროდნენ მწვანე ვერხვები...
და მიდიოდნენ დღეები ასე, —
მოკლე კაბით და შიშველ ფეხებით.
ერთდროს ეგ გოგო მეძახდა ძიას —
და ვაგზავნიდი წყაროზე სურით,
და ვადარებდი იისფერ იას —
მისი ღამაში თვალების სურვილს.
მაშინ ღამაზად ტიროდა ღელეც.
ახლაც მშვენება მოვა ნებისად, —
მწვანე ბალახში საძებნი ღილის
და უადგილოდ გაცინებისა.
ასე ვიარე ნისლეზში მძიმედ,
ასე წავიდა აპრილის სუნიც...
და ვუმზერ, როგორც დაკარგულ იმედს
მისი ცისფერი თვალების სურვილს.





„ჩემი სოფლის ეტიუდებიდან“.

ნახატი ვერხვან ლომიუასი

მოთა ჩხიძე

კონდუქტორის ადგილია

ადგილია

იქ „კონდუქტორის ადგილია“, მაშ მგზავრის ადგილი იქ არ არის, მაგრამ დაღლა სწორედ იქ დაბრძანებულა და, თუ თვალი არ მატყუებს, არხეინადაც დაბრძანებულა, თუმცა შეიძლება სხვაგან უფრო ეარხეინებოდეს, ოღონდ იქ თვით კონდუქტორი მიიყვანა, თანაც ისეთი ფერობით მიიყვანა, თითქოს იმ ვაგონში მასზე ღირსეული არც იყოს, არც არასოდეს ყოფილიყოს, დაღლასაც შეუფერებია და არხეინადაც გამოჰიმულა, ამასთან, თუ არა ვცდები, სიცილის გუნებაზედაც უნდა იყოს, მაგრამ რახან მარტოა, რახან გარშემო სულ უცხოებუ ჰყავს, ვერ გაუცინია, აქი ამბობენ, ერთი თუ იცინის, სულელიაო, ამბობენ და დაღლარას არ უნდა, ვინმეს სულელი ეგონოს, სიცილი კი უნდა, უნდა და მე შელოდება, როგორმე იმისკენ წავიწვევ, მივუახლოვდები, ჰოდა მაშინვე მორთავს სიცილსა, მეც ამიყოლებს, მეც ბანს დავაწვევ, — ან ვის აღარ აიყოლებს იმისი შადიანი, ალალი, გულიანი სიცილი, — ჰო მაშინდა მოჰხსნის იმ ნაგუბარ სიცილსა, მაშინ უხერხულიც აღარ იქნება, ორნი თუ იცინიან, რაღაცა იციანო...

დაღლარა რაღაცას ანიშნებს კონდუქტორს, ვიცი რასაც ანიშნებს, კონდუქტორიც გაწამაწამა, ვიცი რა გაწამაწამაშიც არის, დაღლარასთან უნდა გადანიყვანოს, ამოსვლისთანავე იქა მთავაზობდა, მაგრამ ადგილი აღარ იყო და თავი თავაზადვე დარჩა, ოღონდ ესაა, საგულდაგულოდ დამიძებდა, ცოტა დამაცადეო. ისე, მართალი თუ გნებავთ, არც ეს „დამაცადე“ მინდოდა. არც იმ ვაგონში ასეა მინდოდა, არც ამდენი პატივი და თავაზიანობა მინდოდა, ისევე, როგორც არც დაღლა. რას ენდომებოდა, მაგრამ კეთილმა ადამიანებმა როდის იციან გინდა თუ არ გინდა მათი ზრუნვა-ალერსი, ისინი თავიანთ კეთილ გულს ასდევნ და შენც აგიდევნებენ, ძალაუნებურად აგიდევნებენ...

მაგრამ აი დაღლარა დიდ ხელს ისევას სახეზე, როგორდაც წამოგზნებულ სახეზე, ჰო ვიცი, სიცილის შეკავება უჭირს, თუ მალე არ მივედი, ასე მარტოდ-მარტო ახითხითდება და მთელ ვაგონს დაიპყრობს, თუმცა ვაგონს მერეც დაიპყრობს, ოღონდ სულელი მაინც არ ეგონებათ.

კონდუქტორი ვილაცას რაღაცას არწმუნებს, რაღა რაღაცას, იქით გადაბრძანდითო, ე. ი. ჩემი ადგილისაკენ უპატიყება, დაღლარა აქებებს, უთხარი, მაგრამ უთხარი, ხომ ჰხედავ, ეგ შენი თავაზიანობა ყველასთან არ გადის, ერთი მაგრა



შეუტეო, ჰო ასე აქვებს, შუბლშეშემუნული აქვებს, ხოლო თან რაც შეეძლო ბა მონღოლებით ისევას ხელს უღვაშებზე, ნიკაპზე, მამ რა ჰქნას, სიცილი უყვარს დალარასა, ოღონდ უნდა ეგონოთ, რაღაცა იციანო...

გარედან თითქოს რაღაც ხმაური ისმის, კონდუქტორი უნდა გავიდე, — გაღის და ის გადასახლების ამზავიც გადადებულია, რა თქმა უნდა, გადადებულია, ჩაშლით არ ჩაიშლება, არც დალარა მოეშვება, არც თვითონ მოისვენებს, ჰმ, რას მოისვენებს, თქვენ არ იცით რა ალერსიანი, კეთილი და გულისხმიერია ჩვენი კონდუქტორი!..

თქვენ არ იცით...

ახ, რატომ ჩვენებური არა ხართ!.. თქვენც გამოსცდილით, თქვენც იგემებდით, თქვენც დასტებებოდით... არამცდარამც სხვა ვაგონში არ აგიშვებდათ, როგორც უნდა მოგეყრუებინათ ყური, როგორც უნდა დაგებრძავებინათ თვალი, მაინც დაგენახებოდით, მაინც გაგაგონებდათ, „ბატონსაც“ დაგიძახებდათ, „პატივცემულოსაც“, „ძმობილოსაც“, „ჩვენი ძმასაც“, „ჩემოსაც“, „მეგობრასაც“, ერთი სიტყვით, რა სართავიც კი მოუგონიათ, ყველას დაურთავდა თქვენს სახელსა და უსათუოდ მიგახედებდათ: „მანდ რატომა, ვითომ რატომა?!. შემოგძახებდათ, — მე ვითომ რა დამიშვებია?!. მობრძანდებით!.. აქეთ მობრძანდებით!.. თქვენც მიბრძანდებოდით, მეტი რა ჯანია, მიბრძანდებოდით, კაცი პატივსა გცემდათ და უარს ეტყოდით, მიბრძანდებოდით და „კონდუქტორის ადვილას“ დაბრძანდებოდით, — განა ცოტა პატივსცემია? თუ ეს ცოტა, გზაში გართობას არ მოგაკლებდათ, მოგაცივებდათ ამ მითისას, იმ ბარისასა, რამესაც გირჩევდათ, ბევრის მსახველად მიაჩნდა თავი და უსათუოდ რამესაც გირჩევდათ, თუ ესეც გეცოტავებდათ, ახლა მაინცდამაინც ბევრსაც ნუ მოინდომებთ, ამ პატარა გზაში მეტი რაღა პატივსცემია მოხერხდება... თუმცა რატომაც არა, ჩასასვლელად რომ მოემზადებოდით, ისეც ხომ ტკბილი იყო, უფროც დაგიტკებოდით, — „ე პატარა რაღაცა ეგება ჩვენსა მიგეტანაო...“ გეტყოდით ისეთი მორიდებითა, რომ შეეწუნდებოდით. ბოდიშობანას აღარ დანებებდით. დიდის თანაგრძნობით ჩამოართმევდით, და გაუღებოდით გზასა, ხან ტალახიან, ხან თოვლიან, ხან მტერიან გზასა, გაუღებოდით იმ „პატარა რაღაცათა“, რაც უფრო მკაფიოდ რომ ითქვას, ან ანჯამები იქნებოდა, ან ლურსმანი, ან ნავთი, ან ფანჯრის შუშები, ან ფიცარი, ან სხვა რაღაც ასეთი სამძიმო და უხერხული სატარებელი, მითუმეტეს, რომ ის თოვლ-ტალახიან-მტერიანი გზა კაი ოთხი კილომეტრიც არის, თუმცა სტუმრებს ვარწმუნებთ ხოლმე, სადგურიდან ჩვენს სოფლამდე ორი კილომეტრიც არ იქნებაო...

ჩვენებური რომ იყოთ, გამოსცდილით, ბევრჯერ გამოსცდილით და იმ ვაგონში ასვლას აღარ მოინებებდით, მაგრამ საით წაუხვიდოდით?!. ზაფხულში დღე დიდია და საღამოს მატარებელი ისეც მზიურ გაღის, მაშინ შემოდგომაზმართის იმედი მოგეცემოდით, ოღონდ ვერც ესაა დიდი იმედი, გამოგვიციდია, დაგვიჯერეთ, თვალები ისეთი აქვს, კუნაპეტ ღამესაც გაჰკვეთავს, როგორ სიბნელეშიც უნდა მიიპარებოდეთ, რამხელა გუნდშიც უნდა მიხვედრილიყვეთ მაინც გამოგარჩევთ, მაინც გაგიტაცებთ, ვიცით, კარგადაც ვიცით, მაგრამ მაინც ჩვენსასა ვცდილობთ, ავი ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო... ახლაც ვეცადე და მაინც აქ ამოვყავი თავი, ჩემამდე დალარა ეცდებოდა, იმიტომაც დაუპყრია კონდუქტორის ადვილი“... აი სულ ესაა, რომ გეუბნებოდით, რაღაც ვიცო-მეთქი, ხომ არ გეგონათ დიდი რამ ვიცოდით, არა, ესაა სულ და დალარა ამაზე მომართულა...

კონდუქტორი ვიღაცეებს შემოუძღვება, დასველებულან, ის ახლად შემომა-

ტებულნი, ხმაც ისმის, წვიმს, მთელ დღეს შავი ღრუბელი ირევოდა, რომელიმე დიოდით უკვე წინწკლავდა, ან უფრო სწორედ, ხამუმ-ხამუმ მსხვილ წვეთებს თუ რალაც სველ ნაფლეთებს ისვროდა, ახლა თავსხმად წამოსულა; შემოსულება ქუდებს იბერტყავენ, მხრებს იშხევავენ, კონდუქტორიც კალთებს იბერტყავს, ცოტა არ იყოს, გულმოსულსა ჰგავს, ან იმისი ვაგონის ბილეთი არ ექნებოდათ, ან სხვა რალაც ასეთი რამ მოხდებოდა, ერთი სიტყვით, გაბრაზებულია, ჩვენ კი მაინც გვიცინის და ისე ცალყბივ სიცილით, ცალყბივ სიბრაზით მიუძღვის ვაგონის ბოლოსაკენ. იმათ დააბინავენს, ჰო, მორჩება იმათ საქმესა და ისევ ჩემთვის იზრუნებს, მინდა თუ არ მინდა, როდის მეკითხება, ან რა უკადრისობაა, კაცი გეფერება და უნდა იუარო?!. პატივსა გცემს და უნდა შეურაცკყო?!. რა სათქმელია! ძალიანაც რომ მოინდომო, არ გამოგვივა, ტყბილი სიტყვა ზომ იცის და იცის, ანდაზებიც იცის, ცოტა უკაცრაული ანდაზებიც იცის და თუ ძალიან უკან-უკან დაიხიეთ, ამდენ ხალხში არ მოგერიდებათ და მოგაძახებთ: „ვირს პატივსა სცემდნენო და... და უკანა ჰყრიდარო“. დიახ, ასე მოგაძახებთ, ოღონდ აქ რომ წერტილები ზის, არ იფიქროთ, ისიც წერტილებითა ლაპარაკობდეს, არა, ტყუილად თავი არ დაიხმედოთ, სწორეთ იმ სიტყვას დააწვება და თანაც ისე დააწვება, რომ ენას ველარ მოიბრუნებთ... აბა.. მოდიოთ და თვალს დაგიხაზავენთ თუ არა, მაშინვე ნუ აიკრავთ გულანაზადსა. მაშინვე ნუ გადახვალთ დაღლარას მახლობლადსა.. თუშეცა თქვენ რაო, თქვენ ზომ ჩვენებური ხართ...

დაღლარა კიდევ ვერ ისვენებს, ან რა ჰქნას; სიცილი უნდა, ოღონდ ის კი არ უნდა, ვინმეს სულელი ეგონოს... ჰოდა, როცა უკუბრუნდება კონდუქტორი, დიდის თავაზიანობით, დიდის მოწიწებით ხალხს შეავიწროებს და გიხმობთ, მაშინვე იქ გადაბრძანდებით, თუშეცა არა, ეს მე გადავალ, ბოდიშს მოვუხზი შევიწროებულებს და დაღლარასაც გაუსკდება სიცილის ბუშტი.

ასეთი გულიაა ჩვენი დაღლარა. ყველაფერი აცინებს, მაღიანად აცინებს, თორემ ნეტავი აქ სასაცილო რა არის? — ზედ თავზე დაჰყუდება საში დიდი ფიცარი, სწორედ იმ ფიცარებს გასცქერის დაღლარა, ქვეშ გასცქერის და იცინის, იცინის...

კონდუქტორი ისევ ვარეთაა, კიბეზე დგას, ეგება ესმის ეს სიცილი, ეგება არც ესმის, ის თავის გაწამაწამაშია, მატარებლის დაძვრის დროა, სანათს უმარჯვებს, ყველაფერი რიგზეაო, ანიშნებს მთავარკონდუქტორს... სასტვენის ხმაც ისმის, მატარებლის საყვირისაც, მივდივართ.

დაღლარა ერთპირ გულს იჯერებს და ფარაჯას გადაიწვეს, საკინძესაც ჩაიხსნის. ალალ თვალბში ისევ სიცილი უდგას, კბილები მოუკუმია, ეს ალბათ იმიტომ, სიცილს ხველაც ამოაყოლა და ახლა ხველას იოკებს, პაპიროსიც გადააგდო, ეს ოხერიო, თქვა და გადააგდო, ხველა იმის ბრალი იყო, ჰო, ეს ოხერიო, თქვა. მაგრამ პაპიროსი მაინც უნდოდა, სიცილიც უნდოდა, აღარ იცოდა რომელი ერთს შეიღოდა.

მატარებელი მიდიოდა, ვაგონი როგორღაც შეძომდინდებოდა, ფიცრები დაკორიკდებოდა, დაღლარაც მაშინვე ხითხითს ამოიფხრეწდა გულიდან და იმ კორიკს გადააფენდა.

მატარებელი საღაჯურის ყველა სანიშნოებს უკან მოიტოვებს და კონდუქტორიც შემოდის.

— ესეც ასე... — იტყვის კონდუქტორი და სანათს შეასწორებს.

დაღლარა ისევ გაიცინებს და ფანჯარას მიაცივდება, ვითომ ბევრ რამეს ამჩნევდეს ამ სინათლიდან იმ სიბნელეში.



— წვიმს?... — ვკითხულობ ისე, მაშ რა ვქნა, მადლობასავით ხომ უნდა ვთქვა, ჩემთვის იმდენი იზრუნა, იმდენი...

— ძალიან... ძალიანაა წვიმს!.. — თავგამოდებით მომიგებს კონდუქტორი, ასე მომიგებს, რომ ამასაც მავალებს.

— მაშ გზაში დიდი ტალახი იქნება...

— დიდი, — გულმოდგინედ დამიდასტურებს, ოღონდ მაშინვე ტუჩს მოკვნიტს, — არა... არა, ასე მალე არ ატალახდება... კარგი გზა იქნება...

დალლარა მოიხედავს, მოიხედავს და გადმოგვიცინებს, იცის კონდუქტორმა გზა ასე მალე რად გამოაკეთა.

ფიცრები კორიკობს, კორიკობს... კონდუქტორი შეასწორებს, შეამაგრებს, მერე ხალხს კიდევ მისწომოსწევს და პატარა ქიშის იშოვნის ცალი გვერდის ჩამოსადებადა, იშოვნის და ჩამოჯდება, სანათს ფეხებშუა ჩაიდგამს, ვაგონს ერთხელ კიდევ თვალს გადაავლებს, — ყველაფერი რიგზეა, ჰოდა შეიძლება მოიხალხოს ჩვენთვისა, ხომ დავებინავა როგორც უნდოდა, ახლა უნდა გავგართოს, როგორც უნდა ისე გავგართოს...

ეს დალლარა სულ იცინის და იცინის, — ასე დაიწყებს კონდუქტორი, თუმცა რაღა კონდუქტორი, ვთქვათ, როგორც ჩვენში უწოდებენ, დიახ, ასე დაიწყებს ჩიკოლა, დიახაც ჩიკოლა, რადგან კონდუქტორი კი არა, გზის უფროსიც რომ გახდეს, ჩვენებურებისათვის მაინც ჩიკოლად დარჩება. — დალლარა და უნდა იცინოს, მაშ რაო... — ჩიკოლა თვითონვე დაიდასტურებს, თანაც „დალლარას“ ისეთი განსაკუთრებული შინაურულობით გამოსთქვამს, თითქოს ეს მხოლოდ მისი უპირატესობა იყოს, სინამდვილეში კოლმეურნეობის უწყისებშიც კი „დალლარადა“ სწერენ, მაშ რა პქნან, ნათლობის სახელის მოზიარე სხვატ ბევრი ჰყავს გვარში, ამ შერქმეულ სახელს არავინ ეცილება. — ძან უცნაური... — განაგრძობს ჩიკოლა, — უცნაური თუ არ არის, მაშ რა არის?.. ბიჭო, ვეუბნები, სად მიდიხარ, რომ მიდიხარ, მე აქ ვიყვე და შენ სხვის ვაგონში ახვიდე, განა სირცხვილი არ არის? ამდენი როგორ შეგაწუხოთ, ასე მიპასუხებს, გაგიგონიათ?!. შეწუხება რას მიქვიან, მაშ რისთვისა ვართ, მაშ რად არის ნათქვამი ძმა ძმისთვისა და ამ დღისთვისაო?.. შეწუხება სადაური სიტყვაა, როცა კაცი კაცით არის და ხე ფესვითა (დალლარა გამოიხედავს, ფრთხილ სიცილს კიდევ ამოიფხრეწს და ისევ ჩაშავებულ ფანჯარას მიუბრუნდება)... მოდი, დამეხმარე, თვალის მომთხარე, ან რა თვალის მომთხარე მინდა, რომელი არ დავფაცურდები, რომელი ადგილს არ გიმოვნი, რომელი არ მოგივლი ძმასავითა. მაშ მეზობლობა რა არის, მაშ თანასოფლელობა რა არის?!.. ჩვენებური ჰიპოკრიზია მიყვარს, ადამიანს ხომ მტლედ დავედები და ისა... (დალლარა ისევ შემობრუნდება და უფრო მკაზხედ გაიცინებს), არა თუ?!. ჩემს საყვედურს კაცი ვერ იტყვის, ყველა ძმასავით მიყვარს, ყველას ძმასავით ვექტცივი... ან ეს რა არის?.. ვეუბნები, ბილეთი რად გინდა, მოდი, დაჯექი, იარე, მე რა, იმდენი გავლენა არა მაქვს, ერთი კაცი უბილეთოდ წავიყვანო?!.. ჰმ, მაშ კაცი არა ვყოფილვარ და ისა!.. უთხარი, როგორც გინდა ისე უთხარი, ბუბლუც, ამას ყოველთვის ბილეთი უჭირავს ხელში. რათა, ბიჭო, ვეუბნები, თავს რაღა მჭრი?!. საქმეში ხარ... (დალლარა აღარც შემობრუნდება, ფანჯარასვე შესცინებს, გაორთქლავს მთელ ფანჯარასა)... ერთი კაცი რა არის, მთელ სოფელს წავიყვან უბილეთოდა, თუ მოვინდომე, ჰმ, ეს ბიჭი მოკვდეს!.. როგორ მიყურებთ... ჩვენებურებისათვის, თავსაც დავედებ, თორემ წავყვან-წავმოყვანა რა არის, ჩვენი ხელობაა. ადამიანი იმისთვის გაჩენილა, ყველას უნდა ასიაშოვნოს, ვისაც როგორ შეუძლიან ისე უნდა ასიაშოვნოს, მე ასე გამოგაღ-



გებით, თქვენ თქვენებურად გამოადგებით და წავა ეს წუთისოფელი ტკილობაში (აქ დალარა ისე გაიცინებს, რომ ლამის ფანჯარა გადავარდნა). აისულ ასე იცინის, რაც უნდა უთხრა, ასე იცინის, გული კეთილი აქვს და იმიტომ. ისე კი მითქვამს და კიდევაც ვიტყვი, ამისთანა დაუზარელი და სიამოვნების აღამიანი მეორე არ არის ჩვენში (აქაც სიცილი ამოსკდა დალარასა, ოღონდ მალე მოგულდა, მთელი ვაგონი მე მომჩერებიათ)... ასეც უნდა, ავკაცობა რე არის, ავკაცობას რა უნდა, ყველა ბრუნდი და უქნარი ავკაცია, საქმე კარგაკობა; კაცი ისაა, რომ ჩაივლდს და მიაყოლებენ, იფ, შენი დედ-მამა განათლდაო...

— ეეე... ეს დედამამაგანათლებული... — როგორც იქნება დალარაც ამოთქვამს და სიცილი წაუვა ცრემლებად, იმ ცრემლებს დიდი, მსხვილი კორძიანი თითებით ამოიწმენდს.

ვაგონი შეძოძგინდება, ფიცრებიც ისევე შეკორიკდება, ჩიკოლა ისევე შეამაგრებს.

ჰო, ვაგონი შეძოძგინდება და ამიტომაც შეძოძგინდება, სადღაც აქ ახლოს ბაქანია და მატარებელი უნდა შეჩერდეს, რახან მატარებელი უნდა შეჩერდეს, კონდუქტორი ნიშანზე უნდა გავიდეს, მაშ ეს მაღლიანი სიტყვაც უნდა შეწყდეს, რა იზამ, სამსახური სამსახურია, ყველაფერს ელატება, ოღონდ სამსახურს არაო, ჰოდა შესწყვეტს და გავა, ოღონდ სავალალო ისაა, საგულდაგულოდ ვეღარ მოიცილის, ბაქანზე ბევრნი ამოხორხორდებიან, მერე კიდევ ახლო-ახლოს მოსდევს ბაქანები, სანიშნოს იოლად ვეღარ მოსცილდება, მაგრამ ნათქვამია, თუ გული გულობს, ჰადა ორი ხელითაც იჭმევო, ჰოდა თუ ვინმეს გული გულობს, ყველაზე მეტად იმისი გულობს და, როგორც კი დროს იხელთებს, ჩამოიჭედება ხალხში, ჩამოიჭედება თავის სანათ-კვერთხებიანადა, ოღონდ კიდევ კარგი მხარ-ბეჭი არა აქვს უებრო ვაქაცისა, მართლაც კიდევ კარგი, თორემ როგორ გამოეტევა, ამ თავისი ვიწრო მხრებით იოლად გამოდის და სიტყვას განაგრძობს იქიდან, სადაც შესწყვიტა:

— კაცი ის არის, ვისი დანახვაც გაუხარდებათ და ვისთვისაც სულსაც არ დაიშურებენ. მე სიკეთის მეტი არაფერი დამითესია, ყველას შემოვევლოს ჩემი თავი, ყველამ მინაცვალოს, კაცური კაცობა ეს არის და ყველა ასე იტყვის. ვინც კაცობაში სწერია, არა?..

მატარებელი ჰკვივის...

ჩიკოლა ისევე გადის და შემოდის, ანუ გაიჭედება და შემოიჭედება, შემოიჭედება, რომ ბოლომდე ამოათავოს კაცთმოყვარული გრძნობები, მთლიანად აგვალევოს. სულიერად გაგვწმიდოს, გავვაფაქნოს, აგვამალოს... დალარა უკვე ისე ხმამაღლა აღარ იცინის, ოღონდ ლაშები მორღვევია, დიდი, თოხა კბილები გადმოუყრია და არის ასე, პაპიროსს რომ სწევს, ტუჩებს მთლიანად მაინც არა კუმავს, — იცინის, იცინის, მაშ რა არის, გულში იცინის, პაპიროსს მოათავებს და ისევე ახითხითდება, ან ისევე იქნება კბილებგადმოყრილი, თვალაჟიჟინებული, ესეც ხომ სიცილია და მერე როგორი სიცილი!.. ოღონდ ჩვენს სადგურს რომ მივტანთ, კიდევ გულიანად გაიცინებს, ეს მაშინ, როცა ჩიკოლა გვეტყვის, — ხომ იცით რასაც გვეტყვის? —

— ეგება ე პატარა რაღაცა წაგელოთ.. ჰა?.. — დიდის მოწიწებითა და მოკრძალებით გვეტყვის.

აქამდისაც ხომ „ე პატარა რაღაცა“ აცინებდა დალარასა, ახლა მთლად სიცილად დაიჭქვება, ისე ჩავა, ისე სიცილ-ხითხითში ჩაიტანს იმ ვეება ფიცრებსა, მეც სიცილში ჩავყვები, მატარებელი მიდის და ჩიკოლაც სიცილში მი-



დის, სანათს დიდხანს გვიქნევს, დიდხანს გვემშვიდობება, მოკითხვას გვაბრუნებს ყველასთანა, ყველასთანა... ბნელა და წვიმს, წვიმს და ქარი ჰქრის, სადღაც ღრუბელი აყრილა, მთვარის წიბო გამოჩენილა, ეგება გადაიდაროს, ეგება უფრო კუნაპეტი ღრუბელი მოარეკოს ქარმა, ვინ იცის, მაინც გამოდარების იმედი გვაქვს, ჯერ კი გავწვიმს და ქარი გვსუსხავს, შემოდგომის ქარი... გვაწვიმს და ვდაობთ, დაღლარა არცერთ ფიცარს არ მანებებს, სამივეს თავისკენ ეწევა, ეწევა და იცინის:

— ერთი იმას არ უყურებ... ჰა?... — თან ამას ამბობს.

მართლაც არ უყურებთ, ის მიჰქრის, ჩვენ აქა ვდაობთ ამ წვიმაში, ამ ქარში. თუმცა რომელი დავა არ გადაჭრილა, ზოგი ძალითა და ზოგი მორიგებითა. ჰო, რომელი დავა არ გადაჭრილა, რომ ეს არ გადაიჭრას, ერთი ფიცარი მე შემრჩება, ორი დაღლარასა და ასე მივდივართ, მივაპობთ წვიმასა; ხან ჯადო ქარი შემოგვეგვება, წვიმის ღვედებს გამოგვარტყავს და მიმოგვამტვრევს, მაგრამ ეს მხოლოდ ხანდახან არის, თანაც ჩვეულნი ვართ, გულდაგულ მივდივართ, მიგტყაპუნობთ, ვიწუწუებთ და ვილაფეებით, არაფერია, მივჩვეულვართ...

— ე ჩიკოლაძელი... ჰე, ჰე, ჰე... — მესმის და გვრძნობ, მსუბუქდება ჩენი ფიცარი, ჰო, რა თქმა უნდა, დაღლარა მეშველება და რომ ამბობს, იმიტომაც ამბობს, ვერ მივხვდე, ამბობს და იცინის, ესაა მისი სიტყვა-პასუხი, მასლაათი, სიკეთის გრძნობა, ყველაფრის მიხვედრილობა, ერთგულება, გამტანობა, ზომიერება, სითამამე, მდაბალთა ზემოდან დახედულობა, ყველაფერი, ყველაფერი, რასაც სიმაღლე და სიწმინდე დაერქმევა... და მივდივართ ასე, ძალიანაც რომ ავუხირდე, მაინც არ დამანებებს, ჰოდა მივდივართ, მიგტყაპუნობთ, მივლაფუნობთ.

წვიმა გადაიღებს და ორღობეშიც შევალთ... თუ სადმე ტალახია, აქ არის, მაგრამ მერე რაო, აკი გითხარით, მივჩვეულვართ-მეთქი, ისევ მიგტლაპუნობთ: და მივდგაფუნობთ მოურიდლადა, ძაღლებიც მოგვევენ და მოგვეყვენ, მოგვეყვენ და მოგვევენ ჩიკოლანთ კარამდისა, იქ წვიმაც ისევ წამოგვიტევეს, ვინ იცის უქანასკნელ ძალასაც იკრეფს, მაგრამ ჩვენ მეტიც აღარ გვინდა, უფრო მეტად რაღად დავსველდეთ, დავიძახებთ და გამოგვეგებებიან, თუმცა არა, ეს ჩვენ გვეგონა, გამოგვეგებებიანო, თორემ ნამდვილად დიდხანს ვიძახით; მაინც არავინ გვეპასუხება, მხოლოდ ძაღლები ყავყავენ, უფრო და უფრო ყავყავენ, სადღაც კარი გაიჭრიალებს და ვილაც ნამძინარევი კიდევ მეტად წააქეზებს ძაღლებსა, ჩვენ ისევ ვიძახით, ვიძახით, ვიძახით, ძაღლებიც ისევე ჰყევენ, ჰყევენ, ბოლოს ჩიკოლანიც გაიღვიძებენ, მამა გამოდის ბუზუნითა:

- ჰეი, ვინ არის?!
- მე ვარ...
- ვინ შენა?!..
- ვინა და დაღლარაი...
- შენა და შენ თავსა... მერე რა გავყვირებს?!.
- ფიცრები მოგიტანეთ და...
- მოიტანე და დაყარე, ე აღიაქოთი რაღაა, ლეკიანობა ხომ არ არის?!... — დაიბუზუნებს და მწყურალად ამოახველებს, ამოახველებს და შინ შემობრუნდება. კარს მოაჯახუნებს.
- ცე, ჰე, ჰე...

დაღლარა იცინის, ფიცრებს მესერს იქით გადააწყობს, ფრთხილად გადააწყობს, და იცინის, იცინის... მიდის და მიჰყევენ ძაღლები, მიდის და იცინის, სულ ასე იცინის...

წვიმს, წვიმს და ძაღლები ჰყეფენ, ისევ მოსმის დაღლარას სიცილი...
 შუკა აქეთაა, იმისი იქითა, ის იქით მიდის, მე აქეთა, იმას იქით მიჰყეფენ, მე
 აქეთა, ის იქითა ხარხარებს, მე აქეთ მესმის, თუმცა ეგება ის უკვე შევიდა
 სახლში, უკვე დაღუბდა, მიყუჩდა, მიბინარდა?... მაგრამ მაინც მესმის, ყურში
 მიდგას, ყური გუგუნებს... ყური გუგუნებს და წვიმს, მაწვიმს, მაწვიმს და ახლა
 წკმუტუნით მესმის, საალერსო წკმუტუნით, — ეს ჩემი ძაღლია, გულზე მაწყვია
 იმისი თათები, ლაფიანი თათები და ვღგვარ ასე... წვიმს, წვიმს...

წვიმის

მანქანა მანქანაზე მიმდგარა ხილის მიმღებ პუნქტთან. ბიჭები სცილიან, და-
 ძაგრულან, სასწორზე გადააქეთ მოზრდილი ყუთები, ოფლი სდით, ხენეშიან.
 შემოდგომის მზე აცხუნებს, როგორც შეუძლიან ისე აცხუნებს, თუმცა იმდენი
 მაინც შეუძლიან, ოფლში გაღვაროს დაღლილი ბიჭები. ოფლი არაფერი, ოფ-
 ლის მოცილება ადვილია, მკლავს ჩამოისვამენ სახეზე და გათავდა, თუ მოასწ-
 რეს წყალსაც შეისხამენ, იქვე რუში ლუკლუკებს წყალი, მხოლოდ დაღლილო-
 ბა არ გადაიწმინდება მკლავის ჩამოსმითა, საამისოთ გოგოებთან მისვლაა კარგი,
 იქ ვაშლის გორებთან რომ მიმსხდარან და არჩევენ, ახვევენ, ყუთებში აწყობენ.
 იქ მისვლა და ჩაცუქება ერთ რამეთა ღირს, მაგრამ მანქანა მანქანაზე რომ
 მიმდგარა?! ახლა ნართაული სიტყვაა თუ ივარგებს, ის ერთი სიტყვა, სიცილი
 რომ მოჰყვეს, სიცილი ყუთებს აამსუბუქებს, უფრო მალე აიწონება, უფრო
 მალე ავა და ავა ან დიდი ხროვები, წითელ-ყვითელი, ვარდისფერი, მწვანე,
 მოყვანისფრო და კიდევ ვინ იცის რის მომგვანო ხროვები, მოიმბატებს ეს ფე-
 რადფერადი მთაგრეხილი, ვეება საწყობის თავითბოლომდია რომ გაწოლილი;
 გარეთაც, ცისქვეშაც გაწოლილა იმხელავე და იმფერივე მთაგრეხილი. გარე-
 თაც, შიგნითაც გოგოები შემოსხდომიან და გასაგზავნად ამზადებენ. ბიჭები
 ღროღადრო იმათთან თუ ამოიღებენ გულის ქარსა, თვალის იქით გაუბრბით და
 სულიცა, ყუთები ამიტომაცა მძიმდება, მძიმდება... სიტყვა მაინც აუქარებდეთ,
 აუტაცებდეთ, ახ, ერთი კარგი სიცილი, გულიანი სიცილი და ვითომც ბამბის
 ქულები სჭერიათ ხელში!.. მერე და განა დიდი რამ ამბავი უნდათ, არა, არც იმ-
 დენი, სულ პატარა, სულ მცირე რამ გაახალისებთ, აი სასწორიდან ყუთი დაქან-
 და და ამანაც გაახალისათ, ოღონდ მხოლოდ ერთი წამით გააღვეს კბილები,
 სულ ეს იყო, მაინც კარგი იყო, ერთი ამოსუნთქვაც კარგი იყო, თუმცა არც-
 თუ კმაროდა, ცოტა უფრო მეტი უკეთესი იქნებოდა, მერე ეგებ კიდევ მეტიც
 მონდომებოდათ, გასაკვირიც არაა, ახლა კი ნამდვილად ცოტა მეტს იმყოფებ-
 დნენ, სულ ცოტა მეტსა...

და ბიჭები თვალს აცეცებენ, საკბილოს დაეძებენ. ყუთს რომ აიტაცე-
 ბენ და წელი ჩაჰქნევთ, აქეთ-იქით იცქირებიან, არიქათ, ხელს თუ არავინ ამი-
 კრავთ, სიტყვა მაინც შემაწიეთო.

სასწორი აივსება, აწონას ერთი წამი უნდა, ერთადერთი წამი, ან ისიც არა,
 მწონავი, ყველა რომ ღიბირას უძახის, ამაში გვარიანად დაოსტატებულია, ჰო,
 დაოსტატებულია და სულსაც არ მოათქმევიანებს, გადაიღეთო, ბრძანებს. ბიჭე-
 პიც მოეშმაკებულან და ეგრე მალეც არ აჰყევიან.



— გააჩერე, გაასწორე... მაგდენი არ არის... — შარობენ ბიჭები, ამხანაგის
ისე გასაცივებლად შარობენ.

— მა რამდენია?! თქვენ მასწავლით, ჰა?! გადაიღეთ, მალე!... ბრძანებს ღი-
ბირა, შუბლზე მრისხანე კოპებს მოიყრის და სწორედ ამ კოპებს ელოდებიან
ბიჭები, სხვა თუ არაფერი გამოჩნდება, ეს განთქმული კოპები ხომ აქ არის, ეს
ყუთის დაქანებაზე უფრო მეტია, მაგრამ მაინც ცოტაა, იმდენი სიცილი როდი
მოსდევს, რამდენიც უნდათ, სულ ცოტა კიდევ მეტი რომ იყოს, ოღონდ ჯერ
მხოლოდ ესაა და რას იზამენ, სჯერდებიან, იცინიან და სკლიან სასწორსა. მე-
რე ისევ მანქანას მიადგებიან, არც თუ ხალისით მიადგებიან...

თითქო ასე იქნება, ასე გავრძელდება და ბიჭებიც უფრო მოეშველებიან,
მაგრამ ერთიც ვნახოთ რაღაც სიო წამოუჭროლებთ და უეცრად, ერთხანად აჭი-
ხვინდებიან, გოგონებიც წამოყვლელებიან, ერთი ვნახოთ რა მოხდაო, სას-
წორთან არჩილს დაინახავენ და ავისკისდებიან, აპყვებიან ბიჭებსა. და წავა გავ-
რძელდება ეს სიცილი, მრავალი ხმა ერთად შეიკვრის, ერთად აფუგუნდება ნაირ-
ფრად აჭრელებული მთაგრეხილის გარშემო, თითქოს აყვავებულ ფერდობებს
შესეოდნენ და ბუნების გაღვიძებას შეჰხაროდნენ. არჩილი მხოლოდ იღიმება,
ულვაშებში იღიმება. ღიბირა უფრო იღუშება, კოპები უმრავლდება და... ჰო,
მართლა, არ იფიქრო თითქოს არჩილი იყოს სასაცილო, არა, აქ სულ უბრალო
ამბავია, მას რაღაცა უთქვამს ღიბირაზე და ახალა წაასწრეს ერთადა, ახლა
ბირში წაუყენებენ და ეს აცინებთ, წინასწარ აცინებთ, ახალისებთ.

— როგორ იყო?... — კითხულობს ერთი.

— რა როგორ იყო? — დაატანებს მეორე, ვითომც არაფერი იცოდეს, ვი-
თომც ქვევრში მჯდარიყოს.

— აი, ისა...

— რა ისა... — ეს კიდევ მეტად გაიოცებს, ნეტავ ისეთი რა უნდა იყოს, რა-
ტომ ვერ მივმხვდარვარ, რა დამმართნიაო.

— რაი და ტარა რომ მეტი გამოვიდა, ჰა ჰა ჰა... რა დავემართათ... მაინც
მე უნდა მათქმევინოთ, აქაოდა სულსწრაფიაო. აჰაა და მითქვამს, ცარიელი ყუ-
თები უფრო მძიმენი ყოფილან, ვიდრე საცენი, ჰა და ჰა...

— შენმა თავისამა, ბო... — ღიბირა შეუტევს, თუმცა არც თუ ძალიან შეუ-
ტევს, ეიმედება, ეგება ბოლომდის არ გამიმეტონო, თანაც ჩახველებს, ყელს
ჩაიწმენდს, ჩახლეჩილ ხმას ჩაისუფთავებს, ვითომ ჩაისუფთავებს, მაგრამ ისევ
ხრინწები ამოაყვება, ისევ ჩახველებს და ჩახველებს, მაინც ვერ ჩაისუფთა-
ვებს, მაინც ჩახველებს და ჩახველებს, დაფატურდება, ალაპარაკდება, — მო-
იტათ!.. ჩქარა!.. აბა, ჰა, ბიჭებო, აბა, თქვენ იცით, მკრეფავები არ მოაცდი-
ნოთ, დაცალეთ, მარჯვედ დაცალეთ, მივაშველოთ ყუთები... თქვენი ჰირიმე,
ჩიჭებო, თქვენი, ეგრე, ეგრე, თქვენი მარჯვენის ჰირიმე, თქვენი. — ბიჭებს წა-
ქეზება აღარ უნდათ, უკვე გამხნევებულან, ყუთი ყუთზე გადმოიდის, თითქოს
ბურთი იყოს, მერე ამ აჩქარებაში ვაშლიც იზნევა, ერთი კუთხეც სწორად ვერ
აპყავთ სასწორზე, თითქოს უნდა წამოვიდეს და გადმოიმზღვლესო, ახლა გაფ-
რთხილება უფრო უნდათ, იმან კი შეუყეთა და შეუყეთა, — ყოჩად ბიჭებო,
ეგრე ბიჭებო!.. ცოტა ფრთხილად ბიჭებო, ჰო, ჰო, ეგრე, იფ, თქვენი ლაზათის
ჰირიმე, თქვენი...

მაგრამ ბიჭების წატყუება არც ეგრე იოლია, ეს თილისმა ვერა სჭრის, რო-
გორც უნდა ილაპარაკოს, რამდენიც უნდა თქვას, მაინც ასწრებენ, ჩააყრონ
შიგადაშიგა, გამომწვევად ჩაატანონ:

— ვითომ მართალი იქნება, ჰა?

- აბა, მე რა ვიცი!
- მაშ ვის ეცოდინება?
- ე ლადას ეცოდინება...
- სანდრას უფრო ეცოდინება...
- არა, გელასა...
- არა, ფიდოსა...
- არა...

— არჩილზე უკეთ ვის ეცოდინება, ბარემ ე არჩილიც აგერ არ არის და...
— თქვენმა თავისამა, მა!... — ხმას უწევს ლიბირაი, ხმა არ მოსდევს და

ახველებს, ხიხინებს, ეგება როგორმე დავიწმინდო და დავაგუგუნო, ყველას წავაპარბო, ყველას პირი მივუტრაო, — ჩქარა!... ნელა!.. ყოჩაღად!.. ფრთხილად!.. ნელა!.. ნელა!.. ე რა ყოფაში ხართ თქვე... ვაშლია, რკინა ხომ არა გგონიათ? ნელა-მეთქი!... — ასე აჩქარებს და ანელებს, სწორედ, ბანზე ისერი სიტყვასა, თორემ ბიჭებს რა დარიგება უნდათ, გადათიელები ხომ არ არიან, ხილის ყადრი აღარ იციან?!. თითოთროლა თუ გადაუვარდებათ და დაბეჭებთ მერე რაო, სადაც არაფერია, არც არაფერი ფუჭდებაო... ხილის ყადრი იციან. იცოცხლეთ, კარგად იციან, სიტყვის ყადრიც იციან, ამიტომაც ამოაღბირას ფართიფურთი, რამდენიც უნდა იწრიალოს და ილაპარაკოს, მაინც მოუჭრიან, როცა მოისურვებენ, მაშინვე მოუჭრიან, ოღონდ „ბარემ ე არჩილი აგერ არისო“ ჯერ აქ მოსწყვიტეს და ისევ ყუთებს დაერიენენ... რა თქმა უნდა, ლიბირას თვალს არ აცილებენ, ჰხედავენ როგორ უბღვერის არჩილსა, ქვეშქვეშად უბღვერის, აბა აშკარად ხომ არ შებედავს, თუ თვალი თვალს მოხვდა, გაუღიმებს და ის იქნება, ამაში ოსტატია, ნაცადია, და საერთოდ ეს ხერხი „ნაცადია ღვითა“, კარაბადინისა არ იყოს, ერთი სიტყვით, როგორც უნდა იყოს, აშკარაა, მისი იქ ყოფნა არ ებიტნაევა და ბიჭებს ეს უკვე ჰყოფნით გასართობადა, უკვე გულდაგულ ეჭიდებიან დიდრონ ყუთებსა. თან იმასაც უცდიან, ეგება ლიბირას გული უზომოდ გაუსივდეს, ველარ მოითმინოს და უკმეხი რამე წამოროშოს, მაგრამ ნურას უკაცრავად, ლიბირაც იქნებოდა და ვინმეს ეუკმეხებოდა, თუმცა მაინც ვინ იცისო... ვინ იცისო და ბიჭები იხჭინებიან. ჰოდა, მერე, ლიბირა რომ არ გაუკმეხდება და არც არჩილი მოიცვლის ფეხსა... (გამგეს ელოდება, საგულდაგულოდ მოსულა და იოლად არ წავა, რამდენიც უნდა ინატროს ლიბირამა, ერთი ახალი ვაშლის ჯიში მოუტანია, გამგეს უნდა აჩვენოს და მიაღებინოს; თუმცა დიდხანია ასე დააქვს, ხან ვის უჩვენებს, ხან ვისა, ხან ვის ედაევა ხან ვისა, მაგრამ ვერავინ დაიყოლია, მეზობლებზე არ ითქმის, ვისაც ხილის მიღების საქმე ეხება, ისინი ვერ დაიყოლია, კარგიაო, მაგრამ რა ვუყოთ, დამზადების სიემში ასეთი ვაშლი არსადა წერიაო. საიდან ეწერება, ვინ იცის როდისა ყოფილა და როდის გარდაგებულა, არჩილის ბაღში თავისთავად ამოვიდა, ასე სხვაც ბევრი ამოდიოდა, ოღონდაც სჭრიდა, ის არაფერს უშლიდა, დატოვა, გაუშვა, ისიც ამოიზარდა, დამშვენდა, გაიბადრა, რომ არავის ენახა, ისეთი ვაშლი მოისხა, ქარვასებრი, ყველა ნაცნობ ჯიშებზე ბევრად ღიდი. ბევრად სუნოვანი, გემოვანი, გამძლე, ოღონდ მეზილე-მეცნიერთა წიგნებში არსად ეხატა, არსად ეწერა, სახელი არ ედო და არც არავის უნდოდა. სანერგე მეურნეობის დირექტორსაც ედავა არჩილი, ვერც ის დააჯერა, მაგის მყნობას ვერ წამოვიწყებო... — ბიჭები ისევ შეუბერავენ, ისევ გააღვივებენ ნაპერწყალსა:

— ბარემა თქვი და ის იქნება...

— სულერთია, ყველამ იცის და დამალვას რაღა აზრი აქვს...

— აბა, ჰაი...

— აბა, ჰაი..

ლიბირა კიდევ უფრო იღუშება და თვალებს ატრიალებს, ვის მოსდოს შარი აღარ იცის, ისე ციმციმ, ისე მოხდენილად, ისე მოსაწონად აწყობენ ყუთებსა, ვეღარ აუშარდება, რაც უნდა გაბრაზდეს, ვერ აუშარდება, ახ, ერთი ვინმეს დაუტურდებოდეს, ახ ერთი ვაშლი მაინც ვადმოვორდებოდეს, ერთი, ერთდ-ერთი!..

— არ დაუჯერო, ჩემო გიორგი, — გიორგი ლიბირას ნათლობის სახელია, არჩილი გიორგობით იხსენიებს, მოდი და ნუ დაეჭვდება, ვითომ მართლა ეს გამკილაველაო... — ერთი სიტყვაც არ დაუჯერო, შემოგვჩენიან, ჩვენი წაქიდება უნდათ, მაგრამ ნურას უკაცრავადა, ჩვენ ხომ ძმები ვართ, ძველსძველი ძმა-კაცები ვართ... — ამბობს არჩილი და თვალებს აციმციმებს, — აბა ჩვენს ძმობას ფეხს დავადგამდი და მაგას ვიტყვოდი?!..

— არცა ყოფილა და... — ლიბირა ისე ამბობს თითქოს უკვე გულს მოეშვაო.

— არცა ყოფილა და არც იქნებოდა...

— მა, აბა, როგორ იქნებოდა...

ბიჭები აცდიან, ჰო, აცდიან, ესეც ახალისებთ და აბა რად უნდა ჩაერიონ. ხოლო ლიბირა და არჩილი თითქოს რომ მორიდდებიან, ეს კი აღარ ეჭაშნიკებათ და მაშინვე წაუბერავენ წანაცრულ ნაპერწკალსა:

— მაინც რა არ იქნებოდა?!.

— შე კი მგონია იქნებოდა!..

— მე არა მგონია...

— არც მე...

— არც მე...

აქ არჩილი ჩაერევა:

— თქვენამც ვაგიხარიათ, აი ეგ რწმენაა რაც არის, კაცი რწმენა და დაჯერებაა, არ უნდა გეგონოთ, არ უნდა დაიჯეროთ... აქს დაიჯერებ და ავად მოგეჩვენება, კარგს დაიჯერებ და კარგად მოგეჩვენება... ასეთი რამით კაცი ვინ იცის რად მოგეჩვენება. ბრმაყრუობა ხომ არ არის, რომ ამბობთ, ვითომაო...

— აჰყვები ახლა შენცა... ამათი ტოლი ხარ?!.. — ამბობს ლიბირა და იცის რასაც ამბობს: კაცს თუ ამაღლებ, ეგრერივად ვეღარაფერს შემოგბედავს, საყწინარს მოერიდება, ყოველ შემთხვევაში ასე პირისპირ მაინც მოგერიდება, ზურგსუკან ეგება სწორედ ის გითხრიდეს სამარეს, მაგრამ ახლა საქმე საპირისპიროდა და ვანდიდებაც გამოსადეგი წამალია, — დარბაისელი კაცი ხარ, სიტყვაც დარბაისელ ხალხში უნდა დანარჯო, ამათ როგორ უნდა გაუყადრო თავი?! — იტყვის და ბიჭებს გამომწვევად გადაჰხედავს. ჩავივარდათ კოვზი ნაცარშიო.

— ჰოდა მეც შენ გელაპარაკები, ამითან რა მესაქმება, — დაატანს არჩილი და ტუჩს ისე შეხვრის, რომ გრძელი ცხვირი ზედ ვადაუვლის, თითქოს გაბასრავს, გაჰყრის ულვაშებსა — უნდა დაგაჯერო, უნდა იცოდეთ, რო ეგებ რამეს არ ვიტყვოდი, თითქოს ოცი ყუთი ვაშლი მომეტანოს და... აი დასწყევლოს ლმერთმა...

— აბა, აბა, როგორ იტყვოდი... — მაშინვე მიადვენებს ლიბირაცა, ისე მიადვენებს, რომ აგრძნობინებს, კარგი და გეყოფა, არ იტყვოდი და ნუ იტყვოდი, მორჩი, მოათავე, მომეცალე, ეგ გამეგ ხომ არ მოდის, შენც ვასწი და გზას ბარაქა გააყოლეო.



— მეც მაგას არ ვამბობ, — არჩილი მაინც თავისას არ იშლის, ვითომ რომ ბირას მუდარა არც ესმის, ვითომც ერთი ვინმე ყყყეჩა კაცი იყოს, — აბა როგორ ვიტყვოდი, თითქოს ცარიელა ყუთების წონა მეტი გამოგვეყვანოს, ვიდრე სხვს ყუთებისა?!.. ასეთი რამე არც მოხერხდებოდა და რაც არ მოხერხდებოდა, მე საიდანა მომადიქრდებოდა, რომელი ახრისელი მეითხავი მე ვარ?!.. რას იხჭინებთ, ვითომ თქვენ კი მოგადიქრდებოდათ?!.. ისემც რა გითხრათ!... ეგიორგის გასაბრაზებლად მოვიგონიათ და მე გაგიხვევივართ შარში. რათაო, შვილონანისა, მე რა დაბალი ღობე გიბოვნივართ?!.. ვითომ როგორ იქნებოდა, რომ ოცი ყუთი ვაშლი მომეტანოს, ღიბირას აეწონოს და ეთქვას, ორასი კილოაო. ასე ყუთიან-ვაშლიანად ორასი კილოაო, მერე ყუთები ცალკე გამოეწონოს და სინანულით ეთქვას, ერიჰა, ეს ორას შვიდი კილოა და შვიდი კილო გაკლდებაო, ოღონდაო ჩვენ რომ ძველი ძმაკაცები ვართ, ამ შვიდ კილოს ჩემზე დავიწერ და შენ გზამშვიდობისა გქონდესო, ასე მშრალი გზა გქონდესო, აბა ეს როგორ იქნებოდა, ჰა?!.. თანაცა ვითომ მე სინარულით ფეხზე ვეღარ დავმდგარიყვე, ხელადა მემერბევინოს, რახან ასეთ სიკეთეს მიშერები, ჩვენი ძველისძველი ძმობა დაელოცოთო, დაემსხდარიყათ და დაგველოცოს... ისემც რა გითხრათ!... მაინც ვითომ ეს რა არის, მე გამოგყევართ ბრიყვადა თუ ღიბირა... ფუწიმე... გიორგი ეშმაკის ფეხადა?..

— ღიბირა ეშმაკის ფეხადა... ჰა, ჰა, ჰა... — ჭიხინებენ ბიჭები.

— მა, თქვენმა თავისა... — ბუზლუნებს ღიბირა, წყრება და ლულულუღებს, ვერც გაჩუმებულა, ვერც ისეთი რამ მოუფიქრებია, სიტყვა მოუჭრას ან ბანზე აუგდოს, სხვა აღარა დარჩენია რა, ისევ ყუთებს დაეჭიდება, ვითომც აინუნშიც არ ჩაეგდოს არჩილის ნათქვამი.

ხოლო ბიჭები იცინიან და იცინიან, გულიანად იცინიან, გოგონებიც შეპკისკისებენ... დვას გორები, ვაშლის გორები, მანქანა მანქანაზე მიმდგარა, მამ რა ჰქნან, რომ არ გაიციონ, დაჯაფულებს სიცილი უნდათ, დაღლილობას სიცილით თუ მოიფონებენ, ოფლი არაფერი, ოფლს სახელოთიც ჩამოიწმენდენ. შემოდგომის მზეს იმდენი ძალა კიდევ შერჩენია, ოფლში გაღვაროს დაძვარული ბიჭები.




ცისანა მეღუა

ვუყურებ, მიკვირს რა დიდი აოის
და რა ფართოა ეს ჩემი გზა...
სიცოცხლით სავსე, გაუხუნარი,
როგორც ეს ჩემი დაფნა და ბზა...

ვუყურებ, მიკვირს, რა დიდი არის...
რამდენით წინ ხარ, ძვირფასო, შენ,
თუ არ დამიციდი, მინათე ძლიერ,
მინათე მაინც, ცხოველო მზევე...

საით წასულან ღრუბლის ფთილები.
თან წაუღიათ მათაა ჩრდილები...
მზე გაწოლილა მაღალ ბალახში
და დასწყვეტია ჭრელი ღილები.
მზე კოცნის მუხას, ვერხვსა და რცხილას
ო, ისე ფრთხილად,
ო, ისე ფრთხილად...
და მეოცნებე მეძახის თითქო
ჩემი ბავშვობის მდინარის პირას...



გიორგი ნაუზუაჩიძე

ს ი ყ ვ ა რ უ ღ ი

(ნოველა)

თანდათან უფრო ჩამოცხა. დაახურა. სამოროდო სიმინდის ფოთლები, ლეკურებივით გამიშვლებული ფოთლები შეჰქანა. ყვავემა გადასერა ყანების ლურჯი ზღვა და მდინარის პირას ქვის სისწრაფით დაეცა. არ ირხევა ბალახი. არ თრთის მაღალი ჩინარის კუნკულოები. დროდადრო ბალახებში მწყერი კრუტუნებს, მწყერი ბუდეზე ზის მაღალ სათიბში და კრუტუნებს. გზაზე თეთრ მტვერს არავინ აწუხებს, არავინ მიდის. თეთრი შარა, ყანების შუაგულ რომაა გაწოლილი, აშლილია ნაფეხურებით. ეტყობა ბევრს გაუვლია ერთად. კვალი ისე აჩნია, როგორც ახალ ნათოვარზე. ნატერფალები მიემართება შორს, იქით, ჩრდილო-დასავლეთით. პაპიროსის ნამწვევები, გაზეთის ნახევი, ყურძნის ხუნწკალი, გზა ჰგავს სოფლის ეზოს, გასვენების შემდეგ დარჩენილს.

... გზებზე იწერება ადამიანთა ფიქრის, ტანჯვის, სიყვარულისა და ბრძოლის ისტორია. ვერავინ წაიკითხავს მას, ოღონდ ძაღლები, სანამ გახელდებოდნენ, ცნობენ პატრონის კვალს ამ არეულ ნაბიჯებში და მისდევენ მას, მისდევენ დაცემამდე.

და როცა მიწას აცილდება ოფლიანი ტერფის სურნელი, როცა მანქანა აიტაცებს ადამიანს, ჩერდებიან, საწყალობლად ათვალიერებენ გარემოს, სეული დრუნჩით ყნოსავენ ჰაერს, ბალახს, სიმინდებს, თხრილებს, მერე უიმედოდ ჩაცუტქდებიან გზის ნაპირას, თავს მაღლა სწევენ, ცისკენ ყელს იგრძელებენ და თვალმინაბული ყმუიან გულგამგმირავეად.

— ვაჟა, ვუუ!

შემაზრზენია ეს ცხოველური ძახილი, ხვეწნა, მუდარა. ადამიანები ვერ უძლებენ ამ ხმას და...

— აპაიტ, შე სამგლეო — ძახილით ქვას ესვრიან.

მე ახლა ვდგავარ ამ შემოდგომის ფოთლებივით დაცვენილ ნატერფალების წინ და ვხედავ, როგორ მშორდება თანდათან ჩემი მეგობრის გეგე ყიფიანის შავი, ყურდაჭრილი ნაგაზი.

წინ რომ ჩამიარა, უცებ ვერ ვიცანი. მუცელი და ფეხები სულერთიან გაუთეთრებია მტვერს, დრუნჩიც, დრუნჩიც გათეთრებოდა, დაშვებულ კუდზე კაკლებივით ეკიდა გასქელებული, ბალანში ჩაქსოვილი მტვერი. უკანმოუხედავად გარბოდა, მგლის ძალით სცემდა თათებს შარაზე და დარტყმისაგან, როგორც ნაცარში, ბღღვირი დგებოდა. გარბოდა გეგეს საყვარელი ნაგაზი და ადამიანთა ნაფეხურებს შუა ახალი ნაფეხური იბეჭდებოდა, მრგვალი, დალორილი, შუა აბურცული მწვერვალივით.

გეგე თავის სატრფოსთან წაივია სამი საათის წინ. სატრფო მას ორი დღე



ელოდა სადგურში, საბრალო გოგონა შემლილივით დარბოდა ხალხში და
 ლას ეკითხებოდა, ჯარმა ხომ არ ჩაიარაო. ჯარმა ჩაიარა, მაგრამ გეგე
 ჩანდა. გამცილებელმა მეთაურმა დაამედა, ახალ ნაწილს ჩამოყვებო.

ზის ნათელა სადგურის წინ სახელდახელოდ წამოდებულ ჩემოდანზე და
 ელის გეგეს. სამი დღის უკან დეპეშა მივიდა ოყურეშში, სადამო იყო, კილოფზე
 წამოწოლილი წიგნს კითხულობდა, როცა ფოსტალიონმა დაუძახა — დეპეშა
 ჩამოართვა და აკანკალებული ხმით ჩაიკითხა:

„მივიღებ. დამხედი სადგურში. გეგე“.

ფოსტალიონმა, მოხუცებულმა კაცმა რომელსაც ორი შვილი არმიაში
 ჰყავდა და ახლა, ამ შემოდგომაზე ელოდა ორთავეს, — ნუ გეშინია შვილოო, —
 უთხრა, რამ შეგაშინა, შე ქალოვო, და ბებრული ხელით მზით დამწვარი ხელი.
 გლუვ, დამეხებულ მხრებზე მოუთათუნა. გოგონას მხრები უკანკალებდა, გა-
 ფითრებულ სახეზე ცრემლები თავისთავად მოწანწვარებდნენ. ცვარივით მსხვი-
 ლი და მრგვალი კურცხალი მოგორავდა ლოყაზე ღია თვალებიდან, შავი, შავი
 მშვენიერი წამწამები პეპლის ფრთებივით ირხეოდნენ დაბლა.

მოხუცი ფოსტალიონი შეწუხდა, შერცხვა ბერიკაცს, ქურდობაზე წასწრე-
 ბული ბალღივით ნელა დახია უკან, ისე არ მობრუნებულა და წავიდა.

— ყველაფერი დაიღუბა, ყველაფერი... — ჩურჩულებდა კიშკრის ბოძზე
 მიყრდნობილი, ხელში უთრთოდა ლურჯი ქაღალდი...

სახლის წინ დედალს ცალი ფეხი მხარში შეეყო, თვალმოხუჭული ცას შეც-
 ქეროდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად კაკანებდა. ძალი იწვა ზის ძირას და კატას
 ეთამაშებოდა, აფხორილი. ცინდალი ხეს ეფარებოდა, მზად იყო გასაქცევად.
 დედა მარიამი ძროხას წველიდა. შავი ქოთანი მუხლებში ეჭირა, ჩატუცქუ-
 ლიყო ტიგურა ძროხის ბარძაყთან და ხელებს ისე ამოძრავებდა, თითქო ღმერთს
 თხოვს რამესო, იქვე მიბმული კუდაბზეკილი ხბო, რომელსაც დრუნჩხე რძე
 ისევე ჰქონდა, ბაწარს ეძაძგურებოდა, სარის მოთხრა უნდოდა.

დედა მარიამმა ქოთანი სახლში შეიტანა, ხბო დედას ეცა თაურით, ტიგუ-
 რა ძროხამ ფეხი შეინაცვლა და კუდის ძირში სლექა დაუწყეო შვილს.

კერასთან სამეხვა სკამზე იჯდა ნათელა, ჩხირით ნაცარს ხაზავდა, ფიქრობ-
 და. დეიღამ რძე გაწურა, ჯოხი მოურია, მერე ქოთნის კარბაზე ორჯერ დაჰკრა.

— დედა, ცხენი უნდა მიშოვო ამლამ. — ჩაილაპარაკა ისე, თავი არ
 აუღია, არც ნაცრის ქექვა მოუტოვებია. დედა მარიამს ელდა ეცა. ტყუილად,
 მასხრობით, მისმა თავქარიანმა გოგონამ, არაფრის მოთხოვნა არ იცოდა, ხოლო
 რასაც მოითხოვდა, ის უნდა შეესრულებიათ, ამიტომ ელდა ეცა დედა მარიამს.

— რად გინდა. შვილო, ცხენი, — ჰკითხა და რძის მოსარევი ჯოხი დირი-
 ყორივით დარჩა აწეული, მოგრძო დამჭკნარ სახეზე გაკვირვება აღებეჭდა.
 წარბებში, მკვახედ შეყრილ წარბებში, გაბრაზებამ გაიარბინა.

— ახლავე უნდა წავიდე, დედა, ამ წუთში — გესმის? ახლავე — და-
 მარცვლა და ისე გამოთქვა „ახ-ლა-ვე“.

„ასეთი ახირება? ამნაირი ახირება გავონილა!“ — ფიქრობდა დედა მა-
 რიამი, ამ ღამეში სად უნდა წავიდეს, ეშმაკი ხომ არ შეუჯდა ამ გოგოს, მაინც
 რაცხა სხვანაირია, არცერთს არა გეგავს, და სანთლის ასანთებად ამდგარმა დეი-
 ღამ დოქი წააქცია, წყალი კერასთან ჩამოვიდა და ნაცარში ჩაშრა.

არ დაიშალა, ხონში უნდა ჩავიდე ამლამ, ხვალ მატარებელს მივუხსრებ
 ხონიდან, ცუდი სიზმარი ვნახე და სახლში უნდა მივიდე აუცილებლად.

დეიღამ რაკი ვერა გააწყო რა, აღარ დაავიანა, ცხენი თვით შეუჯახმა,
 ნაბადი მოახურა, თან აბარებდა ჩახვალ თუ არა, მიდეპეშეო.

გზა ცხენისწყლის პირს მიჰყვებოდა. ისედაც ბნელ ღამეს უფრო მეტად უხარმაზარი მთები და კლდეები, ხევში ცხენისწყალი ხვნეწოდა. ლოდებს მოაგორებდა, ისეთი შრიალი იღვა თითქო წვიმსო, ცხენი ფორთხილობდა, ფრთხინავდა და ნელა ჩადიოდა დაქანებულ ბილიკებზე. ბომბეოს ხიდანდე გაქენება სახიფათო იყო, გზა არ ილეოდა, ვოგონას ემინოდა, თანაც თავი წარმოედგინა რომანის გვირ ქალად და უხაროდა.

„კარმენი ვარ, ნამდვილი კარმენი“, — ფიქრობდა. გული რაღაც უჩვეულოდ უფართქალბდა, თვალებზე ცრემლი ადგებოდა. „ახლა რომ ქალაქელებმა დამინახონ, რა იქნებოდა, აა?“ სადავე მოსწია, ქუსლი ჰკრა ულაცს, ცხენი გასაფრენად აიწია, მაგრამ მხედარზე მეტმა გამოცდილებამ შეაყენა და დინჯად ჩაიარა დაღმართი.

ბომბეოს ხიდი ფლოქვების თქარუნმა გააღვიძა, წინწახრილი ნაბდიანი მხედარი მოაქროლებს ულაცს ჭიშკრების გასწვრივ. ნამძინარევი ძაღლები ღობეა ასკდებოდნენ და მიჰყვებოდნენ სიბნელეში გამქრალ ლანდს.

თენდებოდა, გაოფლიანებული ცხენი ჭიშკართან რომ მიაგდო და რატიანია თვალუჯუჟუნა ქალიშვილები ტკბილ ბურანიდან გამოიყვანა.

...ახლა ზის სადგურის წინ პატარა ჩემოდანზე, ზის და ელის გეგეს. მოდიან ჯარები სოფლებიდან, მტვერში დაგინგლულები, თავგადაპარსული. ლურჯი ჩანთები ჰკიდია ყველას ზურგზე, უძინარი, დაწითლებული თვლები აქვთ. არეულია ჭიშკრისგან და პირტიტველი ბიჭები. ქუჩაზე საშინელი მტვერი დგას, დაქრიან სამხედრო მანქანები, საბარგო ავტომობილები, ყვირიან, იგინებთან წესრიგის დამცველი მილიციელები.

ბომა ქალებს ქვაფენილზე მოუერთხამთ კედელთან, საქმელს ჭამენ და მშვენიერ თეთრ კბილებს აჩენენ, ისინი ნათელას უტყინიან. ნათელა ახლა მოწყენილია, სხვა დროს უსათუოდ საუბარს გააბამდა მათთან და დაურიდებლად მოთხოვდა გიშრის შავ საყურეს, რომელიც ვერავინ უშოვდა, ეკ რამდენი არ ეცადნენ მისი აქარელი მეგობრები, ვერსად იშოვეს გიშრის შავი საყურე.

ნათელა ბომა, არც მეტი, არც ნაკლები. ბოშები საოცრად ჰგვანან ერთმანეთს და ნათელაც ისე ჰგავს მათ, როგორც გიშრის საყურეები ჰგვანან ერთმანეთს, დაწყველილი გიშრის საყურეები.

სიარულიც მათებური იცის, აგდებული, თამამი, თავს ცოტა არტისტულად იჭერს, ზოლო თმები?! თვით ზემფირასაც შემურდებოდა მისი შავი დალალები...

გეგე, გეგე, სადაა ახლა გეგე! სად უნდა წავიდეს გეგე, გაგონილა! არ გავუშვებ, არსად არ გავუშვებ. — ტუჩები ჯიუტად ებურცება, წარბებს კუმტად იკრავს. ბომა ქალები იცინიან. ისინი ხედავენ მსგავსებას ამ ვოგონასა და მათ შორის — რა უნდა, არაფერიც არაა საჭირო, ჩაიცვას მათებური, გარმონივით დაკეცილი ჭრელი კაბა, წელში ძნასავით რომაა შეკრული და გატანტალდეს ამ ქვაფენილზე ფეხშიშველად, კარტით ხელში. ქალებს შერთ მისი თვლების უტეხი გამომეტყველება, თავის მოდრეკა, თითქო ჩერქეზული ცხენი შევარდა ბრბოში და გასაქცევ ადგილს ეძებსო. ბომა ქალებს აშკარად ეტყობათ, რომ ეს გოგო მოეწონათ. ვინ იცის იქნებ უნდათ აიყოლიონ მარადიულ გზებზე სახეტიალოდ...

დრო მიდის ნელა, ჯარი მიდის განუწყვეტლივ. გამვლელი ვაკები უსირცხვილოდ უტყერიან და ხმამალა აქებენ ჩემოდანზე მჯდარ ასულს.

— შეხედე, შეხედე, ღმერთივით გოგო არაა, — იდაყვი ჰკრა, თან თვალით ანიშნა ვილაც ფიზკულტურელმა ვილაც სტუდენტს.

მაგრამ ნათელას არაფერი ესმის.

მას გეგესთან გაცნობის პირველი დღეები აგონდება; აპრილი იყო 1940 წლის აპრილი, ნათელა დეიდისთან ისვენებდა და აი აქ გაიცნო. საბავშვო ბაღში შემოვიდა. ლურჯი წინგახსნილი ხალათი ეცვა თეთრი ფოლაქებით, ზოლიანი ტილოს შარვალი, ხალათის ზემო ორი ღილი შესხნილი ჰქონდა. საშუალოზე მაღალი, ორბისფერთმიანი, თაფლისფერი თვალები... საოცრად თავისუფლად იქცეოდა. დაჯდა ბაღლების პატარა სკამზე ახალ გაცნობილ ნათელას გვერდით, ნათელას თეთრი ყვავილი ეჭირა ხელში, გამოართვა ორი ფურცელი, ერთი მასვე დაადო მუხლზე, ხოლო მეორე დასრისა და გადაყარა, მერე ადგა და გავიდა გარეთ.

მეტი არაფერი.

სამი დღის შემდეგ ისევ შეხვდნენ, კინოს დაწყების წინ საუბრობდნენ შექსპირზე; ისხდნენ გვერდით კინოში და უსმენდნენ ურთიერთს, ეკრანს არ უყურებდნენ. ვაჟის მუხლი ზოგჯერ ქალის მუხლს გაელამუნებოდა, ამ დროს ვაჟი საუბარს ვეღარ განაგრძობდა. დასრულდა კინო. გამოვიდნენ, კიდევ არ გამოემშვიდობა, არც გაცილება შეუთავაზებია, გასწია პირდაპირ შინ. გავიდა რამდენიმე დღე. გეგეს შესახებ ჰყვებოდნენ ნათელას სოფლელი მეგობრები ბევრს ისეთ რაიმეს, რაც ხიბლავდა გოგონას.

ბოლოს წიგნი თხოვა ვაჟს, გამოუგზავნა „ქარმენ“ და წააწერა — „რამდენადაც თქვენი სული შევიცან“ — გოგონას გაუხარდა და მიუხედავად იმისა, რომ ნახევრად ზეპირადაც კი იცოდა, მაინც წაიკითხა წიგნი. ეს იყო და ეს. მერე კიდევ ერთი უსახელო წიგნი, ერთი საღამო ბაღში სხვა ქალიშვილებთან ერთად. ციციანთელებს იჭერდნენ გოგონები და მოჰყავდათ, ნათელა ალაგებდა სინბელეში მწერებს ერთ ხაზზე და უშვებდა. ამით დასრულდა ყველაფერი, ვაჟს არაფერი უთქვამს, ქალს არაფერი უგრძენია.

ქალი ცოტა ნაწყენიც იყო, იმიტომ რომ ვაჟი სხვა ყმაწვილებივით არ აქებდა, თითქო სრულიად არ აქცევს მის სილამაზეს ყურადღებასო, საუბრის დროს ზოგჯერ მხარში მოჰკიდებდა ხელს და ისე მოაბრუნებდა თითქო ექიმი სინჯავსო, სხვა არაფერს გრძნობდა, ეს წყინდა ქალს.

მისამართი დატოვა წასვლის დროს.

დასრულდა ყველაფერი. ერთ კვირას ფიქრობდა სოფელზე და ამ ახირებულ ვაჟზე. შემდეგ დაავიწყდა. გარშემორტყმული იყო თავყანისმცემლებით, სად ეცალა გეგეზე ფიქრისათვის, კინოში, თეატრში, სტადიონზე, ზღვაზე და ვინ მოსთვლის კიდევ სად.

ეს ვაჟები მაინც არ ხიბლავდა მას.

ვაჟები ხშირად ხდებოდნენ მისი გესლიანი ენის მსხვერპლი. ზოგჯერ მოიწყენდა. ამ დროს აგონდებოდა გეგე, ასე ეგონა, იგი დასცინოდა მის საქციელს. იჯდა ბაღში უკანთავგადაწეული, თვალმოხუჭული შესცქეროდა ნათელას და ტუჩის კუთხეში უკრთოდა თავაზიანობის გამო შეკავებული ღიმილი.

ოთხი თვის ბოლოს წერილი მოვიდა. ვერ გაბედა ეპასუხა. ვერ გაბედა პასუხის დაწერა, შერცხვა, შეეშინდა.

ორი თვის შემდეგ კიდევ მოვიდა წერილი, რომელმაც დაუკარგა მოსვენება და დაურღვია სიამაყე. ეს წერილი ზეპირად ახსოვს ახლაც.

„თქვენ გინახავთ იქნებ რომელიმე მშვენიერი ქანდაკება, თუნდაც ვოლტერი (ამ წუთს არ მაგონდება მოქანდაკის გვარი, ისე კი ეკატერინე II დროინდელი ფრანგი იყო. ქანდაკება ერმიტაჟში ინახება). მე ვფიქრობ, ცოცხალი



ვოლტერი უფრო ნაკლებ საინტერესო იყო, ან უფრო სწორად, უფრო ნაკლებ დაინტერესებელი.

დიდი პიროვნების სიკვდილის შემდეგ რჩება მასზე მშვენიერი მოგონება და დაუკმაყოფილებელი სურვილი მისი ადამიანობის შეცნობისა. ჰოდა, აი, ეს მშვენიერი ქანდაკება, რომელსაც მე ბუნდოვან სიზმარს შევადარებდი, რომლის აზრი ვერ აღვეიღვინა მიუხედავად იმისა, რომ განგებ კვლავ დაგხუჭეთ თვალები, იქნებ კვლავ დაგვესიზმროსო. ჰო, ეს ქანდაკება თბუთომეტი წუთის შემდეგ მომბეზრდა მე.

იქნებ მე არ ვიცი ვოლტერი და ამიტომ ვერ გავიგე?

არა!

ადამიანის შესაცნობად ტრაქტატებით არ ხელმძღვანელობენ.

თქვენ რომ სამოოდ თვის განმავლობაში განუწყვეტლივ შემხვედროდით მე სასაუბროდ, ვფიქრობ მესამე თვის დასასრულისათვის მოქნარება ამივარდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ყველაფერი ვაგაჩნიათ, რაც კი აპოლონის მშვენიერების შესაქმნელად მოუსაზრებია...“

გეგეს აშკარად ეტყობოდა ქალის დამცირება უნდოდა, ყოველ შემთხვევაში ნათელას ასე ეგონა, გეგეს შესახებ მან გაიგო პოეტიაო, ჯერ ბევრი იცინია, მერე გადაწყვიტა, სასაცილოდ აეგლო როგორმე, მაგრამ ვერ მოახერხა.

გაჟთან გატარებული რამდენიმე საღამო არ აძლევდა მას ამის ნებას.

რა მშვენიერი საუბარი იცოდა გეგემ. იგი ყოველთვის ისეთ რამეებზე ლაპარაკობდა, რაც ქალის სულს იმორჩილებდა. ნათელა გრძნობდა, რომ ასეთ რამეებზე მასაც უფიქრია...

და ახლა გრძნობდა, პირველი შეხვედრისთანავე მათ იგრძნეს, რომ ერთნაირი სული ჰქონდათ. სიამაყე და თავმოყვარეობა სტანჯავდა ორთავეს.

ქალს არ უნდოდა თავს გამოტეხოდა, რომ უყვარდა. ეგონა, ალლოთი გრძნობდა, მასაც ვუყვარვარ, ვუყვარვარ და არ ამბობსო.

ნამდვილად კი გეგე ქალებს არასოდეს არ დაუინტერესებია, მას არასოდეს არავინ არ ჰყვარებია. ან მასხარად იგდებდა მათ, ან სრულებით არ აქცევდა ყურადღებას. ერთხანს რომანების გმირებზე სტიროდა, ეს ბალღობის წლებში, მერე დასცინოდა ყოველივეს და ყველაფერს. და საერთოდ ცივი იყო ეს კაცი, გესლიანი ენა ჰქონდა, ქარაგმებით ლაპარაკობდა, ან მწერლების გამოთქმებით, მაგალითად:

— გაიგონეთ, ბატონო ჩემო?

— ვინ ვაგაბრაზათ ქალთა შორის ტურფა ქმნილებავ!

ჰა, ჰა, ჰა... ეცილებოდა გულში, როცა ასეთი გამოთქმის შემდეგ ობიექტს საჭირო პოზას მიიღებდა.

ეჰ, ახირებული კაცი იყო, ახირებული, და წერილებით შეუყვარდა ქალი, შეუყვარდა პირველად და უკანასკნელად. შეუყვარდა ისე, როგორც კლასიკოსები სწერენ პირველ სიყვარულზე.

ზმანების ამ მიჯნაზე დაიწყო ომი.

რიგში იდგა, ელოდა გამგზავრებას, საღამოს ხუთ საათზე, განათავისუფლეს და უთხრეს, მასთან ერთად ბევრ სხვასაც, რაიონს იქით ფეხი არ გადაედგათ, გამომძიებისთანავე მზად იყავით, წინააღმდეგ შემთხვევაში ტრიბუნალს ასვენეს.

იმ წუთსავე გამოექანა სატრფოსაკენ, პირდაპირ კომისარიატიდან.

გზაზე ფიქრობდა და იტანჯებოდა, უკანასკნელად ხომ არ ნახულობს ნათელას, ამაღამვე რომ დაიძახონ, რა ეშველება. რაც უნდა მოხდეს, უნდა ნა-



ხოს, განა ის არაა, სამი დღეა რომ იცდის სადგურში, თუნდაც ამ წუთშიც კი ხვრტიონ, მიდის მასთან, ნახავს, ატირდება, დაემშვიდობება და დახვრტიონ თუნდაც — იმავ წუთს. დეე! შეეწიროს ყველაფერი სიყვარულს, იგი ღირსია ამისა, — მშვენიერია სიყვარულისათვის სიკვდილი, ბედნიერებაა სატრფოსათვის სიკვდილი.

* * *

ყურდაჭრილი ნაგაზი მისდევს საყვარელი პატრონის კვალს, იტყირება წინ, ჩრდილოეთისაკენ და მიძუნძულებს კულდაშეგებული.

1941 წელი.



მამა

(ნოველა)

თხრილში ფეხმორთხმული იჯდა ოცდაერთი წლის შავთმიანი ჭაბუკი. თხრილი მიემართებოდა შორს, დასავლეთისაკენ. თხრილის გაღაღმა, არყის, მუხის, ფიჭვისა და ნაძვის შერეული ტყე იყო. ტყეში შიგადაშიგ გადატეხილი, მოთხრილი ხეები, გატყავებული, გვერდგარუჯული, თითქო. მენი დაცემილი.

ზევით, ხეებისა და ბალახების კუნკულოებს ზემოთ, ტყვიისფერი ცა—ქუფრი, დაბლა დაწეული, როგორც თოვის დაწეების წინ იცის. ტყეში ჩამიჩუმი არ ისმოდა, არც ფრინველის ფრთის ხმა, არც გარეული მხეცის შლიგინი. ზოგჯერ, ეს ხდებოდა ხუთ ან ათ წუთში ერთხელ, მიწა ირხეოდა, თხრილის ნაპირებიდან ბელტები ცვივოდა, წვრილი, დაფშვნილი ბელტი და ქარი მოქროდა, საიდან — არავინ იცის. ქარი დაჰქროლებდა უცებ, თან მოჰქონდა შორეული გუგუნნი, ნგრევის ხმა.

საღამო იყო, უზარმაზარ ველზე დამხობილი ცა თანდათან დაბლა იწევდა, ჰორიზონტი ვიწროვდებოდა.

მამაი, თხრილიდან ამოსვლას ვერ ბედავდა... ელოდა ღამეს, თხრილში იყვნენ ადამიანები, ერთი იწეა მამაის გვერდით, ქერათმიანი სახელაქლავა უკრაინელი, ხელში გრანატა ეჭირა, მეორე ზურგით მიყრდნობოდა თხრილის კედელს ისე, რომ სახე მამისაკენ ჰქონდა. ცალი თვალი მოეხუჭა, ხოლო ცალი გაღებული თვალით დაქინებით იტყირებოდა სამხრეთისაკენ... სხვები იწვენენ პირდაპირ თხრილის ძირში, ან ნაპირებზე, თხრილში ბლომად ეყარა ცარიელი გილზები, კარდონის ყლიანი პისტოლეტები. შავი ტუჩფართე ნაღმსატყორცნი, სამფეხზე მდგარი, დამტვრეული შაშხანები და რკინის ქუდები, ქუდი ზოგი გახვრტილი იყო, ზოგი არა.

მამაის გარშემო ნივთები და ადამიანები არ გრძნობდნენ ღამეს, არც სიცოცხესა და შიშს. იმათ დაასრულეს ეს სამარცხვინო განცდა, დამორჩილეს ყოველივე ამქვეყნიური. იჯდა მამაი, თავზე არ ეხურა ქუდი, ფეხმორთხმული იჯდა, როგორც სახლში იცოდა ჯდომა საჭმლის ჭამის დროს. არ იხედებოდა

ირგვლივ, არ ამჩნევდა მის გარშემო არაფერს. დაღამდა, ყინვამ უფრო დაეძვრა. მუხლზემთ ბარკალში წვა იგრძნო, პირდაპირ გულზე დაეკა. შეცივდა, შეაჯრყოლა, შეინძრა, მხოლოდ მკერდით. მისი მოქნილი წელი შეიჩხა მარტო, წელქვევით თითქო მიწიდან იყო ამოზრდილი.

ერთბაშად გაქრა ყველაფერი, ბურუსიდან გამოერკვა, ირგვლივ არაფერი ჩანდა, საკუთარ ხელსაც ვერ დაინახავდი.

იყო ღამე, სიჩუმე, სიცივე...

და მამაის არ შეეძლო სიარული, არ შეეძლო ადგომა, ფიქრი კიაზიმ ხანუმზე. არ შეეძლო ფიქრი ჭაღარა დედაზე, რომელიც საღამოს ჭიშკარს მოადგებოდა, ხელს მესრის წვერზე შემოდებდა და სულმოუთქმელად იძახოდა — მამაი, მამაი, მამაი!

მამაის მოენატრა დედის ხმა და კიაზიმ ხანუმის ფირუზისფერი თვალები, წვრილი, აკანკალებული თითები, ასე სევდიანად რომ თრთოდნენ ოდესღაც ზურნის თვლებზე.

თავი ჩაღუნა, ამოიოხრა, ამოიკვნესა და სიმღერა გამოვიდა: მღეროდა დიდი უღაბნობის სევდას.

გრძელ მთრთოლავ ჰანგს, უძველეს ბაიათს, თან ყურში ჩახსმოდა, როგორ აქებდნენ დოსტები.

— აი, საღოლ!

— ჩოხ საღოლ! ჯან ბედერუმ!

აიი, აიი. — მოსთქვამდა, იხევეებოდა; მთის წვერზე პატარა კარავია, კარავში მეცხვარე გოგო ზის და მწყემსავს ცხვარსაო, იხევეებოდა: პატარა ქალოო, ხელი მომეცი, შენი ფასი ქვეყნად არავინ არისო.

არ ახსოვს რამდენხანს მღეროდა, სიმღერა შიშის დასაწყისი იყო. გაჩუმდა. სამარისებური სევდა და ცივი ყრყოლა ჩაღვა თბრლიში, კუნთებში.

არ ირხეოდა ფოთოლი, არ იყო სინათლე, მაგრამ მოულოდნელად დაინახა თბრილის ნაპირას მიწოლილი კაცის ცალი ღია თვალი, შეკრთა. — არადაამიანური ძალით ასწია წელი ხელებზე დაყრდნობილმა და უკან გადაიჩინა, რაღაც, რბილს დააჯდა, თითქო ხროტინი მოისმა, ოდნავ, შეუმჩნევლად. ხელი მოაფოთიალა, სისველე შენიშნა, ვიღაცას პირიდან სისხლი გადმოდიოდა, თვითონ კი ამ ვიღაცა კაცის მუცელზე იჯდა.

კიდევ გააჯრყოლა ხერხემალში. ხელები აუკანკალდა. სახესთან მიიტანა მარჯვენა ხელი, პირდაპირ თვალებთან, რას დაინახავდა...

მხეცის ღმულის მსგავსი ხმა ამოხდა პირიდან, ოთხზე დამგარი, მარჯვენა ფეხის თრევით მიფოფხავდა თბრილის აღმოსავლეთისაკენ, მიფოფხავდა ნელა, შიშისა და სიკვდილის გრძნობით, გადადიოდა ადამიანების სხეულებზე, ტყვიამფრქვევებისა და შაშხანების გროვებზე.

იფორთხა, იფორთხა, იფორთხა. ხელებით. თითებით პოტნიდა მიწას, წასწევდა ჯერ მარჯვენა ხელს და მარცხენა ფეხს, მერე მარჯვენა ხელით მიათრევდა გადამტვრეულ ბარკალს, ტკივილს არ გრძნობდა.

ცას სინათლე შეეპარა, გათხელდა ღამის სიშავე, გათხელდა ნელა და მერე ერთბაშად ინათა, როგორც მთაში იცის უცებ დაღამება.

მამაი დააკვირდა გარემოს. პურის ველი იყო წინ, მწიფე, მაღალი პურის ველი, ყანა ატლასის კაბის ფერი... დანამული პური არ ირხეოდა, თავი დაეხარათ დაბლა თავთავებს. ორბი მოფრინავდა სულ დაბლა, პურის თავთავების გასწვრივ. უცებ ჰაერში შებრუნდა, თითქოს თოფი ესროლესო და მძლავრად აიწია.

ეს მამიძე შეაშინა ორბი, პურის ველზე საცალფეხო გზები იყო, როგორც თოვლში გაკვალული ბილიკები, მიწაზე თათების ძალუმი ცემა მოისმა, სულ რაღაც ხუთიოდე წუთის შემდეგ თბილისის პირას გამოვიდა აფთარი, ნელა დაეშვა თბილში მამიძისაკენ. მამიძე იდგა ოთხზე, როგორც ცხოველი. აფთარი მას ვერ ამჩნევდა, ძალიან მიუახლოვდა, მამიძის დაყვირება უნდოდა, ისეთი საზარელი ხმით დაიხმუვლა, აფთარი შედგა, დააკვირდა ამ საოცარ ქმნილებას და უმალ მოუსვა უკან.

მამიძე შეაშინა აფთარი.

მზე ამოვიდა. წითლად ბრწყინავდა აღმოსავლეთი. ქროდა ნელი ბორბო და პურის თავთავები სალამს აძლევდნენ ერთმანეთს, მამიძის, მზეს. ადამიანის ჭკუანება არ იყო არსად.

მამიძის უნდოდა თბილიდან ამოფორთხება. ვერ შეძლო, უნდოდა დაჯდომა, ვერ შეძლო. და დარჩა ასე, ოთხზე დამდგარი, შავი თმა შუბლზე ჩამოშლოდა, თმა სველი იყო სისხლით, სახე ტალახით და სისხლით ჰქონდა მოთხუპნული, ზემო ტუჩი მოკლე ჰქონდა მამიძის, რის გამოც ყოველთვის უჩანდა თეთრი სიმინდის მარცვლის კბილები. თვალის უბეები დალილავებული, დასვრილი, გაზინქული, ტანზე შემოხეული ტანსაცმელი და რუხი პერანგი მოჩანდა ბეჭზე, ასევე რუხი წითელი საცვალი ბარკალზე...

და ეს საოცრება ფიქრობდა კიაზიმ ხანუმზე, რომელიც სუფთა ქვეშაგებში იწვა ახლა იქ, სოფელში, წვრილი თითები საღამური პერანგის გულისპირში ჩაეყო და ფუნჩულა ძუძუს ეალერსებოდა, თითს უცაცუნებდა ძუძუს კვირტებს, ელაციცებოდა.

— კიაზიმ, ადექი! ეძახოდა დედა.

გოგონა ჯიუტობდა, ინახებოდა. ჭრელ საბანში მალავდა შავკულულებიან თავს და ეზარებოდა ადგომა.

მამიძე ფიქრობდა ამას და ტიროდა. მრგვალი, მსხვილი ცრემლები მოწანწკარებდა ღია თვალიდან, ტალახიან სახეზე კვალს ტოვებდა, როგორც გაურეცხავ ფანჯრებზე წვიმა.

მკლავები უძიგძიავებდა მამიძის, ბეჭები უთრთოდა მამიძის, ძალა ელეოდა თანისთან..

— კიაზიმ ხანუმ! კიაზიმ! — ლულულულებდა, თითქოს ლოცულობდა ძვირფას დედოფალზე.

თბილზე მინდვრის ჭრელი გველი ჩამოცოცდა, თავი ასწია, როგორც ქათამა და თვალეში ჩახედა მამიძის. გველს ცივი, ღრმა, უწამწამო თვალეში ჰქონდა, მამიძის თბილი, ნაღვლიანი, გრძელწამწამებიანი თვალეში.

გველი უფრო ახლო მიცოცდა. მამიძე არ გრძნობდა შიშს, არ აფახულებდა გრძელ შავ წამწამებს.

გველმა უფრო ზეაწია ყელი, ჭრელი მოღერილი ყელი, შეარხია ოდნავ და..

— კიაზიმ ხანუმ! — არაადამიანური ხმით დაიკვილა მამიძე. ქალი იღიმებოდა, ჩუმი შემპარავი ღიმილით, არხევდა ჭრელ გულისპირს, არხევდა მალაყელს, და ნელნელა იხევდა უკან. მამიძე ადგა, ცალი ფეხი, მოცელილი ცალი ფეხი ისევ მიწაზე იდო ნახევრად დაკვარჩხული თითებით. სივრცე მოპოტნა და დეცა. — კიაზიმ! — ჩურჩულდნენ მიწას მიკრული ტუჩები.



შვიროს ხალხები

მუჭაჯირი

მე შენზე დარდმა გამაჭაღარა,
შენი ტრფიალი ვერსად ჩავკალი,
თუმცა დაგტოვე, ჩემო აჭარავ,
და მოგიშალე ჩემი სახლ-კარი.
როცა ნაცნობი მომწედა ნათელი
და კაცი თავის მოძმეს ელოდა,
კვლავ დამაბნელეს და, მე — ქართველი
შორს გადავარდი საქართველოდან.
ბედმა ლავამი იმგვარად მომდო,
რომ მომატყუა მტერმა ერთხელაც...
ნეტავ იმ ბაგეს, წყურვილის დროს რომ
მაგ შენი წყაროს კენჭებს ემთხვევა.
მე — მუჭაჯირმა უცხო მიწაზე
ვეძებე სარჩო და სახურავი,
შინ დამრჩა კაცი მჰადით პირსავსე,
მე კი მშიერმა ვზიდე ყურანი.
მე შემაშინეს ჩემი მშობელით,
ობლობამ ცივი ხელი დამადო.
მქონდა კერია, ეზო, სოფელი
და გავხდი კაცი უმისამართო.
მაგრამ, ძვირფასო, თუ კი მიშველი,
კარგად იცოდე, — მე ისევ აქ ვარ.
შიშველ სილაზე ფეხი შიშველი
კვალს ტოვებს ქართულ ანბანის მაგვარს.
მე შენზე დარდმა გამაჭაღარა,
ვგრძნობ შენი სისხლი ჩემი სისხლია.
მიტომ მრცხვენთან მარჩენს ნარჩენი,
სუფრიდან გარეთ რომ გაისვრიან.
მაგრამ მე სულით არ დავეშვები,
როგორ ვიარო ვიცი...

კი ვივლი,
რომ შენ მოგხვო ჩემი ხელები
და მოვირჩინო შენთან ტკივილი.

შემოდგომაზე გავგახსენდება

მირბის მანქანა, ქარივით მირბის,
 უწყვეტ ნაკვალევს ტოვებს გორებზე,
 ბალახები კი შემდეგ გზის რბილ-რბილ
 ტალახებიდან წელს ისწორებენ.
 ვუახლოვდები ბუხრიან ოდას,
 ყორეზე ყივის შავი მამალი.
 მე ნალიასთან ვიყნოსე ცოტა
 ფიჩხების კვამლი, როგორც წამალი.
 კვლავ მომეხვია მოხუცი დედა,
 კვლავ მომიტანა ღაზლის წინდები,
 მე კი დარცხენილ თვალებით ვხედავ,—
 კაბა აცვია შარშანწინდელი-
 შვილებმა ვიცით მშობლების ქება,
 როცა ხელთაა სავსე თასები,
 მაგრამ ხანდახან არც გავგეგება
 ნამდვილი ფასი ამ დაფასების.
 ხელცარიელი შევადებთ კარებს,
 გარეთ გავათრევთ მიძიმე კალათებს,
 დედას ვუტოვებთ მოწყენილ თვალებს,
 ჩვენს თავთან თეთრად ღამეგანათევს.
 წავალთ, გავგართობს შეხედრა სულ სხვა,
 ვითომდა ლუკმა ცით გვეძლეოდეს...
 და ძმა-ბიჭებთან სუფრაზე უხვად
 დავაწყობთ ახალ სადღეგრძელოებს.
 ის კი — მშობელი, სოფელს რომ უვლის
 და ჩვენი ნახვის ნატვრით ბერდება,
 შემოდგომაზე, ყურძნების წურვის
 დროს ხელმეორედ გავგახსენდება.

მ შ ო ბ ე ლ ი

წამოუხურავს ეზოს ხეხილი
 და ისე ტკბილი არის საღამო,
 რომ აღარ გინდა გულგაღვლილმა
 დაღლილი მუხლი ჯდომით დაღალო.
 თითქოს ამ ჯდომით კარგავ რაღაცას
 აღუდგენელს და საგულდაგულოს,
 ისევ გაღიხარ გარეთ ჭადარა
 და მისდევ ხეებს შენივ დარგულებს.
 გაიამებს ფეხებს მიწის სიგრილე
 და ნანობ, რომ ის წელი სამოცი,

ამ დალოცვილი გზებით სირბილში
 გავიცვდა, როგორც ტანისამოსი.
 მაგრამ ბავშვობას მაინც ივიწყებ,—
 ცივია მისი დილა ფერშავი...
 მაშინ შიშველი იდექ ბილიკზე
 და უბატრონო მხოლოდ დილის მზეს
 ხედებოდი ახალცრემლებშემშრალი.
 ბავშვობას აკლდა ყველა მშვენება,—
 წლებმა მწუხარე წვიმა გაწვიმეს,—
 და აღარ გინდა მიწი ხსენება,
 რადგან სიბერე ჰვავს სიყმაწვილეს.



ნოქა ნახია

ლ ე ნ ი ნ ი

ჩვენ ლენინმა რომ დაგვისახა, —
 მივდივართ იმ გზით,
 მივდივართ რწმენით,
 ნათელი მიზნით;
 და კომუნიზმის
 პაერით ვსუნთქავთ.
 ვიციტ ხალხისთვის
 არ არსებობს შეუძლებელი;
 ჩვენ ავაშენოთ კომუნიზმი
 და ლენინს ვუთხრათ:
 — შეხედე ლენინ!
 იგი ცოცხლობდა,
 მე, არც ვიყავ ამ ქვეყნად როცა;
 იგი კვლავ ცოცხლობს,
 ჭაბუკი ვარ როდესაც ახლა.
 იგი იცოცხლებს...
 კომუნიზმის დიდ ზუროთმომდევარს
 მარადიული ნათელი ახლავს.
 მე, ჭაბუკი ვარ და მიტაცებს ოჯახზე ფიქრი
 და მჯერა როცა მეყოლება შვილებიც მერე...
 შემოვა იგი ჩემს ოჯახში ღიმილით თბილით
 და ჩემს პატარებს თავზე ზრუნვით გადუსვამს ხელებს.
 დღეს ამართული ხარაჩონი
 ზეცას სწვდებიან,
 საცაა მივალთ კომუნიზმის
 გაღებულ კართან,
 ახლა სიცოცხლის და შენების
 დიდი წლებია;
 ბრიალებს ცაში მზისფერ დროშის
 ფერადი კალთა;
 საგალობელი გულში ველარ დაგვიმწყვდევია —
 ისმის სიმღერა ვაჟთა და ქალთა.
 იქნება ვრცელი კომუნიზმის გადასახედი,
 და კიდევ უფრო ამაღლდება მისი სახელი.

ჩვენ ლენინმა რომ დაგვისახა
მივდივართ იმ გზით,
მივდივართ რწმენით,
ნათელი მიზნით
და კომუნისმის ჰაერით ვსუნთქავთ...

ის მე ვარ ცოტნი!

... და გესეოდნენ აურაცხელნი,
ჭილყვაევივით აურაცხელნი,
ჩამოძონძილნი, დაუვარცხნელნი,
და იმ ველურებს და ურა ცხენებს
ფლოქვით გაჰქონდათ ჩვილთა აკვნები.

და მოაღწიე მაინც აქამდე
მიწის პირიდან შენ ვერ აღგავეს,
ამა ქვეყნიდან თვითონ განქარდნენ,
შენი მზე მაინც ვერ დააბნელეს,
შენი ცა მაინც ვერ დააღამეს
და მოაღწიე მაინც აქამდე.

შენი წარსული სისხლის ტბორია,
მაგრამ ჩაენგრა გულის ფიცარი,
ვისაც ეწადა შენი დანგრევა...
მე თვით მოვესწარ იმ ისტორიას,
გადავარჩინა მერე განგებამ
და რომ დაგხედე ველარ გიცანი.

მტერმა ვერ დაგწვა, ვერ დაგაწვინა,
მაინც აშენდი, მაინც აშენდი...
შენ წინაპართა ცრემლი გაწვიმდა
და დავაყკადი იმ სიმლაშეთი.
მტერმა ვერ დაგცა, ვერ დაგაწვინა
მაინც აშენდი, მაინც აშენდი.

ალბათ საფლავი თუ მეცოტავა
და უშენობით ველარ გავქელი,
ეს მე ვარ ცოტნი, გესმის ცოტნი ვარ
შენი სიცოცხლის ერთი დამცველი
მოველ საფლავი მეც მეცოტავა;
და უშენობით მეც ვერ გავქელი!



30 მო-ქო

ქსია ის სკდა

გაუთავებლად უჩიოდა ბედს ცხია ი¹, მას შემდეგ, რაც სასახლის გადაყრუებულმა დიდებულებმა შურით ცილი დასწამეს ხანის იმპერატორ ვენ-დის-თან² და ჩანშაში გადაასახლეს ვანის აღმზრდელის თანამდებობაზე. ამ მარცხის შემდეგ ბუნებით ისედაც სუსტი ჯანმრთელობის ცხია ი სრულიად აღარ უფრთხილდებოდა თავს.

ქალაქი ჭაობიან ადგილას იყო გაშენებული. ნოტიო ჰავა ტუბერკულოზის განვითარებას უწყობდა ხელს. ტუბერკულოზის ჩხირებმა, რომლებსაც უკვე კარგა ხანი იყო დაესადგურებინათ ცხია ის ფილტვებში, დაუნდობელ დიდებულებთან ერთად შეუტყეს.

ცხია ი გრძნობდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა. მას უკვე ოთხი წელიწადი ტანჯავდა სენი. დღითიღე ზღებოდა და ილეოდა. საღამოობით პატარა სიციხეს აძლევდა, ღამე კი ცივ ოფლს ასხამდა. ეს ყველაფერი უორკეცებდა დარდს. ცხია ის კარგად ესმოდა, რომ სასახლის დიდებულებთან ბრძოლაში მარცხი განიცადა. ხშირად აღძვრია სურვილი, თავი დაედღრჩო მდინარე სიანში³ — აქ ისე მოიქცა ციუი იუანი, რომელსაც თავის სულიერ მოძღვრად თვლიდა.

ხანის იმპერატორის ვენ-დის მმართველობის მერვე წელს, ზაფხულში, როცა ცხია ი უკვე ხუთი წლის განდევნილი იყო, ცაზე კომეტა გამოჩნდა. ყველა ცრუმორწმუნე შიშმა შეიპყრო. ამბობდნენ, კომეტის გამოჩენა ისეთივე დიდი შფოთვის მაუწყებელია, ამ 20—30 წლის წინათ რომ მოხდა, როცა ლიუ ბანი⁴ და სიან იუი⁴ ერთმანეთს შეებნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის. თვით ვენ-დიც კი საგონებელში ჩავარდა.

¹ ცხია ი (II ს. ჩვ. წ. აღ-მდე) — თელსაჩინო პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე. მის შემოქმედებას ციუი იუანის შესამჩნევი გავლენა ატყვია. ცხია ი ავტორია ცნობილი ოდისა, „ტირილი ციუი იუანის გამო“.

² ვენ-დი (179—158 წ.წ. ჩვ. წ. აღ-მდე) — ხანის დინასტიის იმპერატორი.

³ ლიუ ბანი — ერთ-ერთი ბელადი გლეხთა აჯანყებისა, რომელმაც ცინის იმპერია დაამხო. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ლიუ ბანმა ძალაუფლება ჩაიგდო ხელში და დააარსა ხანის დინასტია. ისტორიაში გაო-ცხუს სახელითაა ცნობილი. მართავდა 206 წლიდან 195 წლამდე (ჩვ. წ. აღ-მდე).

⁴ სიან იუი — მხედართმთავარი და ჩუს სამთავროს ფაქტიური მმართველი. ლიუ ბანის მეტოქე ძალაუფ. ბრძოლაში. ჩვ. წ. აღ-მდე 202 წელს ლიუ ბანმა მოახერხა ვანისთან სიან იუს ლაშქრის განადგურება. თვით სიან იუი ამ ბრძოლაში დაიღუპა.



სწორედ ამ დროს ცხია ი დედაქალაქ სიანიანში ჩამოვიდა — იგი ახლად ჩანას ვანს, რომელიც მეფეს ეახლა სასახლეში. ვენ-დის უცბად მოაგონდა ცხია ი. გადაწყვიტა მიეპატიებინა სასახლეში და ეკითხა, რას ფიქრობ კომეტას გამოჩენის შესახებო.

იმპერატორის ამ გადაწყვეტილებას ველარაფერი შეუშლიდა ხელს, რადგან იმ მოხუცთა უმეტესობა, რომლებსაც ცხია ი სძულდათ, საქაოს გამოეთხოვნენ. გუან ინი სენმა შეიწირა, ჩყოუ ბომ საპყრობილეში დაასრულა სიცოცხლე. ფან ცხინი საიდუმლოდ მოკლეს. გარდა ამისა მას შემდეგ, რაც ცხია ი გადაასახლეს, მისი ბედი აღარავის შურდა.

ერთ საღამოს, როცა ცაზე რამდენიმე კომეტა გამოჩნდა, ვენ-დომ ცხია ი მისაღებ დარბაზში იხმო. ცხია ის და იმპერატორს გარდა დარბაზში მხოლოდ ერთი კაცი იყო — პირველი მინისტრი ჩჟან ცანი.

როგორც რაციონალისტი და სიუნ-ცხის¹ მოძღვრების თავგამოდებული მიმდევარი, ცხია ი უარყოფდა სულების არსებობას და სასწაულები არ წამდამან დაურიდებლად და გულახდილად გაუზიარა ვენ-დის თავისი შეხედულებანი.

— კომეტები საშიში არ არის, — ამბობდა იგი. — მხოლოდ და მხოლოდ ბუნების იშვიათი მოვლენებია. კომეტების გამოჩენამ შეიძლება გაკვირება გამოიწვიოს, მაგრამ შიში — არავითარ შემთხვევაში, რადგან მათ არავითარი კავშირი არა აქვთ ადამიანებთან და მათ საქმიანობასთან. მათ არ შეუძლიათ გამოიწვიონ არც უბედურება და არც ბედნიერება. გაცემა შიშს იწვევს, ვერაგი და გაიძვება ადამიანები კი ამას თავიანთი ბნელი ზრახვების განსახორციელებლად იყენებენ. ამრიგად გამოდის, რომ კომეტებსა და ადამიანების ბედობას შორის მართლაც არსებობს მჭიდრო კავშირი, რადგან უგუნურება ბრმად იმეორებენ ყველაფერს, რასაც მათ ჩასძახიან, და ნამდვილად შეუძლიათ დიდი შფოთვის ატეხა. ადამიანს, რომლის ხელშიც არის ძალაუფლება, ასეთ დროს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს; რასაკვირველია, აუცილებელია ხალხის განათლება, ადამიანების გონებრივ განვითარებაზე ზრუნვა, მაგრამ აქ საქმეში აჩქარება მიზანშეწონილი არ არის. პირველყოვლისა ახლებურად უნდა იქნას ახსნილი ის, რაც ხალხისათვის უკვე ცნობილია. ასე, მაგალითად, კომეტას ცოცხის ფორმა აქვს და ამიტომ კომეტის გამოჩენისას, ყოველგვარი ძველი თქმულებების საწინააღმდეგოდ, საჭიროა იმის თქმა, რომ ზეცათა მეუფემ ცოცხი მოიმარჯვა ცისქვეშეთიდან სიავის, ბიწიერების, ფათერაკისა და უბედურების გამოსახვეტად. თუ ასეთ რამეს ეტყვი ხალხს, დამოუკიდებელ აზროვნების უნარსმოკლებულნი სიმშვიდეს ჰპოვებენ, გაიძვრებენ კი ვერაგული ზრახვების განხორციელება გაუძნელდებათ.

ცხია ი ამ მსჯელობის დროს, რა თქმა უნდა, სიუნ ცხის აზრებს იმეორებდა წიგნიდან „ცის შესახებ“, მაგრამ ვენ-დისათვის ყველაფერი ეს ახალი და უჩვეულო იყო. ძნელია იმის აღწერა, როგორ გაეხარდა იმპერატორს. ცოტა ხნის შემდეგ, სხვა ზეციური სასწაულების არსის შესახებაც გამოჰკითხა. საუბარმა შუალამდე გასტანა.

ცხია ის გადაავიწყდა სენი, ღელვისაგან გული უთრთოდა. სმენად ქცეულმა ვენ-დომ რამდენჯერმე მიაჩოჩა ცხია ისკენ თავისი ჭილოფი, სანამ მის მუხლებთან არ აღმოჩნდა.

¹ სიუნ-ცხი (298 — 238 წ.წ. ჩვ. წ. აღ-მდე) — ჩინელი ფილოსოფოსი, კონფუციის მიმდევარი. სიუნ-ცხის ფილოსოფიაში მატერიალიზმის ელემენტები გვხვდება.

პირველი მინისტრი, ჩიან ცანი, თავად იყო გატაცებული ზეციურად დასაწვად წაულებს შესწავლით და ცხია ის სიტყვები კომეტის გამოჩენის ახლებურად ახსნას შესახებ თავის თავზე მიიღო. ამასთან ჩიან ცანმა შეამჩნია, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ცხია ის ნალაპარაკებმა ვენ-დიზე და ივრძნო, მდგომარეობა და ძლევამოსილება შემერყაო. მაგრამ შემფოთება არ გამოუმდგინებია.

უკვე სამჯერ შეიქმნა საჭირო დარბაზში მდგარი წყლის საათის გადამრუნება. ჩიან ცანმა გარეგნულად სავსებით აღუფოთებლად წარმოთქვა:

— ჩემის აზრით ცხია ი სწორია: ძველი მოვლენა საჭიროა ახლებურად განიმარტოს, და ვფიქრობ, მისი რჩევა ყურადსაღებია. თქვენი მეფური ბრძანებულებით ახალი განმარტება ხვალვე უნდა გავრცელდეს მთელს ქვეყანაში. მაგრამ უკვე გვიანაა, ბატონი ცხია ი კი ვერ არის ჯანზე, ამიტომ ზედმეტად ნუ დაღლით, მბრძანებლო.

ჩიან ცანის სიტყვებმა ვენ-დის სტუმრის ავადმყოფობა მოაგონეს. მან შეხედა ცხია ის გაფითრებულ, თითქოს სანთლისგან გამოძერწილ სახეს და ავადმყოფურად ანოებულ თვალებს.

— მართალია, — თქვა მან, თითქოს ჩიან ცანის სიტყვებზე პასუხობდა, — ჯანმრთელობა ძველებური აღარა გაქვს, ძვირფასო ცხია. ახლა წადი, დაისვენე. ხვალ საღამოთი კი განვაგრძობ ჩვენი საუბარი.

ცხია იმ დარბაზი დატოვა.

სტუმრის წასვლის შემდეგ ვენ-დომ გულახდილად გაუზიარა ჩიან ცანს თავისი აზრი ცხია ის შესახებ.

— რაც არ უნდა იყოს, ცხია ი დიდად ნიჭიერი ადამიანია, — თქვა მან, — დიდი ხანია არ მინახავს და დარწმუნებული ვიყავი, ჩემთან რაღას მოვა მისი ცოდნა-მეთქი, მაგრამ დღეს, როცა ვუსმენდი, დავრწმუნდი, რომ ვერც ერთი ჩვენი თანამედროვე ვერ შეედრება.

— დიახ, დიახ, დიახ, — კვერს უკრავდა იმპერატორს ჩიან ცანი, — ბატონი ცხია ი გენიოსია, მაგის მსგავსს მთელ მსოფლიოში ვერ ნახავთ. ასეთი ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი ძლიერ განსხვავდება უბრალო ადამიანებისაგან, ამიტომაც ბევრმა ვერ გაუგო და შურდათ მისი. მახსოვს მის მიერ ჩანშაში დაწერილი „ტირილი ციუი იუანის გამო“. ისეთი შესანიშნავი ლექსია, გეგონებათ, ციუი იუანი აღმღგარა მკვდრეთით და იმას დაუწერიაო. ამ ოდაში ასეთი სიტყვებია:

ვაი, ვაი რომ უბედობის ჟამს
ცად ეკრძალება ფრენა ფენიქსებს
და მიკოტნი დანავარდობენ.

ეს სტრიქონები აშკარად ციუი იუანის ეპოქას გამოხატავენ, მაგრამ მოშურნეებს ეს არ ესმით. ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ეს თემა ცხია იმ მხოლოდ იმიტომ გამოიყენა, რომ ცილი დასწამოს ახლანდელ საიმპერატორო კარს; ამბობენ, თავის თავს ადარებს ციუი იუანს, თქვენ კი ჩუელ სიან ვანსო. აი რატომა ჰყავს ასე ცოტა მომხრე. კიდევ რამდენიმე წელი რომ შეეკავებინა თავი, დამსახურებულ დიდებას მოიპოვებდა. რაც არ უნდა იყოს, დიდ იმედებს იძლევა.

ასე დასწამა ცილი ცხია ის კიდევ ერთმა მოხუცმა.

ცხია ის რჩევა მიიღეს. მისი მდგომარეობაც შეიცვალა: ჩანშას ვანის აღმზრდელის თანამდებობიდან ლიანის ვანის აღმზრდელად გადაიყვანეს. თუმცა



ფორმალურად ცხია ი და ჩანშას ვანის აღმზრდელი თანაბარი უფლებების სარგებლობდნენ, მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის ამბავი, რომ ლიანის ვანი ვენ-დის ყველაზე საყვარელი უმცროსი შვილი იყო, თანაც დედაქალაქისაგან ლიანი გაცილებით უფრო მცირე მანძილით იყო დაცილებული, ვიდრე ჩანშა. ამრიგად ცხია ის ლიანში გადაყვანა საგრძნობ დაწინაურებას ნიშნავდა. ამიტომაც ცხია ი შედარებით უკეთეს გუნებაზე იყო.

ჩუან ცანის სიტყვები ვენ-დომ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო, მან მართლაც გადაწყვიტა კარგი მდგომარეობა შეექმნა ცხია ისთვის, ხელი შეეწყო დიდების მოპოვებაში, შემდეგ კი პირველი მინისტრის მონაცველდ გახდა. ლიანის ვანის დამრიგებლად დანიშნვის შემდეგ ვენ-დი ხშირად უხმობდა მას სასაუბროდ. გულმართალ ცხია ის იმპერატორთან ძველებურად თავისუფლად ეჭირა თავი, ყოველთვის პირდაპირი და გულახდილი იყო. მისი ცნობილი თხზულება „მართვის საქმეების შესახებ“, რომელიც ათი ათას სიტყვას შეიცავდა და დღესაც, ორი ათასი წლის შემდეგაც, არ დაუკარგავს სიმახვილე, ხელისუფალთ ეკალივით ესობოდათ თვალში. სხვები სამსახურში დაწინაურების დროს მღეროდნენ და ცეკვავდნენ ხოლმე, ცხია ი კი ყოველთვის რამეს „უჩიოდა“, „ღვრიდა ცრემლებს“, „ოხრავდა“. ამიტომაც ხმები დაუყარეს, სულთ ავადმყოფიყო. ცხია ის მოწინააღმდეგეები მოუთმენლობისგან ხელებს ისრესდნენ და შესაფერ დროს ელოდნენ, რომ გადამწყვეტ შეტევაზე გადასულიყვნენ მის წინააღმდეგ.

თუმცა დღევანდელ ჩინეთს იმდროინდელისაგან ორი ათას წელზე მეტი აშორებს, ქვეყნის მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა. შიდა ჩინეთი წარმოადგენდა ფეოდალიზმის დასაყრდენს, ცალკეული სამთავროების მმართველები, რომლებსაც მრავალრიცხოვანი ჯარები ჰყავდათ, განუწყვეტლივ ებრძოდნენ ერთმანეთს, ზოგჯერ კი მეფის ძალაუფლების ჩაგდებასაც კი ლაშობდნენ. არც ქვეყნის საზღვრებს გარეთ იყო უკეთესი მდგომარეობა. დღევანდელი გუანდუხის პროვინციის ტერიტორიაზე მდებარე სამთავრო ნაწილად ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული ჩინეთთან, ჩრდილოეთიდან ჩინეთს ემუქრებოდნენ ჰუნები. რომლებსაც იმხანად ისე თავხედურად ეჭირათ თავი, თითქოს შეეძლოთ რა წუთშიც მოესურვებოდათ, მაშინ გადაეყლაპათ ჩინეთი. როგორცაც ხანმა გოცხუმ სამას ოცათასიანი ჯარით გაილაშქრა ჰუნების წინააღმდეგ, მაგრამ საქმე ისე შეტრიალდა, რომ კინაღამ თვითონვე არ ჩავარდა ტყვედ. იმ დროიდან ხანთა საიმპერატორო კარი ველარ ბედავდა ჰუნებთან მტრობას და მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად ხარკის სახით უგზავნიდა ჰუნებსა და ქალიშვილებს, იასპს და ძოწეულს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ როცა ლიუი-ხოუ¹ თავი დედოფლად გამოაცხადა, ჰუნების ხანმა მოღუპ გამოუგზავნა შეურაცხმყოფელი წერილი, რომელშიაც ვერთხოვდა, საყვარლად უნდა გამისდლო. ლიუ-ხოუ ისე დაიბნა, რომ უკეთესი მოთხვევა მოიფიქრა და საპასუხო წერილში პატიება თხოვა: აქაოდა მოხუცი და უღამაზო ვარო და დიადი ხანის ტანის ქვედა ნაწილის წაბილწვა მეუხერხულებაო. წერილთან ერთად დედოფალმა ხანს საჩუქრებიც გაუგზავნა. ვენ-დის მმართველობის ხანაში მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. კარის დიდებული ჩუენსინ იუე, რომელიც ვენ-დომ გაუგზავნა ჰუნების ხანს — დავმოყვრდეთო, მოღალატე აღმოჩნდა: ჩრდილოეთის საზღვარს

¹ ლიუი-ხოუ — ხანის დინასტიის დამაარსებლის გოცხუს მეუღლე. 187 წლიდან ჩვენ წ. აღმდე, იმპერატორ ხუეი-დას გარდაცვალების შემდეგ, იყო რეგენტი და თითქმის რვა წლის მანძილზე მართავდა ქვეყანას ტახტის მემკვიდრის მცირეწლოვანობის გამო.



რომ მიიღწია, ჰუნების მხარეს გადავიდა და დააჯერა ისინი, უარი თქვით ვენ-დის წინადადებაზე.

ერთხელ თვითონ ვენ-დის გადაწყვიტა ჰუნებზე გალაშქრება. ტაიუ-იანში ჩავიდა, იქ რამდენიმე დღე დაჰყო და უტბად შეატყობინეს, ცხიბე-ის ვანმა ამბოხება ატეხა, რათა დედაქალაქში დაბრუნების საშუალება მოგისპოსო. ვენ-დი იძულებული გახდა აღარ დაეღაშქრა ჰუნები და ცხიბე-ის ვანის ამბოხების ჩასაქრობად დაბრუნებულიყო. რასაკვირველია. ის მხედართმთავრები, რომლებმაც ამ საქმეში თავი გამოიჩინეს, დააჯილდოეს და წაახალისეს.

ერთი სიტყვით, ჩინელები, რომლებსაც გარედან ძლიერი მტერი ემუქრებოდა, ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას უნდებოდნენ, ამ დროს კი კარის ზოგიერთი მაღალი წოდების დიდებული ნემსის ყუნწში ძვებოდა, რომ დაემტკიცებინა, ჩინეთში მშვიდობა და სიამტკბილობა მეფობსო.

განა ასეთი მდგომარეობა ცრემლს არ მოგვრიდა პატიოსან ადამიანს?

თუმცა ცხია იმ ბევრი ცრემლი დაღვარა და ჯანზეც ძალზე სუსტად იყო, მაგრამ სულით არ დაცემულა. მისი თხზულების ერთ განყოფილებაში, რომლის სათაურია — „შეიძლება გახდეს ნამდვილი მოზარე“, არის შემდეგი სიტყვები, რომლებიც ჰუნებს შეეხება:

„მე მიმაჩნია, რომ ჰუნების სამფლობელო მხოლოდ და მხოლოდ ხანის სახელმწიფოს მახრია. უნდა რცხვენოდეთ დიდებულებს, რომლებიც უფლებას აძლევენ ერთ მახრას შიშის ზარს სცემდეს მთელ ქვეყანას. მიკვირს რატომ არ უნდა ხელმწიფეს ვასალური სახელმწიფოს მმართველად დამნიშნოს, რათა ჰუნებზე გავიმარჯვოთ? ჩემი გეგმის განხორციელების შემთხვევაში შეგვეძლება ყელში ეწვდეთ ხანს და ჩვენ ნებაზე ვახტუნოთ, შეგვეძლება დავაჩოქოთ ჩუენსინ იფე და გემოზე გავჯოხოთ. ამის შემდეგ ჰუნები მეფის ყოველ ბრძანებას დაემორჩილებიან“.

ეს სტრიქონები შეიძლება მივაკუთვნოთ „თავდაცვითი ლიტერატურის“ ყველაზე ადრეულ ნიმუშებს, მაგრამ იმ ხანებში უტყუნურები მხოლოდ ხითხითებდნენ ცხია ის სიტყვებზე: სულით ავადმყოფის მონაჭორია, პოეტის ბოდვააო.

რასაკვირველია, ცხია ი არც სულით ავადმყოფი იყო და არც „ბოდვების“ შემთხვეული „პოეტი“, პირიქით, მას ყოველი წვრილმანი კარგად ჰქონდა მოსაზრებელი და აწონილ-დაწონილი.

ამაში დაგრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ, როგორ წვრთნიდა იგი ლიანის ვანს. ლიანის ვანი პატარობიდანვე გატაცებული იყო წიგნების კითხვით, მაგრამ ცხია ი არ აძლევდა ნებას, რომ მართა წიგნებში ყოფილიყო თავჩარგული, იგი აიძულებდა მას ცხენოსნობა და მშვილდოსნობა ესწავლა. თუმცა საკუთარ ჯანმრთელობას ვნებას აყენებდა, იგი მაინც ვანთან ერთად ოსტატდებოდა სამხედრო ხელოვნებაში. ცხია ის ნათელი მიზანი ჰქონდა — იგი იმედოვნებდა, ცოდნასა და სამხედრო საქმეს დაუფლებული ლიანის ვანი შემდგომში შესძლებს გარეშე მტრების მოგერიებას და წესრიგის დამყარებას ჩინეთშიო.

მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ისეთი კეთილი და შესანიშნავი ადამიანი, როგორც ცხია ი იყო, საბოლოოდ საშინელი ტრაგედიის მთავარი მოქმედი პირი გახდებოდა?

ლიანის სამთავროში ჩამოსვლის თითქმის მეოთხე წელს, იმპერატორ ვენ-დის მმართველობის მეთერთმეტე წელს, ცხია ი ლიანის ვანთან ერთად სასახლისაკენ გაემართა. დედაქალაქამდე მთელი გზა ცხენებით გაიარეს, როცა ლიანის კედლებს მიუახლოვდნენ, ლიანის ვანმა, რომელიც სწორედ იმ ხა-



ნებში გახდა სრულწლოვანი, გაიფიქრა, მოდი ერთი ხალხს ვუჩვენებ, როგორ ცხენოსანი ვარო, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გააჰენა ცხენი. საუბედუროდ სიანიანის ხიდზე ცხენს ფეხი დაუცდა, ლიანის ვანი უნაგირიდან გადმოვარდა. თავის ქალა გაუტყდა და იმ წამსვე განუტევა სული.

ცხია იმ საკუთარი თვალით ნახა ეს საშინელება.

ლიანის ვანის სიკვდილმა, რაც ყველა მისი ოცნების გაცრუებას მოასწავებდა, ისეთი თავზარი დასცა, რომ ყელიდან სისხლი წასკდა და ჰლექმა კიდე უფრო მეტად დარია ხელი.

ბოროტი მოხუცები სიხარულით ცას ეწივნენ, ახლა კი დადგა დრო გადამწყვეტი შეტევისაო. ავადმყოფ ცხია ის საშინელი ბრალდებები წაუყენა.

— ახალგაზრდა და გამოუცდელი. სულით ავადმყოფობამ კი წონასწორობა დააკარგვინა.

— იგი სწორად არ ზრდიდა ეანს. თუ კაცს მეცნიერება სურს, სამხედრო საქმე რაღა საჭიროა! თუ მდიდარი მშობლების შვილები ცდილობენ განზე იდგნენ ამ სახიფათო საქმიანობისაგან, მთელი ქვეყნის მბრძანებლის, ხელმწიფის შვილს ხომ უფრო მეტად უნდა ავირიდოთ ასეთი სწავლება!

— აღმზრდელი, რომელიც აღზრდას საფუძვლად უდებს ცხენოსნობას და მშვილდოსნობას და არა კლასიკურ წიგნებს, ბრძენთა ნაანდერძებს უგულვებელყოფს.

— ასეთი დანაშაულისათვის მარტო თვითონ კი არა, მისი ნათესავებიც სიკვდილით უნდა დაისაჯონ.

— ცხია ი თვითონ უნდა გადამხტარიყო სიანიანის ხიდიდან, რომ თავისი სიკვდილით ხელმწიფის პატიება დაემსახურებინა...

— თავმოყვარეობა დაკარგა, თავი მოიავადმყოფა და პირიდან სისხლს ანთხევს.

— ამბობენ, ტუჩები დაიკბინაო. ზოგიერთს კი ეპვი აქვს, ბეტელს ღეჭავს და ამიტომ აფურთხებს წითელ ნერწყვსო.

— ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა მისი ჰუნებთან გაგზავნა. სცადოს ერთი ჩუქნის იუეს გაჯოხვა.

— ... გამოჩენილი გენიოსი კი არა, უფრო სწორად გამოჩენილი სულელია!

ცხია ის იმ დროისათვის ისე გაუმწვავდა სენი, რომ გამოჯამრთელების არავითარი იმედი აღარ იყო. თავისთავად ცხადია, სამსახურიდან დაითხოვეს. იმ დღის შემდეგ, რაც მშობლიურ ლიანში დაბრუნდა, ცხია ი ლოგინიდან აღარ ამდგარა. ასე გაატარა ერთი წელი. მძიმე მოგონებები მოსვენებას არ აღუევდნენ. აგონდებოდა ლიანის ვანის სიკვდილი, ფიქრობდა არეულობაზე ჩინეთში, ფიქრობდა ამაოდ დახარჯულ ძალღონეზე, იმაზე, რომ მხოლოდ ოცდაცამეტი წლის იყო და უკვე მარცხი განიცადა. და რაც უფრო მწარე იყო მისთვის დამარცხების შეგნება, მით უფრო მეტი ძალით იპყრობდა სევდა და აღშფოთება. ძილიც კი დაეკარგა.

ერთხელ, საღამო ხანს, მზის ჩასვლის წინ, ცხია ი მარტოკა იწვა და ჰერს შეპყურებდა.

ისე გამზდარიყო, რომ ყვითელ ტყავადაჭიმულ ჩონჩხს დამსგავსებოდა. მოეჩვენა, ფეხებზე ათას ფუთიანი ქვა მკიდა და უფსკრულისაკენ მეზიდებოა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიბრძოლა რამდენჯერმე. ამ დროს მის წინ გაჩნდა გაძვალტყავებული, დაძაბუნებული მოხუცი, რომელსაც კისერზე შემოდგომისა ჯადვრების გვირგვინი ეკიდა, ხოლო ლოტოსის ფოთლებისა და ფურცლებისა-



გან ნაკერი სამოსელი ისეთი გრძელი ჰქონდა, რომ ძნელად გაარჩევდით, ჰქონდა თუ არა ფეხები. მოხუცი დაჟინებით ჩააცქერდა ცხია ის და დაუძახა. მისი გენაჟრა ცხია ის.

— ბატონო ცხია ი, მიცანით?

ცხია ის ღრმად ჩაცვენილ თვალებში წამით სიხარულმა გაიღვა.

— ნუთუ ბატონი ციუი იუანი ბრძანდებით? — წარმოსთქვა მან ჩახლეჩილი, სუსტი ხმით და დიდის გაჭირვებით დაიწყო ლაპარაკი. როცა სუნთქვა ზომაზე მეტად უჭირდა, ისვენებდა. — გმადლობთ, რომ მანძილის სიშორის მიუხედავად, მოხვედით. ბევრი რამ მაქვს სათქმელი თქვენთვის... ვხედავ, რომ მარცხი განვიცადე... ოცდაცამეტი წელი ვიცხოვრე... იმ დროიდან, რაც აზროვნების უნარი შევიძინე, უსინდისოდ ერთი ნაბიჯიც არ გადამიდგამს... არასოდეს არ ჩამიღვინია უმსგავსი საქციელი... მთელი მონდომებით ვსწავლობდი, ვცდილობდი ჩავწვდომოდი წიგნებში ამოკითხულის არსს და არასოდეს არ მომქონდა თავი ყველაფრის მცოდნედ. არასოდეს არ ვამბობდი, რომ მესმოდა ის, რაც სინამდვილეში არ მესმოდა... მინდოდა ნამდვილი სწავლული გავმხდარიყავი — მინდოდა ცოდნა სისხლში გამჯდომოდა. ზერევე ცოდნა არ მაქამყოფილებდა...

გავურბოდი საკუთარი თავის ავტორიტეტად აღიარებას... არასოდეს გულშიც არ გამოვიღია ვისმესთვის ცილი დამეწამებია... არ ვცდილობდი აღზევებას. სხვების დაღუპვის ფასად და პირადი კეთილდღეობისა თა სარგებლობის მიზნით არ ვცდილობდი სასახლის კარზე ჩემს ვარშემო დაკაშების შემოკრებას. მას შემდეგ, რაც ტინვეი¹ უ გენის ყურადღება მივიქციე და ხელმწიფის წყალობის ღირსი გავხდი, ძალღონე არ დამიშურებია ჩემი მოვალების შესასრულებლად.

... არ იყო არც ერთი წუთი, რომ ჩინეთის კეთილდღეობაზე არ მეფიქრა. თუ რამე კარგი აზრი გამიჩინდებოდა, იმწამვე საჯაროდ გამოვთქვამდი... რომ ხალხს რაც შეიძლება მალე გამოეყენებინა თავის ჯარებლოდ... თუ რამე ნაკლს შეეპირნევი... გულახდილად მივუთითებდი... ჩა იმედით, რომ ადამიანები მალე გამოსაწორებდნენ მას. არავის არ ველოდებოდი გზაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ძალაუფლება მომეპოვებინა, არასოდეს არ ვცდილობდი ვინმე უფსკრულში გადაემეჩნება... ჩინეთი დიდ საფრთხეშია... ქვეყნის შიგნით არეულობაა... ყოველ წუთს გვემუქრება მტრის შემოსევა... მე ვოცნებობდი, რომ ლიანის ვანი სათავეში ჩაუდგებოდა სახელმწიფოს... ამიტომ ვასწავლიდი ცხენოსნობას და მშვილდოსნობას... ვინ იფიქრებდა, რომ ამის მსხვერპლი ვახდებოდა... მთელი ჩემი ცხოვრება ვცდილობდი... ძალღონეს არ ვიშურებდი, რომ ადამიანი გავმხდარიყავი... მაგრამ ოცდაცამეტი წლის რომ შევიქენი... დიახ, ოცდაცამეტი წლის... დიდი უბედურება შემემთხვა და არ შეიძლებოდა, რომ მარცხი არ განმეცადა... რატომ დამცინიან ასე?.. არ მესმის, მოძღვარო ციუი იუანო, რა გული უდევთ მკერდში იმ მოხუცებს... რატომ შემომწყრნენ, რატომ ცდილობენ დამჩაგრონ, რატომ არ ემეტებათ ამ ქვეყანაზე ჩემთვის თავისუფალი ადგილი, რომ შემეძლოს მტკიცედ, ორივე ფეხით ვიდეგ მიწაზე!.. ახლა ავადა ვარ და მოძრაობა არ შემიძლია... მაგრამ ვილაყეები ერთთავად მიგზავნიან დედაქალაქიდან ანონიმურ ბარათებს... დარწმუნებული ვარ, რომ მათ ის საპატოო მოხუცები ავტლიანებენ... ვის რა ვაწყენინე, რომ ასე მმტრობენ? შფოთი ჩვენი ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ყოველდღეურად იზრდება, ისინი კი

¹ ტინვეი — მოხელის თანამდებობა, შემოდებული ცინის დინასტიის დროს (III ს. ჩვ. წ. აღმდე) — არსებობდა ხანის დინასტიის დროსაც.



თავსაც არ იწუხებენ. მხოლოდ იმას ფიქრობენ, როგორ მანონ როგორ მიმტრონ, თუმცა იციან, რომ მე არ შემძლია და ჩემი ღირსების დამცირებადაც ვთელი მათს დარტყმებს დარტყმივთვე ვუბასუხო... რა მიზანი ამოქმედებთ? მოძღვარო ციუი იუანო, თუ შეიძლება ამიხსენით, მე ეს არ მესმის.

ცხია ის სული ეხუთებოდა, თავის მონოლოგს რომ წარმოთქვამდა. თითქოა ბოლავდა, მაგრამ ციუ-იუანი ძველებურად იდგა მის თვალწინ და ესაუბრებოდა.

— ბატონო ცხია ი, ზომაზე მეტად ხარ აღვზნებული, ჭკვიანი კაცი ხარ და დარწმუნებული ვარ, რის შესახებაც მეკითხები, ყველაფერი მშვენივრად გესმის. აი, მაგალითად, შენ გიკვირს, რომ მოხუცები ცდილობენ რაიმე გავნონ. განა მიზეზი შენთვის ნათელი არ არის? საქმე იმაშია, რომ მეტისმეტად ჭკვიანი ხარ, მეტისმეტად ამაღლებული სულის პატრონი. მათი მტრობა სიმშვიდეს უნდა გგვრიდეს! მათზე ძლიერი ხარ და ამიტომ ეშინიათ შენი, გრძნობენ, რომ შეგიძლია წაართვა მათ თანამდებობა და თავიანთი უშიშროებისათვის იძულებული არიან „წყლის დონის თავისებურ რეგულირებას“ მიმართონ. ისინი ცდილობენ დაამცირონ ან მოსპონ ადამიანი, რომელიც მათზე მაღლა დგას. ასე იქცეოდნენ მუღამუჟას და არა მარტო შენს მიმართ. მაგრამ შენ ზედმიწევნით მტკიცე და უდრეკი ხარ. ამიტომაც არის, რომ მთელი ბრბო გაყრის ისრებს. შენ თვითონ იწვევ მათ საბრძოლველად, რადგან ძლიერი ხარ. მართალია, დაუზოგავად გიშენენ, ყოველგვარ სისაძაგლეს კადრულობენ, მაგრამ სულის სიღრმეში პატივს გცემენ და ეშინიათ შენი.

გეკითხები, რისი გულისთვის უნდა ედავო მათ და მიუშვირო გული მათს მხამიან ისრებს? ისინი ზიანს გაყენებენ, შენ კი ბრაზობ, შფოთავ, და შენაჯანმრთელობას ვნებ. შენ თვითონ მიძვრები მათ მიერ დაგებულ ხაფანგში. მათ სწორედ იმისი იმედი აქვთ, რომ სულიერად და ფიზიკურად დაეცემი, შენთვის კი საუკეთესო თავდაცვა ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სულის გამაგრებაა. მათი მტრობა ისე მიიღე, გინდაც კოლოს ეკბინოს. შენი მტრები მხოლოდლა შებრალების ღირსნი არიან, რადგან ბუნებითაც კოლოები არიან და სხვაგვარად ვერ მოიქცევიან. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომბაძო მე. როცა კოლოები დამესიენ, სულმდაბლობა გამოვიჩინე და თავი დავიღრჩე. მაგრამ შენ მედგრად უნდა იდგე და თავი დამარცხებულად არ აღიარო. ჩინეთში ბევრია ისეთი, ვინც მხარს გიჭერს, ისეთები კი, რომლებიც გმტრობენ, ძლიერ ცოტანი არიან. მოვალე ხარ თავს მოუფრთხილდე იმათ გულისათვის, ვინც მხარს გიჭერს, მოვალე ხარ გაუძლეე მათ, თუ გინდა ქვეყნის შიგნით წესრიგი დამყარდეს და გარეშე მტრების თავდასხმის შექარა მოისპოს.

ჭკვიანი ადამიანების უმეტესობა აღფრთოვანებულია შენი სულისა და რწმენის სიმტკიცით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩასთვალთ თავი დამარცხებულად! შენ გაიმარჯვებ!

ყველაფერი ეს თვით ცხია იმ წარმოსთქვა გონებაში, ცხია ის წარმოდგენაში ჩამოყალიბებული ციუი იუანის სახე პალუცინაციაში კონკრეტული და რეალური გახადა.

— დიად, მოძღვარო, — ცხია იმ წინ გაიშვირა თეთრი ზელი, თითქოს უნდა ჩამოართვას მოჩვენებასო და წამოიძახა: — თქვენი სიკვდილი დამარცხებას არ ნიშნავს. მართალია, თქვენ დაიღუპეთ, მაგრამ ჩვენთვის, ჩინელებისათვის, ყოველთვის ძალისა და სიმტკიცის განსახიერება იქნებოთ. ჩვენთვის, ჩინელებისათვის, თქვენი სიკვდილი განუყრელად არის დაკავშირებული სამართლიანობის მცნებასთან.

თქვენი დალუბვიდან 100 წელი გავიდა, მაგრამ სიკვდილი თქვენ არ შეგეხებათ. თქვენი გულ-წრფელობა გვაერთიანებს ჩვენ, ჩვენო მოძღვარო. თქვენი სიკვდილით ყველაფერი დაამარცხეთ. მე თქვენ მოგყვებით, მოძღვარო, თქვენ მოგყვებით.

ცზია იმ მუშტები მოკუმშა და სცადა საწოლიდან წამოდგომა, მაგრამ უცებ გაიჭიმა და ბალიშზე დაეცა.

მომცრო მავიდაზე მდგარი სანათურის პატარა, მუხუდოს ოდენა აღწაცემციმდა ჰაერის შერხევაზე, რაც ცზია ის დაცემამ გამოიწვია, და ჩაქრა. ოთახში უკუნი სიბნელე ჩამოწვა. მხოლოდ ფანჯრის კუჭკუტანაში აღწევდა განთიადის პირველი სხივი.

1936 წ.

თარგმნა გურამ ბუნჯიაშვილმა



პანკავეს ბერიძე

სამი კვირა რუმინეთში

თბილისში უნდა შეიქმნას ასეთი მუზეუმი ადვილი წარმოსადგენია, როგორი მრავალფეროვანი სურათი შეიძლება გადიშალოს, როცა ქართული და მესხური დარბაზი, დასავლური ოდები, სვანური კოშკი და ჩვენი მთიანეთის გლეხური სახლები ერთად მოიყრის თავს! დაყოვნება არც კი შეიძლება: ჩვენი სოფლის ძველებური სახლები, სასოფლო ყოფაცხოვრების შეცვლასთან ერთად, ან სულ ქრება, როგორც მაგალითად, დარბაზი, ან სწრაფად კარგავს წინანდელ სიწმინდეს, მრავალ ახალ ელემენტს ითვისებს — ხშირად ქაღალტურ ელემენტებსაც. ძველებური ჭურჭელი და ტანსაცმელი ხომ სულ უფრო და უფრო ძველი მოსაძებნი ხდება, ზოგიერთ კუთხეში კი, მე მგონია, აღარც მოიძებნება. უპატიებელი დანაშაული იქნება, თუ ამ სიმდიდრეს თავი არ მოეყარა: ვანა ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი შემოქმედება — თავისი უშრეტე სიმდიდრითა და საოცარი მხატვრული ღირსებებით — არ იმსახურებს ერთი ასეთი მუზეუმის შექმნას?

კიდევ ერთი მდიდარი მუზეუმი: სამხედრო. ასე კი ჰქვია, მაგრამ, არსებითად, რუმინეთის მთელი ისტორიაა ნაჩვენები დაკების დროიდან მოყოლებული. დიდძალი მასალა და დასათვალიერებლადაც საინტერესოა. ნათლად წარმოგიდგება — როგორ იბრძოდა არსებობისათვის, როგორ ვითარდებოდა და ყალიბდებოდა ერი და სახელმწიფო.

სხვა მუზეუმები არ მინახავს. ზამბახჩიანის სამხატვრო გალერეა დაკვირვით იყო, ამანისა და სიმონ მუზეუმებისთვის (უკანასკნელი — ქანდაკების მუზეუმი) დრო აღარ დაგვრჩა. ბუქარესტში საბუნებისმეტყველო მუზეუმებიც არსებობს, ხალხური ხელოვნების ცალკე მუზეუმიც (იმ სასოფლო მუზეუმის გარდა), ასე

რომ ყველა დარგის სპეციალისტისთვის მოიძებნება ბევრი რამ სანახავი და მიმზიდველი.

პრესის წარმომადგენლები, როგორც ვთქვით, სადგურზევე დაგვხდნენ. არც შემდეგ დავუტოვებიათ უყურადღებოდ. არლუსის ორგანომ ვიაკ ნოუმ მოათავსა ცნობები ჩვენ შესახებ და მეგობრული შარკები, რომლებიც მხატვარმა ხარიტონმა სასტუმროში ნატურადანვე შესარულა. შემდეგ ნომერში ჩვენი წერილები დაბეჭდეს: გ. ლეონიძისა — ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ. ჩემი — პირველი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები რუმინულ ხელოვნებაზე, უმეტესად ძველ ხუროთმოძღვრებაზე. მე იქ ყოფნის დროს კიდევ ორი წერილი დაეწერე — ერთი ისტორიული ქართული ხელოვნების მიმოხილვა ყურნალ „არტ ბლასტიკასთვის“, მეორე — თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრების ამოცანათა და ტენდენციების შესახებ — გაზეთ „კონტემპორანული სათვით“. გ. ლეონიძის გამოსვლა რადიოსთვის ჩაიწერეს, 18 დეკემბერს კი ორივემ ტელეგადაცემაში მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენი მოკლე სიტყვები, ბუნებრივია, მეგობრულ მისალმებას წარმოადგენდა. ტექსტი ჩვენმა თარჯიმანმა წაითხა რუმინულად, ბოლო სიტყვები კი გ. ლეონიძემაც და მეც ქართულად ვთქვი.

იმავე 18 დეკემბერს, შუადღისას, არლუსში გავემართეს მიღება. არლუსს მშვიდნიერი შენობა აქვს. პოლში რომ შევედი, ჩემი ყურადღება უცებ მიიპყრა წყალტუბოს ერთერთი სანატორიუმის ფოტოსურათმა. მერე აღმოჩნდა რომ პოლშიაც და კიბეზუდაც მხოლოდ საქართველოს ხელები იყო გამოყენილი. მისაღებ დარბაზის ვიტრინებში კი ქართული ეროვნული ტანსაცმელი, რომელიც არლუსის თბილისიდან მივიღა საჩოქად რამდენიმე წლის წინათ. შინაურულად შემოგოსხვიდით დიდ მაგიდას. მიღებას არ ჰქონია საგანგებო ოფი-



ციალური ხასიათი, თუმცა არლუსის მთელი ხელოვნება იქ იყო თვით კონსტანტინესკუ-იანის მეთაურობით, იყო აგრეთვე მიხაი ბენიუცი, ცნობილი პოეტი და აკადემიკოსი, მწერალთა კავშირის ბირველი მდივანი.

ჯერ კონსტანტინესკუ-იანმა მოგვიხსოვრა არლუსის საქმიანობისა და მნიშვნელობის შესახებ, თქვა როგორ ინტერესს იწვევს ქართული კულტურა რუმინეთში და გამოთქვა სურვილი, რომ ბუქარესტში მოეწყოს ქართული ხელოვნების დეკადა, თბილისში კი — რუმინული ხელოვნებისა.

გიორგი ლეონიძემ ილაპარაკა ჩვენი ჩასვლის მიზნების შესახებ, საქართველო-რუმინეთის „შუბების წირტილებზე“ — ანთიმოზზე, მიხეილ სტეფანესვილზე, ბესიკზე, იონა გედევანიშვილზე, რომელმაც თავისი მოგზაურობის დროს მოინახულა რუმინეთი; თქვა აგრეთვე, რომ საჭიროა სისტემური ხასიათი მიეცეს ჩვენს ენებზე თარგმნის საქმეს, რომ უნდა გამოიყვანოს რუმინული მწერლობის ანთოლოგია ქართულად, ქართულისა კი რუმინულად, უნდა დაიბეჭდოს ცალკეული კლასიკოსების კრებულები, გაეცდეს ქართულ-რუმინული ფილმი ანთიმოზის შესახებ...

მე ვუამბე, როგორ ვიპოვეთ ამ ოციოდე წლის წინათ, საჩხერის მახლობლად, ერთ მიტოვებულ ეკლესიაში, ვახტანგისეული სტამბის ერთერთი წიგნი, დაბეჭდილი რუმინულ მიხეილ სტეფანესვილის მიერ და აღჭურვილი ქართული ასოებით, აწყობილი რუმინული ლექსით (როგორც ცნობილია, ასეთი ლექსი ახლაც მიხეილის ხელიდან გამოსულ სხვა ქართულ წიგნებსაც). მერე, ბუნებრივია, მეც გამოვთქვი იმედი, რომ ჩვენი ერების კულტურული ურთიერთობა (დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ) ჩასახულ ორნახევარი საუკუნის წინათ, ახლა უფრო მკიდრო და მრავალმხრივ გახდება.

შევედრის „სახეიმო მომენტს“ შეადგენდა სამივედენ ნიშნების ურთიერთგაცვლა (ჩვენი თბილისის საიუბილეო ნიშნები დაეურთვეთ ყველა დამსწრეს, იმათ არლუსის ნიშნები გვისასხორეს) და ჩვენი საჩუქრების ვადანება: არლუსის ბიბლიოთეკას ადრევეც ჰქონია მიღებული ქართული გამოცემები, ახლა კი ბევრი რამ ახალი მიეუმატეთ.

20 დეკემბერს საღამოს მივიწვივეს 23 აგვისტოს სახელობის მანქანაისაშენი ქარხნის კოლში. მშენიერი შენობა და უზარმაზარი საკონცერტო დარბაზი აქვს, იმ დღეს საბჭოთა კავშირიდან (მგონი მოსკოვიდან) ჩასული კომკავშირობის პატრუსიკემალ იყო ახალგაზრდობის ანსამბლის კონცერტი. ჩიენი თარჯიმანი ლუკარეია პოპესკუ იმ ანსამბლში მღეროდა და თან რუსულადაც ის აცხადებოდა.

22 XII. დილით მიმიღო რუმინეთის აკა-

დემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ოპრესკუმ მანუელსკი კაცია, რამდენადმე ნერეული და, როგორც ჩანს, არც მინცადამინც გულთა. მე ვიცნობდი მის შრომებს XIX—XX სს. რუმინული მხატვრობისა და ქანდაკების შესახებ. ეს მისი საეციალობაა. ეს ინსტიტუტი მოთავსებულია ყოფილ სამეფო სასახლეში, ხოლო მისი ბიბლიოთეკა — მეფის ყოფილ ბიბლიოთეკაში: უზარმაზარი დარბაზი — ვალერიით, მდიდრულად დამუშავებული ხის პლაფონით, სვეტებიანი თაროებითა და სხვ. დრო რომ მქოხოდა, ბევრ რასმე ვნახავდი იქ საინტერესოს.

მე საჩუქრებით მივიღე, ჩვენი ინსტიტუტის გამოცემები მივარედი. რა თქმა უნდა, გიორგი ჩაუბანიშვილის „ქართული ოქრედილობაში“, როგორც ყველგან, იქაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. „ეს მეფური საჩუქარიო“, თქვა ოპრესკუმ. ჩვენი საუბარი ხანგრძლივი არ იყო. მაიმამ 1925 თუ 1926 წელს, როცა ბულგარეთის საზღვარზე, ჯურჯიუში, მასწავლებლად ვიყავი, რატომღაც მე მომადგა ერთი ქართველი რევოლუციონერი და მთხოვა ბულგარეთში გადამიყვანო. ოპრესკუ მართლაც დახმარება. იმ კაცის გვარი არ ახსოვდა, შეიძლება ნამდვილი გვარი არც უთქვამსო.

მეც საჩუქრებით წამოვედი: ოპრესკუმ მომცა რამდენიმე წიგნი რუმინულ ხელოვნებაზე.

23. XII. არაჩვეულებრივად გულთბილად მიმიღეს რუმინეთის არქიტექტორთა კავშირში. შემვხედნენ: კავშირის თავმჯდომარე — დიდად დამსახურებული მცოვანი აკადემიკოსი დუილიუ მარკუ, ბუქარესტის ბევრი მნიშვნელოვანი ნაგებობის ავტორი პროფ. გრიგორე იონესკუ, რომელც ზემოთ მოვიხსენიე და პროფ. რიშარ ბორდენაე, აგრეთვე არქიტექტურის ისტორიკოსი — დრმა კულტურის ადამიანი და სერიოზული მეკლევარი. მარკუ და ბორდენაე 1953 წ. იყვნენ თბილისში და მათი პირველივე სიტყვები თბილისის შესახებ იყო.

— ჩვენი ძალიან კარგად ვიგონებთ თბილისს, თქვა მარკუმ.

— Ah, comme il est beau Tbilissi, comme il est beau!

— რა მშვენიერია თბილისი, რა მშვენიერია იმეორებდა ბორდენაე.

დიდხანს დავჩი მი თან, ესაუბრობდით რუმინულ არქიტექტურის ძეგლებზე. იგონებდნენ ქართულ ძეგლებს — ჯვარს. სიეტიცხოველს. ბორდენაე მითხრა, რომ საჭაროველოდან დაბრუნების შემდეგ, მან თავისი ლექციების კურსში ქართული ხუროთმოძღვრება შეიტანა.

დავთქვით, რომ ჩემი მოხსენიება ძიელი ქართული არქიტექტურის შესახებ შედგებოდა ბუ-



ქარგის არქიტექტურის ინსტიტუტში 30. XII. საღამოს ჩვენ და ვიქტორ კერძანაძე — პოეტი, «ვეფხისტყაოსნის» მთარგმნელი, რომელიც საგანგებოდ ჩვენთან შესახვედრად დაბრუნდა მივიღებოდან — ანთიმოზის ეკლესიაში ვიყავით მეორედ.

ეკლესია მისივე სახელობის ქუჩაზეა. ვალავანში შესასვლელი სამრეკლოდანაა, როგორც ჩვენში. მხოლოდ სამრეკლოზე, ჯვრის გვერდით ტელევიზორის ანტენაა აღმართული.

ეკლესია ანთიმოზის სიცოცხლის ბოლო წლებში აგებული მისი — თაონობითა და ზრუნვით. მიაჩნიათ, რომ ხის მოჩუქურთმებული კარი მისი ხელთ უნდა იყოს შესრულებული; ანთიმოზი მარტო სასულიერო მოღვაწე, მწერალი, მქაიდაგებელი და სასტამბო საქმის ორგანიზატორი არ იყო, მისი ეკლესია, დამთავრებული 1715 წ. ბრინჯოვანიუს დროის დამახასიათებელი ნაგებობაა. მხატვრობა (არის ანთიმოზის პორტრეტიც) ახალია ან განახლებული. ეკლესიის გვერდით საცხოვრებელი კორპუსებია: აქ, იმ ოთახებში, რომლებშიაც ვადმოცემით, თვით ანთიმოზს უცხოვრია, ახლა ცხოვრობს რუმინეთის პატრიარქის მოადგილე ეპისკოპოსი თეოტისტი. იმ საღამოს ცოტა ხნით მისი სტუმრები ვიყავით. თეოტისტი, ორმოცდახუთი წლის ხალისიანი კაცი, სადარბაზო კართანვე დაგვხვდა. მისი პირველი სიტყვები ეს იყო: უკვე გიცნობთ, ტელევიზორში გნახეთ. ქვემო სართულში, ხალციქისკარია თუ სხვა რაღაც დანიშნულებების ოთახებია, ახალი მხატვრობა (მგონი შარშანდელი, თუ შარშანწინდელი) — სცენებით ანთიმოზის ცხოვრებიდან. საკუთრივ ეპისკოპოსის ბინა — სრულიად თანამედროვე გემოვნებითაა გამართული და სასულიერო პირთა პორტრეტების გარდა, არაფერი სპეციფიკურად „სასულიერო“ არ გააჩნია. იქვე იყო მთავარდიაკონი პაულინ პოპესკუ, ათაჩვეულებრივად ცოცხალი და მკვირცხლი კაცი, დღიად დაინტერესებული ანთიმოზის ცხოვრებითა და მოღვაწეობით. გვიჩვენეს რუმინეთის პატრიარქის ნაბეჭდი ორგანოს „ბისეროცია ორტოლოქსა რომინას“ (რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია) საგანგებო ნომერი, მილიანად მიძღვნილი ანთიმოზისადმი. ეს ნომერი გამოუციათ ანთიმოზის დაღუპვიდან 240 წლის შესრულების გამო, 1956 წელს. რუმინეთის სასულიერო მოღვაწეონი, როგორც ჩანს, საერთოდ საკმაოდ აქტიურად იკვლევენ სამშობლო ქვეყნის კულტურის საკითხებს. პაულინ პოპესკუმ ერთი თავისი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი შრომაც მანვეან — ერთერთი ძველი ძეგლის შესახებ. სხვაგან — უმეტესად, მოლოდინში — კარგი შთაბეჭდილება დატოვა მონასტრებში ახლად გამართულმა მუზეუმებმა, რომელთაც დიდი

სიყვარულით უვლიან თვით ეკლესიის მკურნალები.

24. XII. მშვენიერი საღამო გავატარეთ მიხაი ბენიუტთან, ორსართულიანი კოტეჯი უჭირავს. სულ სამი ოთახია და მათ მორთულობაში მარტოა ფაქიზი არტიტული გემოვნება. ვიბრტო ცოლქმარი ცხოვრობს და ვადამებული არიან წიგნებსა და სურათებზე. ბენიუტის მეუღლე, თუმცე ჰალარა, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლამაზი ქალი, გამართულად ლაპარაკობს რუსულს, თვითონაც ლიტერატორია, რუსულიდან თარგმნის. მიჩვენდა ახლად შეძენილ სურათებს: აქვთ გრიგორესკუ, ბენჩილე, ლუკაინი, ტონიცა. ბენიუტმა თავის სამუშაო ოთახში ამიყვანა: ერთიანად გამოკვდილი იყო წიგნებით: თაროებზე, მაგიდებზე, სკამებზე — ყველგან წიგნებია, თან მშვენიერი წიგნებიც: ხელოვნებაზე, ისტორიაზე, მწერლობაზე. ბენიუტი ორმოცდაათიოდე წლის ტანმორჩილი და წერილი, ცოცხალი თვალბინანი კაცი, ტრანსილვანიელია, გლეხის ოჯახიდან. როგორც ტრანსილვანიელია უმბრაველსობამ, რუმინელის გარდა, კარგად იცის უნგრული და გერმანული; როგორც თითქმის ყველა რუმინელი ინტელიგენტი, ლაპარაკობს ფრანგულად, ახერხებს რუსულ ლაპარაკაცდღეს ბენიუტი რუმინეთის სამწერლო ფრონტის ერთი ყველაზე აქტიური მოღვაწეთაგანია. იმ საღამოს საუბარო უმეტესად ქართულ რუმინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მოწესრიგებას ეხებოდა, კონკრეტულად — თარგმანთა საკითხს. იქ რუმინული კინემატოგრაფიის ერთი ხელმძღვანელთაგანი მაკოვესკუც იყო, მე მგონია, საგანგებოდ მოწვეული, რაკი გ. ლეონიძეს ანტერგნება ქართულ რუმინულ ფილმის შექმნის საქმე. როგორ უნდა იყოს ფილმი ანთიმოზის შესახებ — მხატვრული, თუ დოკუმენტური? ამაზედაც იყო მსჯელობა.

ბენიუტებთან პირველად გვაქე დომი. ნამდვილი, ჩვენებურის მსგავსი დომი. მხოლოდ იქ მას მამლიგა ეწოდება.

30. XII დღით მიგვიღეს აკადემიაში. დაგვხვდნენ ვიცი-პრეზიდენტი იორგა იორდანი (ფილოლოგი), აკადემიის მიმლოთვეის განერალური დირექტორი აკად. ტულდორ ვიანუ, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი აკად. იცეტია და ჩვენი მეგობარი და „პატრონი“ აკად. კონსტანტინესკუ-იამი.

იქ აკადემიას ეწოდება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის აკადემია და არა მეცნიერებათა აკადემია. ახლა მას 82 წამდელი წევრი ყავს და რამდენიმე ათეული წევრ-კორესპონდენტი. აკადემიაში ხელოვნებისა და ლიტერატურის სექციებიც შედის. მწერლები: სალოვანიუ, არგვი, ვალა ვალატიონი, სტანკუ, ბენიუტი, არქიტექტორები მარკუ და



ანტონესკუ, მხატვარი რესუ ამ ჯაღდემის წევრები არიან. აჯღდემის ძველი შენობა, კლასიციზმის სტილისა, დიდ ეზოში დგას. ჩვენ პრეზიდენტის კაბინეტში მივიღეთ. საუბარი კვლავ ანთიმოზსა და მიხეილ სტეფანესვილს ეხებოდა. ტუდორ ვიანუმ შემოგვთავაზა — ბიბლიოთეკაში გადავიდეთო. ბიბლიოთეკა იმავე ეზოშია, ახალ დიდ შენობაში, რომელიც დღევით მარკუს პროექტითაა აგებული. 3500000-მდე წიგნი ჰქონიათ. ჩვენ აგვიყვანეს ე. წ. გრაფიკების განყოფილებაში, სადაც თავმოყრილი აქვთ თვალსაჩინო მახალა: გრაფიკები, ნახატები, ფოტოსურათები. თვალის დახამამებში გამოჰქონდათ ყველაფერი, რასაც ვთხოვდით: XVIII საუკუნის იასის სურათები, ანთიმოზის პორტრეტი და მრავალი სხვა რამ. იქვე იხივეს ყმაწვილი კაცი, რომელიც დოკუმენტაციას განაგებს. ჩაინიშნა რა წიგნები გვინტერესებდა და გვითხრა — ხვალევი მიიღებთ ყველა წიგნს, სურათებისა და ტექსტების ფოტოაირებსო. მეორე დღეს ყველაფერი მზად იყო. გიორგი ლუნიძე რამდენსამე საათს იჯდა ბიბლიოთეკაში და იგივე ყმაწვილი კაცი, გვარად კინდია, უთარგმნინდა ტექსტებს. ამ ბიბლიოთეკამ, მისი თანამშრომლების მაღალმა მეცნიერულმა კვალიფიკაციამ, ზედმიწევნით საქმიანმა ატმოსფერომ ჩემზე უაღრესად კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საათივით აქვთ აწყობილი საქმე. ძალიან მომეწონა თვით დირექტორი ვიანუც — რაფინირებული კულტურის ადამიანი. აჯღდემის ბიბლიოთეკაში გ. ლუნიძემ ნაყოფიერად იმუშავა.

30. XII. საღამოს ბუქარესტის არქიტექტურის ინსტიტუტში შედგა ჩემი მოხსენება ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ. დიდი ამფითეატრი ავსებული დამხვდა. იყვნენ არქიტექტორები, ხელოვნების ისტორიკოსები, სტუდენტები. პირველ რიგში ისხდნენ ჩემი ძველი მეგობრები — იონესკუ და ბორდნაეკი, ამ ინსტიტუტის პროფესორები. სწოლმა გახსნა დეკანოზ ტიბერიუ, ბენედიქტა — ოცდათხუთმეტიოდე წლის შავულავაშა კაცმა, რომელიც მოსკოვს სწავლობდა ასპირანტურაში (იქ ყოველთვის ქართველი ეგონათ). მე აღრევე ეციონბოდ მას. იმან ორიოდ სიტყვით გააცინა ჩემი თავი აუდიტორიას, მერე მე ეჭვი ქართულად მისალმების რამდენიმე სიტყვა (ლუკარეცამ თარგმნა რუმინულად) და შევედუქე მოხსენებას, რომელმაც საათზე ცოტა მეტ ხანს გასტანა. თან მქონდა წაღებული სამოცდაათამდის დიაპოზიტები ჩვენი ძეგლების სურათებით. უამისოდ, ცხადია, ასეთ მოხსენების წაყიხვას აზრიც არ ექნებოდა. მოხსენება ყურადღებით მოისმინეს. ჩვენმა შესანიშნავმა ძეგლებმა, ბუნებრივია, დაინტერესა არქიტექტორები და არქიტექტურის ისტორიკოსები.

ხელოვნების ისტორიკოსმა მარია ანა მტუჩინსკაიკუმ, რომელიც მოხსენების შემდეგ განსუქნა, მითხრა, ახლა შესასუქნეთო გამოცემული ემუშაობ და თუ კი რაიმე გაქვთ გამოცემული ქართული სკულპტურის შესახებ, მომავდინეთო. ჩემი მოხსენების ტექსტი, პროფ. ბორდნაეკს თხოვით, ინსტიტუტს დავუტოვე. როცა მოხსენების შემდეგ ამფითეატრიდან გამოვედი, მაშინ-ღა შევნიშნე, რომ პოლში სავანებო ვიტრინა გაემართათ — შიგ გამოფენილი იყო წიგნები ქართულ ხუროთმოძღვრებაზე, მათ შორის ზოგი სულ ახალი გამოცემაც.

იონესკუმ, რომელიც რუმინული არქიტექტურის ისტორიას ასწავლის, თავის კაბინეტში მიმიწვია და სტუდენტების ნამუშევრები მაჩვენა: ძველ რუმინულ ძეგლთა ანაზომები. გრაფიკულ თვალსაზრისით უმეტესობა ბრწყინვალედაა შესრულებული. ეს კაცი დიდი სიყვარულით ეწევა თავის საქმიანობას, ახალგაზრდებსა უნერგავს ამ სიყვარულს და სერიოზულად ამუშავებს მას.

— შე მინდოდა თქვენთვის შეჩვენებინა, რომ ერთი პატარა არქიტექტურა ჩვენცა გვაქვსო, მითხრა მან გამოთხოვებისას, — რა თქმა უნდა, თქვენს ხუროთმოძღვრებასთან შესადარებელი არაა, მაგრამ მაინც...

ეს თავმდაბლობა იყო. რუმინული არქიტექტურის ისტორია ისეთი ხანგრძლივი არაა, როგორც ქართულისა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი და საინტერესო ფურცელია გვიანი შესასუქნეების არქიტექტურის ზოგად ისტორიაში. თანაც — თავისებური ფურცელი. რუმინეთში მოგზაურობამ თვალნათლევ დამანახვა ეს თავისებურება, რუმინული ხელოვნების ისტორიკოსებს უკვე ბევრი რამა აქვთ გამოქვეყნებული თავის ქვეყნის ხუროთმოძღვრების შესახებ — მონოგრაფიები ცალკეულ ძეგლებზე, შრომები, რომლებშიაც თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქებისა და პროვინციების ძეგლი აღწერა და ანაზომები და სხვ... მაგრამ მე ისეთი შთაბეჭდილება დამარჩა, რომ ევოლუციის ბევრი ზოგადი პრინციპული საკითხი ჯერ კიდევ დადგენილი არ უნდა იყოს, კერძოდ, საკითხი ცალკეულ რუმინულ სამთავროთა ხუროთმოძღვრების ურთიერთობისა, ცალკეულ ტენდენციათა და არქიტექტურულ ფორმათა წარმოშობისა; თვით ამ ხუროთმოძღვრების ნამდვილი ეროვნული თავისებურების შესახებაც კი, როგორც ჩანს, აზრთა სხვადასხვაობაა (ზოგაერთები, მგონი, ზედმეტად უნდა იყვნენ გაბატებული უცხო გავლენებისა და წყაროების მიხედვით).

მე დიდი მაღლობა გადავუხადე პროფ. იონესკუს თავისი კაბინეტის ჩვენებისთვის. სტუდენტების ნამუშევრებმა ჩემზე მართლაც მოახდინეს შთაბეჭდილება. სასტუმრომდის მი-



მაილა პროფ. ბორდენაკემ, რომელიც კვლავ განსაკუთრებით ტკბილად იგონებდა საქართველოში გატარებულ დღეებს. მე გამასხენდა მისი გულწრფელი აღტაცება 1953 წელს თბილისის ნახვისას, და მისი სიტყვები: — ასეთი ქალაქი თუ გქონდათ, აქამდის სად იყავით, რატომ არაფერს ამბობდით!



გიორგი ლეონიძე აღრეგ იცნობდა პირადად ბევრ რუმინელ მწერალს, მე კი ახლა პირველად გავიცანი რამდენიმე მათგანი.

პირველი იყო ბენიუკი, რომელზედაც უკვე გვექონდა საუბარი. ჩვენი სასტუმროს რექტორანში შევხვდით ავად. ზაქარია სტანკუს — დედადა თვალსაწიანო პროზაიკოსი, რომლის დიდი რომანი „ფეხშიშველი“ რუსულადაც არის გამოცემული. სტანკუ ლიტერატურული გაზეთის მთავარი რედაქტორია და იმავე დროს — კარაჯალის სახელობის ნაციონალური თეატრის დირექტორი.

ჩვენ ერთ მაგიდას მივუსხედით. გიორგი ლეონიძემ საუბარში გამოურია — საქართველოში გვეწევითო. ორ წელიწადს მაინც ვერაღა წავლ, სანამ ჩემს ახალ რომანს არ დავამთავრებო — უბასუხა სტანკუმ. ეს რომანი — „მწარე ფესვები“, რომლის პირველი ოთხი წიგნი უკვე გამოვიდა, დიდი ეპოპეა რუმინეთის ცხოვრების შესახებ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე. სულ 12 ტომად ჰქონია განზრახული. ოთხი დღე თეატრსა და ლიტერატურულ გაზეთს ვანდომებ, სამი დღე კი ჩაეტილი ვარ და ვწერო.

სტანკუ ჰალარაშერელი ლამაზი კაცია, 56 წლისა, ცოტა მკაცრი სახე აქვს, თითქოს მუდამ საკუთარ ფიქრებში წასული. საფიქრბელი კი, როცა ამოდენა რამ გაქვს დასაწერი, ცხადია, არ შემოგაკლდება.

რომანტიკული, ტიპური „პოეტური“ ვარგუნობა აქვს ცნობილ პოეტს რაღაც ბოჟურიანულს, რომელიც გიორგი ლეონიძის სანახადად შოვიდა სასტუმროში. ესეც ლამაზი კაცია, ხშირი ჰალარა თმა აქვს. რამდენიმე წლის წინათ უთარგმნია ლეონიძის „ბავშვობა და ყრმობა“. ვთხოვეთ წაეკითხა თარგმანიდან ადგილები. რუმინელმა მსმენელებმა, რომლებიც იქვე იყვნენ, ერთხმად აღიარეს, რუმინულად ლექსი მშვენივრად ყდერსო. ალბათ ბოჟურიანულ მონაწილეობას მიიღებს ქართული პოეზიის ახალ თარგმანთა შესრულებაშიაც.

ვიქტორ კერნაბი. პირველად იგი თბილისში ვნახე სულ რამდენიმე წუთით. იქ კი ჩვენ დამოვილად დაემგობრბით. ჩვენი შეხვედრის მერაორ დღეს მან გადმომცა თავისი ახლად გამოსული წიგნი საქართველოს შესახებ — „ჩვეყანა თოვლისა და ფორთო-

ხალს შორის“. ადგილი წარმოვუდგინე ჩემი გაკვირება და აღლვება, როცა მან ფურციელ ლამაზი ქართული ხელით გამოყვანილი წარწერა ვნახე: „პატივცემულ ქართველ მეგობარს ვახსენებ ბერიძეს, სიხარულთ, რუმინეთში“. წიგნის უკანასკნელ თავსაც ქართულად აწერია სათაური: „ჩემი საყვარელი საქართველო“. კერნაბისთვის ეს არ არის მხოლოდ ლამაზი ან თავზიანი ფრაზა. საქართველო, ქართული კულტურა, მისთვის უკვე ახლობელი რამ არის; კერნაბი ჩვენი დიდი, გულწრფელი მეგობარია. ახლა იგი ვეფხისტყაოსნის თარგმანის ახალ რედაქციას მუშაობს. თბილისთან მას მუდმივი კავშირი აქვს: ერთ მშვენიერ დღეს მან სასტუმროში მომიტანა ჩვენი „კომუნისტის“ დეკემბრის თვის მთელი კომპლექტი და „საბუქოთა ხელოვნების“ ახალი ნომერი, რომელიც თბილისიდან ჩვენი გამგზავრების შემდეგ გამოსულიყო. რუმინეთში ჩვენ მეგობრები არ გვაკლდა, ეს ზემოთაც ვთქვი, მაგრამ კერნაბის თითქოს ნახევრად ქართველად შეჩვენებოდა.

მისი წიგნი აუცილებლად უნდა ითარგმნოს ქართულად. და მე იმედი მაქვს, რომ თვით ვიქტორსაც, რომელიც კვლავ შორეულ მოგზაურობაზე ოცნებობს, ჩვენშიაც კიდევ არა ერთხელ შევხვდებით.

ბუქარესტში გავიცანი და დავემგობრბი პუბლიცისტა და ჟურნალისტი, მოხუც სკარლატ კალიმაკის. საინტერესო ბიოგრაფია აქვს მ კაცს, რომელსაც თურმე „წითელ პრინცს“ უწოდებენ ალერსიანად. მაღალი არისტოკრატის წარდანაა გამოსული. მაგრამ ჯერ კიდევ მონარქიის დროს კომუნისტი გამხდარა. როგორც პრინცს, ხელს არ ახლებდნენ და დღეა სამსახური გაუწევია პარტიისთვის. ახლა რუმინეთ-საბუქოთა მუზეუმის დირექტორია. ძალიან მიზიდველი აღმანიანა — იდეალისტისა და ჰუმანიისტის ტიპი, უბრალო და თავდაბალი, ნამდვილი დემოკრატი. კალიმაკი რამდენიმეჯერ გვეწვია ჰასტუმროში და ერთხელ თეატრშიც ერთად ვიყავით. დიდად მესიამოვნა, როცა გვიბრბეს, რომ კალიმაკი მოკლე ხანში საქართველოს უნდა გამოემგზავროს. — საქართველოში ძალიან მაინტერესებს მუზეუმები, ხელოვნების ძეგლები და განსაკუთრებით ხალხი, მისი ცხოვრებაო.



ახალწლის დამე არლუსში გაიტარეთ: თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები იყვნენ თავმოყრილი და დიდად მხიარულობდნენ. იყო ცეცე და სიმღერა. მაგრამ ჩვენგანურად, ვონდალ, კი არ მღერობდნენ. არამოო ცალკალკე: ვისაც კი უნარი და ხალისი ჰქონდა, მიერთ-



ფონთან მივიდოდა და იქ მღეროდა. შუალაშე რომ შესულდა, მხოლოდ მაშინ იმღერა ყველამ ერთად ტრადიციული „ლა მუ ლ ც ა ნ ა ი“, რაც ჩვენბურ მრავალეამიერს უდრის. დროდადრო ეუბჯენ როდანი, არლუსის გენერალური მდივანი, სიტყვას წარმოთქვამდა. ჩვენი იქ ყოფნა საგანგებოდ აღნიშნეს და ამიტომ გიორგი ლეონიძემაც საპასუხო სიტყვა წარმოთქვა.

ვალს ყველანი გატაცებით ცეკვადნენ, მათ შორის ჩვენი შოფერი ფონიაც, რომელმაც ტრანსილვანია შემომატარა. მერე „პეტრენი“ წამოიწყეს; ყველანი წრეს ჰტრავდნენ და ხელა მოძრაობენ ფერხლის მკავსად. შუაში ერთი ქალიშვილია, იგი ცხვირსაბოცს შემოახვევს ვისმე — თავის „რჩელს“, ისინი წრის შუაში იხოქებენ და ერთმანეთს კოცნიან. მერე ის კაცი ირჩევს ქალს და ასე გრძელდება „საქმე“. გიორგი ლეონიძეს დიდად მოეწონა ეს ცეკვა და მხურვალე მონაწილეობაც მიიღო მის შესრულებაში.

მე აღრე წამოვედი და რესპუბლიკის მოედანზე რომ გამოვიარე, დავინახე ყოფილი საბჭოე სასახლის (ახლა ეს „რესპუბლიკის სასახლე“) გაჩირადნებული სარკმლები და მოცეკვედნი. ეს შეხვედრა კომკავშირის მოუწყვია. მიწვეული ყოფილან მხოლოდამხოლოდ ქალიშვილები და უცოლო ყმაწვილები: იმდენივე ქალი, რამდენი ვაჟი (ზუსტად!). ვინ იცის, რამდენი მომავალი ოჯახი ჩიისახა იქ იმ დამეს!

ჩვენი სასტუმროს პოლშიაც ნაძვის ხე იდგა, მის ვარშუმო და რესტორანში კი ვალსი იყო გაჩაღებული.

ასევე სახსე იყო სხვა რესტორანებიც. ეს იქ ტრადიციაა.

6

ერთი ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილებათაგანი ბუქარესტში ყოფნისას — თეატრალური შთაბეჭდილება, სახელდობრ, კარაჯალუს სახელობის ნაციონალური თეატრის სპექტაკლები. სამი წარმოდგენა ვნახეთ: ერთი — გოლდონის კომედია, მეორე — გოგოლის „რევიზორი“, მესამე — კარაჯალუს კლასიკური კომედია „დაკარგული წყრილი“. ჩვენ თვალთაოფი დავინახეთ, რომ რუმინელ მსახიობებს რთულ ადამიანურ სახეთა ღრმად წარმოსახვაც შეუძლიათ, და სხვადასხვა ემოქებისა და სხვადასხვა ხალხთა „სტილსაც“ ფაქიზად გრძნობენ.

თეატრის ძველი შენობა თმის დროს დაღუპულა. ახლა წარმოდგენები იმართება ყოფილ კერძო თეატრში, რომლის დაბრახიც საგრძნობლად ჩამოუვარდება სიდიოთი როსთაეკლის თეატრისას (აქაც და კლუქის საოპერო თეატრ-

შიაც თვალში მომხვდა, რომ ყოველმან მსახიობს თაიხი ვარდერობი აქვს. ამის წყალობით საერთო ვარდერობები სავარძნობლად განტვირთულია).

გოლდონის პიესა „უხეშნი“ მე აღრე არც წაითხული მქონდა და არც ნანახი. მოქმედება და მოძრაობა პიესაში შედარებით ნაკლებია. უმთავრესია დილოგები. და თუმცა, ცხადია, ტექსტი არ მესმოდა (მხოლოდ შინაარსი მიამბეს მოკლედ), ცხოველი ინტერესით ვუყურებდი წარმოდგენას. დეკორაცია ძალიან მარტივია, ავეჯიც — მხოლოდ აუცილებელი. მოქმედებებს შუა ფარა და არ ეშვება: გამოდღოდა კომედია დელარტეს პერსონაჟებად ჩაქმული რამდენიმე კაცი. ისინი მუსიკის თანხლებით რიტმულად მოძრაობდნენ და თან ცვლიდნენ დეკორაციასა და ავეჯს. სხვა არავითარი, სპეციფიკური „თეატრალური“ პირობითი ხერხი არაა გამოყენებული, ყველაფერი მთლიანად მსახიობთა თამაშს ემყარება. იმ დღესვე დამამახსოვრდა სამი უმთავრესი როლის შემსრულებელი — სახალხო არტისტები ვასილიუ-ბირლი და კალბორიანუ და დამსახურებული არტისტი ჯუგარუ — სამივე საოცრად კოლორიტული და მახვილი; აგრეთვე — ბრწყინვალე მსახიობი ქალი, დამსახურებული არტისტი ტანკი კოჩა. ამ სპექტაკლს ვენეციაში, გოლდონის პიესების ფესტივალზე, პირველი პრემია მიუღია.

„რევიზორში“ ჯუგარუ გოროდინში, შეიძლება ითქვას, რომ ვირტოზულადაც თამაშობს. ვარგენტულად იგი ძალიან გავს შალვა დამაშვიძეს და შეიძლება ამიტომაც, მას განსაკუთრებული სიმპათიით ვუყურებდი. სრულიად შეუდარებელი წყვილია ვასილიუ-ბირლი — ბობინსკი და მარჩელ ანგელსკუ — დობინსკი. გამაოცა დამსახურებულმა არტისტმა იონ მანუმ ხლოპოვის თითქმის უსიტყვო როლიში: ძნელი წარმოსადგენია ამაზე უფრო დასრულებული, სრულად გამოკვეთილი სახეესენი, რა თქმა უნდა, საცემობთ განსხვავებული ინდივიდუალობის მსახიობები არიან. მაგრამ ყველას თანაბრად ახასიათებს ზომიერების გრძნობა. ყველაზე უფრო „სახიფათო“ მომენტებშიც არავის არც ერთხელ (არც ერთ სპექტაკლში) ვხეი არ დაცდენია, არც ერთისთვის „სულს არ წაუძლევი“. ყველანი შესანიშნავად უსმენენ ერთმანეთს, ეარგონით რომ ვთქვათ, ყოველი მათგანი მუდამ „სახეში ზის“ — მაშინაც კი, როცა სადღაც უკანა პლანზე არიან მიმალულნი. პიესის იდეური გაჯანსაღება სახეთა დამსახიობების მხრივ „რევიზორში“ მოულოდნელი არაფერია. მაგრამ ბევრია მახვილ გონივრულად მიგნებული დეტალი. ძლიან სასაიკლო მიზანსიკინა ხლესტაიკოვის დათრობის სცენაში: ხლესტაიკოვი მიადგმს თავს მუცელზე გოროდინის, რომელიც იქივ



დაგს, და იძინებს; თან მუცელს „ასწორებს“ ბალიშებით. უფრო მეტის მიტყეღა მეორე მიზანსცნა: როცა ვაჭრები მოსაბოლიშებლად მივლენ გორდინიჩთან — ეს უქანასკნელი დეერევა, აწიოებს მათ და იატაკზე ცხოველებივით ახოხებს, ერთ მათგანს წისლაც მიახელს და რიცა მეორედ ჩასატყეღლად მოემზადება, ამ დროს გაისმის ეკლესიის ზარის რეკა. ყველანი შეშლებიან, გორდინიჩიც შეჩერდება და ვაჭრის ზურგზე ცალფეშედგმული, საზეიმოდ იწერს პირჯვარს.

მსახიობთა დამოკიდებული მყურებელთან პიესის დამთავრების შემდეგ თავისებურად თეატრალიზებულია: როცა ფარდა პირველად აიხდება დარბაზის ტაშის საპასუხოდ — ფინალური „ცოცხალი სურათი“ კვლავ უძველესია: ისევე ვაშუშბული ღვანის ყველანი. მეორე ახდაზე — მხოლოდ ოთხი გამოკიშული ქანდარშია სცენაზე, მესამედ — ვაჭრები, მეოთხედ — ჩინოვნიკები, მეხუთედ კარგში ერთი დავიდარბით შემოცევილებიან ბოზინსკი და ლობჩინსკი (ერთმანეთს არ აცლიან შემოსვლას), მეექვსედ — ერთ კარში შემოკუნტრულდება ზღესტაკოვი, მეორეში დინჯად შემოდის ოსიბი და ასე გრძელდება, სანამ ყველა მსახიობი არ წარმოადგება მყურებელთა წინაშე „თავისი“ სახითა და ხასიათით.

„დაკარგულ წერილს“ რუმინელები, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ბრწყინვალეობით, ძალიან მახვილგონიერულად თამაშობენ. აქ კიდევ რამდენიმე შესანიშნავი მსახიობი ვნახეთ — იონ ფინტეშტიანუ, კოსტაკე ანტონიუ და კვლავ ძველი ნაცნობები: ჯუგარუ და ვასილიუ-ბირლიკი — ეს ერთი ყველაზე საყვარელი და პოპულარული მსახიობთაგანია ბუქარესტში: პატარა ტანის გამბედავი კაცი, იშვიათად მეტყველი და მოძრავი სახისა.

ქართულ სცენაზე ღირს ამ მწუხნიერი პიესის დადგმა. მე მგონია, რუმინელებსა და ჩვენს ოლმორს შორის ბევრი რამაა საერთო. ჩვენს მოყვებულებსა შესანიშნავი მსახიობები „დაკარგული წერილისთვის“, რომლის როლებიც ძალიან მკვეთრად და დაწერილი.

სამივე ეს პიესა დადგმულია მთავარი რეჟისორის სიკა ალექსანდრესკის მიერ. მისივე ნათარგმნია იტალიურიდან გოლდონი.

კიდევ ერთი წარმოდგენა ვნახე: „ხუთთითიანი ხელი“ თოჯინების თეატრში. პაროდია პოლიციური დრამისა. საინტერესოა უფრო იმით, რომ სრულიად უტყეტრია, თუ არ ჩავთვლით სამ სიტყვას: „პაპა“, „ბანკ“, „პოლიცია“. დანარჩენი — ქვისტყუალაობით, შეძახილებითა და ბგერების იმიტაციით გამოიქმნის.

რუმინულ კინო-პროდუქციის ჩვენ ასე თუ ისე ვიცნობთ. მე იმედი მაქვს, რომ კიდევ ერთხელ, უკვე თბილისში, ვნახავ ორ მოკლე-

მეტრაჟიან რუმინულ მულტილოკაციას, რუმინული ბუქარესტში გვიჩვენებს: „შეგდგენილი ლოვენებასა“ და „მოკლე ისტორიას“. მათი ავტორია რეჟისორი იონ პოპესკუ-გობო — როგორც გადმომცეს, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული კაცი. არ ვიცი, სხვა დარგში როგორ გამოიჩინა თავი, ეს სურათები კი ისეთია, რომ იშვიათად თუ ნახავ კაცი უფრო მახვილგონიერ რასმე — გამოგონების მხრივაც, ნახატის მხრივაც, საერთო ჩანაფიქრის თვალსაზრისითაც. „მოკლე ისტორია“ იწყება პლანეტების გაჩენით და თავდება ადამიანის მიერ ამ პლანეტების დაპყრობით. ადამიანის ისტორიული ევოლუცია კი ასეთი ხერხითაა ნაჩვენები: კიბეზე სწრაფი ნაბიჯით არბის კაცი. ყოველი საფეხური — ისტორიული ეპოქა და ყოველი საფეხურზე კაცი იმ ეპოქების შესაბამისად იცვლის სამოსელს: სვლას იწყებს ტროვლოდითი და ამთავრებს თანამედროვე ადამიანი. მეოცე საუკუნემდის რომ აიბრუნს, კიბე თავდება და იწყება ესკალატორი, ბოლოს კი ადამიანი წყდება ესკალატორს და იწყებს სამყაროს სივრცეში ფრენას. ეს ფილმები ორი თუ სამი წლის წინათ ყოფილა დადგმული და ერთერთი საერთაშორისო კინო-ფესტივალზე (მგონი კანში) დაუჯილდოებიათ კიდევ.

7.

ჩვენ ვიწყებთ მოგზაურობას რუმინული ხუროთმოძღვრების ძეგლთა გასაცნობად. ბუქარესტში ჩავედით თუ არა, ვთხოვე — კურტია დე არჯეში მაჩვენეთ მეოქვი: ეს ყველაზე სახელგანთქმული ძეგლია, თანაც ულარისადაც ითვლება. მისი ფოტოსურათი ბევრი მინახავს და ზოგი რამ წამოითხავს კიდევ მის შესახებ. ამ ძეგლის ნახვა თავდაპირველ პროგრამაში არ იყო, მაგრამ ჩემი თხოვნა მაშინვე „შეიწყნარეს“ და პირველად სწორედ იქ წავიყვანეს.

19. XII. ჩვენი მარშრუტი, შედგენილი პროფ. გრ. იონესკუს მიერ, ასეთია: ქალაქი ტირგოვიშტი — მონასტერი დიალუ — კურტია და არაქეში — ქალაქი პიტეშტი. სულ დაახლოებით 350 კილომეტრია გასავლელი. პროფ. იონესკუე ჩვენთან ერთად წამოვიდა, ასე რომ უკეთეს გიღს ვერც ვინატრებდით. თან მიმაქვს სწორედ მის მიერ დაწერილი წიგნაკი კურტიაზე არაქეშიზე.

გზა ბუქარესტიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ მიდის. ზოგან ასფალტია, ზოგან მკვიდროდ ჩაწყობილი ქვის ძელაკებით მოკირწყალული გზა. ეს ასფალტსაც ჯობს, ასეა რომინეთის სხვა გზებზედაც, რომლებიც მეერ ვნახე. მთელ გზას უზარმაზარი ასწლოვანი ვერხვები გასდევს ორსავე მხარეს. ბუნება ქართლისას გავს-

ველი, შორს გორაკები. სოფლები კი დასავლეთ საქართველოს სოფლებს მაგონებს: ერთმანეთს დაშორებული სახლები, დიდი ეზოები. ისევე, როგორც ჩვენში, სოფლად აქაც იჭრება ქალაქური არქიტექტურის გავლენა, განსაკუთრებით ბუქარესტის მახლობლად. სახლების უმეტესობა აგურისაა, შეღესლი და შეღებილი (ზოგიერთი საკმაოდ კაშკაშა ფერად). დამახასიათებელია პატარა გადახურული თაღოვანი კარიბჭეები სახლის შესასვლელის წინ, ზოგჯერ დეკორატიული ხასიათის მასივური სამკილა თაღებით, რომლებიც წვილს სვეტებს ეყრდნობა. ეს — ტრადიციული ეროვნული მოტივია, მაგრამ არ ვიცი, გლეხების სახლებშიაც უწყვეტ ტრადიციასთანაა დაკავშირებული, თუ ქალაქებში შემუშავებული სტილიზაციის გამოხატობაა. მაგრამ აქვე, ამავე სახლებში, უეჭვილად ახლებურ ქალაქურ ელემენტებსაც ვხვდებით — ფართო, „პორიზონტალურ“ სწორკუთხა საკმეხებს (ზოგჯერ სამ-ოთხ საგულისივან შედგენილს). უფრო მარტივი უბრეტენიო სახლიც ბევრია — უბრალო ხის აივნებით. ასეთი სახლები უფრო ბუნებრივი და სასიამოვნოა.

ხშირად გვხვდებიან გლეხის ქალები, რომელთაც თავზე კალათი ან ფუთა უდევთ და არხეინად მიაბიჯებენ.

ტი რ გ ო ვ ი შ ტ ე, ოდესღაც ვალახის დედაქალაქი (კურტია დე არჯუშის შემდეგ), ახლა რაიონის ცენტრია. მთავარ ქუჩებზე აქაც ორსართულიანი კორტეჯებია. ხშირია ეროვნული ფორმების ელემენტები — ლოჯიები და აივნები პატარა თაღებით თავსობადა სვეტებზე. სწრაფად დაავთვალერეთ ეკლესია ს ტ ე ი ა, აშენებული 1645 წ. იმავე მთავრის ბასილეს ლუპუს მიერ, რომელმაც იასის სამი იერარქის ტაძარი ააშენებინა.

ქალაქს გადალბა, დაბალ ქედზე, გამოიწინა დიალუს მონასტერი. ასასვლელი გზა ფერის მიყვება. ნამდვილი ჩვენებური სოფლის ორღობეა: წამოწოლილი ხის ღობე, ბუჩქნარი, ალვის ხეები, ტალახი.

მთავარი ეკლესია, აშენებული 1503—1504 წლებში, მონასტრის დიდი ეზოს ცენტრში დგას. ეს ყოფილა თლილი ქვის პირველი ეკლესია ამ სახის მორთულობით. ესეც ტრიკონქია, ორი მცირე და ერთი დიდი გუმბათით. ოთხსაგ ფსალზე ორ იარუსად მოთავსებულ უწყვეტი თაღდია, მოტივი, რომელმაც შემდეგ ძალიან დიდი გავრცელება პპოვა ვალახისში.

— შეხედეთ, ნამდვილი საქართველო არაა? მითხრა პროფ. იონესკუმ. როგორც კი მონა-

სტრის გალავანში ფეხი შეედგით, და გუმბათებზე მიმოითთა. წახანგოვან გუმბათის ყელს ერთგვარი მსგავსება ქართულ გუმბათის ყელთან მართლაც აქვს, თუმცა საბურავი აქ ნახევარსფერულია და არა პირამიდული. გუმბათის ყელის სარკმლებსაც, ისევე როგორც ჩვენში, მოჩუქურთმებული საპირეები უვლის გარს. თვით ჩუქურთმის სახეებს, ზოგადი იერით, საერთო მოეძებნება გვიანდელი ქართული ქვის ჩუქურთმასთან, თუმცა ისეთი მშრალი და ხელისნული არაა, როგორც ანანურისა და ბარაკონის ჩუქურთმებია. ასეთი გარეგნული მსგავსება, ცხადია, არაა საყმარისი, რომ რაიმე ზოგადი დასკვნა გამოვიტანოთ გავლენათა და სესხებათა შესახებ. ამ საკითხს ცალკეული სახეების სრული დამთხვევა კი ვერ გადაწყვეტდა სხვა საბუთთა დაუნმარებლად. ქვემოთ, კურტია დე არჯუშთან დაკავშირებით, ამ საკითხს კვლავ დაგებურდებით.

ეკლესიაში წირვა-ლოცვა არ იყო, ანემონტებდნენ. ძველი მხატვრობა აღარ ვაღარჩენილა და ახლა ხელმოკრედ ხატავენ. თვით სამონასტრო შენობებიც ახლდაა აშენებული — აგურის ერთსართულიანი კორპუსებია. შენების ხარისხი ისეთი კარგია, რომ თვალი დამჩნა, წითელი აგურია, ფართო ნაკერებით რიგებს შორის, მაგრამ ნაკერები ისეა ამოყსებული, რომ სრულიად გლუვ ზედაპირს ქმნის.

მონასტრის გალავანში ერთი პლარაწყვრია-ნი კაცი დაავგებდა. ამ პლარის მიუხედავად ისეთი ჰუბუქური თვალები ჰქონდა, იმდენად ცოცხალი, მოძრავი იყო, რომ ორმოცდაათისაც არ მეგონა, თუმცა ორმოცდაჩვიდმეტისა აღმოჩნდა. წოწოლა ქული ეხურა. მისი გრძელი წვერის, ქულისა და თბით ადვილსამყოფლის მიხედვით უეჭველი იყო, რომ იგი ბერია. მაგრამ მისმა ჩაცმულობამ და საესვებით ერისკაცულმა ყოფიქცემამ ოტკა არ იყოს ჩამაფიქრა. ეცვა როგორც ტრაქტორისტს, ან მეთხილამურს — ლურჯი სპეცფორმა, შარვალზე წინიდან დაკერებული დიდი ჯიბეებით. მზიარულად გვესაუბრებოდა, იცინოდა, ეკლესიაში ქულიც არ მოუხდია, ადვილი წარმოსადგენია ჩვენი გაკვირება, როცა გვითხრეს, ამ მონასტრის წინამძღვარიაო.

რაკი წინ დიდი გზა გვედო, დიღანს აღარ დავრჩენილვართ. გამოვეთხოვეთ იმ დღიად მოდერნიზებულ წინამძღვარს და ისეც ტრიკონქის დაგებურდით. აქ იონესკუმ დაავთვალერებინა მთავრის ძველი რეზიდენციის კომპლექსი. და შემდეგ კურტია დე არჯუშისკენ ვქნენით პირი.

მედიის მსახურში

საზოგადოებრივი მედიის მსახურში
საზოგადოებრივი მედიის მსახურში
საზოგადოებრივი მედიის მსახურში
მდივანი

ჩინეთი კულტურული აღმავლობის გზაზე

(ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 10 წლისთავის გამო)

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ჩინელ ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით ზეიმობენ საბჭოთა ხალხი და მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა.

ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ჩინელ ხალხზე წერდა როგორც „ქვეშაირტად დიდ ხალხზე“, რომელსაც ძალუქს „არა მარტო ოცნება თავისუფლება და თანასწორობაზე, არამედ ბრძოლა ჩინეთის საუკუნოებრივი ჩაგვრის წინააღმდეგ“.

დღეს მთელი მსოფლიო მოწამეა, თუ როგორ სრულდება ლენინის ეს წინასწარმეტყველება.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩინელმა ხალხმა მოკლე დროში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სამეურნეო, კულტურულ და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა დარგში. კომუნისტურმა პარტიამ ჩინელ ხალხს მრავალი ამოცანა დაუსახა. მათ შორის: წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაცია, საშუალო და უმაღლესი სასწავლებელთა რიცხვის გაზრდა, დამწერლობის რეფორმის გატარება, ყველაზე უფრო გავრცელებულ ავადმყოფობათა ლიკვიდაცია, კულტ-მასობრივი მუშაობის გაფართოება და სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ხელის შეწყობა.

ჩინელი ხალხი დიდი ენთუზიაზმით ახორციელებს კულტურული რევოლუციის ამ გრანდიოზულ პროგრამას, რათა დაერწმუნდეთ, თუ მართლაც რაოდენ გრანდიოზული რამ იქნება ჩინელი ხალხისათვის ამ პროგრამის განხორციელება, გადავხედოთ მის წარსულს.

ძველი ჩინეთის მოსახლეობის 80% წერა-კითხვის უკოდინარი იყო, 1958 წლის სექტემბრისათვის კი წერა-კითხვის უკოდინართა რიცხვი მნიშვნელოვნად იქნა ლიკვიდირებული. ჩინეთში გატარებულმა დამწერლობის რეფორ-

მამ დიდი როლი შეასრულა წერა-კითხვის უკოდინართა ლიკვიდაციის საქმეში.

დიდ განვითარებას მიაღწია სახალხო განათლებამ.

1949 წელს დაწყების სკოლებში 24,4 მილიონი ბავშვი სწავლობდა, 1959 წელს კი 92 მილიონი. 1958/59 სასწავლო წლებში სხვადასხვა სახის საშუალო სკოლებში 15 მილიონზე მეტი ბავშვი სწავლობდა — მ-ჯერ მეტი, ვიდრე სწავლობდა ჩინეთის გათავისუფლებამდე. 1958 წლის ბოლისათვის ჩინეთის სოფლებსა და ქალაქებში სხვადასხვა სახის სასწავლებელთა რიცხვმა 2 მილიონზე მეტს მიაღწია.

ახალგაზრდობისა და ბავშვთა აღზრდა ჩინეთში სახალხო საქმედ იქცა.

დიდი ყურადღება ეთმობა მასწავლებელთა კადრების მომზადებას. 1959 წლისათვის ჩინეთში უკვე იყო მასწავლებელთა დახელოვნების 1.000-ზე მეტი სასწავლებელი, რომელსაც 600 ათასზე მეტი მსმენელი ჰყავს.

ჩინეთის გათავისუფლებამდე, 36 წლის განმავლობაში, უმაღლესმა სასწავლებლებმა მხოლოდ 210 ათასი სპეციალისტი გამოუშვა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 10 წლისთავისათვის კი 500 ათასზე მეტი სპეციალისტი გამოშვებული.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რიცხვი, 1957 წელთან შედარებით, 70 პროცენტით გაიზარდა.

ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის 15 ფილიალი აქვს. აკადემიასთან 70-ზე მეტი კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტია.

დიდ წარმატებას მიაღწია ჩინეთში ლიტერატურამ და ხელოვნებამ, რომელიც ჩინეთის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს ემყარება.

ჩინეთის ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლუ სინის შემოქმედებას.

მწერლების, პოეტებისა და ხელოვნების მუშაკთა უმრავლესობა ახალგაზრდობაა.

ლიტერატურის მთავარი გმირები ახალი ადამიანები არიან. მშრომელ ადამიანებს მიეძღვნა ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა ჩოუ ლი-მოს „ფოლადის დინება“, აი უს „ასჯერ იწრთობა ფოლადი“, ცაო მინის „მამოძრავებელი ძალა“ და სხვ.

ასლიანიწვია აგრეთვე ის, რომ მხოლოდ ერთ პროვინციაში — ძიანსუში — დაახლოებით 40 ათასი ლიტერატურული წრეა, რომელშიც გაერთიანებულია 300 ათასი მუშა და გლეხი; ამ წრეების წევრებმა მხოლოდ ნახევარი წლის განმავლობაში 10 მილიონი ლექსი, სიმღერა, მოთხრობა და სხვა ლიტერატურული ნაწარმოები შექმნეს.

1957 წელს ჩინეთის მწერალთა კავშირმა დაარსა ორი ახალი ლიტერატურული ეურნალი — „შოუხუ“ („მოსავალი“) და „პოეზია“, რომლის რედაქტორია ცნობილი ჩინელი პოეტი ცხან კე-ცი. ამ ეურნალის პირველ ნომერში დაიბეჭდა შაო ძე-დუნის 18 ლექსი.

აღმავლობის გზაზე ჩინური თეატრალური ხელოვნება, რომელსაც მდიდარი ტრადიციები აქვს.

აქური თეატრების სცენაზე მარტო ჩინელი დრამატურგების პიესები როდი იდგმება — თქვენ შეგიძლიათ ნახოთ შექაპირის, შილერის, გოლდონის, ოსტროვსკისა და სხვათა პიესები, რაზეც ჩინელი ხალხი მხოლოდ ოცნებობდა გათავისუფლებამდე.

ამ ორიოდ თვის წინათ პეკინის ცენტრალურმა ექსპერიმენტულმა დრამატულმა თეატრმა ჩინელ მსუბრუნებელს უჩვენა ა. ოსტროვსკის „ქექა-ქუხილი“. პირველად დაიდგა აგრეთვე ბრაზილიელი დრამატურგის ფიდრეი-დოს პიესა „ეზოპი“.

ჩინურმა კლასიკურმა ოპერამ, რომელსაც 800 წლის ისტორია აქვს, ხელი შეუწყო ახალი საოპერო თეატრის გახსნას. 1953 წელს ქ. პეკინში გაიხსნა ცენტრალური ექსპერიმენტული საოპერო თეატრი „ტიანცაო“, სადაც იდგმება და-

საღვთო ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ოპერები მხოლოდ ჩინურ ენაზე იდგმება. ამ თეატრის ერთ-ერთ წარმატებულ უნდა ჩაითვალოს ოპერა „ტრაავიატას“ დადგმა.

სწრაფი ტემპით ვითარდება და იზრდება ჩინეთის კინემატოგრაფია. მარტო 1958 წელს გამოშვებულ იქნა 80-ზე მეტი მხატვრული ფილმი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 10 წლის-თავისათვის საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის კინომუშაკებმა გამოთქვეს ერთობლივი ფართო-ეკრანის მხატვრული ფილმი „ერთიან მწკრივში“, რომელიც საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურღვევ მეგობრობას მიეძღვნა.

ჩინელი ხალხი დიდ ინტერესს იჩენს ქართული კულტურისადმი.

ჩინურ ენაზე თარგმნილია ქართველი მწერლებისა და პოეტების — ლეო ქიაჩელის, გრ. აბაშიძის, გ. ლეონიძის და სხვათა ნაწარმოებები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩინურ ენაზე ორჯერ იქნა გამოცემული ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყე რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია ჩინელ მკითხველებში.

ჩინელი მეგობრები დიდ ინტერესს იჩენენ აგრეთვე ქართველ მეცნიერთა შრომებისადმი. ჩინურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ნ. მუსხელიშვილის, ქ. ბახტაძის, ა. ჩიქობავას, ნ. ანთელავას, ვ. ჯეღის და სხვათა შრომები.

ქართველ მეცნიერებს თავისი წვლილი შეაქვთ ჩინელი ხალხისათვის ძმური დახმარების საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ცნობილი თანამედროვე ჩინელი დრამატურგის ცაო იუსის პიესა „ტიანფუნის“ დადგმა, რომელიც განახორციელეს ქ. მარჯანიშვილისა და გრიბოედოვის სახელობის თეატრებმა.

იზრდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მეგობრობა.

დიდი ჩინელი ხალხი მედგრად მიიწვევს წინ სოციალიზმის მწვერვალისაკენ.



მონიკა პარენსკა

პოლონეთის მიწიდან შორეულ კავკასიაში...

პოლონელ მწერლებს, რომლებსაც უკანასკნელ წლებში კულტურულ დელეგაციებში მონაწილეობდნენ და საქართველოს ეწვივნენ, თავის ქართულ თანამოკალმეებთან გულთბილი შეხვედრებისას არაერთგზის განუცდიათ მწარე ვანცოფერება, როცა პოლონეთ-საქართველოს კულტურული ტრადიციების სადღევარქლოს შესმისას ქართველებს აღამ მიცევიჩის გვერდით ახსენებდნენ... ტადეუშ ლადა-ზაბლოცისა. — ვინ უნდა იყოს ეს უკანასკნელი? ეს კითხვა თავსატეხად გაუხდა მრავალ ისეთ მცოდნეთაც კი, რომლებიც ღრმად არიან ჩახედულნი პოლონურ ლიტერატურაში!

ეს ამბავი განსაკუთრებით საგულისხმოა ახლა, თუ გავიხსენებთ, რომ საცაა საქართველოში ჩატარდება პოლონური კულტურის დეკადა. კაცს ეგონება, კავკასიის ეს შორეული მხარე ისეთი უსაზღვრო სიერით, ისტორიისა და ტრადიციების ისეთი უსაზღვრო სახესხვაობითაა დაშორებული პოლონეთისაგან, რომ ამ ხალხების წარსულში ძნელად თუ მოიძებნება შემკავშირებელი ძაფები. მაგრამ თურმე როგორც შორეული, ისე ახლო წარსული სავესა საინტერესო, გახსენების ღირსი ფურცლებით, მით უმეტეს წლებიანდელი შემოღამის დღეებში, როცა ლექციებსა და გამოფენებზე, ქართული კულტურის დელეგაციის წარმომადგენლებთან შეხვედრებისას, სამხატვრო ღონისძიებათა და თეატრალურ სპექტაკლებზე ჩვენ პოლონეთში გაცემობთ თანაპერდოვე საბჭოთა საქართველოს ცხოვრებას.

საქართველოში თუ ვაეცნობიან იმავე დროს ჩვენს ცხოვრებას?.. დაიხ. როგორც უკვე მოვახსენეთ, საქართველოში ჩატარდება პოლონური კულტურის დეკადა, რომლის დროსაც ვახსენება სამხატვრო გამოფენები, გამოვლენ პოლონელი მხახიბებები, ნაჩვენები იქნება პოლონური ფილმები, წაიკითხება ლექციები და მოხსენებები ჩვენი ქვეყნის შესახებ. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო მხოლოდ დღეს როდი დაინტერესდა პოლონელი მეცნიერების, მხატვრების და მეტადრე მწერლების მოღვაწე-

ობით; პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში კავკასიაში სამეცნიერო კვლევა-ძიებას ეწეოდა ჩვენი სახელგანთქმული ბოტანიკოსი პროფ. ბ. გრინვეცი, რომელიც შეხვდა საქართველოში კარგა ხნის წინათ დამკვიდრებულ პოლონელებს. თბილისთანა დაკავშირებული ჩვენი ვრთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი მხატვრის ზიგმუნტ ვალოშეცის ხსოვნა, რომელმაც საქართველოში განიცადა თავისი არტისტული სიყაბუჯე და რომელიც დღემდე ასოვთ მის ქართულ მეგობრებს. კავკასიაში მცხოვრები პოლონელების ისტორია გამოიკვლიეს ჩვენმა მეცნიერებმა — უწინარეს ყოვლისა ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ იან რეიხმანმა, ხოლო იქაურ მხარეში მცხოვრები პოლონელი მწერლების ცხოვრება შესისწავლეს იულიუს ვიქტორ გომულიციმ და მერისლავ ინგლოტმა. და სწორედ აქ ვუბრუნდებით ზემოთ მოხსენიებული პოლონელი პოეტის გვარს, რომლის ხსოვნა პოლონეთში დავიწყების მტვერს დაუფარავს, ხოლო უცნაური შემთხვევითობის წყალობით დღემდე ცოცხლობს ქართველთა შორის. ეს გვარი გავვეყვანს მეცხრამეტე საუკუნის პოლონეთის ლიტერატურის აკაცასიურ ბილიებზე*.

ტადეუშ ლადა-ზაბლოცის, იტიბსკის გუბერნიის ხელმოკლე შლიახტიჩის ვაჟი, სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში სახელმწიფო ხარჯზე, რის საზღაურადაც შემდეგში ექვსი წელიწადი უნდა ემსწავლებლა ბელორუსიაში. სტუდენტობის დროს ზაბლოცის შეხვდა და დაუმეგობრდა ბესარიონ ბელისკის, რომელმაც შეიყვანა ახალგაზრდათა საიდუმლო წრეებში. სადაც თავმოყრილი იყვნენ „არაკეთილსაიმედო“, ე. ი. პროგრესული შეხედულებების მქონე სტუდენტები. მათ კონსპირაციულად ჩამოაყალიბეს „შოლიბური ლიტერატურის მოყვარულთა საზოგადოება“. ეს ერთის შეხედვით უწინარი გავრთიანება ისახავდა ვარკვეულ მიზანს: პოლონელ სტუდენტთა შორის პატრიოტული და თავისუფლებისმოყვარე იდეების გავრცელებას, პოლონელ პოლიტიკურ პარტიებთან და ვადასახლებულებთან კონტაქტის დამყარებას, დემოკრატიული რუსი ახალგაზრ-

* გამოქვეყნდა „ტრიბუნა ლიუდუ“-ში, 1959 წ. 8 სექტემბერს. იბეჭდება მცირე შემოკლებით.

დობისთვის მზარდაქერას. ისეთი დაუღევაო ხასიათის ყმაწვილისთვის, როგორც გახლდათ ზაბლოცი, მოსკოვის უნივერსიტეტი მეტად მცირე ასპარეზი გამოდგა; ჰაბუცი პოეტი ვეტეშჩინაშიც ეწევა აგტაციას, ნაცნობ-მეგობრებს შორის ავრცელებს ლექსებს, რომლებიც კარახშიც წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებენ. ერთი ასეთი ლექსი ხელთ ჩაუვარდა მეფის ყანდარშერას, რომელიც, ცხადია, გულგრილად ვერ ჩაუვლიდა გვერდს ამ მოწოდებას:

„ჯოჯოხეთია მეფეთა ტახტი,
ხედ წამოძვდარა დღეს ბელზებელი;
ის სახრჩობელას ღირსიც არ არის:
შური ვიძიით, ძმებო, ან მოვკვდე!“

ადვილი გამოსაცნობია, რა მოკვებოდა ამას: დაბრძნობა, ცხხე, გამოძიება, სისამართლო, განაჩენი. მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის ზაბლოცის მიესაჯა 22 წლის კატრდა, რომელიც მას უნდა მოეხადა კავკასიის ტარპუსში, როგორც ჯარისკაცი. კავკასიაში ზაბლოცი თავდაპირველად არმიაში მსახურობდა, მერე კი, როდესაც ცოტათი შესუსტდა პირველად განაჩენის სისასტიკე, თავს იძიოთ ირჩენდა, რომ თარგმნიდა და ფრანგული ენის გაკეთილებს აძლევდა. ამჟ დროს ის გეოგრაფულად უფრო ლტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. ზაბლოციმ შეიყვარა ქვეყანა, სადაც ის გადმოავლო მეფის ხელისუფალთა განაჩენმა, დაუახლოვდა იქაურ ხალხს. აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში მოგზაურობამ გაუმდიარეს შთაბეჭდილებები, დაინტერესეს ადგილობრივი ფოლკლორით, უხვად ააქვს მისი სტროფები რომანტიკული ეგზოტიკის კოლორიტით. ზაბლოცი თარგმნის უცხოელ, განსაკუთრებით კი ქართველ პოეტებს, ვატაციებით ეცნობა ქართულ ლიტერატურას, მუშაობს კურსზე — „ქართული ლიტერატურის ნარკვევები“. უმეობრდება „ვაი ქურთისაგან“-ს 1. ადგილობრივი ლიტერატორები ქართულად თარგმნიან ზაბლოცის ნაწარმოებებს... პოეტი ვარდაიცივლა 1847 წელს. იგი იმსხვერპლა ხოლმე, რომელიც იმხანად მჭინეარებდა კავკასიაში.

ერთი წლით ადრე, ბობოქარი და დამსხვრეული სიცოცხლის მერე, თბილისის ახლოს 2 სა-

უკუნო ძილით დაიძინა ზაბლოცის მეგობარმა, პოეტმა ვლადისლავ სტრეელოციმ. დაიწყო ვოლინაში, სწავლობდა კიევის უნივერსიტეტში. შიმონ კონარსკის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის „სალდათად“ გადაასახლეს კავკასიაში, სადაც სიარტლერით პოლკში მსახურობდა. ნადარეველ ვარდაცივლიმა პოეტმა, რომლის ლიტერატურული მემკვიდრეობა დასაბეჭდად მოამზადა ზაბლოციმ, დავეთვოვა ორი მოთხრობა კავკასიის თემაზე: „მოკმუდე“ და „ძმები უზღენები“, შთაბეჭდილებათა და მოგონებათა ტომი; „კავკასიის ჩანახატები“, აგრეთვე ტომი „პოეზია“, რომელშიც ხშირად მიმართავს ადგილობრივ თქმულებებსა და ტრადიციებს.

უნდა გვიხსენოთ აგრეთვე ლეონ იანიშვესკი, ვარშავის უნივერსიტეტის ფილოლოგი სტუდენტი, რომელიც ჯერ დაუზუსტებელი მიზეზების გამო — უთუოდ ნოემბრის შეთქმულების დამარცხების გამო—თბილისში დაქვედრდა. ეს იყო საკუთარი, ორიგინალური შემოქმედებითი სახის მქონე პოეტი და ნიჭიერი მთარგმნელი (თარგმნა პუშკინის „კავკასიელი ტყვე“ და სხვ.). გარდა ამისა მას დარჩა მეტწილად სხვადასხვა ეურნალებში გამოქვეყნებული ლექსები, აგრეთვე „კავკასიაში მოგზაურობის სურათები და შთაბეჭდილებები“. მან შექმნა მსუბუქი საფორტეპიანო ნაწარმოებები („თბილისური პოლია“, „მშვენიერი ქართველი ქალი“), რომლებიც ერთ დროს ძალზე პოპულარული იყო ქართველ მსმენელებში.

პოლონელი პოეტების „კავკასიურ სკოლას“ მიეკუთვნებიან კსავერი პეტრაშვეიჩი, მიცკევიჩის ზეგავლენით დაწერილი სონეტების ავტორი; სტანისლავ ვინიცი, რომლის კალამს ეკუთვნის დაუთავრებელი პოემა „კავკასია“; ვოიციხ პოტოცი, რომელმაც დაწერა კავკასიური ფოლკლორის საფუძველზე აგებული უამრავი მოთხრობები; ედვარდ მახინისკი კავკასიური მოთხრობის „გან ახმეტის“ ავტორი, კაზიმირ ლაჰინისკი, რომელმაც პირველმა სცადა პირდაპირ ორიგინალიდან ეთარგმნა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის შოთა რუსთაველის განთქმული პოემა „ვეფხისტყაოსანი“.



XIX საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიაში მცხოვრებ პოლონელთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ზოგნი დაიხიენენ, ზოგნიც სამშობლოში დაბრუნდნენ; გარდა ამისა, მეფე ახალ ხალხს აღარ ასახლებდა იმ რაიონებში. გვიდა ხანი და საქართველომ გამოიწინა პოლონეთის მიწიდან მოსული სხვა ადამიანები — ჯერ მეცნიერები, მერე ტურისტები, განსაკუთრებით კი მთების მორტფიალენი. როცა სიტყვა მოიტანა, მათი მოგზაურობაც ღირსია მოხსენიებას.

1 უთუოდ კორექტურაა: ვაიციხ „ვაი ქურთისაგან“-ის ავტორს.

2 სტრეელოცი, რომელზეც ლაბარაკობს ავტორი, ფაქტიურად ვარდაცივლა თბილისში, დარბაზულია ფუნქციონირის ქვემოთ, კათოლიკურ სასაფლაოზე. სტატის ავტორი შეცდომაში შეიყვანა პოლონურ ენაზე გამოცემული ბიოგრაფიის იმ ადგილმა, სადაც ნათქვამია: „...დაკრძალულია სოლოლაის მთაზე. თბილისთან“.



ღმენა შენგელიანი

წიგნი სიბრძნე სიცრუისა

ქვემო ქართლის ზვიად ფეოდალ ორბელი- შვილ-ყაფლანიშვილთა ჩამომავალმა, ქართვე- ლი ხალხის სასიქადლო იგავთმწერალმა და დიდებულმა ლექსიოგრაფმა სულხან-საბა ორ- ბელიანმა თავისი უცვლადი „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ ჯერ კიდევ ახალგაზრდად, ყმაწვილ- ცაცობაში დასწერა.

სამი საუკუნეა, რაც ეს წიგნი ცოცხლობს, ცოცხლობს და ქანგი მინც არ ევიდება. ქართველი ხალხის სიბრძნის ეს საოცარი ენ- ციკლოპედია სამასი წლის განმავლობაში ისე ბრწყინვალეა, თითქოს დღეს იყოს დაწერი- ლი. თუ შეთორმეტე საუკუნეს „ვეფხისტ- ტყაოსანი“ და „ვისრამიანი“ ეგრე ამშვენებენ, მეჩვიდმეტე-მეთორამეტე ბნელ საუკუნეებში შექმნილი „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ და „დავითიანი“ თავის ქეშმარიტ ხალხტობით, სისადავით და რეალიზმით მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ახალ მწერლობის შთაგონე- ბის წყაროდ ქცეულან.

ჩვენ არ დავიწყებთ ქართულ კლასიკის ამ ბრწყინვალე წარმომადგენლის იგავარაკთა პა- რალელების საღმე ქებნას, თუმცა ეს თავის- თავად, რა თქმა უნდა, საინტერესოა. ყოვე- ლი ასე თუ ისე ნაკითხი და მით უფრო საქ- მეში ჩახედული კაცი იგავარაკთა ერთიმეორის მსგავს სიუჟეტებს მწერლობასა და განსაკუთ- რებით დოღკლორში მუდამ იპოვის, მაგრამ ამით ვერაფერს ვერ დამტკიცებს, გარდა იმისა, რომ ერთი და იგივე ეკონომიკა და მსოფლმხედველობა ერთნაირ სიუჟეტებს და- მოუკიდებლად წარმოშობენ.

ჩვენ არც ტრუიზმს შეუვშინდებით და პირღამირ ვიტყვით, რომ იგავარაკი, როგორც ქანგი, ზღაპარივით ძველთაძველია, მთარული და უნივერსალური. მაგალითად, ქართულ- ბელუჯურ ზოგიერთ ზღაპრის გასაკვირველი მსგავსება მხოლოდ სიუჟეტური კი არ არის, თურმე ნუ იტყვით, იქაც ისევე, როგორც ჩვენში, მისი მოყოლა დღისით „არ ვარგა“ და,

რაც მთავარია, ქართული ზღაპრის ისეთი სტერეოტიპური დაწყება, როგორც „იყო და არა იყო რაა“, იქაც ასევე სიტყვასიტყვით მეორდება. მერე და, განა ყოველივე ეს იმას ამტკიცებს, რომ ქართველებს ბელუჯებისთვის ანდა ბელუჯებს ქართველებისთვის მიუბაძავთ?

ვინმე რომ არ თქვას, სიუჟეტთა ასეთი გა- საკვირველი თანხედენილობა მხოლოდ ზღაპა- რთა თვისებააო, მოვიტანოთ აგრეთვე ენობესა და მისი მიმბაძველი რომაელი იგავთმწერლის ფედრუსის ერთი ცნობილი იგავარაკის რამ- დენიმე ვარიანტი. ბავშვმაც კი იცის, როცა მელა ყურძენს ვერ შეაწყდა, გული იმითი დაიმშვიდა, რომ, სულერთია, მკვავი იყო და კიბლს მომკვებდაო; ხოლო მეორე ასევე ფარ- თოდ გავრცელებული იგავარაკი — კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო, განა იმავე სიუჟეტის სახეცვალება არ არის? მოვი- გონოთ ახლა მესამე მსგავსი, მაგრამ აქამდე ნაკლებ ცნობილი ფრანგული იგავარაკი, რი- თაც მეთორმეტე საუკუნის კონცებტუალისტი პიერ აბელარი თავის ერთ-ერთ პოლემიკურ ტრაქტატს იწყებს: როცა მელა ალუბალს ვერ შესწვდა, თქვა: რათ მინდა, საძაველი გეგმოსაო. როგორ? განა აქაც ერთმა ერმა მეორე ერის სიუჟეტი მიითვისა ან და ისესხა?

ეს ორიოდე მაგალითი მხოლოდ იმიტომ მოვიტანეთ, რომ ზღაპარ-იგავარაკთა (ანდაზე- ბისაც) მსგავსების კანონის უნივერსალობა ერთხელ კიდევ ვაგვესწავებოდა და გადავრით- გვეთქვა — სულხან-საბა ორბელიანის ორიგი- ნალობისა თუ ანაორიგინალობის საკითხსათ- ვის ამ მსგავსებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო.

იგავარაკი ანუ იგივე ანოლოგი ისევე, რო- გორც ცხოველთ ენოსი, უხსოვარ დროის ტოტემებთან არის დაკავშირებული და ასეთ ქანრების სიუჟეტურ მსგავსებათა საიდუმ- ლოებაც აქ იფარება. ცნობილია, რომ ნინავი ერთ დროს ეგვიპტეს საყარლურად განასახიე-



ცა ქარისკაცები, მომავლიდან დაგვირდნა ხარბი ხელოსნები, დაუნდობლად გამათრახა განდიდებულის სოფლაგრები და დიამბეგ-მოთამართლები, მისმა კალამმა არ დაინდო არც სასულიერო და არც არასასულიერო პირები და ყოველივე ეს ხან ფაქიზი ირონიითა და ხან გესლიანი სარკაზმით სამსალსავით შეზავა.

თავისი ვერე მოწმადლავე და შხამიანი არაკები შიგა და შიგ ლამაზად ჩართულ აფორიზმებით და იდიომატურ გამოთქმებით გააპახვილა, არც ფრთიანი თქმები დაივიწყა, ანლაზუბიტ მოწველა და არც რეზონირულ-მორალიტიკურ თითქოს მისაწყყენ სენტენციებსა და დიდაქტიკას მოერიდა. ყოველივე ეს ქართულ-ეროვნულ სხარტი სიტყვათსაქვევებითა და შეგონება-მორალიტეტებით ხალხურ სისადაცემდე დაიყვანა და მით ერთი მთლიანი, მონოლითურ-მოზაიკური წიგნი შექარა. სულხან-საბა ორბელიანი ორგანიულად ვერ იტანს ყალბ მეტაფორებს, ინვერსიებსა და ფუჭ მალაფარდოვანებას. მერე რა, რომ ის ხანდახან ფრივოლურია, ასე ვასინჯეთ, უწმაწუროც; რა უყუთ, რომ მისი „ათი აქიბის ამბავი“ ვაკვირებებს იწვევს, მეტი რომ არ ეთქვას, თავისი მიამიტობით; სამაგიეროდ, მისი დაუზოგავა ირონია, მძაფრი სარკაზმი და ნაზი ჰუმორი ერთ გარკვეულ მიზანს, ნაკლოვანებათა შეუფერავ მხილვას, ჩინებულად ემსახურება. წინამორბედთა აღმოსავლურ-აბსტრაქტული ხასიათის იგავ-არაკები სულხან-საბა ორბელიანმა რეალისტური, ცხოვრების-სიულ-კონკრეტულ თხრობითა და ღრმა სოციალურ შინაარსით გამსჭვალა და მით ისინი ეროვნულ ქანრად აქცია. ეპოქა მაინც ეპოქა იყო და მეტი კონკრეტობის შეტანა რისკს მოასწავებდა. ამიტომ არის, თავისივე გესლიანობა ხანდახან თითქოს მასვე რომ აკრთობს. ამბავს ის ვანზრახ აუცილებს, მისამართს ოდნავ აბუნდოვანებს და მით არაკს ლოკალს უქარგავს: ებიზოდები სადღაც შორეულ ანდა გამოგონილ ქვეყნებსა და ქალაქებში — პალაბში, ქობულეთში, დარბანდში ანდა ბიზანტი-აბილიში ვადაქვს. მიუხედავად ამისა, მისი თხრობა მაინც ღრმა და ნაციონალურია და სირაქლემსავით თავს ფრთის ქვეშ ისე ვეღარ მალავს. მისი სტილიც სუფთაა, უცხო ენის დანალექთავან გაწმენდილი და მისი ერთგვარი სტილიზაცია მხოლოდ ხერხია და სხვა არაფერი.

როგორც ამ ქართულ იგავარაკებიდან ჩანს, ჩვენ დიდ პატრიოტს, შეურიგებელ ლეგიტიმისტსა და მორალისტს ღრმად აშფოთებდა ოსკურანტიტულ კლერიკულ წრეთა ანტი-პატრიოტული ანგარება, ფეოდალთა საინილარი პარტიკულარიზმი, მართლმსაჯულების ბიწიერი გამყიდველობა, გლეხიკაცის სიღატაკე

და საქართველოს გამანადგურებელი ტყვეობის ვაჭრობა; როგორც ქართველი კაცს, სულხან-საბა ორბელიანს ისევე, როგორც მაშინდელი ინტელიგენციის უკეთეს ნაწილს, გული უწუნდა, როცა ხედავდა: ქართველი არისტოკრატის ტრადიციული ოჯახი პარამანული ხრწნისთვის უცხო ვაჭრებით თანდათან რომ ქვეითდებოდა, ქართული ზნე და ენა სპარსულ-თურქულ ენათა ბნელ აგრესიით რომ ირყენებოდა. საბედნიეროდ ჩვენი იგავთმწერალის შუახნობაში ნასწორები ვახტანგ მეექვსისაგან ნათარგმნი ტექსტი როგორც ლაც შევმინახულა. ამ სწორებიდან ამჟამად ჩანს სულხან-საბა ორბელიანი ქართულ ენას უცხო ენით წალექვისაგან მთელი სიცოცხლის მანძილზე როგორ იცავდა. ვახტანგ მეექვსის „ფანჯარა“ მას ლანძვალ ვადაუსწორებია, ხოლო „ქამარი“ და „ღარაჯა“ ზოსტერ-ხარისხად უთარგმნია. ქართულ ენაში შემოჭრილი ბევრი ასეთი უცხო სიტყვა ქართული სიტყვის დაუძინებელ სარანგსა და მჩხრეკელს რკინის ციციხით გაუხეებია და მათ მაგიერ შშობლივი ექვივალენტები უძებნია. ჩვენი დიდი მამული-შვილი მხოლოდ ლექსიკონს როდი დასჯერებია. ქართული ენის მოქნილობისა და ხალხურობის დასაცავად მთელი ფრანგები უსწორებია და ხან ხელახლა უთარგმნია. მართალია, „ქილილა და დამანას“ მდარე ენა მდარედვე დარჩა, მაგრამ რედაქტორს რა უნდა ექნა? იმაზე მეტი შრომა, მას რომ გაუწევია, აღარ მოეთხოვებოდა.

აი, ასეთი ჩაიციებული შრომით მიალწია მან თხრობის იმ გასაოცრად მსუბუქ სტილს, სამასი წლის შემდგავ ასე რომ გვიბოლავს. ცოცხალი პოლემიკური კილო და ხალხური მეტყველების ზაფოვანება კიდევ უფრო ამძაფრებს მის ისედაც მძაფრ შემოქმედებას. მართლა და მართლა, მასმინდელ საქართველოში საქმე სახუმროდ როდი იყო. სამშობლო განსაცდელში ჩავარდნილიყო და ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი დამდგარიყო. და აი, ამ მძიმე პოლიტიკურმა მომენტმა განსაზღვრა მისი პოლემიკური კილო და ასე ხალხი, საზრი-სიანი წარმტაკი სტილი.

ქართულ კრიტიკაში ხშირად თქმულა, რომ ჩვენი იგავთმწერალის სტილი ლაკონური, სხარტი და მარჯველ მოქნეული. მაგრამ ყოველივე ეს ვანა სხვა მწერლებს არ ახასიათებს? სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებითი ეროსი ინტელექტუალურია, კუქისმიერი და ამიტომ არის მისი ასეთ მკაცრ სიმარტივემდე დაყვანილი სტილი ეგზომ ლოგიკური, თითქოს ცივი და ლამიდარული. ყოველივე ამას ავტორის თავმჯავებელი ირონიული ინტონაცია ამახვილებს და გეჩვენება, რომ მისი გამჭვირვალე ფრანგ თითქოს წყარუნობს; მაგრამ



სიტყვის ეს უაღრესი ეკონომია და კლასიკური სიმარტივე მის ფრაზას როდი აღარბეჭდს და ან აკოკლებს, პირიქით, იგი ღენსადა, დანამიური და ნაწარმოების მთავარ იდეას საუკეთესო სისრულისაკენ ყოველგვარ მიხედვით მოხვედრისა და წიადსვლების გარეშე დინჯად, აუჩქარებლად მიაქანებს.

შეადრება, რომელსაც ჩვენ აქ ახლა მოვიტანთ, ცოტა არ იყოს, უხერხულია, მაგრამ გავხედავთ და მიინც ვიტყვით. სულხან-საბა ორბელიანი სახენულად გასულ იმ ცხენს გვაგონებს, რომელსაც თვალი აქეთ-იქით რომ არ გაემტკეს, გვერდით ტყავის ნაჭრები აღუფრთხილ და მხოლოდ წინ იციკრება, ხნული ამიტომ პირდაპირ ლარივით მიიქვს. სულხან-საბა ორბელიანსაც ფრაზა ფრაზაზე ხნულივით პირდაპირ გაექვს. მის მსვლელობას ხელი არაფერმა რომ არ შეუშალოს, ყოველი ფრაზა გამარცხვლია ყოველგვარ სამაქულთაგან და ხშირად, ძალიან ხშირად მხოლოდ ქვემდებარემდე და შემასმენელამდე არის დაყვანილი. ამიტომ არის, მისი სტილი ხანდახან კიდევ რომ გვატუნებს და ერთი პირთა გვეჩვენება ფრაზას თითქოს რაღაც აკლია; მაგრამ გონს მოგვასაყ ვერ მოასწრებ, რომ ის აზრობლივ შუქით უტებ ნათდება და მკაცრ ლოგიკურ თანმიმდევრობით, მიხანსწრაფვით შინაარსისკენ შეუფერხებლივ მიექანება. ეს ცენტრმიმსწრაფი აზრი ფრაზისა, ვიტყვით პირდაპირ, უციდურესობამდეა ვამიშვლელული და სწორედ ეს არის, ხანდახან ასე რომ გვატუნებს.

ვიმორებთ, სულხან-საბა ორბელიანი ორგანიულად ვერ იტანს რთულ წინადადებს. ამას ის მხოლოდ იგვარაკებთ კი არ ამტკიცებს, მისი „სიტყვის კონის“ ლაკონური განმარტებანიც ადასტურებენ. მას არ უყვარს ფრაზის მიკიმ-მოკიმვა, სძულს ყოველგვარი პათეტია და თვითმინობრივი ყველივლება. და, როცა ამას ის ხანდახან მიინც მიმართავს, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს წინასწარ განაგარიშებული ლიტერატურული ხერხია. თავისი აზრი ჩვენმა ავტორმა ოღონდ ზუსტად გამოსტქვას და არაფერს არ დაერიდება — არც უციდურესობამდე მისულ სიმარტრევის, არც პათეტუკის და არც ფრაზის გარეგან ვადარიბებას. მაგრამ სულხან-საბა ორბელიანი ყოველივე ამას ისეთ გემოვნებით და მხატვრული ტაქტით აყვთებს, რომ ევექტი მუდამ სრულია. მისი ფრაზაზე მუშაობა ჩვენ ჯგაიარჩის ვულდღებულ მუშაობას მოგვავონებს და ამიტომ არის მისი არაკი-ნივთი ასე კონკრეტული და თან წონეადა. მაგალითისთვის მოვიგონოთ მისი თუნდაც „ქობულეთის მეფის ძის“ არაკი: „მე ქობულეთის მეფის ძე ვიყავ, ყოვლის კით-

ლის მქონელი. მტერი მყვა უძლიერესმა მტერმა კად მე ვჯობდი და დიდებთა იგი...“
როგორც ვხედავთ, სულხან-საბა ორბელიანი აქც ისევე პროლტკოლუია, როგორც საერთოდ. იმასაც ვხედავთ, — ფრაზა აქც ისეთ სიმარტივემდეა მიტანილი, რომ ერთი ვაუფრთხილებელი ნაბიჯიც გამარტრებლისაკენ ვაუტვებრობა დაიწყება. არაკის ავტორი იმთავითვე გვაცნობს მთავარი გმირის ვინაობას და მის შეძლებას. ამასთანავე პირველი პირითვე გვატყობინებს, რომ ქობულეთის მეფის ძეს ერთი უძლიერესი მტერი ჰყოლია, მაგრამ ვაუკაცად ეს სჯობნებია. საქმის კურსში ხელდახელ რომ შევეყვანეთ, ჩვენმა ავტორმა ორიოდ ფრაზით, ძალზე ძუნწ ფრაზით ყველაფერი გაითვალისწინა, მაგრამ ყველაფერი ორიოდ ფრაზაში ვერ ჩაატია და ერთი რამ ვაუტვებისწინებელი ამიტომ დარჩა. მეფის ძის თავდავიწყებული სიყვარული ახალგაზრდა ცოლისადმი არ ვადმოუტია და ავტორი ჩქარობს ეს დანაკლისიც, რაც შეიძლება, მალე შეავსოს და არაკის მთავარ აზრს ჯიქრ მიადგეს. ქობულეთის მეფის ძე მოკლედ გვაუწყებს: „ყოლი მყვა ერთად“, და მერე უტყრად მისი შემქმნელისათვის უჩვეულო პათოსით ვანაგრძობს: „მასთან მთიები ცას ვერ ვანათლებდაო. ყორნის ფრთე მისის წარბისგან ვრემა ქმნილიყო. მისის პირის ფერისა ბაძთა ვეცხლის ახალი ჩაღის მოველო, მისის ტანდაღობის შესულობას კვიპაროზი ვაეცივრებინაო.“

და აი, შეყვარებული ვეკაცის ეს საქაოდ გრძელი და აღტაცებული ტირადა მოკლედ დასკვნით ერთბაშად გვირგვინდება: „მყვა და მიხაროდარო. რის შემდეგაც ფრაზა გუხს ისევ იცვლის და ამბავს ისევ ძუნწად ვანაგრძობს: „მე ნადირობის კაცი ვიყავიო“ და სხვ. ამის შემდეგ თხრობის ახალი პასაჟი და სიუჟეტის შემდგომი ვალრმავება გრძელდება, მაგრამ ამას აღარ ავედლებებით.

მოვტანთ კიდევ ერთ მაგალითს. ჩვენ უკვე ვიცით, პათეტური ფრაზას თუ რაიმე სიუჟეტური დატვირთვა ანუ ფუნქცია არ ეკისრება, სულხან-საბა ორბელიანისათვის მას არავითარი ფასი არა აქვს. ამას ვარდა, ეს ადგლია იმიოაც არის აღსანიშნავი, რომ მის სიღრმიდან ოღნავ შესამჩნევი მოშიზღლავი რიტმი ვითომ საგანთა საქმიანი ჩამოთვლით არის მიჩქმალული: „...ყურთ უამესი არა ის-მოდა რა და არც თვალთავან სახილელად ინაბეზოდა. ყველიოთა ფშვანი, ხილთა ფხვრანი, ფრინველთა ხმანი ლეინოთა სმას შეეწყობოდესო.“

მიუხედავად ფრაზის ასეთი ხატოვანება-ფლერაღობისა, სულხან-საბა ორბელიანი მიინც არ არის კოლორისტი, ის აბსოლუტური სმენის მწერალია. მან ზედმიწევნით იცის ქართუ-



ლი თხრობის ასავალ-დასავალი, იცის სიტყვის ყველა აბრუნდი და ნიუანსები. ის იმდენად სიტყვაძვირია, რომ განერცილობილად „აღთქმა დასო, რომ არ ვიტყვი“ კი არ დასწერს, ოღონდ მოკლედ იყოს ნათქვამი და ამ ფრაზას ხელოვნურად შეამკიდროვებს: „აღარაქმის აღთქმა დასდოვო“. როცა უხდა თქვას: „დიდი ჯარი მოდიოდა“, ფრაზას მთლიანად შეატრიალებს, წონადადობით აავსებს და მეტყველად დასწერს: „ჯარი მიწას ამძიმებდაო“. როცა უხდა თქვას: „მის დანახვზე გულს დარდი გადაეყრებოდაო“, დასწერს: „მანახავსა სვედა გაეწყვიტაო“ და სხვ.

სულხან-საბა ორბელიანის მახვილი სენა და შინაგანი გრძობა ფრაზისა, როგორც არქიტექტურული მასისა, უნებლიედ ხიბლავს მკითხველს. მისი ენა თვითმყოფელია, ხალხური და არაფრით ის არ ემორჩილება არც ქართულ საეკლესიო მეტყველებსა და არც აღმოსავლურ მაღალფარდოვნებით წერის ტრადიციებს. ეს სისადავე და სიტყვაძვირობა ძალზე ძნელია, რადგან რთულად წერა სადად წერაზე ადვილია.

სულხან-საბა ორბელიანი ერთი უბრწყინვალესი მინიატიურისტთაგანია და მისი ფრაზა ამიტომაც თითქოს კონტურულია და მდიდრულ აქსესუარებისაგან განთავისუფლებული. მან კარვად იცის ყოველი სიტყვის არამკეთუფება, არამედ მისი კონტრასტული შესაძლებლობა. მისი ასეთი დემპნობი იქამდე მიდის, რომ არაკი ხანდახან ერთ ფრაზამდეა დაყვანილი. აი ერთი ასეთი არაკი. მას „უგუნური მეტრაგი“ ეწოდება:

„მეტრაგი ერთი მიჰქონდა წყალსა. თქვა: ლმერთო, მიშველო!“ მეორე ამხანაგმა უთხრა: „ხელი გაიჭნიე და გეშველებაო!“.

ეს არის და ეს. ამ არაკში ყველაფერი ზუსტად არის გათვალისწინებული — თემა, კომპოზიციის და არაკი ისეა დასრულებული, რომ არაფერი მას არ აკლია. ის მათემატიკური ფორმულის სისავსით არის დაყვანილი თითქმის ერთ ფრაზამდე.

რახან ასეა, მოდი განვიხილოთ და ვნახოთ. რა არის ამ არაკში გათვალისწინებული და რით არის გამოწვეული ეს სისრულე. ჯერ ერთი, არამეტრაგმა, რამდენიც არ უნდა იქნის ხელი, მიანიც არაფერი არ ეშველება. ხელის გაქნევა მხოლოდ მეტრაგს უშველის და ჩვენი იგავთწერალი კი არ ამბობს: „აკი ერთიო, არამედ „მეტრაგი ერთი მიჰქონდა წყალსაო“. რის შემდეგაც ის მშრალად განაგრძობს: „თქვა: ლმერთო, მიშველო!“.

როდესაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით, სულხან-საბა ორბელიანი ზშირად ისე სიტყვაძვირად წერს, რომ თითქოს სუნთქვა გუკერის და ცბუნდებით, სწორედ ამ მომენტს ვვლდის-

ხმობდით. „მეტრაგი ერთი მიჰქონდა წყალსა“ და უცებ დასაზრხობად განწირულ კაცის ყვირილს გარეშე: „თქვა“. ლაბიარისმა ამას იქით ვერ წვა. თითქოს აქ კიდევ რაღაც ფრაზა საჭიროა, რომ შეიხვედრებოდეს სულ ფორამე მოიბრუნოს, მაგრამ ჩვენ ავტორის ეს „რადაც ფრაზა“ და სულის ამოთქმაც სულ ზედმეტ რამედ მიანია, რადგან ყველაფერი უკვე თქმულია და წამკითხველმა კეთილ ინებოს და ეს ერთფრაზიანი მინიატიურა სულის ამოუთქმელად წაიკითხოს. რაც მთავარია, აზრს არაფერი არ აკლია და მაშ ენის ფხანეაც რა სსქირია. არტიკულაციის კანონი და ლოგოცა ამ შემთხვევაში ერთმანეთს თითქოს ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ორთოეპიას მას ფრაზის ლოგოცა ურჩევნია.

განავარძოთ ისევ ჩვენი არაკი: ის გასაჭირი და წყალში ფხარკალი მეტრაგისა „ლმერთო, მიშველო!“ წამოძახებით კი არა, მხოლოდ „თქმითა“ აქვს გადმოცემული. ხოლო ავტორის მორალიტე: „ხელი გაიჭნიე და გეშველებაო!“ მეორე ამხანაგის პირით არის ნათქვამი. და ეს „მეორე ამხანაგი“ გულისხმობს. რომ ისინი თურმე ამხანაგები ყოფილან და ამხანაგი ამხანაგს იმიტომ არ ესმარება, რომ მან ხელი უნდა გაიჭნიოს.

სულხან-საბა ორბელიანის დიდი ჰუმორისტული ნიჭისა და ოსტატობის დასახასიათებლად მოვიტანთ კიდევ ერთ არაკს: „მოძღვარ მეღას“. სათაურის ჰუმორისტული ქღერას რომ გვერდი ავუბროთ, ეს არაკი ასე იწყება: „ერთი მეღა დაცანცალედა. ძველითგან თურე ნასოფლარი ყოფილიყო. სამღებროს ქვევრი, ლილით სავსე, პირდა დარჩომოლიყო. სელასა იქიქა თურე შვი ჩავარდა, ამბორტყდა, ამოვიდა. მეღა შავად შეღებოი შეიქმნა. დაიწყო სიარული. ერთი მამალი შემოეყარა. კითხა მეღასა“ და სხვ.

განვიხილოთ არაკის მხოლოდ ეს დასაწყისი: „ერთი მეღა დაცანცალედა“. სულხან-საბა ორბელიანის არაკის მთავარი გმირი ამ შემთხვევაში ერთი ცბიერი, უკულმართი მეღაა. ჩვენი ავტორი ამიტომაც, ერთი რუსული თქმის არ იყოს, ხარს პირდაპირ ავლებს რქაში ხელს და სამოკამედო ასპარეზზე ყველაზე უწინ ის გამოჰყავს. ამასთანავე მის ოინაზობას, მსუნავობასა და კომიზმს ერთადერთი მინიშნებული სიტყვით „დაცანცალედათი“ გამოხატავს და მით არაკის ჰუმორის იმთავითვე ჰქმნის.

ამ გარიგნოლად ღარიბი, მაგრამ შინაგანად სავსე ფრაზის შემდეგ ავტორის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გარემო, სადაც ამავი უნდა მოხდის, ასევე მოკლედ, მაგრამ სისულსავსედ დაგვიხატოს. ჩვენი ავტორი ასეც იქცევა და ვინაგრძობს: „ძველითგან თურე

ნასოფლარი ყოფილიყოო“. სხვა დასწერდა: ძველთაგან აქ თურე ნასოფლარი ყოფილიყო, მაგრამ სულხან-საბა ორბელიანი ერთგულია თავის ლიტერატურული პრინციპისა და ამ პაწია „აქ“-საც შლის, რადგან ის თავისთავად იგულისხმება. ახლა მეორე საკითხიც თავისთავად დგება: რათ დასკირდა ჩენს ავტორს ნასოფლარის ხსენება? ჯერ ერთი, იმიტომ რომ რაიმე სასუსნაის საძებნელად გამოსული მედიის ცანცალი ნასოფლარში და არა სოფელში თავისუფლად შეიძლება; მეორე, იმიტომ რომ, თუ ნასოფლარში არა, ლილით სავეს ქვევრი თავახილი ისე არავის არ დაჩრებოდა და, მესამე, იმიტომ რომ ამ ნასოფლარში პირიად დარჩენილ და ისიც ლილით სავეს ქვევრს თავისი სიუჟეტური ფუნქცია აქვს.

სულხან-საბა ორბელიანს არ იფიქრებდა ისიც, რომ მოთხრობას კი არა, მინიატიურას წერს და სიტყვების გაუთავებელი რასაბრები და ვრცელი აღწერილობა აქ არ იქნება. არა და ნასოფლარის მხოლოდ ხსენებაც რომ არ შეიძლება! ჩენი იგავთმწერალი მხოლოდ მოაზროვნე როდია, მხატვარიც არის და ნასოფლარი თავისი სიუჟეტური დანიშნულების გარდა, რეალისტურადაც უნდა დაგვიხატოს; დაგვიხატოს ისე, რომ ყველაფერს დახატულ სურათივით თვალთ ვხედავდეთ; თან სიუჟეტს აქტიურ კონსტრუქციულ დახმარებას უწყობდეს და მოთ ამბავს ავითარებდეს. ამისთვის რაღაც ნიშანდობლივი დეტალსა საჭირო და ეს დეტალი პირიად დარჩენილი ლილით სავეს ქვევრია.

როგორც ვხედავთ, არცერთი ფრაზა აქ ზედმეტი არ არის, ყოველი სიტყვა მაქსიმალურად არის დატვირთული და თანაც ძალზე მსუბუქია. ამას გარდა, აშკარაა, სამღებრო ქვევრი პირიად იმიტომ დარჩებოდა, რომ ხალხი სოფელს მოულოდნელად დატოვებდა და ამით ამ ნასოფლარის ისტორიაც არის გადმოცემული. ზევრი რომ არ ეილაპარაკოთ, ეს დეტალი იმიტომაც არის საჭირო, რომ ავტორის ტენდენციას თავისი რეალიზმით მოხერხებულად ჩქმალავს და ფრაზას ხელოვნურობა არ ეტყობა.

სულხან-საბა ორბელიანის უაღრესი მხატვრული გრძნობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მან მელია უზრალო სიტყვით კი არა, ძალზე მეტყველი სიტყვა-ფერით „დეცანალეზბდო“ ერთნელ უკვე დაახასიათა და მეორე ესევე მეტყველი თქმა ამ სიტყვის ეფექტს უსათუოდ გაანელებდა. იმიტომ განავრძობს ის ინერტუ-

ლად: „სელასა იქი აქა თურე შერეხეხეხე და“ და მერე ისევ მეტყველად და გაბედულად: „ამობორტყედა, ამოვიდაო“. აქაც მეტყველ „ამობორტყედა“ ინერტული „ამოვიდა“ მოსდევს და მოთ ხან აღმავალი და ხან დამავალი გრადაციით ეს სიტყვები ერთმანეთს მხოდნელად ენაცვლებიან.

და აი, ავტორი ექსპოზიციის სისხარტით მიზანს უკვე მიუახლოვდა. მელა ლილით შავად შეუღდა. ამ შედეგებს თავისი სიუჟეტური აზრი აქვს და ავტორი კიდევ იმიტომ აღნიშნავს: „მელა შავად შეღებილი შეიქნაო“.

ისევე, როგორც წვლან მოტანილ არაკში სულხან-საბა ორბელიანმა „ღმერთო, მიშეველეო“ საკემოდ მიიხნია, აქაც „ამობორტყედა, ამოვიდა“ იმარა.

ამგვარად, ექსპოზიცია დასრულდა და ამის შემდეგ ამბავის მსვლელობაში პირდაპირ შევდივართ: მელამ „დაიფყო სიარული. ერთი მამალი შემოეყარა. კითხა მელასა“ და სხვ.

აქაც ყოველგვარ აღწერილობათა გარეშე არის დახატული მამლის ყოყლოჩინობა და სისულელე.

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა ორბელიანი მხოლოდ მოკლე ფრაზებით კი არ ჰქმნის მხატვრულ ეფექტს. ეს ფრაზები ქვეტექსტებით არიან ერთმანერთთან შეიღროდ დაკავშირებული და ამ შინაგან ლოგიკას ავტორი ისე ენდობა, რომ, ასე გასინჯეთ, გრამტიკულ კავშირ „და“-საც ხშირად, ძალზე ხშირად გავრბის ხოლმე.

ასეთია სულხან-საბა ორბელიანი, როგორც იგავთმწერალი და დიდი შემოქმედი. მისი ენის სისხარტის, ხატოვანებისა და ფრაზის მარჯვე მოქმედულობის თავისებურება მას სხვა მწერალთაგან სარდინად განასხვავებს. მკაცრ სიუჟეტურ არტახებში მოქცეულ ნათელ აზრით და შინაგანი უტყუარ ტაქტით იგი მჭიდროდ აერთიანებს თემის ლალ დინებასა და კომპოზიციის რთულ კომპონენტებს. ავტორის მტკიცე პოლიტიკური ან მორალისტური ტენდენცია და სიუჟეტური მონახაზი სულაც არ ზღუდავს ფრაზის ბუნებრივ მდინარებას. იმეტომ არის, რომ მას, როგორც მწერალს ან ევინდობით. იმიტომ არის ყოველი ქართული კაცისათვის მისი წიგნი ასე ძვირფასი.

სულხან-საბა ორბელიანის წიგნში ჩახატულ მეფის სიტყვების არ იყო, ჩენი ამჯერა საუბარი არ დაიღვია და მოდი, ამითი გვაჯავოთ ეს ჩენი საუბარი.

ღვანე მენაპე

გაბა-გოსიგე ორბელიანი

მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის ცნობილი მოღვაწის, ფრიად განსწავლული ბიბლიოფილის ვახტანგ (ორბელ) ყაფლანის ძე ორბელიანის ოჯახი დიდი კულტურული-ლიტერატურული ტრადიციების მატარებელია. ამ ოჯახში აღზრდილი ზოგიერთი პირი ქართული კულტურულ-შემოქმედებითი ფრონტის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა. საკმარისია დავასახელოთ ჩვენი სახელოვანი უბილარი, ქართული სიტყვათმცოდნეობის დიდოსტატი, სამშობლოსათვის მრავალწინაშეუღმრთე მამულიშვილი სულხან-საბა ორბელიანი (1658 — 1725) — იგავ-არაკული ქანრის ბრწყინვალე წარმომადგენელი, საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეების პირუთენელი მამხილებელი, მხატვრული პროზის უბადლო ხელოვანი. დოკუმენტური პროზის ფუძემდებელი, ქართული ლექსის რეფორმატორი და ნოვატორი, შესანიშნავი ლექსიკოლოგი და მეცნიერ-რედაქტორი.

სულხან-საბას მხარს უმშვენივრებენ მისი ძმები: 1. ნიკოლოზ თბილელი (1672 — 1732) — ნიჟერი შემოქმედი და დაკვირვებულ რედაქტორი, ვახტანგ მეექვსის (1675 — 1737) სტაჰის ერთგული თანამშრომელი და დრამა განსაწვლელი მეცნიერი, დახლოვებული ლიტურგისტი და გაწაფული კალიგრაფი, ნიჟერი პოეტი და მგრძობიარე მამულიშვილი; 2. დიმიტრი (1680/82 — 1739) — დახვეწილი გემოვნების პოეტი, „მეცნიერი კიტი და შირთა კარგად შემთხვეული“ (იონანე ბაგრატიონი) და 3. ზაალ-ოსიმე ქართული კულტურის უპრეტენზიო და თავდადებული მუშაკი, უფროსი ძმის უცვლელი თანაშემწე და დაუღლე თანამშრომელი.

ზაალ ორბელიანის დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია, სათანადო მასალას ჩვენამდე არ მოუღწევია, ყოველ შემთხვევაში, ის ჯერ არაა მიკვლეული. საბედნიეროდ, შემონახუ-

ლია ვახტანგ ორბელიანის ოჯახის საბუთები, რომელთა გათვალისწინებით ნაწილობრივ მაინც ხერხდება საძიებელი საკითხის გარკვევა. ვახტანგ ორბელიანის ოჯახის ყოველ საბუთში, რომელშიც კი იხსენიება ზაალი, ის დასახელებულია უფროსი ძმების (სულხანი, ერასტი, ვახუშტი, ყაფლანი) შემდეგ და უმცროსი ძმის დიმიტრის წინ. ეს გარემოება უკვე გვაძლევს ერთგვარ წარმოდგენას ზაალის დაბადების თარიღზე. საყურადღებოა ერთი საბუთი 1677 წლისა, რომელშიც იხსენიება ზაალი და მისი მომდევნო ძმა ზურაბიცი, რაც საფიქრებელს ხდის, რომ ზაალი ამ დროს რამდენიმე წლისა იყო. შეიძლებოდა ყურადღება გავვემახვილებინა ერთ გარემოებაზეც: ზოგიერთ საბუთში ზაალი დასახელებულია ნიკოლოზის შემდეგ, ხოლო ამ უკანასკნელის ავტოგრაფული ჩანაწერის მიხედვით ის დაბადებულა 1672 წელს (S №303, გვ. 275). ამის მიხედვით შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ ზაალი 1672 — 1677 წლებში დაბადებულა, მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ზოგიერთ საბუთში ნიკოლოზი ზაალის წინ იხსენიება. ამასთანავე, ნიკოლოზი სულ არ იხსენიება მისი ოჯახის მთელ რიგ საბუთებში (1678 წ. 1679 წ., 1684 წ., 1702 წ., 1704 წ. და სხვ.). როგორც ჩანს, ის სამეურნეო საქმიანობაში ნაკლებად იღებდა მონაწილეობას, რის გამოც ადრეულ თუ გვიანდელ საბუთებში ძალზე იშვიათად გვხვდება და მისი ხსენებითა თუ მოუხსენებლობით ჩვენი საძიებელი საკითხის ვადჭირა შეუძლებელია. ამდენად, ვფიქრობთ, უფრო ახლოს ვიქნებით ჭეშმარიტებასთან, თუ ზაალ ორბელიანს მე-17 საუკუნის სამოციანი წლების მიწურულსა თუ სამოცდაათიანი წლების დამდეგს დაბადებულად მივიჩნევთ.

ჩვენი ზუსტად არც ზ. ორბელიანის დაბადების ადგილია ცნობილი, მაგრამ, საფიქრებელია, მომავალი კალიგრაფი ტანძარი-

(ბოლნისის რაიონი, მდ. მაზვარის ხეობა) დაიბადა. ტანშიაში, ქვემო ქართლის ამ მშენებელ, ლამაზ სოფელში, სახლობდნენ ყაფლან ორბელიანების შთამომავალი, კერძოდ, იქ ცხოვრობდა ვახტანგ ორბელიანი, რომელიც ტანშიას თავის „სამკვიდროს“ უწოდებდა. იქ ჰქონდა მის დიდი სასახლე და კარის ეკლესია, რომელიც ამჟამადაც კარგადაა დაცული. იქ დაიბადნენ სულხანი, ნიკოლოზი, საფიქრებელია, ზაალიც...

პირველადწყებითი სწავლა-განათლება ზაალმა, უთუოდ, საკუთარ ოჯახში მიიღო. ვახტანგ ორბელიანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შვილების აღზრდის საქმეს. მისი რუღუნებითა და მზრუნველობით მისმა შვილებმა ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლეს და შეიყვარეს ქართული მწერლობა. როგორც ჩანს, ვახტანგი თვით იღებდა უშუალო მონაწილეობას შვილების აღზრდაში და ენერგიულად ზრუნავდა მათ სწავლა-განათლებაზე. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოება: ვახტანგმა სულხანს შესწავლა თხზული, დაქსელილი მრგლოვანი დამწერლობა. საფიქრებელია, ის სხვა შვილებსაც მიაქცევდა სათანადო ყურადღებას. საგულიანობა, რომ მამის მიერ ნასწავლი დამწერლობა სულხანმა ნიკოლოზს გაეცნო. ეს უკანასკნელი წერს: „მთავარნი ესე ასითანი ძველადვე ქართველთა ეწყესა და არღარაიენ იყო სწავლულ ამისა თვინიერ უხუცესისა ძმისა ჩემისა სულხან-საბა ორბელის ძისაგან კიდევ. მასცა მამისაგან ჩემისა ესწავია და მან მე მასწავია“ (S № 303, გვ. 275).

სულხანი, ალბათ, ზაალსაც ასწავლიდა, ის ზომ ძმთა მასწავლებლად იყო მიჩნეული მას მასწავლებლად იხსენიებს არა მარტო შემოსიხეხულნი ნიკოლოზი, არამედ მეორე ძმაც, დიმიტრიც, რომელიც სულხანის გარდაცვალების გამო გულისტკივილით გოდებდა:

„ვიი მიმართებს, რადგან დავკარგე.

ვინ მიმარტებდა ივავსა,

მიმდემ გესწავლიდა კეთილად და გვაშორებდა ივ ავსა“.

უკანასკნელად უნდა მოვიგონოთ სულხანის ცნობა იმის თაობაზე, რომ მას ზრდიდნენ „სათუთად და ნებიერად, ვითაც შეენის თავდათ ძეთა“. საფიქრებელია, ასეთ ყურადღებას არც ზაალი იქნებოდა მოკლებული. გამოჩენილი ფეოდალის ვესსა და დიდი კულტურულ-ღრთერატურული ტრადიციების მქონე ოჯახისშვილს ყოველგვარი პირობა ექნებოდა შესაფერისი განათლების მისაღებად. მისი შემდგომი საქმიანობა საფიქრებელს ხდის, რომ მას საკმაოდ საფუძვლიანი განათლება მიუღია.

ზაალ ორბელიანი საკმაოდ ადრე ჩაბმულა სამეურნეო საქმიანობაში. მართალია, თავის უფ-

როს ძმებთან შედარებით, ის ნაკლებად იხსენიება ძველ საბუთებში, მაგრამ საბუთებშიც მისი წილი მას ასახელებს და ამით წარმოაჩენს მის მონაწილეობას ვახტანგ ორბელიანის ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში.

1677 წელს ვახტანგ ორბელიანის ოჯახმა ალიყულისშვილებისაგან შეიძინა ზემობოლნური ზვარი, 1678 წელს ბარათაშვილებისაგან შეიძინა მათი წილი მამული ღირისთავსა და ჯალდამს (დმანისის ხეობა); ამავე ოჯახმა 1684 წელს მამული შეიძინა სოფ. თავანში (მდ. ხრამის ხეობა), 1685 წელს — სოფ. კრეშში (დმანისის ხეობა); ვახტანგ ორბელიანის შვილებმა 1696 წელს ყუბები შეიძინეს სოფ. ჩხიკვიაში (ალგეთის ხეობა) და სხვ. ყველა საბუთი მოხსენიებულია ზ. ორბელიანის, როგორც ჩანს, მასაც გარკვეული მონაწილეობა მიუღია ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში.

ჩვენთვის უცნობია ზ. ორბელიანის სასოჯადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, არ ჩანს თუ რა მონაწილეობას იღებდა ის ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ერთგვარი ვარაუდის დაშვება მაინც შეიძლება. თავისდათვად ის ფაქტი, რომ ქართლის ტახტზე მისი მამიდაშვილი გიორგი XI (1676—1688, 1703—1709), ხოლო შემდეგ მამიდაშვილის შვილები ქაიხოსრო (1709—1711) და ვახტანგ VI იყვნენ, რასაკვირველია, უმნიშვნელო არ იქნებოდა მისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კარიერისათვის. მეფეებ-ბატონიშვილთა ახლობელ ნათესავს გზა ხსნილი ჰქონდა სამეფო კარისაკენ. როგორც ცნობილია, ამ გარემოებამ გარკვეული როლი შეასრულა მისი ოჯახის ცხოვრებაში. მამამისი, — ვახტანგ ორბელიანი, — 1676 წლიდან იყო მდივანბეგი „ქართლისა, ქალაქისა, საბარათაშვილოსა, სომხითისა და თათრისა“; უფროსი ძმა სულხანი, — „გიორგი მეფის დიდი ძმისწული და მისგანვე შვილურად გაზრდილი და გასწავლებული“; — „დიდად ნამსახური და მრავალგარჯილი იყო“, — რის გამოც „მთელ საქართველოს მამად მიაჩნდა“; დაწინაურდნენ სხვა ძმებიც: ერასტი — ბოქალთ-უხუცესი და შდივანბეგი, ვახუშტი — სარდალი, გიორგი მეფის თანამებრძოლი შორეულ ყანდაარში, ზურაბი-სუფრაჯი, დიმიტრი — ვახტანგ მეექვსის ქვისლი, დედოფლის სახლ-უხუცესი და სხვ. ვახტანგ ორბელიანის შვილები აქტიურად მონაწილეობდნენ ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სულხანი, რომელმაც მთელი თავისი საქმიანობა, პოლიტიკური თუ დიპლომატიური მოღვაწეობა ვახტანგ მეფეთის (1658—1675) შთამომავლების კეთილდღეობისა და ქართლის ტახტზე დამკვიდრებისათვის ბრძოლას დაუკვეშია. მასთან იყვნენ მისი ძმებიც, რომლებიც გიორგი მეფერთმეტესა და ვახტანგ მეექვსეს ერთვულებდნენ.

ანტისპარსული პოლიტიკის გატარების გამო



სპარსეთის შაჰმა ქართლის ტახტი გიორგის ჩამოართვა და ერეკლე პირველს (ნაზარალიანს) გადასცა (1688 წ.). „ქართლისა და წესთა საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდილი“, „ლირწთა და უშვერთა მოუბარე, სმისა და შეზაღუნისთა მოყვარე“ ერეკლე ამცირებდა ერთგულთა მეფის გიორგისათა“.

ტახტმიხილი გიორგი ბრძოლას განაგრძობდა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია და იმერეთს გაიხიზნა (1695 წ.). სულხანი და მისი ძმები, რომლებიც გიორგი მეფის მხარეზე იბრძოდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ქართლის ტახტისათვის გახადებულ ბრძოლებში, კვლავ გიორგის ერთგულნი დარჩნენ. ერეკლეს ცნობით, ისინი გიორგი მეფეს „შერჩნენ და გარდაყენენ“. სპარსელთა მხარდაჭერით გლადებულმა და გაძლიერებულმა ერეკლემ გიორგის მომხრე დიდებულებს მამულები ჩამოართვა. ეს მწიჯე ხედრი არ ანება ვახტანგ ორბელიანის შეიღწეულს. შემომწყარალი მეფე შურს იძიებდა გიორგის ერთგულ ორბელიანებზე.

გიორგიმ სხვა გზა აირჩია; დეწილმა მეფემ ჯიქურ ბრძოლაზე ხელი აიღო, სპარსეთის შაჰს ეახლა და უკეთესი მომავლისა და ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში სპარსეთში დარჩა. შაჰის ბრძანებით, გიორგის ერთგული დიდებულები ერეკლემ ქართლში დააბრუნა და თავ-თავის მამულში ჩააყენა (1696 წ.). შეეცდილი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად მოქმედებენ ორბელიანებიც. გაბიზნული მამულოშვილები ქართლში დაბრუნებას და სამკვიდროში დასახლებას ცდილობენ, ხოლო მათი ახლობლები და ნათესავები — ერეკლე პირველის გულისწყრომის დაცრომას. ვახტანგ ორბელიანის ძმის ასლანის მეტლდე, თამარ დასამამიძე, თავის დისწულს, — ერეკლე პირველს, — გახიზნულთა შემორიგებასა და დანაშაულის პატიებას სთხოვს. თხოვნამ ვასპურა და სულხანსა და მის ძმებს ეპატათ დანაშაული. 1696 წლის გაზაფხულზე სულხანი და მისი ძმები უკვე თავის სამკვიდროში იყვნენ.

მართალია, არ გავვანჩია პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ ზაალ ორბელიანი გიორგი მეფეთმეტის მომხრეთა ბანაკში იყო და სულხანის ვეერდით იბრძოდა, მაგრამ მისი შემდგომი საქმიანობა გეაძლევს საფუძველს ასეთი ვარაუდისათვის.

სამშობლოში დაბრუნებულ ორბელიანებს ქართლი მძიმე და არასახარბიელო მდგომარეობაში დახვდათ. ერეკლეს თაოსნობით გაემდგებულნი რეიმიისადმი პროტესტის ნიშნად სულხანმა პოლიტიკურ საქმიანობაზე ხელი აიღო და საგარეულო მამულში ჩაიყვტა; პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ არეებს ჩაიბოლოდნენ მისი ძმებიც. ხოლო, როდესაც ერეკლემ კვლავ დაიწყო გიორგის მომხრეთა დევნა და შევიწროება, „დაამდაბლნა ერთგულნი გიორგი მეფესანი“

და ჩამოართვა მათ მამულები, ვახტანგ ორბელიანის ოჯახის ზოგიერთმა წევრმა პოლიტიკურ-სასპარეზო დასტოვა და სასულიერო-საეკლესიო ცხოვრების ფერხულში ჩაება.

1698 წლის 18 მარტს ბერად აღიკვეცა სულხან ორბელიანი, 1699 წელს — ზაალი, სულ მალე სასულიერო-საეკლესიო მოღვაწეობას შეუდგა ნიკოლოზი, რომელიც უკვე 1703 წელს მღვდელმონაზვნად იხსენიება.

ზაალ ორბელიანის ბერად შედგომისა და სახელის გამოცვლის შესახებ ჩვენ გავვანჩია პირდაპირი ცნობა, რომელიც შემოუნახავს ავტოგრაფული ნუსხიდან მომდინარე ხელნაწერს (ე. მარქისის სახელობის საქართველოს სსრ საჯარო ბიბლიოთეკის რარიტეტსაკაცის ხელნაწერი № 59) და საესებთა სანქთა. ის ასე იკითხება: „ყოღვილი ბერი ზოსიმე ამ ლექსიკონის აღმწერელი და პატრონი, ძმა... სულხან-ყოფილის საბასი მოიხსენე ქრისტეს სიყვარულისათვის. ზაალ-ყოფილი ზოსიმე... ოდესცა მონაზონიქმა ზოსიმე, იყო ზამინ ქორიონის ტაძრ (=387+1312=1699 წ.)“.

საფიქრებელია, ზაალ ორბელიანის, — ისევე როგორც მისი უფროსი ძმის სულხანის, — ბერად შედგომა წმინდა პოლიტიკური მოსაზრებით აიხსენება. ვინაიდან ვახტანგ ორბელიანის ოჯახის პოლიტიკური იდეალი დამარცხდა და სანატრელი ოცნება განუზოხციელებელი დარჩა, ამ ოჯახის ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფოებრივ ასპარეზიდან საეკლესიო-სახელმწიფო ასპარეზზე გადაინაცვლა. ამის შემდეგ ზაალ-ზოსიმე ორბელიანი ჩამოშორდა ოჯახის საქმიანობას და საბუთებშიც იშვიტად ჩანს.

1703 წლიდან ქართლის პოლიტიკურ-ეკონომური მდგომარეობა და კულტურულ-ლიტერატურული ვარემო არსებითად შეიცვალა. ქართლის გამგებლის ვახტანგ ლევანის ძის (1703—1711) ხელმძღვანელობითა და თაოსნობით გაჩაღდა აქტიური სახელმწიფოებრივი საქმიანობა და კულტურულ-ლიტერატურული მუშაობა. ქართლის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებას დაუბრუნდა სულხანსაბა ორბელიანი — ვახტანგის მრჩეველი და მესაიდუმლე, ვახტანგის ეკონომიური თუ კულტურული რეკომენდების სულისჩამდგმელი. ვალდებულებულად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგის ყველა კულტურული წამოწყება მეტ-ნაკლებად მასილითიე აღმზრდელის სახელთანაა დაკავშირებული. მიუხედავად აღნიშნულისა, ფაქტია, რომ „უბოქის კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობის მეთაური იყო ვახტანგი, რომლის სასახლე წარმოადგენდა ერთგვარ აკადემიას. სადაც თავს იყრიდა საქართველოს იმდროინდელი საზოგადოების მთელი ინტელექტუალური აქტივი-ვახტანგის ხელმძღვანელობით ეს აკადემია შესაფერისად ემსახურებოდა ეპოქის მაქსიმალს“.

ვახტანგის კარზე თავი მოიყარეს მეცნიერებმა

და მწერლებმა, მთარგმნელებმა და კალგრაფებმა, მეზობლებმა და კარის მეპატონებმა, მომდღერებმა და დამკვრელებმა. ქართლის კარზე სხვა ქვეყნიდან მოსული მგოსნები კი მოღვაწეობდნენ (სომეხი იონათანი). ქართლის გულ-თბილისი იქცა ფართოდ გაღილი კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის მძლავრ ცენტრად.

ფრიად ნაყოფიერ კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა ამ პერიოდში სულხან-საბა ორბელიანი. ის შეუწულებელი ინტერესითა და ენერგიის დაუზოგავად განაგრძობდა მუშაობას ლექსიკონზე, აესებდა და ავრცობდა, ხეყნდა და ახუსტებდა მას. ამის შედეგად მივიღეთ უაღრესად დიდი მნიშვნელობის ნაშრომი, რომელიც ხანგრძლივი და ინტენსიური საქმიანობის ფრიად სასახელო ნაყოფს წარმოადგენს და კარგად წარმოაჩენს ქართული სიტყვიერის საუნჯის უღვევ არსენალს. თავის უფროს ძმას მხარში ედგა და ყოველმხრივ ეხმარებოდა ზაალ-ზოსიმე ორბელიანი. ის თავისი ძმის ერთგული თანამშრომელია, მსთანაა დაკავშირებული დიდი ლექსიკონრადის მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობის რთული და ხანგრძლივი პროცესი (იხ. ქვემოთ).

ეპოქა, რომელშიც ზ. ორბელიანს მოუხდა მოღვაწეობა, ფრიად რთული და მშველთარე იყო. მე-18 საუკუნის ოციანი წლებისათვის ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო ვართუღდა, საერთაშორისო ვითარება დაიძაბა. საეგებთ ნათელი შეიქმნა, რომ ბჭოლთ გადარდული ქართველობას დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობა აღარ გააჩნდა. საგარეო ორიენტაციის ძიებამ ჩვენი წინაპრები რუსეთს დაუხსლოვა და დაუკავშირა; მათ კარგად ესმოდათ, რომ რუსეთთან კავშირზე იყო დამოკიდებული საქართველოს მომავალი. ვახტანგ მეექვსისა და მის თანაოდანეთა არჩევანი რუსეთზე შეჩერდა. ისტორიამ საეგებთ გაამართლა და ბრწყინვალედ დაადასტურა მათი არჩევანის სისწორე.

რუსეთთან კავშირის დამყარებისათვის ვახტანგი სპარსეთის შაჰმა სასტიკად დასაჯა, ქართლი ჩამოართვა და კახეთს მმართველს კონსტანტინეს გაოასცა. 1723 წლის ვახუშტულზე თბილისი კახთ-ბატონის მიერ დაქარაუბრულმა ლეკებმა დაბრბიეს, ხოლო იენისში ოსმალებმა დაიპყრეს. მოზუცი სულხან-საბა და ზაალ-ზოსიმე ქეიუხეთს გაიხიზნენ. აღსანიშნავია, რომ ისინი ასეთი ძნელბედობის ხანაშიც არ წყვეტდნენ კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობას და ლექსიკონის ახალ ნუსხას (H №1429) ამზადებდნენ.

სამშობლოში შექმნილი მძიმე ვითარების შედეგად ვახტანგსა და მის ერთგულ მამულოშვილებს ქართლში აღარ ედგომებოდათ. დევნილი შეფე რუსეთის ზღას გაუღდა. მის მრავალრიცხვან

ხოვან ამაღში 1200-ზე მეტი კაცი ჩვენი წინაპრების შორის რვა ორბელიანი (სულხან-საბა, ხიკოლოზი, ზაალ-ზოსიმე, დიმიტრი და სხვ.).

ვახტანგის ამალის ნუსხით, „თავადმივილი საბა, ამისი ძმა ზოსიმე, ორნივე მწირნი ბერნი“ მეფეს ხლებიან ერთი აზნაურითა და ხუთი მსახურით. თავის მსხველმტლა შორის იხსენიებს ზაალს ვახტანგიც ვახუშტი ორბელიანის შვილისადმი მიცემულ წყალობის წიგნში (1730 წ.): „ურუმთ ვარი ჩამოვიდა ქართლში და ჩვენ აღარ დავეინდევს და საქართველოში ვეღარსად დავდევით, წამოვდით რუსეთის ხელმწიფესთან და თან გუიხლა ბიძაშენი, მეფის გიორგის ვაზრდელი, სულხან-ყოფილი საბა, მისი ძმა, ბიძაშენი თბილელი მიტრაპოლიტი ნიკოლოზ და ბიძაშენი, დედოფლის სახლთუხუცესი დიმიტრი, ცოლითა და შვილით, ბიძაშენი, ზაალ-ყოფილი ზოსიმე და შენი ბიძაშელი ბენედიქტი და მრავალი სასჯელი გამოიარეთ ჩვენის ერთგულობისათვის“.

ვახტანგის ამალაში იგულისხმება ზაალ-ზოსიმე „მარხვანის“ ვადაშვირის გიორგი ებტიშვილის ანდერძის (A № 849, 388x), ვახტანგ მეექვსის წყალობის წიგნისა (1726 წ.) და პოემა „ვახტანგიალის“ მიხედვით.

ვახტანგის ამალამ ვზაზე მრავალი დაბრკოლება გადალახა. ქართველმა ლტოლვილებმა რაქის გზით, ყინვაროვანი ზეკარით კავკასიონის გადალახეს და პირიქით მხარეს მიაშურეს. იმის გასათვალისწინებლად თუ რა მძიმე და სახიფათო გზა ვანელი ამალამ, საქმარისია მოვიგონათ მგზავრობის მონაწილის გაბრიელ გელოვანის სიტყვები: ამაღლ „გაწლო მდინარე რიონისა და შეუდგნენ მთასა მალასა კავკასიისასა მსგავს ჯოჯობეთისა, სადაცა იყო ჯურღმული მრავალი გამომდინარე თოვლთა და ყინულთაგან. ესრეთ ძნიად განასასლელ იყო კავთათვის. უკეთუ შთავარდნილ იყოს ქვეყნელსა მას შინა უფსკრულსა ყინულისასა ორბი, გინა არწივი, მასცა ვერღა ეძლო მუნით აღმოსვლად, არცაღა თუ ენეოდნეთა ურიცხვთა დედაწულთა“.

სოლალისაკენ მიმავალ ქართველებს კავკასიელმა ტომებმა საკმაოდ დიდი ენება მიაყენეს; მოთარეშე ავაზაკებმა ერთ ადგილას ხიდი ჩაშალეს და მძეილი მოითხოვეს. შელონებული მეფე და თანამემამულენი სახლ-უხუცეც მადლი მიტრი ორბელიანმა იხსნა, ის გაყვა მძეილად მოძალადეებს და მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ დაუბრუნდა ლტოლვილთა ბანას.

მთიელთა ძალადობას ვერც სულხან-საბა და ზაალ-ზოსიმე გადუარჩნენ, სოლალის ვზაზე ისინი ავაზაკებმა გაძარცვეს.

1724 წლის 31 აგვისტოს ვახტანგის ამალამ სოლალს მიაღწია. სექტემბრის პირველ რიცხვებში ვახტანგმა თავისი პირველი წარბოშდგენვლები (ვახტანგ ამილახვარი, ფრანგისკან



თურქისტანიშვილი) რუსეთის ცენტრისკენ, პეტერბურგისკენ გაგზავნა და რუს ხელშეწყობის წყარო ახლა. სოლად დაბანაკებული ვახტანგი ჩრდილოეთისაკენ იცქირებოდა იმედის თვალით... 12 სექტემბერს მან მოსკოვისკენ გაისტუმრა უკვე საკმაოდ ჯანდატებული, მაგრამ დამსახურებული დიპლომატი სულხან-საბა და დარეჯან ბაგრატიონთან (1665—1740) ვახტანგი წერილი. როგორც ჩანს, ვახტანგსა და სულხან-საბას კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული დარეჯან არჩილის ასულის ავტორიტეტი, მისი ურთიერთობა სამეფო კართან, კერძოდ, პეტრე I-სთან და იმედოვნებდა, რომ მისი დახმარებითა და ხელშეწყობით შეძლებდნენ დასახული მიზნის მიღწევას.

სულხან-საბასთან ერთად გაემგზავრნენ ზაალ-ზოსიმე, აზნაური ინიყევი, მსახური ბლა, არქიმანდრიტი არსენი, მისი ძმა რომანი, დიაკანი დავითი და მსახური არტემონი.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში უკანასკნელ ხანს მიკვლეული მასალებიდან ჩანს, რომ აღნიშნული პირები წვედები ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიას და იქაც განუცხადებიათ, რომ დარეჯან ბაგრატიონისთვის მიჰქონდით ვახტანგ მეფის წერილები.

ასტრახანში ყოფნისას სულხან-საბას და ზაალ-ზოსიმეს დღიურ ულუფად აღუნიშნეს 5-5 კაბ. თითოეულს. როგორც ჩანს, სულხან-საბა ამით უკმაყოფილო დარჩენილა და უჩივლია. რუს ხელისუფლად აღუზუსტებიათ მისი ეინაობა და შემდგომში (—ცარიცინიდან) დღიური ულუფად 25 კაბ. აღუნიშნავთ, ამასთანავე გაუსწორებიათ ძველი ანგარიშიც.

6 ნოემბერს სულხან-საბა, ზაალ-ზოსიმე და მათი მსვლელები მოსკოვს ჩასულან, ხოლო 8 ნოემბერს საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიის კანტორისათვის წარუდგენიათ თხოვნა, რომელშიც აღუნიშნავთ საქართველოდან ვახტანგის გამგზავრება, მგზავრობის პირობები, მთიელთა ძალმომრეობა და სხვ. სულხან-საბა და ზაალ-ზოსიმე აღნიშნავენ, რომ მათ არ აქვთ სადგომი და სარჩო, ითხოვენ დახმარებას —საეზოვრებელ ბინას და დღიურს ვახტანგის ჩასვლაში...

მოსკოვში ჩასულ ქართველებს საიმედო თავშესაფარსა და საყვარელ საკრებულოს დარეჯან ბაგრატიონის სასახლე წარმოადგენდა (ესევიატსკოე). სულხან-საბა და ზაალ-ზოსიმეც იქ მისულან, იქ დასადგურებულან. როგორც ჩანს, დაქირებული მისია მათ კარგად შეუსრულებიათ. დარეჯან ბაგრატიონის შუამდგომლობით ვახტანგს ნება დართეს პეტერბურგში ჩასვლა...

სულხან-საბა ორბელიანისათვის დარეჯანის სასახლე უკანასკნელი სადგომი აღმოჩნდა. შორი გზით დადილობა და დაქანცულმა მწერალმა იქ დალია სული. მისმა საყვარელმა ძმამ, ზაალ-

ზოსიმემ, დიტირა მრავალწინახული მამრეშვილი და დარეჯან ბაგრატიონის დახმარებით მიიბარა ესევიატსკოეს მიწას. სულხან-საბას ლექსიკონის ერთ ფრიად მიწიწეწელოვან ხელნაწერზე ზაალ-ზოსიმემ უაღრესად საყურადღებო ჩანაწერი გააკეთა: „ჩ: საბა მიიცივლა ქრისტეს აქეთ ჩლეკ (1725), იანვარსა კე (26), მწუხრს, დიდ მოსკოვს, სესენქვას, ბატონის არჩილ მეფის სასახლეში და იმავ საყდარს დემარხა ბრძანებითა და მრავლის ხარჯითა და თან წაყოლითა და დიდის პავლიცითა ბატონიშვილის დარეჯანისათა. მრავალქვა არიან წელნი ცხოვრებისა მისისა“ (A № 75 231r). ეს მინაწერი ზედმიწევნითი სიზუსტით გვაუწყებს სულხან-საბას გარდაცვალებისა და დაკრძალვის დროსა და ვითარებას და ყოველგვარი ცდა მისი გაუფასურებისა და უგულვებლყოფისა გაუმართლებელი და უსაფუძვლოა! ზაალ-ზოსიმეს ცნობის სიზუსტეს ადასტურებს დარეჯან ბაგრატიონის განცხადება საგარეო საქმეთა კოლეგიაში (29.1.1725): ახლახან ასტრახანიდან მოსკოვში მოვიდნენ ქართველი ბერები — ორბელიანები, რომლებიც ესევიატსკოეში ცხოვრობდნენ. ერთი მათგანი — საბა გარდაიცვალა და დაკრძალეთო...

ზაალ-ზოსიმე ორბელიანი საცხოვრებლად ესევიატსკოეში დარჩა. მალე დარეჯან ბაგრატიონის შუამდგომლობით მას დღიური ულუფა 10 კაბიკამდე გაუზარდეს.

1726 წლის 9 მარტს მოსკოვს ჩავიდნენ მისი ძმები — ნიკოლოზი და დიმიტრი. ვახტანგ მდივანბეგის შვილებმა მოსკოვში მოიყარეს თავი. დიმიტრი გულმოდგინედ ზრუნავდა რუსეთს გაღიზინულ თანამემამულეებზე და ცდილობდა მათი მიტერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას; ნიკოლოზი ენერგიულად მონაწილეობდა სასულიერო-საეკლესიო ცხოვრებაში და ხშირადაც იბსენებდა სათანადო საბუთებში.

ზაალ-ზოსიმე რუსეთშიც ინტენსიურად განაგრძობდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ის რუსეთში, მოსკოვში, ჩანს 1727 (H № 1035), 1728 (Q № 953), 1729 (A № 479) და 1733 (H № 1035, 267v) წლებში. შემდგომ წლებში მის ხსენებას ვეღარსად ვხვდებით. საფიქრებელია, ზაალ-ზოსიმე ორბელიანიც რუსეთში ჰოვავა სამუდამო განსასვენებელი, როგორც მისმა ძმებმა სულხან-საბამ. ნიკოლოზმა (1732 წ.) და დიმიტრმა (1739 წ.). მისი საფლავი ესევიატსკოეში, დიდი სულხან-საბას საფლავის ახლოსაა საგულეებელი.

ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება. ვახტანგ მეექვსის ამაღის 1737 წლის წესსაში (Ros. № 335) დასახელებულია, თავად ზაალ-ორბელიანი, რომელიც 1 მსახურით 1734 წელს დაბრუნებოლა საქართველოში. ზომ არ შეიძლება ამ ზაალში ჩვენი ზაალ-ზოსიმე ვიგუ-

ლისხმობ? მართალია, პირდაპირი ხასიათის მოწმობა ხელთ არა გვაქვს, მაგრამ ამ ცნობის შეწყნარება შეუძლებლად მიიჩნევა არ მიგვაჩნია. ვახტანგ მეექვსის ამაღის 1737 წლის ნუსხა საეპიტოლ სანდო და სარწმუნო დოკუმენტს წარმოადგენს. მისი ბევრი ჩვენება დამოწმებული და დადასტურებულია სხვა წყაროებშიაც. ამ ნუსხაში ორბელიანთა შესახებ (დიმიტრი, ვახტანგი, ელიზბარი...) შემონახული ცნობები საეპიტოლ ვთანხმება სხვა წყაროების ჩვენებას. ეგვიპე შეიძლება ითქვას თომა ბარათაშვილის, დიმიტრი სააკაძისა და სხვათა შესახები ჩვენებების თაობაზეც. ამდენად ზაალის შესახები ცნობა დაეჭვებას არ უნდა იწვევდეს, მით უმეტეს, რომ სხვა ზაალ ორბელიანს ვახტანგის ამაღაში ჩვენ არ ვიცნობთ.

ვახტანგ მეექვსის ამაღის 1737 წლის ნუსხის ჩვენების შეწყნარებას, თითქოს, ხელს უშლის ერთი გარემოება: იქ ზაალი მოხსენიებულია თვალად, სხვა წყაროებში კი ბერად. ვფიქრობთ, არც ეს გარემოება ხელისშემშლელი. ჯერ ერთი, მართალია, წყაროებში წინა პლანზე ზაალ-ზოსიმეს ბერობაა წამოწეული, მაგრამ არც მისი თავადური წარმოშობობა მიჩქმალული. მეორე — მისი ძმისწული ბენედიქტე, რომელიც სხვა შემთხვევაში ბერადაა დასახელებული, ვახტანგის ამაღის 1737 წლის ნუსხაში თვალად იხსენიება.

ამრგად, არაფერი არ უშლის ხელს 1737 წლის ცნობის შეწყნარებას, მაგრამ დამატებითი მასალის გამოვლენამდე მაინც თავშეკლება გვმართებს. მომავალი კვლევა-ძიება, უთუოდ, ამ საკითხსაც შექს მოჰქვანს.

ზ. ორბელიანი ქართული კულტურის უანგარო და უბრეტენიო მუშაკია. ფასდაუდებელია ის დახმარება, რომელიც მან აღმოუჩინა თავის უფროს ძმას ლექსიკონზე მუშაობის პროცესში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანის მრავალმხრივი და მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შედგენილი ქართული ლექსიკონი, რომელიც არა თუ მისი დროისათვის, მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულისა და მეთერთმეტის დასაწყისისათვის, არამედ ჩვენი დროისთვისაც, მეოცე საუკუნისათვის, დიდი ღირსებისა და მნიშვნელობისა აის, როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, ისე პრაქტიკული მიზნებისათვისაც (აკად. ა. შანიძე).

მიუხედავად იმისა, რომ სულხან-საბა „ერი-საგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო“, მაინც პოულობდა დროს მეცნიერულ-ფილოლოგიური მუშაობისათვის. ლექსიკონზე მუშაობდა ის ქაბუჯობის დროიდან სიციოცხლის მიწურულამდე. გადაუქარ-

ბებლად შეიძლება ითქვას, რომ მუშაობაზე მე ყოველთვის იყო მისი საქმიანობის თანაზარი, მისი ერთგული თანაშემწე და ლექსიკონის ახალი ნუსხების დაუღლეო დამამზადებელი.

ჩვენამდე მოღწეული მასალიდან ჩანს, რომ სულხან-საბას მხოლოდ ოთხიოდე ნუსხა დაუმზადებია (H № 416; H № 2404, არქ. ხელნ. № 163—მოღწეულია ფრაგმენტულად, H № 1658; A № 1473). რასაკვირველია, ეს არ იყო საკმარისი იმ დიდი მუშაობის ჩასატარებლად, რომლითაც ხასიათდება სულხან-საბას ლექსიკოლოგიური საქმიანობა. როგორც ირკვევა, რამდენიმე ხელნაწერი დაუმზადებია ზაალ-ზოსიმეს (Q № 400, H № 95, A № 75, H № 1035, Q № 953). ზოგიერთი ნუსხა გადაწერილია ორივე ძმის თანამშრომლობით (K № 300, H № 1429). საყურადღებოა ის გარემოება, რომ სულხან-საბასა და ზაალ-ზოსიმეს თანამოღვაწეობა და თანამშრომლობა ჩანს ლექსიკონზე მუშაობის მთელ მანძილზე, მათი ერთობლივი მუშაობის კვალი ეტყობა როგორც ერთ-ერთ უადრეს ნუსხას (K № 300), ისე იმ ხელნაწერს (H № 1429), რომელზე მუშაობისას სულხან-საბამ დაასრულა თავისი წამოწყობა, მაგრამ დიდებულ ცხოვრებას.

ზაალ-ზოსიმესთან დაკავშირებულ ნუსხებს თუ ქრონოლოგიურად დავალაგებთ, ასეთ რიგს მივიღებთ: K № 300, Q № 400, H № 95, A № 75, H № 1429, H № 1035, Q № 953; რამდენიმე სიტყვა ახელნაწერთა შესახებ.¹

K № 300 ძირითადად სულხან-საბას მიერაა გადაწერილი, ზაალ-ზოსიმე მხოლოდ აქა-იქ ეხმარება. მისი ხელი თავს იჩენს შემდეგ გვერდებზე: 27r, 57v, 58r-v, 62v, 63-v, 64v, 65r-v, 79r-v, 88r, 96v, 97v, 98v, 114r-122r, 158r-v, 1 6r-197r, 237v-238v. საგულისხმობა, რომ ზოგჯერ ერთ გვერდზე ორივე ძმის ხელი შეინიშნება (27r, 64v, 65r, 158r, 227v, 237v და სხვ.). 158-ე ფურცლის წინა გვერდზე პირველი სამი სტრიქონი სულხან-საბას ხელითაა დაწერილი, მე-4-7-ხაალ-ზოსიმეს ხელით, მერვე სტრიქონიდან კვლავ სულხან-საბას ხელი შეინიშნება. აღნიშნული ჩარევებმა კარგად წარმოაჩენს ძმათა თანამშრომლობას.

Q № 400 ხელნაწერი ზაალ-ზოსიმეს გადანუსხულია, შემონახული აქვს სათანადო მინაწერებიც: „ზოსიმე ბერი ცოდვილი“ (1r), „ქრისტე, შეიწყალე ზოსიმე ბერი ცოდვილი“ (1v) და სხვა. შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც შემონახული აქვს სულხან-საბას რედაქციული

¹ აქ წამოვიკრიო საკითხებზე ვრცლად იხილეთ. ქუთათელაძის საყურადღებო ნაშრომი: სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957 წ.



მუშაობის კვალი და, როგორც ავტორიზებული ნუსხა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

H № 95 ხელნაწერი 1715 — 1716 წწ. უნდა იყოს დამზადებული ხელი უცილობლად ზაალ-ზოსიმესა. ასეთ ვარაუდს ამოწმებენ მინაწერები: „ზოსიმე“, „ზაალ ყოფილი, ძე ორბელისა“ (307r), „ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი ზოსიმე ბერი, ძე ორბელისა“ (6r), ეს ნუსხაც ნასწორებია სულხან-საბას მიერ, აქაიქ ჩანს მისი შენიშვნები (12r, 140v, 247r...). სხვათა შორის, აქედან უნდა იყოს გადაწერილი კ. მარქისის სახელობის საქართველოს სსრ პაჯჯარო ბიბლიოთეკის რარიტეტსაკაცის ხელნაწერი № 59.

ზაალ-ზოსიმეს მიერ გადანუსხული ხელნაწერი H № 95 შეიცავს ლექსიკონის გავრცობილ რედაქციას. როგორც ცნობილია, ლექსიკონში ჩამატება-განმარტებათა შეტანის უფლებას თვით სულხან-საბა იძლეოდა. მოვიგონოთ მისი სიტყვები: „თუ ვინმე სხუაგან უცხო სიტყუა პპოთ, ანუ თარგმანი სიტყუსა, გინა წერილთაგან გამოიღო, ამა წიგნთა შინა ჩაურთეთით, რამეთუ მე მრავალი სიტყუა დამიშთა, რომელიმე არა-სმენითა და წერილთა უნახაობითა, რომელიმე ნუსხათა დაკარგეთა და დაიწყებთა, გარნა რაოდენ ძალმედუა ვეკალდ...“

ამით აიხსნება ის ვარაუდი, რომ სულხან-საბას ლექსიკონზე გარკვეული მუშაობა ჩამატარებს დავით რექტორმა (1745-1824), იოანე ბაგრატიონმა (1768 — 1830) და სხვებმა. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით მუშაობა სხვაზე ადრე ზაალ-ზოსიმეს დაუწყია. შემოხსენებულ ხელნაწერში (H № 95) სულხან-საბას ლექსიკონი საკმაოდ გავრცობილია, ზაალ-ზოსიმეს მასში ჰყარავს შეუტანია პრევერბიანი და სხვადასხვა ქვეყნის ზმნები სხვადასხვა მწკრივსა და პირში (მგალითად, იცემება, იწვის, იჯდა, მოუძოვე და მრავალი სხვა). თუ ადრეულ ნუსხებში (K № 300, Q № 400) ერთმანეთის მაცოლებით ეწერა „იწრო“ და „იჭვი“, ახლა მათ შორის რამდენიმე ფორმა გავჩნდა: „იწრო, იწუწკების, იწუნებების, იწყებს, იწუწკუნა, იწყენს, იჭაკება, იჭაკეება, იჭვი“.

როგორც ჩანს, სულხან-საბას ყველა შესწორება-დამატება არ მოსწონებია. როდესაც ის ამ ნუსხას ვასტეობია, შესწორებები თვითაც შეუტანია, მაგრამ წარმოდგენილ ცვლილებათა დიდი ნაწილი არ გაუზიარებია. ამის შედეგად ზაალ-ზოსიმემ ბევრ თავის დამატებაზე შეიმდგომში ხელი აიღო. საილუსტრაციოდ საკმარისია ერთი მაგალითი: ადრეულ ნუსხებში (K № 300, Q № 400) ერთმანეთის მი-

დევნებით ეწერა: „მოურაიე, მოურენე“. H № 95-ში კი მათ შორის გაჩნდა მთელი წყება ფორმებისა (მოუარე, მოურბინე, მოუგვარე, მოუგროვე, მოუგდე და ა. შ.). 1727 წელს გადაწერილ ნუსხაში (H № 1035) ზაალ-ზოსიმემ დამატებული ფორმები ამოყარა და ძველ გზას დაუბრუნდა.

ხელნაწერი A № 75 განსაკუთრებით საყურადღებო ნუსხას წარმოადგენს. ესაა ზაალ-ზოსიმეს მიერ სულხან-საბას სიცოცხლეში გადაწერილი ლექსიკონის უკანასკნელი, მესამე, ნუსხა. დამზადებულია ის 1721 წლის 14 ნოემბრიდან 1722 წლის 14 იანვრამდე. სათანადო ცნობას ზაალ-ზოსიმეს მინაწერი გვაწვდის: „ამა წიგნისა აღწერასა ხელი მიყუყუ ნოენბერის ათოთხმეტსა, ქორონიკონს ჩლკა (-1721). ხოლო აღსრულდა იანვარსა ათოთხმეტსა, ქორონიკონს ჩლკა (-1722)“.

ზაალ-ზოსიმეს მიერ გადაწერილი ტექსტი ჩაუკითხავს სულხან-საბას და გარკვეული რედაქციული მუშაობაც ჩუქტარებია, მასვე დაუწერია ორიოდე გვერდიც. ამ ავტორიზებული ნუსხის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ მან შემოგვიწინა ზაალ-ზოსიმესული ძვირფასი მინაწერი სულხან-საბას გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოლოგიური მუშაობის უკანასკნელი ეტაპის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთ ავტორგაფულ ნუსხას (H № 1429), რომელიც გადაწერილია სულხან-საბასა და ზაალ-ზოსიმეს მიერ ზიარად. გადაწერა ძმებს დაუწყიათ კვიშეთში 1723 წელს, ხოლო დაუმთავრებია ზაალ-ზოსიმეს 1725 წლის 28 აპრილს მოსკოვში. ე. ი. ესაა სულხან-საბას უკანასკნელი ავტორგაფული ნუსხა, ესაა ის ხელნაწერი, რომელზეც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მუშაობდა დიდი ლექსიკოლოგი. ხელნაწერს შემოუწინავეს ზაალ-ზოსიმეს საინტერესო ანდერძი: „...უფლისა საბას ძმა, არა ღირსი ძმობისა, არამედ მონა მისი, ზოსიმე. შევრდომით გვეედრები ყოელთა, რომელნი ნიემთხვევნით ამა ჩემსა მცირედ ნაშრომსა სიტყუს კონა წიგნსა, გინებნისა ღირსი, შენდობით მომიქსნოთ და ღირსი ჩემი გინება მომიბოძოთ. გასრულდა ლექსიკონი ესე ქრისტეს აქათ ჩლკე (-1725), აპრილს ქშ (=28), მოსკოვს ქალაქში, ქორონიკონს უიგ (=413+1312=1725). ამ წიგნის წერა ქვშუიგოს, ქართლს დავწყეთ და ძვლ მოსკოვს გავათავე, თეთრს რუსეთს...“ (252r).

აღნიშნული ხელნაწერი, რომელსაც ემყარება ლექსიკონის უკანასკნელი, მესამე (1949), გამოცემა მე-300 გვერდამდე სულხან-საბას გადაწერია, აქაიქ თავს იჩენს ზაალ-ზოსიმეს

ხელიც. ხელნაწერის ეს ნაწილი დამზადებულია 1727 წლიდან 1725 წლის 26 იანვრამდე (ლექსიკონის შემდგენლის გარდაცვალებამდე), მომდენურა ნაწილი კი სულ ზაალ-ზოსიმეს ნაღვანს წარმოადგენს და, როგორც ჩანს, 1725 წლის 26 იანვრიდან 28 აპრილამდე გადაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნუსხაზე ზაალ-ზოსიმეს დიდი ღვაწლი მიუძღვის, კალიგრაფი მას მიიხსნის არ თელის თავის გადაწერისად. ამ მხრივ საყურადღებოა ზაალ-ზოსიმეს შენიშვნა: „ღვთით სამი სიტყვის კონა წიგნი დამიწერია, რომელ არს ლექსიკონი“ (252r). როგორც ჩანს, ზაალ-ზოსიმე სულხან-საბასთან ერთად გადაწერილ ნუსხებს (K № 300, H № 1429) არ თვლიდა, თორემ მაშინ სამს კი არა ხვდის მოხსენიებდა. ხელნაწერი H № 1429 ზაალ-ზოსიმემ შეუდარა უქანასენლს, ე. ი. მის წინა ნუსხას (A № 75), გამორჩენილი 51 სიტყვა ჩასწერა თავთავის ადგილზე და შემდეგ დამატებით შეიტანა 228 სიტყვა (მაგალითად, ალიყალი, ვაბაროყვა, გახსოვს, დაავლიჯა, ვეტყვი, ყოფილა და სხვა). ზოგი მათგანი განმარტებითა (ალიყაბი — ხის ადვირი, ამოკვირინე — გულის ამოსკუნა, ბარულა — სათბროლი, ელიონ-ამალღებული, ლოლობჭარი-სოფლური ცუდი რჩევა და ა. შ.) და წყაროების ჩვენებით (კვამაიბენ — 23. 16 იერემია; ვხრწენით — 7. 2. 2 კორინ.; თურთ — 8. 32კრომ.; წვეწული — 3. 12 ფილიპ. და ა. შ.). თუ ამ ხელნაწერს გამოვაცლებ ზაალ-ზოსიმეს მიერ ჩამატებულ სიტყვებს, მივიღებთ სულხან-საბასეულ უქანასენელ რედაქციას.

ზაალ-ზოსიმეს არა მარტო ცალკეული სიტყვები ჩუმატებია ლექსიკონში, არამედ ზოგჯერ საყურადღებო შენიშვნებიც შეუტანია. სხვათა შორის, სულხან-საბას ერთი განმარტება: „ჟაშავი მოზრდილი ტყვე და ბადანა ჩჩული ტყვე“... ამ ნუსხაში ასე იკითხება: „რასათვის დაწერა სულხან-საბამ ესენი? ამისთვის, რამეთუ მას ეამსა ლიხთ იმერეთს უმეფობა იყრ და უღმრთოებასა დაეყრა დიდნი და მცირენი და ქრისტეს სისხლით მოსყიდულთა კაცთა მამადანათა მიჰყიდდენ და კაცთა არა თუ ოდენ ჭორტთა, არამედ სულიერთ ჭამდენ და გასასყიდულთა ტყვეთა ასაკისა შითისა მსგავსთა სახელსა უწოდდენ“ (198).

ხელნაწერის შესწავლიდან ცხადი ხდება, რომ სულხან-საბამ ამ ნუსხის დამზადება გულმოდგინედ დაიწყო, მაგრამ დასრულება აღარ დასცალდა. მან ვეღარ მოასწრო ლექსიკონის უქანასენელი რედაქციის დამთავრება, შესწორება და, როგორც მისი ძმა დიმიტრი ორბელიანი წერდა:

„ქარ ღია, ზღუდე მოძერცივილი, დაავდო სიტყვის კონანი“.

1727 წლის ივნისში ზაალ-ზოსიმე ^{გარდაიცვალა} ანმა დაასრულა კიდეც ერთი ნუსხა ლექსიკონისა (H № 1035), რომელსაც შემოუნახავს ვრცელი ანდერძი გადაწერისა: „სრულ ღებნა სიტყვის კონა ესე წიგნი, რომელ არს ლექსიკონი, ქრისტეს აქათ ათას შუვას ოცდაშუვასა, 1727, ივნის ვ (=6), სამეფოსა დიდსა და ყოვლითურთ ღვთისაგან კურთხეულს თეთის რუსეთს, მოსკოვს. უფალმან განაძლიეროს და დაამტკიცოს მეფობა ცარი პეტრე ალექსიშვილისა და აყურთხოს ყოველი ერთგულნი მისნი და დასწყევლოს და აღმოფხურას ორგულნი და წინააღმდეგონი მისნი. მრავალმცა არიან წელნი და ეამნი მეფობისა მისისანი. ამინ, ამინ, ამინ.“ (267).

სავალისძვოა, რომ ამ დამოუკიდებელი გადაწერილი ლექსიკონის ანდერძში ზაალ-ზოსიმე ერთხელ კიდეც ვაჟუდის ცნობას მის მიერ დამზადებულ ნუსხების რიცხვის შესახებ: „ღვთით ეს თთბი სიტყვის კონა წიგნი დამიწერია, რომელ არს ლექსიკონი“ (267). ეს ნუსხა, მართლაც, მეოთხეა (Q № 400, H № 95, A № 75, H № 1035).

ლექსიკონის აღნიშნული ნუსხა გადაწერილია სულხან-საბას გარდაცვალების შემდგომ ხანაში, შესრულებულია ის ზაალ-ზოსიმეს მიერ დამოუკიდებელი. როგორც ჩანს, ხელნაწერის დამამზადებელს ლექსიკონი საქმოდ გაუშრდია პრევერბიანი ზმნების ხარჯზე და მოუცია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უქანასენელი რედაქციის გავრცობილი სახე. თუ H № 1429-ში ერთმანეთს მივყლიძობთ იკითხებოდა: „დააბარა, დააბერა, დააბნელა“, ახალ, უქანასენელ ნუსხაში ფორმათა რიცხვი საქმოდ გაზრდილია: „დააბარა, დააბერა, დააბეგინა, დააბეზლა, დააბერა, დააბოლა, დააბილწა, დააბლავა, დააბლატუნა, დააბლუა, დააბმევირა, დააბნევირა, დააბნელა...“ ამრიგად ზაალ-ზოსიმემ ახლა უკვე მეორედ მოიწადინა ლექსიკონის გავრცობა. სხვათა შორის ლექსიკონის ამ ახალმა რედაქციამ შემდგომში დიდი გავრცელება ჰპოვა. H № 1035-დან მომდინარეობს ჩვენს სიძველესაცავებში შემონახული მრავალი ხელნაწერი (H № 1736, S № 2727, S № 2696, A № 1704, K № 72 და სხვ.). არსებობდა ეგვე რედაქციაა წარმოდგენილი ლექსიკონის პირველსა (1884 წ.) და მეორე (1928 წ.) გამოცემებში.

1728 წელს ზაალ-ზოსიმემ უმცროსი ძმის დიმიტრი ორბელიანის თხოვნით დაამზადა ლექსიკონის უქანასენელი, მეხუთე, ხელნაწერი (Q № 953). ეს ნუსხა არსებითად განსხვავდება წინა ხელნაწერისაგან (H № 1035). სულხან-საბას ლექსიკონის უქანასენელი რედაქციის (A) შემცველ ხელნაწერებში ზმნის პირიანი

ფორმები მეტწილად თხრობითი კილოს წყვეტილი მწკრივის მესამე პირში (მხ. რიცხვი) გვხვდება. მაგალითად, „გააგდო, გაათავა“... 1727 წლის ხელნაწერში (H № 1035) ზაალ-ზოსიმემ შესწორება შეიტანა და ზმნები მეტწილად თხრობითი კილოს წყვეტილი მწკრივის მეორე პირში (მხ. რ.) გადაიტანა: „გააგდე, გაათავე...“ უკანასკნელ ხელნაწერში ის კვლავ ძველ ფორმებს დაუბრუნდა. საგულისხმოა, ის გარემოებაც, რომ წინა წელს გაზრდილი რიცხვი პრევერბიანი ზმნებისა ზაალ-ზოსიმემ ახლა საგრძნობლად შეამცირა და მინიმუმამდე დაიყვანა. მაგალითად, „ა“ ქცევის ნიშნით „წა“ პრევერბთან ლექსიკონის უკანასკნელ რედაქციაში წარმოდგენილი იყო ხუთი სიტყვა (წაბარუნა, წააგო, წაადევნა, წაართვა, წააქლინა); 1727 წელს ზაალ-ზოსიმემ ეს რიცხვი 102-დღე გაზარდა (წაახურა, წააბანა, წააგავა, წააგდებინა და სხვ.), ხოლო 1728 წელს 75 სიტყვით შეამცირა. როგორც ჩანს, მან დაბეჯითებით გადაწყვიტა უფროსი ძმის საბოლოო რედაქციასთან დაახლოვება. ამრიგად, ზაალ-ზოსიმე ორბელიანი ჩვენი სახელოვანი ლექსიკოგრაფის ერთგული თანამშრომელია. მათ ერთად გადაწერეს ლექსიკონის ორი ნუსხა. საკუთრივ ზაალ-ზოსიმეს დაუზღაღებია ლექსიკონის ხუთი ხელნაწერი. საგულისხმოა, რომ მისი ხელი ეტყობა იმ ნუსხებსაც, რომლებიც საკუთრივ სულხან-საბას

მიერაა დამზადებული (H № 1658, 305r; A № 1473, 243v და შმდ.).

ზ. ორბელიანს გადაუწესხავს სხვა ხელნაწერებიც, მაგალითად „ლოცვა განზრახვათათჳს“ 1720 წელს (H № 770), სულხან-საბას ქადაგებათა კრებული „სწავლა მოძღვრებანი“ 1729 წელს (A № 479) და სხვ. განსაკუთრებით ძვირფასია უკანასკნელი ხელნაწერი, რომელმაც კარგად შემოგვინახა ჩვენი იუბილარის დიდებული თხზულება.

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ ზაალ-ზოსიმე ორბელიანი ღირსეულად უშვეწენებს მხარს თავის ძმებს, ცნობილ მწიგნობრებს, სულხან-საბას, ნიკოლოზს, დიმიტრის. მათ საქმიანობაზე ქართველ საზოგადოებას იმთავითვე სწორი წარმოდგენა ჰქონდა, რასაც შესანიშნავად ამოწმებს დიმიტრი ბაგრატიონის (1746 — 1826) ლექსი:

„ორბელის ძენი ყოფილან ბრძენნი, გონება
ვრცელნი, გულისხმიერნი,
ერნი და ბერნი, კეთილად მწერნი, საღმრ-
თო-საეროდ კარგ-მშვენიერნი,
ენა-მკვერ სრულნი, ლამაზად თქმულნი,
მრავალნი გეჭონან ჩვენ მათ მიერნი
გვიხამს ვმადლობდეთ, შენდობას
ვძღვონბდეთ. ერთმეჭვეყენლნი ვინც ვართ
იყერნი“.



გიორგი შაგაბაიანი

მეფეთა სამძივარი

„ვაამე! და კვალად ვიბრუნო: ვაამე!.. ვაამე. რა ვუო შე ცოდვილმან, მომინდა სვიფონი, ღოძი და ვუშაბი, მეწივა ღელვა გვემული და მომისამქედურა მხედარი ჩემი ვახუშტი და დამეკარგეს მსურაფელ თვალთა წინა და ვარონინებ განცვიფრებული თვალსა და ვურსად მშოვნელი ვარ“.

მეფე შაჰნავაზი

„ღექსიკონი გამოგვგზავნა და ნეტამც იმას მოსწრებოდა, ვისთვისაც გამოგვგზავნა!“

მეფე გიორგი XI

ზემოთოყვანილი სიტყვები ამოღებულია ქართლის მეფეთა პირადი წერილებიდან.. პირველი შაჰნავაზის სამძივრის წერილის ნაწყვეტია, ხოლო მეორე გიორგი XI-ის წერილისა. მეფენი სამძივრის უცხადებენ თავის ნათესავს, მეფეთა შორის აღზრდილსა და მათი შვილების აღზრდელს სულხან-საბა ორბელიანს მისი ძმის ვახუშტი ორბელიანის გარდაცვალების გამო.

მკვლევარი ექვთიმე თაყაიშვილი ვახუშტი ორბელიანის სააღაპო გამოსაღების სისი კომენტარში აღნიშნავს, რომ საბას უმცროსი ძმა ვახუშტი თავის მამიდაშვილს ქართლის მეფე გიორგი XI-ეს სპარსეთში გაჰყოლია და იქ ვარდაცვილია 1707 წელს, ქალაქ ყანდაარს. სპარსეთშივე ყოფილა ამ დროს ქართლის მეფე, გიორგის მამა და ვახუშტის მამიდის ქმარი შაჰნავაზი (ვახტანგ V). ქართლის ცხოვრების ამ ბედუკლმართ დროს, როგორც ჩანს, ვახუშტი ორბელიანი სპარსეთის შაჰის კარზე მყოფ ქართლის მეფეებს ჰსლგებია, როგორც საპატიო კარისკაცი და მხედარი.

მეფეთა სამძივრის წერილები და სხვა ისტორიული დოკუმენტები ადასტურებს, რომ ვახუშტის სიკვდილი მოულოდნელი და თავზარდაცემი ყოფილა სპარსეთს გადახვეწილი ქართველებისთვის.

ამ მიზეზ სიკვდილის ვანცდა ბეჭდად აზის ეამთა სიავეს გადარჩენილ და ჩვენამდე მოღ-

წულ დოკუმენტების და სამძივრის წერილების თვითეულ სტრიქონს თუ სიტყვას.

ქართლის მეფეებს და სპარსეთში მყოფ ქართველებს უდროოდ დაღუპული მოძმის ცხედარი მდულარე ცრემლით დაუტრიათ და დარსეულად ვადმოუსვენებიათ ქართლში, შშობლიურ მიწაში სამუდამოდ დასამკვიდრებულად.

აი რას სწერს გიორგი მდივანბეგი საბა და ერასტი ორბელიანებს მათი ძმის ვახუშტის სიკვდილის თაობაზე:

„ბატონს ასე ეწყინა, რომე თავისი ზავრატ ღღეს მოკდომოდეს. რომ მოვასწენეთ, არ დავეიჯერა: ჩემი ვახუშტი ახლა ვნახეთ, ეს რა დავემართათ, ეგებ ვაცხელებსო და ცხელებით მეუბნებოდეთ. მერმე მოვასწენე: საყუარელი რომ კაცს არ ემეტებოდეს მეთქი, მისას არას დაიჯერებს მეთქი. მერმე წიშინა თავსა და მრავალი იცა. ღთნ იცის, არც შეიღწედ. არც მძახედ ეს არ უქნია, რაც ბატონმა ვახუშტიზე ქნა. მწარედ იტრია, გარდაბურა, ოცდა ათი თუმბია შემოვაწიეთა, თორმეტს ღღეს კარში არ ვამოსულა, დიღ დიოტირა და გამოსიტუმრა საბატურად“.

მეფეთავან დატირებული მხედარი ქართლში ვადმოუსვენებიათ და როგორც ლუარსაბ სარდლის მიერ შედგენილ სააღაპო გამოსაღების ვრცელ სიღან ჩანს, დიდი ზარჯი ვაუწევიათ და მართლაც „საბატურად“ დაუქრძალავთ.

ლუარსაბ სარდლის ვანკარგულებით:

„უნდა ვამოიღონ ვახუშტის სააღაპო: წარუთს ძროხა ერთი, გუგუთს ძაღუჩაშვილთ ძროხა ერთი. იფნობს ძროხა ერთი, კარცხლას და ზალხაურს ძროხა ერთი. ტანძიას ძროხა

* წერილში ვამოყენებული მასალა ამოღებულია: „საქართ. სიძველენი“, ეგ. თაყაიშვილის რედაქციით. ტომი II. გვ. 209—224. დოკუმენტები: 174, 175, 177, 178, 179, 180.



ერთი...“ და ასე შემდეგ. დოკუმენტში ჩამოთვლილია ორმოცამდე სოფელი, რომელთაც თითო-ორი ძროხა უნდა გამოეღოთ ვახუშტის აღბასთვის. („ძროხა: მთ, ცხვარი: იბ. იქს ძროხას მბა“).

სპარსეთში მყოფ მეფე შაჰნავაზს ვახუშტის სიკვდილის თაობაზე ორი წერილი გამოუგზავნია. ერთი, უფრო ადრე გამოგზავნილი, სამძიმრის წერილია. ამ წერილის კომენტარში ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს: „სამძიმრის წიგნი მიწერილი მეფის შაჰნავაზის მიერ ჯანდარბიდან საბა-სულხან ორბელიანისადმი საბას ძმის ვახუშტის გარდაცვალების გამო“... მაგრამ წერილის შინაარსი და განსაკუთრებით ერთი ადგილის მიხედვით შეიძლება ვფიქროთ, რომ შაჰნავაზს ეს წერილი გამოუგზავნია ვახუშტის ორივე უფროსი ძმისათვის: საბასთვის და ერასტისთვის („მოვიწერე მე მეფე შაჰნავაზ, ძმებო, ბატონო საბაჲ და მდივანბეგო, ბატონო ერასტი! მოგახსენებ ძმათა თქვენთა ჭარტასა უსაწყლესა მწუხარებთა თქვენთა.“)

ამ ვრცელ წერილში დიდი მწუხარება გამოსჭვივს. შესავალი მალაღმარებელია და დატვირთულია წმიდა მოციქულთა ფრაზებით, მსგავსად ამისა: „თმანიცა თავისა ჩემისანი აღმამფთობდეს“, ანდა:

„...მოიწია ხმა ზარისა, მომიკუდა კეთილი ყოფადობისა მქნელი, ჩემი დამტირებელი, დამმარხველად გამოსალოდნელი, აღმომეფებრა ხე იგი კეთილი, ნურგად აღორძინებული, წარმტყვევნა ვაზი ტევან-ოქროვანი, სიტკბოება და ვითარი სიტკბოება ჩემი! თაფლისა გოლულისა უტკბოსი, ოქრო ბრძმედსა შინა გამოქანდაკებული, მშვიდი და მდაბალი, ყოვლის ქველისა საქმისა მოქმედი, პატრონთა მოსურნე, კაცთა მოყვარე, ჯართა და დარბაისელთა განმაგულოვანებელი, ლხინთა და მეჯლისთა ჩემთა განმანათლებელი, ყოვლის ხვამიადისა ჩემისა დამმარხველი, ბრძანებისა ჩემისა მორჩილი, ყოველთა ბრძოლათა და მტერთა მომსრეელი; ვაჟმე! და კვალდ ვიტყვი: ვაჟმე! ნათესავთა თქვენთა და სახლელთა უმეტესად ქებით წარმოშობილი და აღორძინებული ვახუშტი, ძმად, შვილად ჩემდა ქმნილი“.

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ორბელიანი ყოველგვარი სიკეთით შემკული ვაჟაკი ყოფილა: მდაბალი, ქველი, კაცთმოყვარე, უფრო მზედარი და მეფეთა მეჯლისებში მომღვინე, შაჰნავაზის ხვამიადის დამმარხველი და მესაიდუმლე... მიცვლებულზე, ისიც სამძიმრის წიგნში, ეს არ იტყვიან, მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რა ოჯახისშეილი იყო გარდაცვლილი და ვისი ძმა: სპარსეთის შაჰის სამფლობელოში ქართლის მეფენი უღირსს არ იახლებდნენ!

„თვალის სინათლე თქვენი და დიდად ზურ-

გად იმედი ჩემი, სასურველი და სიძველემძმა თქვენი, წინაშე ჩემსა წარმოგზავნილი.

ამანათა და შემოკვდრებულა.“

„შაჰნავაზის ზრუნვას და მოვლას არ გაუჭრია და ამ მამობრივი ზრუნვის სანაცვლოდ ვახუშტი „აღლესა მახვილი ორბირი და შთამგმირა გულსა ჩემსა და მცხო ბაგესა ჩემსა სამსალა ნაღვლთურთ აღრეული...“

ამიტომ ამბობს შაჰნავაზი სინანულით:

„...და აჲ სუღარითა, ხელთა და ფერხითა შეკრული წარმოივლენია, ვამე, რა ვყო მე ცოდვილმან?“

„შაჰნავაზის წერილი ასე მთავრდება:

„...მრავლი თავს ცემით მწუხარება მამის-სენებია. დასტურ ძმა თქვენი იყო, მაგრამ ღმერთმან იცის, ჩემიც შეიღსა და მასავით საყვარელი იყო. ჩემთვის ეს დღე იყო, რომ თავი მამკლომდა, ჩემი თვალის სინათლე ძმანი და შვილი დღეს დამხოცოდა. მოვლა და ხელის შეწყობა არ დაგვივლია, მაგრამ ეს ბეგარა ყოვლის კაცის თავს გარდუღოლია... შაჰნავაზ“.

შაჰნავაზის მეორე წერილი სულხან-საბას ძმის მდივანბეგ ერასტი ორბელიანისადმი უფრო გვიან უნდა იყოს მოწერილი. ამას ადასტურებს წერილის შინაარსი. თუმცა ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ეს არის „სამძიმრისა და საჩუქრის წიგნი“, მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. ამას ადასტურებს წერილის შინაარსი. შეუძლებელია სამძიმრის წიგნში მეფეს თავისი მგლოვიარე ნათესავისა და ხელქვეითისთვის „შეივი გამოცვლა“ და გლოვისაგან გაყრა ებრძანებინოს:

„ვიცი მწუხარებით იქნებით და შავითა. შავის გამოსაცვლად ხალათი მიახლებია. კაბა დინისა, თელია ხევანბანი, ერთი ქამარი-ბანდი სარტყელი ზარბაზისა, ყირმიზი, ერთი დოლბანდი თამამოზარი, ნორბი მწვანე... ერთი თუ ჩენი თავი გინდა, ეს ჩაიკვით. რა ექნათ, თქვენ გტყვი და ჩვენთვისაც მწვედ სატყვიარა მისი ამგვარი საქმე. ღთნ ნულარა სამძიმარი მოგცეს“.

ამ წერილის შინაარსი უფრო მეტად ამავრებს იმ აზრს, რომ შაჰნავაზის ზემოთმოყვანილი სამძიმრის პირველი წიგნი მოწერილია ორივე ძმისადმი, უმაღლე, ვახუშტის გარდაცვალების-თანავე, ეს მეორე წიგნი კი „შავის გამოცვლისა“ და ხალათის ბოძების წიგნია, „შავის გამოცვლის“ სათანადო დროის გასვლის შემდეგ მოწერილი.

მეფე გიორგი XI-ს წერილი სულხან-საბა ორბელიანისადმი სამძიმრის წიგნი არ არი. იწყება ჩვეულებრივი მოკითხვის ან საქმიანი ბარათის მსგავსად: „ქ. ჩემო სანახავად სანატრ-

ლო ძმომ, ბატონო სულხანს მრავალი მოკითხვა მომიხსენებია“.

ამ წერილის მიზეზი გამხდარა ვინმე „პაპად-ბეგის წიგნი“ მიწერილი სულხანისადმი და „პაპუნას საუფროსოს“ სადაო საქმე. ამ საქმე-ებში, როგორც ჩანს, სულხანიც ყოფილა გარე-ული („ბატონო სულხან, რაღას მალავთ, რატომ საჯაროდ და საბატონოდ არ იტყვი, როგორც გარიგებულა? ასრე უნდა იქნას, თვარემ და-გიყენიათ, ერთი წიგნი მოგვეცო, იმ ერთის წიგ-ნით რას გააკეთებთ?“)

საყურადღებოა ერთი ცნობაც: სულხანს სპარ-სეთში მყოფ ვახუშტისთან სისტემატური მი-მოწერა ჰქონია („რაც კურთხეულის ვახუშტი-სათვის წიგნები მოგეწერა, ყველა შევიტყვე“) პაპუნას „საუფროსოს“ თაობაზე. ამ საქმეზე გი-ორგი მეფის მდივანებგ ერასტი ორბელიანის-თვის თავისი სათქმელი თავის დროზე მოუწე-რია („რაც ქართული მქონდა, ყველა მდივან-ებგ ერასტისთვის მომიწერია და როგორც მო-მეწეროს, ისრე ქენით“.)

ამ წერილში დაკულ ცნობებს არა მარტო სულხან-საბას და მისი ოჯახის ბიოგრაფიის-ისტორიისათვის აქვს მნიშვნელობა... საქართველოს სოციალური ისტორიის მკვლევარი ამ დოკუ-მენტებში მრავალ საყურადღებო ცნობას წაა-წყვება. (დარიგებისა და ადაპის წესი, შვიის გამოცვლისა და ამოწყვეტილი ოჯახის შემევიდ-რების წესი და სხვა.)

გიორგი მეფე „პაპუნას საუფროსოს“ სადაო საკითხის განხილვის დროს ადარებს ქართლსა და იმერეთში მამა-პაპიდან არსებულ წესებს გაყრილობისა და უშვილო ოჯახს მამულის მფლობელობის შესახებ და ამბობს:

„იმერეთს რომე უშვილო კაცი მოკუდეს, ის მამული ბატონის არის. ქართლში თუ უშვილო კაცი მოკუდების და მალ გაყრა მოხდა, ეგებ ამით იქნას და მიეცეს იმ სახლის კაცსა, თვა-რემ თუ დრო დაგვიანდა და ეს სახლისკაცობა გვიან გაიყარა, ბატონის მზემი, ბატონის არის უშვილოს კაცის მამული... რა ხნის გარიგებული საქმე არის, ვინ იცის ვინ მოშლის ამ საქმესა? ვანა ახლანდელი საქმე არის? ძველი წესია“.

• •

სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისათვის მეტად საყურადღებო ცნობას შეიცავს გიორგი მეფის წერილის ბოლო ნაწილი, უკეთ მინაწე-რი, რომელიც ასე იწყება: „ლექსიკონი გამოგე-ზაენა და ნეტამც იმას მოსწერებოდა, ვისთვისაც გამოგეზაენა!“

როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, გულისხმეირ სულხანს თავისი „სიტყვის კონის“ ერთი ნუსხა სპარსეთში მყოფი უმცროსი ძმისთვის გაუგ-

ზაენია... ძვირფას ამანათს ვერ მიუსწრნა. მისი ლოდნულად დაღუპული ვახუშტისთვის და გი-ორგი მეფის ხელში მოხვედრილა. მოხვედრილა იმ კაცის ხელში, ვისი ბრძანებითაც ადრე სიკა-ბუქეში სულხანმა ამ ლექსიკონზე მუშაობა და-იწყო.

ლექსიკონს დიდად უსიამოვნებია ყანდაარს მყოფი ქართლის მეფე და სულხანის მამიდაშვი-ლი. ამ დროს უკვე გამაჰმადიანებული ქართ-ლის მეფე სპარსულის შესწავლით ყოფილა გა-ტაცებული, მაგრამ მშობლიური ენის საუნჯეს მისთვის გუნება შეუცვლია:

„...თათრულს წიგნზედ მიმდგარვარ და კიდეც ვისწავლე. ლამის ის გამაშობინოს ამისმა კით-ხვამა“.

ლექსიკონით კმაყოფილი მეფე, რომელსაც როგორც წერილიდან ჩანს, ადრეც მრავალი „შენდობა უთქვამს“ საბასთვის, ახლაც მრავალ შენდობას უთვლის მეციანერ ბიძაშვილს („დიდა კარგი წიგნია და კარვადაც გავეწყვე“). და სთხოვს ის სიტყვები, რომლებიც ლექსიკონში ვერ ამოუკითხავს, „კარგის ხელით დაუწერი-ნოს“ და გაუზგავნოს: „ეს ნუსხა არის, შენთვის კიდეც გექნება, იმაზედ გარდმომიწერიხო“.

ამის წერილს დროს გიორგი მეფეს გახსენებია, რომ დავალებას ძვირფასი ძმის სიკვდილით დამგლოვიარებულ კაცს აძლევს და უხერხულო-ბა უტარძენია:

„ან რა პირით დაგვდა საქმე? ამისთანა საქმე იქნა, მაგრა ბრძანება მლთიას რა გაეწყობის! ჩემო ძმავ საბავ, ვახუშტის დამკარგავ ნუ მო-მიძულებ“.

უცნაური სევდის აღმძვრელია ეს სიტყვები... საუქუნეთა მიღმა ჩვენს თვალწინ ნათლად იხა-ტება უცხოობაში იძულებით მყოფი ქართლის მეფის მშუმუნვარე სახე, თავისი ნათესავისა და მეგობრის, სამშობლოს მოჭირნახულე ბრძენი ვაჟკაცის უბედობაზე ჩაფიქრებული და ადელ-ვებული.

ვახუშტის დამკარგავი ნუ მომიძულებო!

რა იცოდა ამ წერილის სიტყვების დაწერამ თუ ორი წლის შემდეგ თითონაც ვახუშტის ბედს გაიზიარებდა და სპარსეთის შაჰის წინააღ-მდე აჯანყებული ავღანელების ხელით მოკე-დებოდა უცხოეთში!

შემდეგ, უფრო გვიან, გიორგი მეფის წერი-ლის აღრესატმაც გაიზიარა მეფე მამიდაშვილი-სა და მხედარი ძმის ბედი და უცხო ცის ქვეშ დახუჭა ქართლის ბედის მაძიებელი თვალი.

უბედობასაც აქვს თავისი ხარისხი:

ყანდაარს დაღუპულ უმცროს ძმას მშობლი-ურ ტანძამში მაინც ეღრასა დაკარგულა, უფ-როსს კი ბედმა ესეც არ არგუნა და, ვგონებ, სახლავიც დაუქარგა.



შოთა ძიძიგანი

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“

„...ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარა იპოვებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო... ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაპყარგოდათ, ენა ქართული თავისთა ნებაზედ განერწყუნათო“. — გულისტყვილით ამბობდა ქართული ენის დიდი მოჭირნახულე სულხან-საბა ორბელიანი.

სწორედ ამ გარემოებამ — ქართული ენის იმდროინდელმა ვითარებამ — უპარნახა დიდებულ მწერალსა და მეცნიერს ხელი მოეკიდა მეტად სამძიმო საქმისათვის — შედგინა „სიტყვის კონა“ (როგორც ვახტანგ VI უწოდებეს), რომელშიც გამოხატულებას პოვებდა ჩვენი ენის ლექსიკური საგანძური, მდიდარი ქართული ენის სიტყვობრივი შედგენილობა.

ქართული ენის ამოღრწავი საუნჯის, მისი ლექსიკური ფონდის გამოვლინება და ლექსიკონის სახით დალაგება შინაგანი აუცილებლობით მოითხოვდა სწორედ ისეთ ფართო ვეგმას, როგორც თავიდანვე დაისახა საბამ, და ამ თავდაპირველი ჩანაფიქრის განხორციელებას, ბუნებრივია, რამდენიმე ათეული წელი მოუნდა. ორბელიანის დიდი შრომისა და რუღუნების შედეგად ქართველმა ერმა მიიღო ეს შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც, ი. ვ. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. ვ. ი. ს. სიტყვით რომ ვთქვათ, აქნაღაც ძვირფასი განძად ითვლება მეცნიერებისათვის, — მაშინ ხომ იგი ცის მანანასავით უნდა მოვლენოდა ქართველობას“.

საბას ლექსიკონმა ათქმევინა ვახტანგ მეიქვეს: „რადგან დაშვრა ასრე საბა, ქება მმართებს აწუა მეცა“, „სიყრმიოვან იყო მუღამად სიბრძნის სწავლისა მსახველი...“, „რა ვიხილე, სიბრძნე მეცა“.

მწიგნობარ ქალს მარიამს (ერეკლე I-ის ასულს) სიტყვის კონის ერთ ნუსხაზე თავისი აღტაცება შემდეგი ლექსით გამოთქვამს:

„ეს ლექსიკონი გულსა ვიკონი,
ამის ხილვითა სიბრძნე ვიკონი,

ვინ სიბრძნე უწყის, რათ არ იკონის,
მე რაღას ვცოვნი, ვით არ ვიკონი“.

სხვა ნუსხაზე ასეთი სიტყვებიცაა მიწერილი ერთი ავტორის მიერ:

„საბა ნიადაგ ცრემლის ღვრას
ეწყობა იღუმალაო,
სიბრძნეს ასწავლის ყველასა,
არვის არ დაუმალოა“.

ვახტანგ მეექვსის მდივანს — მელქისედეკ კავკასიძეს (სიტყვის კონის რამდენიმე ცალის გადამწერია) ეკუთვნის ცნობილი სიტყვები:

„სულხან-საბა ორბელის ძე
სიბრძნით აღბდა ორბების ზე“.

ანონიმი პოეტები ასე აფასებენ საბას ღვაწლს:

1. „მოვედ, მსწაველუნო სიბრძნისნო,
მე ამ წიგნისთვის ეხადილობ...“
2. „სიბრძნის წყარო ხარ, მდინარე...“
3. „საბასი ვნახე ნაღვაწი
ნამკვერი შემოკრებული...“

ხშირია ასეთი ეპითეტები და შეფასებანი: „სამარადისო სახარია“, მან უნდა „ასწავოს ენის სისრულე, ვინა მეტყველებდეს მართლსა“, „სიბრძნის წყარო“, „სიბრძნის ტრფიალი...“

აქ უაღვილო არ იქნება, თუ მოვიგონებთ იმასაც, რომ საბას სიტყვის კონა ჩვენი დედების მზითვების საკეთუღადაც იყო მიჩნეული. მაგალითად, ჩვენამდის მოღწეულია მეფეთა ქალების „მზითვის წიგნები“, სადაც „ვეფხისტყაოსანსა“ და „ქართლის ცხოვრებასთან“ ერთად სულხან-საბას ლექსიკონიცაა მოხსენებული. ასე ეამაყებოდნენ ქართველ ქალებს ჩვენი დედაენის საუნჯის ამსახველი ნაწარმოები, თაობიდან თაობას რომ გადაეცემოდა, ვით „ხელბუნელ საგომანები მარგალიტი“.



ასე შეადგინა საბას თანამედროვეობამ ქართული სიტყვიერების გვირგვინი — ქართული ლექსიკონი, დიდება და მშვენიერება ქართული სიტყვიერების მწერლობისა და ქართული მეცნიერებისა...

მომდევნო ხანის ქართულ ლექსიკოგრაფიას ქვაკუთხედად ისევ და ისევ საბას უკვდავი ქმნილება გამოუყენებია. ასე, მაგალითად, პროფესორი ჩუბინაშვილის ცნობილი ლექსიკონები (ყვარდ, ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, რომელმაც რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის პრემია დაიმსახურა) დიდადაა დაჯალბული საბას სიტყვის კონისაგან. დამახასიათებელი ნ. მარის სიტყვები: „...И по количеству слов, и особенно, по качеству объяснений, и по приемам, т. е. по плану и по выполнению, словарь этот (т. е. сабას ლექსიკონი. შ. ძ.) большею частью уснащенный ссылками на лучшие списки св. писания, далеко превосходит грузинско-русско-французский словарь Чубинова, труд XIX века, удстойенный императорскою академиею наук полной Демидовской премии. В последнем словаре большинство ссылок представляет лишь перепечатку из работы грузинского лексикографа XVIII века, точно также переведены толкования Орбелиани, но часто с ошибками“ (Церков. ведомости, 1907, № 6, стр. 198).

აქვე დაეუბრა, რომ აკადემიკოს ბროსეს საპიროდ უცვლია სულხან-საბას სიტყვის კონა ფრანგულად ეთარგმნა. ევროპის მასშტაბით განთქმულმა მეცნიერმა 1833 წელს მთლიანად თარგმნა ეს ნაწარმოები და მიუწერა ფრანგული შესატყვისობანი („ქართულ-ფრანციული ლექსიკონი“).

ჩვენს ხელნაწერთა ფონდებში დაცულია 100-ზე მეტი ნუსხა ორბელიანის ლექსიკონისა. ლექსიკონის ავტორგრაფების, საბას გამგრძელებული ლექსიკოგრაფიული ნაშრომებისა და ლექსიკონის სახეცვლილებათა მეცნიერული შესწავლა ნათელს ხდის იმ ვარაუდებს, რომ სულხან-საბა ორბელიანის სახელთან დაკავშირებულია დიდი ლექსიკოგრაფიული ტრადიცია, რომელიც საბატიო ადგილს იჭერს ქართული კულტურის ისტორიის საერთო სისტემაში.

რაკი ძველი ქართული ლექსიკონები „დაცვაკრავთ ქართველთა“, სხვებით გასაგებია, თუ რა სიმწლე უნდა გადაეღაზა საბა ორბელიანს,

ლიანს, რათა დაედგინა ძველი ქართული სიტყვიერების მნიშვნელობა და, საერთოდ, შეესაბამებინა მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური შედგენილობა.

თუ თვალს მივაღებებთ ქართული ლექსიკოგრაფიის სათავეებს, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ ძველ მწერლებსა და მეცნიერებს კარგად ესმოდათ ქართული სიტყვიერების განმარტების აუცილებლობა. განსაკუთრებით ეს ითქმება იმ სწავლულთა მიმართ, რომლებიც დიდ მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდნენ და ამით ამდიდრებდნენ ქართულ სიტყვიერებას მწერლობას, — ქართულ ენაზე გადმოჰქონდათ უცხოური ენებიდან ლიტერატურული, მეცნიერული თუ ფილოსოფიური ლიტერატურა, და ეს გრანდიოზული საქმიანობა ბუნებრივად იწვევდა ქართულ სიტყვაზე დაკვირვებას, ქართული ტერმინოლოგიის მოწესრიგების სპირობებს. პროფესორმა რობერტ ბლეიქმა გამოაქვეყნა ერთი საინტერესო შენიშვნა, რომელიც მიეწერება ეფრემ მციციხეს. აი რას ამბობს ცნობილი ქართველი მეცნიერი ეფრემ მციციხე: „ბერძენთა ენაა უღსკრულ ღრმა არს და იგივე და ერთი სიტყუა მრავალსა პირსა აღიარებს. და უპირატესად ყოველისა მას აღიარს ზედა მიწვენით გამოყოლეს წმიდაა იოვანე ოქროპირი და განცხადებულად უმუქელ ჰყოფს ვითარებასსა მისისა. ამათ ესე ვითართა ღრმათა ადგილთა, სადაც უქმდა შეცვლებად და სხუებრ ცვალებად სიტყუასსა სამოციქულოსა ქართულსა, რომელი მაშინდა ძლით გულისქმა იყოფებოდა, ოდეს სამნი, გინა ოთხნი თარგმანი პავლისანი და ევოლინივე ლექსიკონნი (ესე არიან ღრმათა წიგნურთა სიტყუათა ანბანსა ზედა განყოფილნი სიტყუანი) ერთად შემოკრიბნი, მაშინდა ძლით მოუბოა ქართული მსგავსებელი სიტყუა“.

აქ ლაპარაკია „ღრმათა წიგნურთა სიტყუათა“ „ქართული შემსგავსებით“ განმარტებებზე და სალექსიკონო მუშაობის აუცილებლობაზე.

იყო ცდები თარგმნათ „ძნელოანთა სიტყუათა“ ლექსიკონებიც. ასეთია კირილ ალექსანდრიელის სიტყვის კონა, შემონახული 1184 წელს გადწერილ ერთ კრებულში. აქ განმარტებულია 92 უცხოური სიტყვა. ამგვარი ლექსიკონები ემსახურებოდა პრაქტიკულ მიზნებს და მათ იყენებდნენ უმთავრესად მთარგმნელობითი მუშაობის პროცესში.

როგორც ჩანს, ამ უცხოურ სიტყვათა ლექსიკონით უხვად სარგებლობდა საბა ორბელიანი.¹

¹ ამ ტრადიციის მთლიანი სურათი მოცემულია ლილი ქუთათელიანის საფუძვლიან მონოგრაფიაში: „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები“, 1957 წ.

¹ ვრცლად ეს საკითხი განხილულია ალ. ლ. ო. ტ. ი. „ნარკვევებში“, 1955.



პირველ ქართული ნაბეჭდი ლექსიკონია ნიკოფორე ირუბაქის ძე ჩოლოყაშვილისა (ირბახის) და იტალიელი სტეფანე პაულინის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომელიც გამოიცა რომში 1629 წელს.

პრაქტიკულმა საჭიროებამ დაბადა, აგრეთვე, ფარსადან გორგიჯანიძის (საბას უფროსი თაბას მოღვაწე) „ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონის“ შექმნა.

ქართულ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანია ვახტანგ მეექვსის ლექსიკონი, რომელსაც დღესაც არ დაუქარავს დირეხულება. ა. შანიძე ამბობს: „...ეს ახსნა-განმარტება სიტყვებისა წარმოადგენს ცდას სპეციალური ლექსიკონის შედგენისას... ბევრი სიტყვა ვახტანგს ჩინებულად აქვს ახსნილი“. ამჟამად ვახტანგისეული ლექსიკონი მეცნიერულად გამოცემულია აკაკი შანიძის მიერ¹.

როგორც არ უნდა იყოს ორბელიანის ლექსიკონის დამოკიდებულება უცხოურ ლექსიკონებთან, ეს კი უუქველია, რომ „სულხანი ბრძანდარის მიხედვით რომელსაჲმ წყაროს, იგი მკვლევარია, მეცნიერული აღლო დიდი აქვს და კრიტიკულად უტყარის წყარობა“ (ა. შანიძე). საბა ამბობს: „რომელიცა ვიცილი, დაუწერე და რომელიცა ძნელი სიტყუანი არა ვიცილი, ღრმათა წიგნებთა შინა ვიძიე და რომელიცე სხუათა ენათა თანა მოეწერე და რომელიცე ვერა ვგოე, საცილობელი არა დაუწერე“. როგორც ა. შანიძე მართებულად აღნიშნავს, „სწორედ საცილობელის უცილობისაგან გარჩევაა, რომ სულხანის ლექსიკონი მეტის-მეტე მეცნიერული სიფრთხილით ნაწარმოებს. ჰირანახულს წარმოადგენს და უარესად სანდო მასალებს შეიცავს“². საბა განაგრძობს: „ამა ენათა რომელიცა სწორედ თქუეს, გინა რომელმან დამაჯერა, იგი დაუწერე, და რომელნი არა ემოწმენ, არცაღა მე დავიწმენო“.

„სიფრთხილს საქმეთაგან უცალო“ საბა ორბელიანი 30 წლის განმავლობაში თავს დისტრიალებდა თავის ნაწარმოებს, ასწორებდა ფრაზეოლოგიას, განმარტებებს თანდათან აზუს-

ტებდა, ავსებდა. აკი თვითონვე ამბობს: „...სიტყობისა ეამაა და სიყრმესა ფრიადმს... დამისს ამა წიგნსა ზედაო“. აქედან გასაგებია, რომ ლექსიკონის ბოლოდროინდელი ხელნაწერები უფრო სრულყოფილია.

თუ რა ტექსტებს იყენებდა საბა, ამის თაობაზე თვითონ მას მოუპოვება მითითება „ანდერანამაჲში“: „რომელიცა წერილთა შინა ენახე, — ამბობს დიდი ლექსიკოგრაფოსი, — გამოვიღე, სამლოთო წერილთა და ლუთის-მეტყუელეთა შინა, რომელიცე ღრმათა ფლასოფოსთა წიგნებთაგან და ლუთის-მეტყუელეთათა კავშირთა პრაკლეს პლატონურთა დიოდოზოსთა, არისტოტელისა და პორფირის კათოლიკათაგან გამოვიღე, ნემსისოს და იონე დამასკელს პლატონურის სიტყვის საქვეცხი აღწერე, რომელიცე არა მათერა ღლარ-წილიად, არამედ მათივე წმიდათა მამათაგან საადვილო ვგოე და საადვილონი აღწერენ, რათა ისწაონ ენა ქართული შესრულებული და განერცლებული ფარნავაჲ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ, ბრძანისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან ქართლისიანთა წარმართი“.

საბას შეუსწავლია სომხური წყაროებიც, როგორც ეს გამოარკვეია ილია აბულაძემ თავის სპეციალურ ნაშრომში³.

გამოანგარიშებულია, რომ საბას 140-ზე მეტი ქართული წყარო გამოუყენებია. მათ შორისაა როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ლიტერატურა, — როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობის ძეგლები. ზოგი წყაროდან საბას 200—300-ზე მეტი სიტყვობრივი მასალა ამოუტყრებია, ზოგიდან — თითო-ორიოლა⁴. იგი ამოწმებს ყოველი ლექსიკონური ერთეულის მნიშვნელობას, კრიტიკულად ცხრილავს მას, უცხოურ სიტყვებს ადარებს შესაბამის უცხოურ ლექსიკონებს და შემდეგ შეაქვს ის „სიტყვის კონაში“.

საბა ორბელიანის ლექსიკონის დიდი ღირსება ისიცაა, რომ ავტორს საჭიროდ უყენია სიტყვათა წარმომავლობის ჩვენება, — მითითება, თუ სიტყვა რომელი ენიდანაა შემოსული. ეს კი უთუოდ საძნელო ამოცანა იყო, განსაკუთრებით იმ დროისათვის, როცა მეცნიერებას დაღვენილი არ ჰქონდა ამა თუ იმ ქართული სიტყვის ეტიმოლოგია. საკმარისია ჩამოვთვალოთ ენები, რომლებთანაც შეხვედრის წერტილები ჰქონდა ჩვენს ენას და საბასაც

¹ ილია აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები: უნივერსიტეტის შრომები, III, 1936.

² ალ. ლლონტი, ნარკვევები, 1955 წ., გვ. 75.

¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული, გამოცემა 1712 წლისა, აღდევნილი აკაკი შანიძის მიერ, 1937 წ. იბ. რედაქტორის „დამატებანი“.

² აკაკი შანიძე, წინასიტყვაობა: სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, 1928, გვ. IV.



შათვე უნდა მიეთითებინა (მაგალითად, ქალღე-
ური, ინდური, ძველი სპარსული, ფალაური,
ასურული, ებრაული, ბერძნული, ლათინური,
არაბული, სპარსული, სომხური, თურქული,
ხაზარული, ფრანგული და სხვ.). საბას მეცნიე-
რული სიფრთხილის მანვენებელია ის, რომ
ზნირად ლექსიკოგრაფოსს ასეთი ფორმულირე-
ბები აქვს მოცემული: „სხვათა ენა“ (მაგალ.
აბანოზი, ბაბრი, მაეი, მასხარა, ქაფი, ჯომარ-
დი...), „სხვათა ენათგან შემოდებულთა“ (მაგალ.
ნაზუქი, ულუფა...), „სხვათა ენა მგონია“
(მაგალ. დასტახანი...), „ქართული არ არის“
(მაგალ. ამაყი, დიბა, საბრი...), „ქართულს არა
ჰგავს“ (მაგალ. გუფთა...), „სონხური მგონია“
(მაგალ. პაპაი...).

საბას ნაწრომის ზოგადი დახასიათება არ
იქნება სრული, თუ არ შევხებით სიტყვის კონა-
ში შემავალ თარგმნითი ლექსიკონის ელემენ-
ტებს.

ლექსიკონში მრავალ სიტყვას ქართული ტრა-
ნსკრიპციით მიწერილი აქვს სომხური, თურ-
ქული და იტალიური შესატყვისობანი. ქარ-
თულ-სომხური ნაწილი შეიცავს 1847 სიტყვას,
ქართულ-თურქული — 1945 სიტყვას, ქარ-
თულ-იტალიური — 1486 სიტყვას¹. ორბელიანს,
უპირველია, გაუთვალისწინებია საჭიროება მცირე
მოცულობის თარგმნითი ლექსიკონების შე-
ქმნისა და პირველი ენა ქართულ-სომხური, ქარ-
თულ-თურქული და ქართულ-იტალიური მცირე
ლექსიკონებისა თავის ქართულ განმარტე-
ბით ლექსიკონშივე მოუცია².

საუბრით სამართლიანად შენიშნავს აკაკი
შანიძე, რომ საბას მიერ უტყობურ ენებზე
თარგმნელ სიტყვებს დამოუკიდებელი მნიშვნე-
ლობა აქვს საენათმეცნიერო მიზნებისათვის.
„ენობილია, რომ თურქული ფონეტიკის ისტო-
რიული სახის გამოსარკვევად არაბული ასოე-
ბით დაწერილი ძეგლები სანდო მასალას ვერ
ძლევიან. ხოლო ქართული ტრანსკრიპციით
ჩაწერილ თურქულ ვაბმულ ტექსტებს ან
ცალკე სიტყვებს გარკვეული ფაქტების დად-
გენა შეუძლიათ. ამიტომ სულხან ორბელიანის
ლექსიკონში შეტანილი თურქული სიტყვები
ფირად მაჩვენებელია და იგი ყურადღების
ღირსია თურქოლოგის მხრივ. იგივე შეიძლება
ითქვას სომხურზედაც... სომხური მოცხალი
ენის ცვლილებანი ყოველთვის როდია სწორად
ილექცილი სომხური ასოებით... ქართულად
ჩაწერილი სომხური სიტყვები კი ერთბაშად
ნათელს ჰფენს ყველაფერს და არაერთარ გა-
ურკვეველობას არა აქვს ადგილი“.

¹ ს. ო. ი. ორბელიანი შეილი, ნარკვევ-
ები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.
1953, გვ. 176.

² იქვე.

მეტად დასუფილია ის გარემოებები, რომელ-
საბას ლექსიკონში არაიშვიათად შეთითქმენ-
ულია ქართულ დიალექტებზე, ქართულ ცოცხალ
მეტყველებზე. მაგალითად: მარა — მაკამ
იმერულად; დაკავებას — უხმობენ გურიელნი
დაკერას; მენასა — ცახნი ტავარსა უწოდენ, და
მისთანანი. არ არის უგულვებელყოფილი მეკ-
რული სიტყვებიც (მაგალ. ოჯიჯი — ბაღ
შეგარულად). გვეს გარეშეა, ქართული ისტო-
რიული დიალექტოლოგიისათვის ამგვარ ცნო-
ბებს ფსინადუღებელი მნიშვნელობა აქვს.

ხალხურ მეტყველებასთან საბას დამოკიდებუ-
ლების შესასწავლად ძალიან საინტერესოა
ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი (ე. წ. D
რედაქცია). ესაა ლექსიკონის სამუშაო ცალი
„პირველი სქემა, ჩონჩხი, რომელსაც წლების
მანძილზე თანდათან ესმებოდა ხორცი“ (ე.
მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის
ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი, „საქ. მუ-
ზეუმის მოამბე“, ტ. XIX — B, 1956). აქედან
ნათლად ჩანს, რომ სულხანი წერილობითი
წყაროებით დამოწმებული სიტყვის მნიშვნელო-
ბის დასაზუსტებლად ხალხურ მასალებს იყენებ-
და. კატაბანი ს განმარტებისათვის ავტორი,
მაგალითად, ამბობს: „კატაბანზე დიდი ცი-
ლება იყო, და წიგნში გარჩევით ვრცლად ვნა-
ხე; მრავალი წიგნია, რომელთა არც სახელი
გასმოდეს. მთიულთ მოურავამ მცოცხ-
ლად მოიხრა: მთის კაცნი ტყუილს
უწოდენო. ამას ვეფხისტყაოსანიც მიჰგავს
„ჩემნი მკვრეტელნი კვირობდენ, მართლ არს,
არ კატაბანი“. მაგრამ ქართლის ცხოვრებაში
სწერია: „კეისარიმან ბაგრატ მფვის კატაბანი
გამოატანა“. ეგება მაღალური გამოატანაო? და-
საჯერებლად არ დამიწერია, თქვენც იძიეთო“
(იქვე, გვ. 21). დიდი ფიქრის შემდეგ მას სარ-
წმუნოდ მიუჩნებია მთის კაცთა ჩვენება, რაც
აღბეჭდილიცაა ლექსიკონის B რედაქციის ავ-
ტოგრაფში: „კატაბანი — ტყუილი, ვნა სატ-
ყური“. დამოწმებულია ვეფხისტყაოსანი. საბა
არ შეცდარა: როგორც მ. შ. მ. მ. ცხადყო, კა-
ტაბანი მართლაც ნიშნავს ტყუილს (მრავლობითი
რიცხვითა არაბული სიტყვისა კატაბა). ამრი-
გად, „ხალხურმა მასალამ დაადასტურა და გაა-
მართლა მწიგნობრული წყარო“ (ალ. ბ. ა. ბ.
მ. ი. ძე, სულხან-საბა ორბელიანი, 1959, გვ.
168). ასევე საინტერესოა ს. მ. ცხენა და გურიამში
დაცული მნიშვნელობის მოხმობა გ. რ. ი. ს. ვა-
სამარტავად. ეს მაგალითიც მკვერმეტყველურად
მოწმობს ამ გარემოებას, რომ საბა ორბელიანი
ხალხურ მეტყველებას მიმართავდა, რათა ლიტე-
რატურაში ენობილი სიტყვის მნიშვნელობა და-
ეზუსტებინა.

სულხან-საბა რომ უხვად დაესხებია ქარ-
თულ დიალექტურ სინამდვილეს, ეს კარგად
ჩანს შემდეგი გარემოებიდანაც.



სიტყვის კონაში მრავლად გვხვდება სიტყვები, რომლებიც არ არის წერილობითი წყაროებით დამოწმებული. ამავე დროს, ბევრი მათგანი არ იცის არც ძველში და არც ახალში სალიტერატურო ქართულში. როგორც ირკვევა, ისინი შემონახულია დღევანდელ ქართულ დიალექტებში, სვანურსა და ზანურში (მეგრულ-ქანურში). მაგალითად, საბას ლექსიკონში შეტანილი დედალუბი ამჟამად ცოცხალია ქვემო-იმერულში დედალობა-ს სახით, ლეჩხუმურში დედალობო-ს სახით (თრითინას ეწოდება), მეგრულში დედალობუ-ს სახით. ასევე: სეგორი, საბას მიხედვით, სიმდაბლეა, რაჭულ-ლეჩხუმურში სოგორი დაბალ სერს ნიშნავს; ლეჩხუმური ყუმბარა იგივეა, რაც საბასეული ყვიბარო: „ლომის კუფხალი“¹. (ჩაწერილი მაქვს შთარაჭაშიც 1930 წელს ყვიბარა-ს სახით; გვხვდება ერთ სახუმარო ლექსში. იხ. ჩემი წიგნი „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“, 1954, გვ. 216); საბასთან აღუხსნელია ზიზინი: შდრ. მეგრული ზირზირი. სვანური ლიზიზინი, იმერულ-რაჭულ-ლეჩხუმური ზიზინი (მოთქმა-გოდება ან უკმაყოფილო ხმა-გუგუნე ხალხისა); ყერო არის „სხვილი ძელი, აღმა დასობით მოვლებული“. ამბობს საბა, ყერო

დაცულია ყორეს მნიშვნელობით მთარაჭაშიც იხ. ჩემი „ძიებანი“, გვ. 216; კანტი-შრომით და მკლუ“: შდრ. კანტი რაჭულ-ლეჩხუმურში, ნიშნავს: გამხდარ აღამიანს. ასევე პარალელური ეძებნება ქართულ ცოცხალ მეტყველებაში სიტყვებს: შრამელი, შალაფი, მოცოროზი, ხუნ-ხუჩი (ეს უკანასკნელი გვხვდება ლეჩხუმურში. სვანურში კი ამ სახით: ლიხვიჩვიჩი), და სხვ.² უგო — უკაროდ მეწველი (ცხვარი...). ეს სიტყვა კი ამჟამად დასტურდება გუდამაყრულ-მთიულურში, ფშაურში³; ბატკი — ჩვილი თიკანი. მეგრულში 1 წლის ნეზვი თხაა⁴; ჩუმა — უმი ერბო. გვხვდება დღეს ფშავში⁴, და სხვა.

ასეთია ზოგადი ცნობები სულხან-საბა ორბელიანის უკვდავი ქართული ლექსიკონის შესახებ.

„ფრიალი შრომითა და რუღუნებით“ შესრულებული ეს დიდებული ნაწარმოები ჩვენი კულტურის სავანებში შედის, როგორც უწყუარი მანიშნებელი ქართული ლექსიკოგრაფიული ლიტერატურის სახელოვანი ტრადიციებისა.

¹ მიხეილ ალავეძე, უცნობი დიალექტური სიტყვები საბას ლექსიკონში: გაზ. „სტალინელი“ (ქუთაისი), № 119, 1958; მისივე, უცნობი დიალექტიზმები საბას ლექსიკონში: კრებულის „რიონი“, № 2, 1959, ქუთაისი.

¹ იქვე.
² ა. ნ. ჩიქობავა, საბას „სიტყვის კონა“, როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებულის, 1959, გვ. 266).
³ იქვე.
⁴ იქვე.



ნიკოლოზ კანდიაკი

სულხან-საბა ორბელიანი რომორც
მემკვიდრეობა

დიდი მწერლისა და მეცნიერის სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ამშვენებს მდიდარი ორატორული შემოქმედება. ის უმთავრესად წარმოდგენილია დიპლომატიური და სამქალაქებლო მკვერმეტყველების ძეგლების სახით. მათ შორის დიპლომატიური შინაარსის ორატორული ხელოვნება ორიოდ წინამორბედაა ჩვენთვის ცნობილი. რაც შეეხება სამქალაქებლო მკვერმეტყველებას, ის ჩვენამდე მოღწეულია 46 „სწავლა-მოდურებით“, რომლებიც გავრთიანებულია ხელნაწერ კრებულში და დაცულია ლიტერატურულ მუზეუმში.

მძიმე ისტორიულ პირობებში, როცა ჩვენი ფეოდალური სამეფოები ფაქტიურად ირანელთა სამფლობელოებს წარმოადგენდა, ქართლის გამგებლის ვახტანგ მეექვსის დავალებით სულხან-საბა იმოგზაურა იტალიასა და საფრანგეთში. ევროპაში მან დაპყრო სამი წელი (1713 — 1716), ის რამდენჯერმე წარსდგა რომის პაპის კლემენტი მეოთხეტისა და საფრანგეთის მეფის ლუი მეოთხეტის წინაშე და მათი შემწეობით სცადა სამშობლოს აწეწილი ვითარების გამოსწორება. ეს შეხვედრები, ცხადია, დიდი ტაქტიკითა და მოზომილი სიტყვიერი ურთიერთობით უნდა ჩატარებულიყო, რაც ვახტანგის მიერ, უნდა ვიფიქროთ, წინასწარ იქნებოდა გათვალისწინებული. ამით აიხსნება მისი არჩევანიც: უღაგოა, აქ სულხანის ორატორულმა გაწაფულობამ თიამაშა გადამწყვეტი როლი. ყოველივე ამას ნათლად გვიჩვენებს სულხანის მიერ საფრანგეთის მეფის წინაშე წარმოთქმული შეხანიშნავე მისასაღმებელი სიტყვა, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი მკვერი ფორმითა და დარბაისლური კილოთი.

აი, ეს სიტყვა:

„პატივი გვაქვს მოვართვათ თქვენს ხელმწიფებას წერილი, რომელიც ჩვენმა წმიდა პაპმა

კეთილ ინება და გამოგზავნა საქართველოს მეფის ვახტანგის სასარგებლოდ. მათი უწმიდესობა ამითი ჩვენ ძვირფას შემთხვევას გვაძლევს, რათა მეორეგზის წარსდგეთ თქვენის მეფობის ტახტის წინაშე, რაის ნებაც კეთილ ინებეთ და გვაბოძეთ. ამ თქვენის მოწყალების განმეორება საქამაო ჩვენს დასავალბლად, რათა მარადის გამოუთქმელის სიამოვნებით მოვიგონოთ ეს ჩვენი მგზავრობა, კიდევ რომ ღვთის ნებით სხვა აღარც ერთი სასარგებლო ნაყოფი მოჰყვეს.

რა დიდი ბედნიერებაა აწ ჩვენთვის, განვაცხადოთ, რომ ღირსი ვახტანგი დავსწრებოდით და გვეხილა ყოველივე ის, რაც სხვებს შორიდან აკვირებებს და აოცებს, ვინაიდან ჩვენის თვლით ვიხილეთ თქვენს უაგვსტოეს ხელმწიფებაში არა მარტო სოლომონის სიბრძნე და დიდება, არამედ დავითის სარწმუნოება და სასოებაც.

დიდებულო მეფეო, სწორედ ამ სასოებით არის, რომ თქვენი ხელმწიფება შეიქმნა მეფეთა შემწე და სარწმუნოების მფარველი თვით იმ დაშორებულ ადგილებშია, როგორც არის ჩვენი ქვეყანა“.

საბა ორბელიანის „სწავლანი და მოძღურებანი“ დამრიგებლობითი ხასიათისაა. აქა-იქ ისინი წარმოადგენენ მიზლიური ტექსტების ახსნასა და განმარტებას. აქ ორატორი უმთავრესად მიზნად ისახავს არა ამ ტექსტების თავისთავად შეცნობას, არამედ მათი მეშვეობით ქრისტიანული მორალის განმტკიცებას. ამის გამო ის დგას რელიგიური დოგმატიკისა და მისტიკური რწმენის საფუძველზე და ხმამაღლა ლაღადებს კლერიკალური ზნეობის ნორმებს. მქალაქებლის სიტყვიდან იგრძნობა, რომ ეს ნორმები დიდად შეღაბულია ფართო საზოგადოებრივ წრეებში. აქ აშკარად შერყეულია რელიგიური დოგმები — ისინი დაცვისა და გამოსარჩლებას საჭიროებენ.



სულხან ორბელიანის მრავალმხრივი შემოქმედება, რაც ღრმა ენციკლოპედიურ ცოდნას ემყარებოდა, როგორც ჩანს, ინტელიცენტი ითავსებდა „სიბრძნე-სიკრთის“ იდეურ შინაარსთან შეუთავსებელ სქოლასტიკურ მსოფლმხედველობას, როგორც ეპოქის ნიშანდობლივ მხარეს და სოციალური ვარგისი იდეოლოგიურ შემადგენელს. ეს იყო ერთგვარი ხაკი, რომელიც გამოხეილმა მეცნიერმა ვამთა სიავის მოძალებით გადაუხადა თავის ეპოქას. ასეთი ძილებით შესრულებული საქმე არსებითად ნაკლოვანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აქ სულხანს ხელი შეუწყო იმ უტილიტარულ და ნიშნულეობამ, რითაც გამსჭვალულია ეს, ერთი შეხედვით, წმინდა მისტიკური მოძღვრება.

„სწავლანი და მოძღვრებანი“ შეფარვითა და ალგორითულად ასახავდა გიორგი მეთერთმეტისა და ერეკლე პირველს შორის წარმოებულ ბრძოლას ქართლის ტახტისათვის, ამხელდა ფეოდალების კიდევანურ განწყობილებას და ხატავდა ქვეყნის მეთაურთა პატივმოყვარეობით, ანგარებითა და გულგრილობით გამოწვეულ საფრთხეს. ორატორის სიტყვიდან ისმის ხალხის დრტივნება, ჩანს ქვეყნის აშლილობა და იგრძნობა საერთო შეშფოთება.

შუღლით, მტრობითა და გაუტანლობით დაშლილი ქვეყნის ბატონ-პატრონებს ბევრ საგულისხმო და დამაფიქრებელ სურათს უხატავდა მქადაგებელი. მაგალითად: „ნოემ ოდეს კილობისი ალაშენა განსანარებულად რღვენათასა, მზავსათ ეკლესიათასა ქმნა იგი. და მას შინა შერბებოდა ყოველივე ძეგრისი უგულსსმონი; არავინ ასწავლიდა, არავინ მოუწოდა, არცავინ ამცნებდა, არამედ თავით თვისით პირუტყვისი მობიოდენ, ფრინველნი მოფრინებდენ და მსრობნი მოძვრებოდენ. და აღვისო კილობანი იგი უცხოთა მით კრებულთა. არა ემტერებოდა ფასკუნჯი ვეშაპსა, არცა რქენდა მარტორქა პილოსა, არა ებრძოდა ლომი ხარსა, არცა წარტაცებდა მგელი ცხოვარსა, არა სჭამდა არჩივი ფარშავანგას, არცა ზღვენიდა ქორი კაკბასა“.

ხალხის მოღალატე, ორგულ და ანგარებით საესე მედროეებს ასე მიუთითებდა ორატორი: „იხილეთ იუდა— მტერი ყოვლისა ქემზარბიტებისა: მოძღვარი ასწავლიდა სიმდაბლესა, იგი სწავლობდა ამპარტყნებსასა; მოძღვარი ამცნებდა სიყვარულსა ყოველთასა, ხოლო იგი დამიარხებდა სიძულელსა დიდსა; ქრისტე მისცემდა მადლსა განსხმად ეშმაკთა, ხოლო იუდა შიიწვედა მოყვასა“.

სულხან ორბელიანის ფართო სამოძღვრო დაბაზონი მოიცავდა ადამიანთა ბევრი მანკიერი წეს-ჩვეულებების, ვნებისა და ვატაეების

შეუბრალებელ გაიციხვას. მისი მკაცრი მოხელის ფარგლებში ექცეოდა ცხოვრების სარბიელი დაწყებული ყოველდღიური ყოფიდან, დამთავრებული ადამიანის ფსიქოლოგიური სამყაროთი. მისთვის თანაბრად მიუღებელია ზერელე ტყვეის ნიშნები: „უწესური ჭამა, უნებური სმა, შეუგვიანი წარსაგებელი, ამაო საუბარი, უშევარი სიცილი, ურცხვიონ ალგრი, ბილწი სიმღერა, ბორბიტი როცა“ და ღრმა მანკიერების მხარეები: „ურჩება, ამპარტყნება, სილაღე, ზვაობა, სიძულვილი, ძვირის-ზრახვა, ვუღბოროტება, თვით-სჯულდება, თავდაჯერებულობა, შერი, ლაღა, ბრძოლა, ცუნდრუკება“.

საბა ორბელიანის უმოთაგრეს ორატორულ ხერხს კონტრასტული ნიშნების მონაცვლეობა წარმოადგენს. აქ ერთიმეორეს ენაცვლებიან მუქი და ნათელი ფერები, მაღალი და დაბალი ტონები, ძლიერი და სუსტი ხმები. ზშირად ორატორი ხატავს მძიმე ვითარებებს, ბნელი საღებავებით ავლებს წარუშლელ კვასს, იქვე მსუბუქ, უზრუნველ განწყობას გვისურათებს, ხან ზიზღით და სიძულვილით გვაღვლებს, ხან სიამით, სათნოებით გვაშვილებს, ზოგჯერ მკაცრად მძინვარებს, იმუქრება. მბრძანებლობს, ხან-ჯი თხოვნით, მუდართო მოგემართავს, ბევრგან წყველით, შეჩვენებით რისხავს უნასაყოფს, დროდადრო კი ლოცვისა და ვედრების ხმით გამოთქამას თავის სათქმელს.

ორბელიანი მტკიცე რწმენით მეტყველებს, მისგან შორსაა ეჭვი და ორწოფობა. უიოდურეს ფანტასტიკურ მონაგონს ის გვისახავს უაღრესად ცოცხალი და მეტყველი ფერებით, ხელშესახებ და კონკრეტულ სახეებს იყენებს განყენებული აზრების გადმოსაცემად და სინამდვილის ხალული ელემენტებით ქმნის წარმოსახული ხატების რეალური განცდის შთაბეჭდილებას.

შედარებით ერთფეროვანია სულხანის „სწავლათა“ კომპოზიცია. მათი ნაწილების რიგი ერთ შეუცვლელ ქარვას ემყარება. თითქმის ყოველი მოძღვრება ციტატით იწყება. ამ გზით ხდება ქადაგების ძირითადი საკითხის დაყენება. სიტყვის შესავალში ასახელებს ორატორი დამოძღვრების თემას: მას პირდაპირ შეიცავს ან გადატანითი აზრით გამოხატავს დასაწყისის ციტატა. ორივე შემთხვევაში ციტატური შესავლით ნათელი ეფინება ქადაგებისათვის შერჩეულ უმოთაგრეს საკითხს და ამით მზადდება ნიადაგი მისი შემდგომი ვაშლაგადაწყვეტილისთვის.

საკითხის დასმას მოსდევს თხრობის გაღრმავება. ორატორი აფართოებს მეტყველების თემატიკურ არეს, იშველიებს მოსაზრებებს და მახლობელ საკითხებს, მიმართავს მაგალითებს, ასახელებს დოგმებს, აყალიბებს ღებულებებს

და ნეგატიური სახვის ფონზე წინ წამოსწევს მოვლენების პოზიტიურ მხარეებს. ამ რთული ურთიერთმიმართების პროცესში აღძრული და გაშუქებული მოტივები თანდათანობით შორდებიან ქადაგების ძირითად საკითხს, რაც სიტყვის დასასრულისათვის ისევე პირველად განმხოლოებით, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი სახით ჩნდება მსმენელის წინაშე. აქ შეუფარავად იჩენს თავს მქადაგებლის იდეური ტენდენცია, რაც გზადაგზა ნათელმყოფელი მაგალითებით, უხვი ციტატებითა და მოხდენილი სენტენციებით შედარდება და ბოლოს სწავლების დედამზარად იქცევა.

ქადაგების უკანასკნელ ნაწილში ორატორი უშუალოდ მიმართავს მსმენელს, უხმოზს მის გულისყურს, იწვევს ინტერესს და, დასასრულ, ვრცელი მორალური დარიგებით ამთავრებს მეტყველებას. ეს ზნეობრივი დამრიგებლობა, რაც მთელი სიტყვის გასწვრივ მზადდებოდა, ქადაგების ლოგიკური დასკვნა და ბუნებრივი დასასრულია.

ასეთი კომპოზიციით არის აგებული სულხან ორბელიანის თითქმის ყველა სამქადაგებლო ძეგლი.

ქართული მხატვრული პროზის ეს დიდი ოსტატა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ზეპირ სიტყვას. ამას მოწმობს მისი მთელი ორატორული შემოქმედება და კერძოდ ერთი ქადაგება „სწავლა თავის პოენისათვის ნათლის მცემელისა“, რომელშიც ცოცხალი სიტყვით დალაღება მიჩნეულია ყოვლისშემძლე აქნაქვეამა: „ხმა დალაღებისა იგი არს, რომელმანც განხსნა ბერწობა დედისა და სიბერე მამისა განაჯაბუღა, უშვილობა დედისა შვილიერ ყო და უტყვება მამისა — მეტყველ“.

აქვე რიტორიული განმეორების სახით ბერჯერ ნახსენებია „ხმა დალაღებისა“ და ნახეინებია მისი იშვიათი ძალა საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე. სახელოვანი ორატორის ამ თეორიულ წინამძღვრებს პრაქტიკულად შესრულებული სახით გვიჩვენებს მისივე სამქადაგებლო შემეფიქრებობა. სიტყვა-კაზმული სახვის ხელოვნება, რასაც ბრწყინვალედ ფლობს ს. ორბელიანი, მთელი სისრულით იჩენს თავს მჭევრმეტყველების სფეროში და ბერის საზოგადოთო ქადაგებით აღინიშნება. თავიანთი ღრმა შინაარსით, კაზმული ფორმითა და ექსპრესიული ძალით განსაკუთრებით საყურადღებოა სულხან ორბელიანის შემდეგი ქადაგებანი: „სწავლა უდროოდ და ურგებად სინანულისათვის“, „სწავლა სიყვარულისათვის“, „სწავლა სტუმართ-მოყვარებისათვის“, „სწავლა ქრისტეს ენებისათვის და გლობისთვის

სულხან-საბა ორბელიანი და სისწავლისაგან დაეცემისა“.

შთაგონებული მქადაგებელი ბევრგან წარუშლელ სურათებს ქმნის და უდრესად ხატოვანი ფორმით გადმოყვავებს თავის სათქმელს. მაგალითად: „ეთიარცა ზღვათა მუედროსა შინა კეთილმავალსა ნავსა ეკვეთნეს ქარნი სასტიკნი და შეახეთქნეს კლდესა და დაინთქეს შემუსრვილი, ეგრეთვე სული მუედრო რა იყოს გონებასა შინა თვისსა, ოღეს ეცეს ქარნი უთმინოებისა, იგი დაინთქის სიღრმესა ქვესკენლისასა“.

„არცა დაადგრების პაერი მარადის ზამთრის მყინვარებასა ზედა, მოიზიდვენ მზისა შარავანდელთა სიტფოსა და დაიწყებენ დნობად თოვლთა, რცხად მყიათა ნაზამთრთა. შენცა ვანავდე სიზამთრე და ყინვისა მიერი უნაყოფოებისა მსგავსი ცოდვა შენი, რომელი არა უტევებს ნაყოფსა გამოღებად თავსა შენსა, და მოიზიდე მადლი მზისა მის სიმართლისა ქრისტესსა, და ადინე ცერმლნი თვალთა შენთა, მსგავსად თოვლისა ლანქერისა, და განბანე გვაში შენი და იყოფოდე განბანილი, ვითარცა იტყვის ესაია: „განიბანენით, განიწმიდენით და მოისპეთ უკეთურება“.

ან კიდევ:

„სიმდაბლე მსგავს არს ვახსა დახრილსა და აღსავსესა ნაყოფითა კეთილითა; სიმდაბლე მსგავს არს ყურქმენსა დაწუნხილსა და ღვინოსა ნაწყაროებისა; სიმდაბლე მსგავს არს სანთელსა სახლთა მანათობელსა და მომკლებელსა არსებისა თვისისასა; სიმდაბლე მსგავს არს კაცისა მიწასა საღმრთოდ განმზადებულსა“.

ორატორი ოსტატურად იყენებს განმეორების რიტორიულ ხერხს. ხშირად ვრცლად გაშლილი თხრობის მანძილზე მრავალჯერ ნახსენები სიტყვა რელიეფურად გამოყოფს უმთავრეს სათქმელს და ამით ძირითადი აზრის მეკეთილად გამოთქმას ემსახურება. აქ ფრანსის მოცულობის სხვადასხვაობით თავიდან აცილებულია მოპარბებელი განმეორებით მოსალოდნელი მონოტონობა და მიღწეულია მინიშნებული აზრის თვალსაჩინო ხაზგასმა. ამ გზით ორატორი ოსტატურად ახერხებს გამოთქმებთან წყვილიდან ამა თუ იმ სათქმელის გამორჩევას და მისაღმი მსმენელის ყურადღების მიპყრობას. ასე, მაგალითად: „სიკვილით ვითარცა არარა არს და განმეორებული ჩვენი არს; სიკვილისა არსება უჩინო არს და ხილულისა ჩვენი არსება არსება უჩინო არს; სიკვილი უხორცო არს და ხორცთა ჩვენთა დამადნობელი არს; სიკვილი უსული არს და სულთა ჩვენთა წარმტაცებელი არს; სიკვილი საძრღვენი არა ასხენ და ნაწევართა ჩვენთა დამსხნელი არს; სიკვილი საძვლნი არა აქეს და ძვალთა ჩვე-

ნთა განამაშველებელი არს; სიკვდილი უხმო და უსიტყვო არს და სიტყვათა ჩვენთა დამადუმებელი არს; სიკვდილი უცნობო არს და ცნობათა და გონებათა ჩვენთა მიმღებელი არს“.

ხანდახან ორატორი იმავე განმეორების ხერხს რამდენიმე აზრობრივი ნიუანსის ხაზგასმას აკისრებს; მაგალითად, საერთოდ ლოცვისა და კერძოდ ღუმლით ლოცვის მნიშვნელობას ასეთი ხაზით გადმოგვცემს: „ღუმლით ლოცვითა მოსე უფლისაგან მღაღადებლად იწოდა; ღუმლით ლოცვითა ანნა წინასწარმეტყველი შვილიერ იქმნა; ლოცვითა მღუმრადითა რაობდა, სოფელი ესე; ღუმლისა ლოცვითა მოგვეცემის სცმდირე; ღუმლის ლოცვა მხურვალე აღვიზრდის შვილთა; მღუმრადი ლოცვა მოგვემსთცვართა წვიმათათა და ნაყოფთა ქვეყანისათა; ღუმლით ლოცვა მხურვალე მოგაშორებს შტრათა უხილავთა“.

სულხან ორბელიანი მოვლენებს ხატავს მოქმედებაში. ამით დიდ თვალსაჩინოებას ანიჭებს საკუთარ აზრებს. ამ მიზნით იყენებს ის, მაგალითად, მხატვრულ კიბერბოლას. ზოგჯერ ორატორი კიბერბოლური გამონათქვამების მთელ წყებას ქმნის, რათა უფრო დამაჯერებლად წარმოადგინოს სათქმელის შინაარსი. ასეთი სხვის ნიმუშს წარმოადგენს „სწავლა საუკუნესა ზედა შიშისა“, რომელშიც ნათქვამია: „უკეთუ ქვეყანა ვიდრე ცადმდე ღომითა აღსაყუ იყოს და ათიათასთა წელიწადთა შინა სირი ერთგზის ერთსა მარცვალსა შესქამდეს, აღრიცხეს; რაოდენგზის ათიათასი წელი გამოზბდეს მის ღომისა შექმამდე? იგი ღომიცა აღილევის, ხოლო ჯოჯოხეთისა სატანჯველი არაოდეს დაილევის“.

გესმის ვიეთა: ყოველნი ზღვანი რომ განხმულ იყოს და არცა წვეთი წყალი დგეს, მოვიდეს კაცი ვინმე, დადგეს კიდურსა მას ნაზღვეფასა, ათიათასთა წელიწადთა შინათვითითა ცრემლთა შთამოგადებდეს ზღვისა მის აღესებადმდე რაოდენი ბევრნი წელი გამოზდენ? იგი ზღვისა ადგილი ცრემლითა აღიესების და თუშეა ჯოჯოხეთისა შინა შეხველ, გამოსლვა აღარ იქმნების“.

მეტად მოხერხებულად იყენებს ორატორი ეპითეტებს, შეითხვებს, მიმართებასა და შორისღებულებს, რომლებსაც აზრის ექსპრესიულად, მკეთრად და გამომეტყველად გამოხატავს აკისრებს. ასეთი გამოხატვის ბევრი შესანიშნავი მაგალითია სულხან ორბელიანის ზეპირმეტყველებაში. ეს მეთყველება ხშირად უჩვეულო სიმალემდე აღწევს და სრულქმნილი

ხელოვნების სახით გვევლინება. ასეთ შემთხვევაში ზეპირმეტყველებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად სულხანის „სწავლა ქრისტეს ენებისათვის და გლოსათვის სულისა“, რომელშიც ჩართულია ზეპირი მეთყველების ნამდვილი შედეგები — დედის მიერ ქრისტეს დატრეგება — ეს მსოფლიო სამგლოვიარო მჭერმეტყველების დამამშვენებელი მოთქმა. ორატორის ცოცხალი ენაშბეობა აქ ასე ამაღლებულად ყურეს: „ჰოი, ძეო ჩემო საყვარელო, ვითარ გხედავ შენ? შვილო, შვილო, რა-მე ვყო? ნათულო თვალთა დედისათაო, დამბრბოო თვალთა ნათულო გვირგვინნა ეკლისამან, რომელი გწერტს თავსა შესსა! .. ვი არს ჩემდა, ძეო ჩემო, სმენით და ხილვით გხედავ შენ ჯვარსა დამოკიდებულსა და ვერარასა გარგება, გელმის, შვილო, ხელნი და ფერხნი და აო ძალძის კერება; საყვ ხარ ტყეოდ ავაზაკთა შორის მოკიდებულსა და ვერა გარდამოგზნის, გხედავ გვერდგანებულსა და წამალსა ვერა დაგდებ, გხედავ მწყურვალსა და არა მაქვს წყალი, რათამცა გასეა, ხოლო უსჯულონი გასმევენ ნაღველსა და ძმარსა აღრეულსა. ვი საწყალობელსა დედსა!“.

სულხანსაბა ორბელიანის სამქადაგებლო შემოქმედება ქართული კლასიკური პოპულეტის ძვირფასი საფუძველი. ის ქრისტიანული სამოძღვრო მჭერმეტყველების დიდი და საუცხოო შენაძენია. ეს მდიდარი და ოსტატური ორატორული ხელოვნება ორგანული კავშირში მოგვიანო ანტიკურ ბერძნულ მქადაგებლობასთან. უშუალოდ გამომდინარეობს საშუალო საუკუნეების ქართული სასულიერო მჭერმეტყველებებისა და ამ უკანასკნელის ახალი, უაღრესად მდიდარი საფუძვლი. ორბელიანი დიდი ქართველი მქადაგებლის იოანე ბონელიის ღირსეული მემკვიდრეა. ის წარმატებით აგრძელებს სახელოვანი მასწავლებლის გზას და თავისი ორიგინალური შემოქმედებით ამდიდრებს ჩვენს ეროვნულ კულტურას. ამ კულტურის ერთი ნაწილი სამქადაგებლო ხელოვნებაა, რომლის დიდი აღორძინება მე-17-18 საუკუნეებში დაყვარებულია გამოჩენილი საეკლესიო ორატორების ნიკოლოზ რუსთველის, იოანე პეტრეოელის, ანტონ კათალიკოსის, სებასტიაწილელის, ამბროსი ნეკრესელის, ანტონ წიწინდიდელისა და სხვათა სახელებთან. მათ შორის სულხანსაბა ორბელიანი გამოირჩევა თავისი ცხოვრად აქტუალური, მხატვრულად სრულყოფილი და ეპოქის სულით გაყვნილი ორატორული შემოქმედებით.



შალვა გოზალიშვილი

კოსტა ხეთაგუროვი და ქართული საზოგადოებრიობა

ქართველი და ოსი ხალხის ისტორიული და კულტურული ურთიერთობა შორეული წარსულიდანეცა ცნობილი. ორივე ხალხის ახლო მეზობლური, ძმური მეგობრობა ყოველთვის საწინდარი იყო განვითარების ხანგრძლივი პროცესისა, რომელსაც მათი საერთო წინსვლისათვის ვადამწვევები მნიშვნელობა ჰქონდა.

ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობა განსაკუთრებით გაღრმავდა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის სახელოვანი თაობა დიდი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

ამ თაობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი, რომელიც უაღრესად სასარგებლო მუშაობას ეწეოდა აღორძინების გზაზე შემდგარ ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ასპარეზზე. მიხეილ ყიფიანი — იყო ერთი უკეთესთაგანი შვილი საქართველოს, ერთი უკეთესთაგანი მშრომელი და ყველგან უყვარდათ ეს სიკეთის და სინათლის მთესველი, ყველგან პატივისცემით იხსენიებდნენ იმის სახელსა.¹

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მიხ. ყიფიანი, როგორც მოწინავე პროგრესული პიროვნება, სახელმწიფო სამსახურებრივ საქმიანობასთან ერთად, განსაკუთრებული ნაყოფიერებით იღწეოდა მშობლიური ხალხის ლიტერატურის, სწავლა-განათლების მატერიალური და კულტურული აღორძინებისათვის. მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების დაარსებისა და მის შემდგომ საქმიანობაში. იგი იყო ქართული დრამატული საზოგადოების (1880 წლიდან) დამფუძნებელთაგანი და მისი პირველი გამგეობის წევრი.

მას ეკუთვნის ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“ (1863 წ.)—საბირდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები სათაურით—„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, ეწეოდა ლიტერატურულ-მთარგმნელობით მუშაობას. მან თარგმნა მ. ლერმონტოვის „ჩვენი გმირი“ („საქ. მოამბე“, 1863, № 10, № 11, № 12); უ. შექსპირის „იულიუს ცეზარი“ („ციცკარი“ 1867, №№ 1, 2); თარგმნიდა და ადგენდა სახალხო სკოლებისათვის სახელმძღვანელოებს, აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებს, მთიან სოფლებში აარსებდა სკოლებს და სხვ. აი ამ ჩემ და უანგარო, ნათელ პიროვნებას გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოკიდებული სიკვდილამდე ბედმა არგუნა მოღვაწეობა სამშობლოს გარეთ ჩრდილოეთ კავკასიის მოქმე მთიელ ხალხთა შორის. მთელი ამ წლების მანძილზე, თბილისის მოწინავე საზოგადოებასთან მკიდრო საქმიანი ურთიერთობით, იგი უაღრესად სასარგებლო მუშაობას ეწეოდა ცარიზმის მარწუხებში მოქცეული კავკასიელი ხალხების სასარგებლოდ.

ჩრდილოეთ კავკასიაში და კერძოდ კავკავში (ახლანდელი ქ. ორჯონიძე), სადაც მიხეილ ყიფიანს მოუხდა. ცხოვრება და მოღვაწეობა, იმ დროს ბევრი ქართველი ცხოვრობდა. ცნობილია საზოგადო მოღვაწემ პეტრე უმიკაშვილმა, 1881 წელს კავკავში ყოფნის დროს, პირველად გამოთქვა სურვილი იქ ქართული სკოლის დაარსების შესახებ. 1883 წლის 10 ნოემბერს მიხ. ყიფიანის თაოსნობით ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ ვახსნა კავკავში ქართული სკოლა. აქვე არსებობდა ბანი, ჭრაკერგის სკოლა და კლუბი, სადაც თავს იყრიდა მოწინავე ნაწილი, ქართული საზოგადოებისა მიხ. ყიფიანი, ლუარსაბ ბოცვაძე, ტიტე კახიძე, პართენ გოთუა, იასონ ლორთქიფანიძე, ნიკოკურდელაშვილი (ნარკანი) და სხვებო.

¹ „კვალი“, 1893, № 15, გვ. 15.



პატარა ქართული სკოლა გიზარდა დიდ ეროვნულ კულტურულ დაწესებულებად. მის გარშემო თავმოყრილ ქართულ საზოგადოებასთან კოსტა ხეთაგურის ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, სადაც თავის პირად ქართულ მეგობრებთან ერთად, ხშირად დებულობდა მონაწილეობას მოსწავლეათვის გამართულ ლიტერატურულ დილა-საღამოებსა და წარმოდგენებში და კითხულობდა ლექსებს.

მიხ. ყიფიანი კავკაზში სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდა, იგი იყო თერგის ოლქის საადგილ-მამულა გამმჯავნელი სამმართველოს უფროსი. სამსახურებრივი მოვალეობის გამო მიხ. ყიფიანი ხშირად მოგზაურობდა თერგის ოლქში, ღრმად შეისწავლა კავკასიის უმიწაწვლო მთიელი ხალხის — მათ შორის ოსების გაპირებული ცხოვრება, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა უმიწაწვლოდ დარჩენილ ადგილ-მამულების საქმის მოგვარებაში და ცდილობდა მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჩრდილო კავკასიის მთიელი ხალხის ცხოვრების ღრმა ცოდნის შედეგად მიხ. ყიფიანმა რუსულად დაწერა წიგნი — «უახზეგიდან იალბუხამდე»¹, რომელიც 1884 წელს კავკაზში დაბეჭდა.

ამ წიგნში, მგზავრის შენიშვნების სახით თერგის ოლქის მთიანი ზოლის შესახებ, მიხ. ყიფიანი ნათლად წარმოგიდგინს ხალხის მიწის ნაკლებობას, აუწყებდა ჯაფასა და ღუბჭირ ცხოვრებას. იგი წერდა: «...მთიელნი ფრიად ეიწროდ ცხოვრობენ. მიწის ეკონომიის მიზნით მათი შენობები აგებულია ხენა-თესვისათვის უაღრესად უვარგის ადგილებზე. რაკი შენობები ხენა-თესვისათვის გამოსაყენებელი მიწის დაჭერას გაურბიან, მთიელნი ძალაუნებურად ამქიდრობენ ამ შენობებს მეტად პატარ-პატარა ფართობებზე; ...სად შემძლიან აფწერო ის, რაც აქ გაუკეთებია ისეთ უბრალო ადამიანს, როგორც მთიელია — ოსი ან თელი. ეს დამიანები საუკურობები ებრძოდნენ ბუნებას: წერაქვით, რკინის ნიჩბით, თხრიდნენ ქვაკაციან ფენებს, აცილიდნენ მიწას ქვასა და ღორს, პყრიდნენ ყოველგვარ უსარგებლო ნარგავს, რათა შეექმნათ ხენა-თესვისათვის გამოსადგვი ნიადაგი. საკუთარი თვალთ უნდა ნახო ჩვენი მთიელური მეტერეობანი, რათა წარმოიდგინოთ, თუ რა უდიდესი შრომა გაუწევიათ მთიელთ თავიანთ თავის ლუკმაპურით უზრუნველყოფისათვის. როდესაც მთიანი ზოლი მიდინართ, თქვენდა უნებუ-

რად ყურადღებას აქცევთ მთელ-მთელ ქვეყანაში გორაკებს, რომლებიც დაგროვილია პაწაწინტელა სახნავი მიწის შუაგულს, ან აქა-იქ რამდენიმე ადგილას. ეს ქვა აკრფილია ამათში ნაკვეთზე და აქვეა დაწყობილი, თითქმის იმისათვის, რათა შთამომავლებმა უჩვენონ, თუ რა დიდ შრომად უღირდათ კლდისა და ღორღისაგან ნიადაგის შექმნა...

...მაგრამ, თუმცა მთიელი თავიანთ თავის დაუნებულად ცდილან ეგვიპტური შრომით უზრუნველყოთ თავიანთი არსებობა მთებში, მაინც უდიდესი უმეტესობისათვის პურის საცმარისი მარაგის ქონა — მიუწვდომელი ოცნებაა... ნახე აქ გამოძეხვარი პური, რომელიც სულ მცირედად განსხვავდება გამხმარი ტალახის კომბისგან, და ძელი წარმოსადგენიც კია, რომ ამ პურით საზრდოობა შეიძლებოდა. პირდაპირ განსაცვიფრებელია, როგორ შეიძლება მიწის ესეთი ნაკვეთის მოხვნა, რომელსაც 60 ან 70 გრადუსი ქანობი აქვს ათასი ფუტის და მეტ სიმაღლეზე ხეობის დონიდან».¹

სიოცისლის უკანასკნელ წუთამდე მიხ. ყიფიანი დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა და ყოველმხრივ ცდილობდა შეემსუბუქებინა კავკასიის მთიელი ხალხის და კერძოდ, ოსების მიმე უსიხარულო, ცხოვრება. ფი იმავე დროს იყო კავკაზის რევალუტი სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარე, შემოწირულების სახით აგროვებდა სახსრებს ღარიბ მთიელ ბავშვთა სწავლა-განათლებისათვის. 1882 წელიდან მიხ. ყიფიანის თაოსნობით დაარსდა თერგის ოლქის მთიელთა შორის წერა-კითხვისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება. ამ საზოგადოების გამეგობაში, როგორც უკვე აღინიშნა, მასთან ერთად კოსტა ხეთაგურიც ამხრავალ მონაწილეობას იღებდა. დიდი იყო ამ საზოგადოების დამსახურება კავკასიის მთიელ ხალხთა შორის სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში. აღსანიშნავია, რომ 1890 წელს მადლიერმა საზოგადოებამ მიხ. ყიფიანს ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიართვა საპატიო წევრის დიპლომი.

როგორც ვხედავთ, ოსი ხალხის დიდი პოეტის კოსტასა და ქართველ საზოგადო მოღვაწის მიხ. ყიფიანის პირადი მეგობრობა სრულიადაც არ იყო შემთხვევითი და მხოლოდ პირადული. მათ აერთიანებდა ქართველთა ოსი ხალხის ისტორიული მეგობრობა, ცარიზმის კოლონიალური უღლისაგან ჩაგრული ხალხების განთავისუფლების ღრმა რწმენა და ხალხთა

¹ От Кавбека до Эльбруса. М. З. Киниан-ви, Владикавказ, 1884 г.

¹ იქვე, გვ. 21 — 25, ამონაწერი მოტანილია წიგნიდან კოსტა ხეთაგური, ჩრეული ნაწერების კრებული, 1939, გვ. 631 — 632.



უკეთესი მერმისისათვის რევოლუციური ბრძოლის წყურვილი.

საგულმისმა, რომ მიხ. ყიფიანის საშუალებით, კოსტა თავიდანვე მახლობელი ქართული ლიტერატურული წრებისათვის. თანამედროვეთა გადმოცემებით, კოსტას სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ცნობილი იყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ხახანაშვილის, ალ. ყაზბეგის, დიმი. არაყიშვილის და სხვებისათვის. ისინი ინტერესით აღევნებდნენ თვალყურს მის ზრდასა და გავლენას კავკასიის მოძმე მთელ ხალხებზე.

სადაოდ არ მიგვიჩინია ისიც, რომ მ. ყიფიანმა, დაახლოვდა და გააცნო კოსტას დიდი ქართველი ბელეტრისტი ალ. ყაზბეგი. მანვე ის პოეტს ინტერესი გაუღვიძრა ალ. ყაზბეგის შემოქმედებისადმი. ამ ორი მოძმე მეზობელი ერის ლიტერატურის დიდ წარმომადგენლებს, სულიერი და იდეური ნათესაობის მხრივ, ბევრი რამ აკავშირებდათ და აერთებდათ ერთმანეთთან.

თავის მხრივ ოსმა პოეტმაც ნამდვილი რანდული სულით შეიფარა თავისი მეგობარი, თავდადებული საზოგადო მოღვაწე მიხ. ყიფიანი, რომელმაც წლების განმავლობაში კეთილი საქმიანობით წარუშლელი კვალი დატოვა პოეტის მშობლიური ხალხის სსოვნაში.

მიხ. ყიფიანის ნათელმა პირიუენებამ მხატვრული ასახვა პპოვა ოსი პოეტის შემოქმედებაში. პოეტმა-მხატვარმა, ჯერ კიდევ ადრე 1883 წლამდე დახატა მიხ. ყიფიანის პორტრეტი, რომელიც ბევრ სხვა სურათებთან ერთად, სამწუხაროდ დღემდე დაკარგულად ითვლება. ამის შესახებ 1883 წლის 19 ივნისს მ. ტუაივი ქ. გროზოდან კოსტას წერს: «იოყავი დღეს სადილის შემდეგ ჩერვისკათისთან ყიფიანის პორტრეტის გამოსართმევად, და მან მიიხრა, ამის თაობაზე კულოკოვსკაისთან გავგზავნე სათქმელად და იგი დამპირდა მოვად და პორტრეტს ენახავო და თუ ამ ორ დღეში არ მოვიდა, მე თითონ გავუგზავნი მას პორტრეტსაო და შედეგს შენ შეგატყობინებს».¹

მიხ. ყიფიანი 1891 წლის 2 მარტს (ძვ. სტილით) კავკავში გარდაიცვალა. მისმა მოულოდნელმა დაკარგვამ მთელ ქართველ ხალხთან ერთად უზომო მწუხარება გამოიწვია ჩრდილო კავკასიის ჩაგრულ მთიელ ხალხთა შორის. მისი გარდაცვალების გამო კავკაველი კორესპონდენტი ლაზარაძე ვაზ. «ივერიაში» წერდა: «დიდად შეგვაწუხა და გული დაგვწყვიტა კავკაველ ქართველობას ჩვენის პირველის და მეთაურის კაცის გარდაცვალებამ. ქართველებ-

ზე ნაკლებ არ სწუხდნენ აქაური ზრდასწავლის რუსები, ოსნი. ყველასათვის კარგი იყო მიხელი ზაალისძე ყიფიანი, ყველას გული მოგებული ჰქონდა განსვენებულს თავის კარგის კაცობით, ქველობა-სათნებობით, მოყვასისათვის დაუზარებელის შრომიითა და მოღვაწეობით... ელდასავით მოედო მაშინვე მთელს კავკავს ეს სამწუხარო ამბავი და ყველა მისი ნაცნობნი, მახლობელი და თანაშრომელნი აგვაესო სევდით და მწუხარებობით...

...მის დაკარგვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო კავკავის ფართე საზოგადოებამ: რუსებმა, სომხებმა, ოსებმა, ქართველებმა, რომლებმაც გვირგვინებით შეამკეს განსვენებულნი»¹.

კავკასიის მთიელი ხალხის განათლებისა და უკეთესი ცხოვრებისათვის მეგრძოლი საზოგადო მოღვაწისა და მეგობრის მიხ. ყიფიანის უდროო სიკვდილით გამოწვეული მთელი ოსი ხალხისა და პირადი მწუხარება დიდმა პოეტმა მისი სსოვნისადმი მიძღვნილ ლექსებში გამოხატა: «დიდის გრძნობით წარმოსთქვა ლექსი, — გვაუწყებს იგივე ლაზარაძე, — ჯერ ოსურად და შემდეგ მეორე ლექსი რუსულათ ბ-ნმა კ. ხეთაგურთმა. შინაარსი ოსურის ლექსისა მოკლედ ასეთი იყო: გზა მშვიდობისა ჩვენთვის აღარა ზრუნავ ახლა. ქვეყნად გვრჩება შენი სახელი. შენი მომდურავი ერთიც არი არის ჩვენ შორის. სახელი შენი საუკუნოდ ცოცხალი იქნება.. მარტო შენ შესქელ და ერს მწესწირე კეთილდღეობა შენი. სიყრმიდან სიბერემდე ნატვირთი გქონდა მწუხარება ერისა. ანთებული ლამპარი გეჭირა და გვიანთბდი ბნელ გზას.. დედასავით გიყვარდა სამშობლო. კეთილი მწყემსი იყავ ღარიბთათვის»².

წერილის ავტორის გადმოცემით, კოსტას მიერ ამ ლექსის წარმოთქმამ დამსწრე ოსთა შორის დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ყველა სტირილა თურმე.

პოეტმა ლექსში «მეგობრის უკბოსთან» ასე მიმართა განსვენებულს:

...დედაებერ ჩვენი მხარი შეიტკბე,
შენს გულში ჰქონდა მაშვრალს ალაგი;
ჩვენ რა პატივი ვადავიხადოთ,
რით დავაფასოთ შენი ამავი?

მამები ბავშვებს ანდერძს გადაეცემთ:
გულში ატარონ შენი სახელი.

¹ იხ. კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი, გვ. 17.

¹ იხ. ვაზ. «ივერია», 10 მარტი, 1891, № 53, გვ. 2 — 3.
² იქვე.



ჩვენ კი, ვი, რომ შენს შემდეგ დაგვრჩა მწუხარება და მწარე ნალველი!
(თარგმ. ს. შანშიაშვილისა)

ოსურად დაწერილი ეს ლექსი „მეგობრის კუბოსთან“ ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე, მ. ყიფიანის ღრმა პატივისცემის ნიშნად, ოს ინტელიგენციის შორის ხელნაწერად იყო გავრცელებული და ხელიდან ხელში გადადიოდა. კოსტას მეორე ლექსი „მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალებაზე“ რუსულად დაუწერია და წარმოუთქვამს, რომლის ტექსტი იქვე „ივერიაში“ რუსულადვე არის გამოქვეყნებული.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სულ მალე, 1892 წელს ვლადიკავკაში რუსულად გამოვიდა მიხ. ყიფიანის სხოენისადმი მიძღვნილი წიგნი I, რომელშიაც სხვა წერილებთან ერთად დაიბეჭდა კოსტას სხენებული ლექსი. მეგობრის დაკარგვით დამწუხრებული პოეტი კავკასიას მიმართავს:

„შვილი დაკარგე შენ ღირსეული...
რაც გვიანდერძე საუნჯე წმინდა,
როგორც ქართველის სახე ჩვეული,
ჩვენს დაუვიწყარ ძმაში ვაბრწყინდა.

განა ბევრია თავგანწირული,
ვინც ხალხს შესწირა სიცოცხლე მთელი.
ვისი ბრძოლაა მუდამ გმირული,
ვისაც ქოხებში შეაქვს ნათელი?

არ არის ბევრი, მებრძოლის სახელს
შთამომავალი იტყვის მრავალი.
ვუსმენ კავკასო, შენ გვოვის ძახილს,
რომ კვლავ ვიწაობ მე მომავალი.
(თარგმნ. ვ. გაფრინდაშვილისა)

კოსტა ხეთაგუროვის ღრმა რწმენით მ. ყიფიანს მთელი კავკასიის შვილია. პოეტი მიხ. ყიფიანის პიროვნებაში ხედავდა ქართველი ხალხის მოწინავე საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენელს, მისი იდეალების განხორციელებისათვის მებრძოლს.

თანამედროვეთა გადმოცემებით კოსტა პირადად იცნობდა და ახლო მეგობრობა ჰქონდა ალ. ყაზბეგთან. საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი იაგორ ლუღუშაურის ნაამბობით გადმოგვცემს: „კოსტა ხეთაგუროვი ხშირად დადიოდა ალექსანდრე ყაზბეგთან, ჩერდებოდა მასთან რამდენიმე დღით. კითხულობდნენ, მუსიკაობდნენ და დროს კამათი ატარებდნენა“. ლუღუშაური იგონებს ასეთ ეპიზოდს: „ერთხელ კოსტამ ნალვლიანად ჰკითხა სანდროს: — როგორ ფიქრობ სანდრო, ჩვენი

ხალხი დაიღუპება და რუსი მეფე საბოლოოდ გაიმარჯვებს, თუ სხნა მინც გვაქვსო“
სანდრომ შეხედა და ბოლოს ასე მიუგო: — არა, კოსტა! რუსი ხელმწიფე დაიღუპება, ჩვენი ქვეყანა აღსდგება. ჩვენი ბედი დაღუპული არ არის, ჩვენ დროებით დავაჩოქვით.“

როცა ალექსანდრე ყაზბეგი საავადმყოფოში წლების განმავლობაში უყურადღებოდ მიტოვებული იმყოფებოდა, კოსტამ ვახუთ „სივერნი კავკასში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც გაისმა სასტიკი პროტესტის ხმა ავადმყოფი მწერლისადმი საზოგადოების ასეთი გულგრილი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

ოსი პოეტის ეს წერილი შესანიშნავ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა დიდ მწუხარებას განიცდის იგი მოძმე ხალხის მოწინავე ადამიანების, კერძოდ, ალ. ყაზბეგის უნუგეშო მღვთმარების გამო.

აღნიშნულ წერილში კოსტა წერდა: „ღიდალ პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენს ვახუთში მოვთავსო ქვემოთ მოყვანილი წერილი.

ყველას, ვინც კი ცოტაოდნად მინც დაინტერესებულია კავკასიის მოღვაწეობით, წაუკითხავთ და გაუგონიათ იმ მწარე ხედრის შესახებ, რომელიც წილად ზედა ქართველ მწერალს ალექსანდრე ყაზბეგს, ყველას, ვინც რამდენადაც მინც იცნობს ამ მართალ უბედური სახალხო მომღერლის ცხოვრებას, არ შეიძლება ეჭვი არ შეეპაროს ყველაფერ ამას, რაც მის შესახებ იწერება. ამიტომ ჩემს თავს ნებას ვაძლევ მიემართო მწერალ სანდროს უახლოეს ნათესაებს, რათა ბეჭდვით სიტყვის საშუალებით უარყონ ან დაადასტურონ ის უკანასკნელი ცნობები მის შესახებ, რომლებიც მოთავსებული იყო ვაზ. „ტიფლისკი ლისტოკის“ № 94-ში, წერილში „ორი ჯილდო“ წერია, რომ ის (ალექსანდრე ყაზბეგი), რომელმაც დაკარგა ლეითი მინიჭებული ძვირფასი ნიჭი, შეიძლება იმითომ რომ ძალიან ბევრი რამ მისცა თავის ხალხს. იმყოფება საჯიყეთში, სხვა შესლილებთან ერთად საერთო პალატაში, იყვებება, როგორც უღატაკესი კაცი, არა აქვს ისეთი არსებითი საჭიროების საგანიც კი, როგორცაა ჩაი და ისეთი უმნიშვნელო სიამოვნება, რასაც პაპიროსი წარმოადგენს. მაგრამ ამ მღვთმარების შენარჩუნებაც არ ძალუძს მას. აყაზბეგს საშუალება არა აქვს ფული გადაუხადოს საავადმყოფოს და ამ დღეებში, როგორც უსარებლო ნივთს, ქუჩაში ვადაადებენ. კიდევ კარგი, რომ ჩუმი შესლილობა აქვს და არავის ზიანს არ მიაცენებს.

ნუთუ ალექსანდრე ყაზბეგს, რომლის შესანიშნავ ყდებში ჩასმულ ნაწარმოებებს უდი-

¹ Памяти Михаила Зааловича Кипиани, Владикавказ, 1892, стр. 21.

დესი სიამოვნებით კითხულობენ, როლის მამის ბრწყინვალე სახლში უამრავი ხალხი ჰქამდა და სვამდა, ისეთი ჯილდო უნდა ჰხდეს წილად, რომ ქუჩა-ქუჩა იარსო და სადმე ღობის ძირას შიმშილოთ მოკედეს?.. უმორჩილესად ვიხივ კავკასიის სხვა გამოცემათა რედაქტორებსაც, გადაბეჭდონ ეს წერილი.

3 მაისი, 1893 წ. ქ. სტავროპოლი¹.

ახლა, როდესაც თვალს ვაგებულ ჩვენი კულტურული წარსულის დიდებულ ფურცლებს და წარმოედგინთ ხალხთა მომავალი სიკეთისა და მშვენიერი ცხოვრებისათვის მებრძოლ მოღვაწეთა ნათელ, მაგრამ ბევრ შემთხვევაში, უწყალო დროს წამებული სახე-ობა, ძნელია აღვლევებლად ჩაიკითხოთ ჰემ-მარტი გრძნობით დაწერილი ეს პატარა წერილი.

კოსტა საქართველოს ბედითა თუ უბედობით თავიდანვე იყო დაინტერესებული. ამ დაინტერესებით აიხსნება, რომ პოეტმა-მხატვარმა თავისი პირველი სურათი — „წმინდა ნინო — საქართველოს განმანათლებელი“ 1887 წლის 28 ნოემბერს კავკავში გამოაქვინა, რომელშიაც განასახიერა ქართველი ქალის საქვეყნო-ური მშვენება და სილამაზე. ამის შესახებ ვაზ. „ივერია“ ახალ ამბავში წერდა: ვაზ. „Сев. Кавказ“-სა სწერენ, რომ კავკავში მხატვარს ბ-ნ ხეთაგუროვს გამოუკიდნია დიდი სურათი წმ. ნინოსი, საქართველოს განმანათლებლისა. სურათი თურმე ისე ცხოვლად არის დახატული, რომ ხალხს არა სჯერა, თუ ეს სურათი ფიცარზეა მიკრული, ჰგონია, რომ გამოქანდაკებულია და ამიტომ ბ-ნ ხეთაგუროვსა სიხოვენ ხოლმე, რომ ახლო გავსისნავე სურათიო“ (ვაზ. „ივერია“, 16 VII. 1887, № 264, გვ. 21).

საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ კოსტა ხეთაგუროვი განსაკუთრებულად ყურადღებით ეცილებოდა საქართველოს ეროვნული ჩაგვრისა და შევიწროების ფაქტებს. ამ გარემოებაზე მიუთითებს თვით პოეტის არქივში არსებული მასალები. ბროშურა «Церковный вопрос в России» 1896 წლის თარიღით გამოცემული, პოეტის ხელით არის გადაწერილი, რომლის გარკვეული ნაწილი, ცარიზმის კოლონიალური ჩაგვრის ფაქტები ეხება საქართველოს, ქართული ენის დენას, კერძოდ ეკლესიაში. მხილებულია, თუ როგორ უმოწყალოდ ძარცვავდნენ და იტაცებდნენ ეკლესია-მონასტრებში დაგროვილს

ქართული კულტურის ისტორიულ სიმდიდრეებს მეფის რუსეთის მიერ წარმოგზავნილი გუბერნატორები და მოხელეები, როგორც იყვნენ-გენერალი ლევაშოვი, და სხვები. როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს, ეს ბროშურა არის სწორედ ის საზღვარგარეთული გამოცემა, რომლის შესახებაც კოსტა 1899 წლის 13 მარტს პეტერბურგიდან სწერდა იულიანა ცალოკოვას: „ამ დღეებში შეველეთ ერთი საზღვარგარეთული გამოცემის გადაწერას, — სწერდა კოსტა წერილში. — იგი ისეთ საოცარ საბუთს წარმოადგენს რუსეთის სისულელო უწყების, კერძოდ საქართველოს საეგზარქოსოს მოქმედების შესახებ, რომ პირს დაადებთ, როდესაც გადაიკითხათ. ამ გამოცემის ყიდვა არსად არ შეიძლება. ურიგო არ იქნება მისი ჩვენება თქვენი საკრებულო არეოპაგისათვის“¹.

ცხადია, ყველა აქ აღნიშნული სრულიადკვერ ასახავს სისრულით ამ დიდი შემოქმედის ურთიერთობას საქართველოსთან, მის ხალხთან და მის მწერლობასთან. ამ ორი მოძმე ხალხის მოწინავე აღმამიწებისა და კულტურის ურთიერთობის ისტორიიდან ჯერ კიდევ ბევრი რამ შეუსწავლელია.

ერთი რამ კი ნათელია, რომ „თვით ქართველი ხალხიც კულისსმხიარად ეპყრობოდა დიდოს პოეტს. ქართველი და ოსი ხალხების მტკიცე მეგობრული ურთიერთობის წყალობით კოსტა ხეთაგუროვის მგზნებარე შემოქმედება ქართველი ხალხის ფართო მასების ძვირფას საკუთრებად გადაიქცა. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში იცნობდა მის შემოქმედებას, ზოგიერთი მისი ლექსი ქართველ მუსიკოსთა შემოქმედით მუსიკალური კულტურის განაძად გადაიქცა“².

პოეტის „ირონ ფანდირის“ („ოსეთის ქნარი“) გამოსვლას მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება თანაგრძნობითა და კმაყოფილებით შეხვდა. ოსი ხალხის კულტურის ცხოვრებაში ამ დიდ მოვლენას ქართული პრესა მაშინვე გამოეხმაურა და სიამოვნებით აღნიშნა. „ირონ ფანდირს“ ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ (№ 136, 1899 წ.) პირველში უძღვნა ვრცელი წერილი, „მომართაბა ოსეთით განათლებიასკენ“. წერილის ავტორმა, ქართული კულტურის ცნობილმა მეკლევარმა ალ. ხახანაშვილმა საზოგადოებას აუწყა ამ ფიგნის განუსაზღვრელი მნიშვნელობა ოსური სამწერლო ენისა და ლიტერა-

¹ იხ. კოსტას წერილი, გვ. 573 — 574.

² ა. მაკომეტოვი, ქ. ხეთაგუროვის ურთიერთობანი მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან, ურ. „მნათობი“, 1954, № 10, გვ. 145 — 148.

¹ კოსტა ხეთაგუროვი, ტ. III, სსკ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, მოსკოვი, 1951, გვ. 7 — 8; წერილის თარგმანი მოტანილია „მნათობიდან“, 1954, № 10, გვ. 147.



ტურის განვითარებისათვის. გულწრფელი სიხარულით აღსაყვამ ალ. ხახანაშვილი წერდა: „...ვისაც ეს წმინდა ოცნება (სიყვარული და სათნოება) შეუგნია, იმისათვის მეზობლის და თანამომის ბედნიერება სასიხარულოა და მისი მწუხარება სავალალო. ერთი სასიამოვნო მოძრაობა აღინიშნა ჩვენს მოსახლერე ხალხში, რომელთაც საქართველოს უცხოვრია მრავალი საუკუნე, და ეს მოძრაობა გულისხმიერია ჩვენთვის: მე მოგახსენებთ ოსების განთავლებისაკენ მისწრაფების შესახებ...“

...შინაარსი ამ კრებულისა მრავალფეროვანია: იგი შეიცავს ლექსებს, ლექსებებს, ანაზღებს და სხვ., ლექსთაწყობა ოსებს ტონური აქვს, ესე იგი ისეთი ლექსთწყობა, როგორც რუსებს და არა ჩვენს; იგი ავებულება ხმის ამალღებაზედ. პირველ ნაწილში ბ-ნს ხეთაგუროვის მოჰყავს ლექსები, რომელნიც ელეგიურის კილოთი და მამულიშვილურ გრძნობებით არის გამსჭვალული.“

ალ. ხახანაშვილმა მაღალი შეფასება მისცა წიგნს, დაწერილებით გაარჩია მასში მოთავსებული თხზულებანი, შეეხო ლირიკას, ეპოსს, პროზას, თარგმანებს, ოსურ ლექსთწყობას. ხაზგასმით აღნიშნა მ. ზ. ყაფიანის სახსოვრად მიმდგენი ლექსის მნიშვნელობა, „რომელმაც აღუძრა ოსებს სიყვარული ერისა“.

წერილის დასასრულს ავტორი წერდა: „ამ ბ-ნ ხეთაგუროვს, დედით ქართველს, ჰსურს ვაღათარგმნოს აგრეთვე ოსურად ჩვენი „ალ-ლუხიანი“, რომელსაც დაუტყვამ ოსების ისტორია. ეუსურეთთ ოსებს წარმატება ამ პატიოსანს გზაზედ და ვინატროთ იმათის საერო მწერლობის გაფურჩქვნა“.

ცნობილ ქართველ კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილს 900-იან წლებიდან მოკიდებული, შემოვლილი ჰქონდა საქართველო და ჩრდილო კავკასია ხალხური მუსიკალური შემოქმედების შესწავლისა და შეკრების მიზნით. ქართველ კომპოზიტორს ოსი ხალხის დიდი პოეტი პირადად გაუცნია; ზშირად ჰქონდა მასთან შეხვედრები და დაინტერესებულა მისი შემოქმედებით. დ. არაყიშვილი წერიალში „სიტყვათა მუსიკა“ წერს: 1902 წელს, საქართველოში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, მე შევიარე მშობლიურ კავკაში, სადაც უნდა ჩამეწერა ოსური ხალხური სიმღერები. ერთ ჩემს მეგობართან ერთად მივედი კოსტა ხეთაგუროვის სახლში. კოსტა გულბოლიად შეგვხვდა და ძალიან ესიამოვნა, როდესაც გაიგო ჩემი მისვლის მიზანი. მე მოხარული ვარ, — თქვა მან, — რომ თქვენ დაინტერესდით ოსური სიმღერებით!

მე ფონოგრაფიის წესით ჩაეწერე შეიდი

ოსური ხალხური სიმღერა და მოსკოვში ვიღე“.

ოსური ხალხური შემოქმედების, კერძოდ, მუსიკალური ნიმუშების შეგროვებისა და შესწავლის საქმეში დი. არაყიშვილს ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული და ამ მხრივაც მისი დამსახურება მეტად მნიშვნელოვანია. კერძოდ, ოსი პოეტის კოსტას შემოქმედებით დაინტერესებულმა კომპოზიტორმა მის ლექსზე „მთიელი ქალის სიყვარული“ პირველი მუსიკალური ნაწარმოები შექმნა. იმავე დროს დ. არაყიშვილმა პოეტის „ფატიმას“ ნაწყვეტებზე დაწერა ორი რომანსი: „მწყემსის სიმღერა“ და „ჩაიდა მზე“. ამ რომანსების პირველი შემსრულებელი იყო ცნობილი ქართველი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი.

დი. არაყიშვილის მიერ კოსტას შემოქმედებაზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები გამოცემულ იქნა მოსკოვში ქართულ და რუსულ ენებზე.

ამრიგად, რუსულ საზოგადოებას ოსური ხალხური მუსიკალური შემოქმედება პირველად ქართველმა კომპოზიტორმა დი. არაყიშვილმა გააცნო. ცარიზმისაგან დევნილი პოეტის მეგობარ-გულშემატკივართა შორის, რომლებიც ენერგიულად მოქმედებდნენ კოსტას ვაღასახელისად განთავისუფლებისათვის, თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართველ ქალს სონა თარხნიშვილს.

მეფის სატრაპებისაგან გაწამებული მგოსანი 1899 წლის 8 მაისს პეტერბურგიდან თავის მეგობარს ალექსანდრე ცალკოვს სწერდა: „პოლიციის დეპარტამენტის ერთი გენერლის რჩევით, თხოვნა შევიტანე ხელმწიფის სახელზე, შეამავლად, ამასთან მეტად ენერგიულ შუამავლად, მყავდა სონა თარხნიშვილი. მანვე გადათხინა თხოვნა თავის დანებებაზე — ხელმწიფის სახელზე თხოვნების მიმღები კომიტეტის უფროსის თანაშემწეს, სიტყვიერად შეავსო თხოვნა საქმის მრავალი დეტალით და თანაც, როგორც მისი ნიჭის ამბავი მოგვსენებდა, არ მისცა თავის მოსაუბრეს არც მოსვენება, არც ვადა“. 1 სონა თარხნიშვილი ალექსანდრე ყაზბეგის დედის ნათესავი ქალი, რომელიც იმ პერიოდში პეტერბურგში ცხოვრობდა, მეფის მოხელეთა მაღალ წრეში ნაცნობების საშუალებით ენერგიულად მოქმედებდა პოეტის ვაღასახელებიდან განთავისუფლებისათვის. კოსტა მეგობრებთან გაგზავნილ პირად წერილებში ზშირად იხსენიებს „მშვენიერ თავადის ქალს“, „თავის მფარველ ფრილინას“ სონა თარხნიშვილს.

მეგობართა დახმარებით ხანგრძლივი დავიდარბის შემდეგ, 1899 წლის 29 დეკემბერს მრავალმხრივ ნაწამები პოეტი კოსტა ხეთაგუ-

1 ჩრეული ნაწერების კრებული, 1939, გვ. 574.



როვი განათავისუფლეს გადასახლებიდან და მისცეს ნება, გარდა კავკასია, ეცხოვრა თურგის ოლქში.



ოსეთის ხალხის უბადლო პოეტმა თავის მხატვრულ შემოქმედებით ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა მშობლიური მშრომელი ხალხის გულში. მისი ოქტებში, პოემებში და პროზაული ნაწარმოებები ხალხის ჰირსა და ვარამს, სიხარულსა და მისწრაფებას, მომავლისადმი იმედს და თავისუფლებისათვის ბრძოლას გამოხატავენ. მან თავისი ნათელი და ტანჯვით სავსე მოღვაწეობით პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს, ხალხის წინაშე და „ბრძოლაში — მგონის გული მართალი შეეწირა ხალხის კეთილდღეობას“. და თუ წარსულში დიდი მგონის თავის პოეზიაში სევდით უმღეროდა ჩაგრულ ხალხს, ეს გასაძვირია. თავის „მიმართვაში“ პოეტი ხალხს სთხოვს:

„მაბატე, ჩემი ჩანგი
თუ მოვასმენს მწუხარებას;
ვის არ მოსწონს სევდის პანგი,
მიჰყევს თავის გულის ნებას.

ხალხის წინ რომ შემძლბოდა
მომეხადა ჩემი ვალი,—
ჩემში სევდას ვერ ნახავდი,
არც ვიმღერდი გულდამწვარი“.

თავისი ხალხის სიყვარულისათვის პოეტმა დიდი დევნა და შეგონებება განიცადა. მასში თვითმპყრობელობა ხედავდა მოსისხლე მტერს. კოსტა ხეთაგურისთვის თავისთავზე თამამად შეეძლო უკრაინის დიდი პოეტის ტარას შეგონებასავით ეთქვა: „ჩემი ცხოვრება ნაწილია ჩემი ერის ცხოვრებისაო“. სამშობლოდან მუდმივად დევნამ და გადასახლებამ გასტეხა პოეტი. 1900 წელს გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კოსტა უკვე ქლეჭით იყო დაავადებული. ამის შემდეგ მან დიდხანს ვეღარ იცოცხლა. 1906 წლის პირველ აპრილს გარდაიცვალა და დასაფლავებული იქნა ქ. კავკაში.

პოეტის ცხედრის გადმოსვენების დროს, სხვათაშორის, პროცესიას შეეგება ქართველთა დელეგაცია მოქ. შიოშვილის მეთაურობით, რომელმაც კუბო ძვირფასი გვირგვინით შეამკო.

დიდი პოეტის გარდაცვალების გამო ვაზ. „ტერეკში“ დაბეჭდილ ნეკროლოგში ქართველი საზოგადო მოღვაწე, პოეტის მეგობარი ლ. ბოცაძე წერდა: „დადუმდა საუკუნოდ მოცი-

ქული სიმართლისა, თანასწორობისა და უფლებისა, ძვირფასი კავკასიის ცის კაპარას მისწყდა ერთი შუქურა ვარსკვლავი, რომელიც თავის ნათელ სხივებს მიმოაფენდა სამშობლო ქვეყნის ტერესა და სახლს.

...კოსტამ განელო ეკლიანი გზა და გზასვე უკაფავდა იგი მომავალ თაობას, რომელსაც არ მოუხედება გამოსცადოს ის, რაც თავის მხრებზე გადაიტანა უმიმძეს დროს თავისუფლების მღერალმა და მამაცმა მებრძოლმა“.

საყვარელი პოეტის დაკარგვით გამოწვეული გლოვის დღეებში ლ. ბოცაძე ოსი ხალხისადმი მთელი მოწინავე ქართველობის ღრმა თანაგრძნობისა და სიყვარულის გამოხატავდა: „...განსვენე მშვიდად, ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო კოსტა. ხსოვნა შენი — არასდროს არ გაჰქრება შენი ხალხისა და შენი ნაცნობი და მახლობელი ქართველების გულში, რომელნიც ყოველთვის ხედავენ შენში ნათელი აზრებისა და იდეების თავდადებულ მოციქულს“.

ოსეთის გამოჩენილი პოეტის დასაფლავება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ბრწყინვალე დემონსტრაციად ვადაიქცა. „მის სახელთან, — წერდა ს. კ. კიროვი, — ოსეთის ხალხის წარმოდგენაში დაგვიშირებულა ყოველივე დიადი, ყოველივე საუკეთესო, ნათელი და მშვენიერი“.

თბილისის გაზეთებშიც აუწყეს საზოგადოებას მოძმე ოსი ხალხის გამოჩენილი პოეტის გარდაცვალება. ქართული გაზეთი „შრომა“ (1906 წ. № 1) იტყობინებოდა, რომ კოსტა ხეთაგურის პატივსაცემად დიდუბის ეკლესიაში შესადა პანაშვიდი, სადაც ქართულ საზოგადოებასთან ერთად, თბილისში მცხოვრები ოსებიც დაესწრნენ.

ცხინვალის საზოგადოებამ თავიანთი ღრმა მწუხარება სამკლოვიარო დეპუტით გამოხატეს. ამის შესახებ „შრომა“ (1906 № 12) წერდა: „პანაშვიდი ოსთა პოეტის სულის მოსახსენებლად, ცხინვალის ბან გულეივისაგან შემდგენი წერილი მივიღეთ: „ცხინვალში მცხოვრებმა ოსებმა და სხვა ტომის ინტელიგენციის ნაწილმა, გაიგო რა გარდაცვალება ოსთა პოეტის (აგრეთვე უბლიციისტი) კოსტა ხეთაგურისა კავკაშიში, გულთათი სამიმაირი უძღვანა მის ღას. 9 აპრილს ცხინვალის მართლმადიდებელთა ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი გარდაცვალებული პოეტის სულის მოსახსენებლად“.

სამკლოვიარო წერილები გამოაქვეყნეს თბილისში არსებულმა რუსულმა გაზეთებშიც: ვაზ. „ნა ბოგოროტა“ (№ 2, 1906 წ.) წერდა: „განსვენებული საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის რეაქციის გამარჯვების ხანაში. ბუნებით

პოეტმა და მხატვარმა მთელი თავისი ცხოვრება შესწირა მთაელების, მშობლიური ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლას... ოსეთში არ მოიპოვება იმისთანა სახლი, სადაც დიდის მოწიწებით და თავყანისცემით არ ახსენებდნენ კოსტას სახელს, რაც დამამტკიცებელია იმისა, რომ კოსტამ უბრალოდ არ მიუძღვნა თავისი ცხოვრება მშობლიურ ხალხისათვის სამსახურსა.

თბილისის მეორე რუსული ვაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“ (№ 73, 1906 წ.) ნეკროლოგში — „კოსტა ხეთაგუროვი“ წერდა: „ოსეთის ლიტერატურას საფუძველი ჩაუყარა ინტელიგენტთა წრიდან გამოსულმა ნიჭიერმა პოეტმა კოსტა ხეთაგუროვმა, რომლის სიყვდილიც ოსეთისათვის წარმოადგენს შიმში და აუნაზღაურებელ ნაციონალურ დანაკლისს“.

აღნიშნულ ვაზეთებში, იმავე დროს, გამოქვეყნდა პოეტის თხზულებათა ზოგიერთი ნიმუში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მთელი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ღირსეულად დაფასება, ნაწერების სრული კრებულების სახვადასხვა ენებზე გამოცემა. უკანასკნელ დრომდე ქართველმა საბჭოთა პოეტებმა დიდი სიყვარულით თარგმნეს კ. ხეთაგუროვის თხზულებანი, რომლის ქართულ ენაზე რამდენიმე სხვადასხვა გამოცემა გვაქვს.

1939 წელს ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს მრავალფეროვან ხალხებმა ფართოდ აღნიშნეს დიდი პოეტის დაბადების 80 წლისთავი. მისი იუბილე დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის, ტარას შევჩენკოს, შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის იუბილეს მსგავსად, საბჭოთა ხალხების დიდი მეგობრობის ზეიმად გადაიქცა. 1955 წელს ქ. ორჯონიკიძეში მის უკვდავსაყოფად მონუმენტურა ძეგლი აღიმართა.

ოდესღაც დევნილი, დაბეჩავებული და ჩაგრული ოსი მშრომელი ხალხი დღეს ძღვევაში სილი საბჭოთა კავშირის დიდ ოჯახში წარმატებით აშენებს ფორმით ეროვნულსა და შინაარსით სოციალისტურ კულტურას.

ღენინური ეროვნული პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებამ უზრუნველყო ოსეთის მშრომელი ხალხის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება. ოქტომბრის დიდი სოციალისტურ რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი პატარა ერების გამოყვანა სამოღვაწეოდ სახელმწიფოებრივ პოლიტიკური მოქმედების ფართო ასპარეზზე.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ეკონომიურად და კულტურულად აღორძინებულ მრავალრიანი ხალხთა მალამხატვრულ ლიტერატურის ბრწყინვალე საგანძურში სააპტიო ადგილი უკავია ოსი ხალხის სახელოვანი შვილის, მხატვრული სიტყვის ოსტატის — სახალხო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის კოსტა ხეთაგუროვის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.



ოთარ ჯაფარიძე

„საქართველოს სახელმწიფო გზისკითხვის გეგმა“

მ. ლორთქიფანიძის ნაშრომი „საქართველოს სახელმწიფო გზისკითხვის გეგმა“ ტ. II შეეხება არმაზისხევისა და ბაგინეთზე მოპოვებულ გლობტიკურ მასალას. როგორც ცნობილია, ამავე ავტორმა რამდენიმე წლის წინ გამოცა თავისი პირველი წიგნი ამავე სათაურით, სადაც იხილავს სამთავროს სამთავროზე აღმოჩენილ გლობტიკურ ძეგლებს¹. ამრიგად თავის წიგნებში მ. ლორთქიფანიძემ შეისწავლა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შიერ მოპოვებული მთელი გლობტიკური მასალა. ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს უთუოდ ძნელი და მეტად საპატიო საქმე კარგად შეასრულა. მ. ლორთქიფანიძის შრომის შედეგად ჩვენს საიდუილოდ უკვე ხელთა გვაქვს შესანიშნავად დამუშავებული და კარგად გამოცემული მეტად მდიდარი და თავისებური გლობტიკური მასალა მცხეთიდან.

უკანასკნელ ხანებში ჩვენში ფართოდ გაშლილმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა სხვა ხასიათის ძეგლებთან ერთად მრავლად გამოავლინა აგრეთვე გლობტიკური მასალაც. სადღეისოდ დაგროვილი ამ რიგის ძეგლების სათანადო შესწავლა უთუოდ ბევრს მეტად მნიშვნელოვან მასალას მოგვცემს ძირითადად ანტიკური ხანის საქართველოს შესასწავლად. როგორც ნაშრომიდან ჩანს, მ. ლორთქიფანიძეს უკვე მზადა აქვს „საქართველოს სახელმწიფო გზისკითხვის გეგმა“ ტ. III, სადაც იგი განიხილავს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ დანარჩენ გლობტიკურ ძეგლებს. უნდა აღინიშნოს, რომ გლობტიკური მასალების შესწავლის ისტორია ჩვენში არც თუ ისე დიდია. მ. ლორთქიფანიძეს ამ მხრივ მონიტდამინე ბევრი წინამორბედი არა ჰყოლია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მ. ლორთქიფანიძის მოღვაწეობასთან დაკავშირე-

ბით, ეს საქმე ჩვენში მყარ საფუძველზე დგებამ. მ. ლორთქიფანიძის მუშაობას თვალს გადავუდევრებ, აშკარად შეინიშნავს, რომ ეს დარგი დღეს ჩვენში საიმედო სპეციალისტის ხელთაა. ამას უთუოდ მოწმობს მ. ლორთქიფანიძის ორივე წიგნი და მთელი რიგი გამოქვეყნებული წერილები.

ნაშრომის შესავალ ნაწილში ავტორი მოკლედი მიმოხილავს ანტიკური გლობტიკის ისტორიას. ნაშრომის ეს ნაწილი უთუოდ კარგია. იგი ჩამოთვლის და სათანადოდ ახასიათებს ყველა იმ ქვას, რომლებიც კი გლობტიკაში გამოიყენებოდა.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება გეგმების ტრის ტექნიკაზე და მკითხველს სრული შთაბეჭდილება ექმნება ქვანე ტრის რთულ და მძიმე ტექნიკურ ჩვენებზე. ავტორი სათანადოდ განიხილავს საკითხს ჩვენში ქვის საჭრელი სახელოსნოების არსებობის შესახებ. ეს საკითხი უთუოდ მეტად საინტერესოა და მნიშვნელოვანი ეფექტობთ, რომ ამასთან დაკავშირებით ავტორს მეტი უნდა ეთქვა. იგი კმაყოფილება იმის აღნიშვნით (გვ. 8), რომ მცხეთაში ანტიკურ ხანაში უნდა არსებულყოფ ამგვარი სახელოსნოები, მაგრამ სათანადო დასაბუთება ამისა აქ არ მოკყავს. თუმცა შემდეგ გზადაგზა კვლავ უბრუნდება ამ საკითხს, მაგრამ, ეფექტობთ, რომ საერთოდ ამისათვის ნაშრომში უფრო მეტი აღვილი უნდა დაეთმო და მეტი დამაჯერებლობით წარმოედგინა იგი.

ნაშრომის მეორე თავში ავტორი მოკლე მიმოხილავს იძლევა საქართველოში აღმოჩენილ გლობტიკურ ძეგლებისას. აშკარად ჩანს, რომ ეს თავი სათანადო მასალის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის შედეგადაა დაწერილი. ავტორი იძლევა ჩვენში მოპოვებული გლობტიკური მასალის ზოგად დახასიათებას. ნაშრომის ეს თავი უთუოდ კარგია. მკითხველს ნათელი წარმოდგენა ექმნება ჩვენში გავრცელებული გლობტიკური ძეგლების შესახებ. უფრო ვრცლად

1 მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო გზისკითხვის გეგმა, ტ. I, თბილისი, 1954.



ჩერდება იგი მცხეთაზე, რომელიც სადღესიოდ ყველაზე უფრო ძლიერი ცენტრი ჩანს გლობალიზაციის ძალების მოპოვების თვალსაზრისით. ავტორი იძლევა მცხეთის გლობალიზაციის მასალის ზოგად დახასიათებას. როგორც ჩანს, საესპანო მართებული უნდა იყოს ავტორის მოსაზრება, რომ ჩვენში გემების და საბუქდავების ქეისიან ამოჭრის ტექნიკას წინ უძღვოდა მინის საბუქდავების დამზადება. ადრე ჩანს ჩვენში აგრეთვე რბილ ლითონზე ამოჭრილი ინტალი. შემდეგში მოთხოვნილება საბუქდავებზე სულ უფრო და უფრო იზრდება და შემოტანილი ნაწარმის გვერდით უკვე ჩნდება ადგილობრივი ნაწარმი. ავტორი არჩევს მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გემებს, ჯგუფებს, მათ, შინაარსობრივ დახასიათებას იძლევა და სხვ. ახ. წ. II საუკუნეში მცხეთაში ჩნდება წარწერიანი გემები. ავტორი საგანგებოდ ჩერდება ამ რიგის გემებზე. აღსანიშნავია, რომ ის ჩვენში საბუქდავების გავრცელებას უკავშირებს ერთა საკულტურის ინსტიტუტის განვითარებას. ავტორს აგრეთვე გაზიარებული აქვს ჩვენში გავრცელებული ქეისი ამოჭრის ტექნიკური ჩვეულების საკითხიც.

მ. ლორთქიფანიძე ნაშრომის მეორე თავში საგანგებოდ ჩერდება არმაზის ხეის სამართავანზე მოპოვებული გლობალიზაციის მასალის შესწავლაზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პიტიაშების სამარხებში აღმოჩენილი გემები გამოირჩევიან მაღალმხატვრული ოსტატობით, დახვეწილი გემოვნებით და შინაარსის მრავალფეროვნებით. გარდა ამისა, ამ მასალის მნიშვნელობას კიდევ ზრდის ის, რომ აქ ნათლად ჩანს ზღვარი ადგილობრივსა და შემოტანილ ძეგლთა შორის. უთუოდ მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ავტორი არმაზისხევის № 6 აკლამაში აღმოჩენილ ამეთვისტოს გემის შესწავლისას აღნიშნავს, რომ ამ ტექნიკით შესრულებული გლობალიზაციის ძეგლები სადღესიოდ მხოლოდ საქართველოშია ცნობილი. მაგრამ მის ვარაუდს, იმის შესახებ, რომ შესაძლოა ეს ნიმუშები დამზადებული იყო ადგილობრივი და ბერძენი ოსტატების ერთობლივ მუშაობის შედეგად, ვფიქრობთ, დამაჯერებლობა აკლია.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება არმაზისხევი ბერსებზე ერისთავის სამარხში აღმოჩენილ ერთ გემაზე. ამ გემაზე ბერძნულად წარწერილია მამაკაცის სახელი პლატონი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გემს მ. ლორთქიფანიძემ ადრევე მიჰქცია სათანადო ყურადღება და სპეციალური ნაშრომიც უძღვნა მას. ავტორი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ეს სახელი ეკუთვნოდეს ოსტატს, წარწერა ოსტატის ხელმოწერა იყოს. შესაძლებელია ეს მოსაზრება მართლაც სწორი

იყოს. მაგრამ მისი მეორე მოსაზრება, ადგილობრივ სახელოსნოში მოღვაწე ბერძენი ოსტატი იყოს იმის გამო, რომ ეს სახელი არ გვხვდება საქართველოს გარეთ მოპოვებულ მასალაზე და წარწერა, თითქოს აგრეთვე მთლად დამაჯერებელი არ ჩანს.

უთუოდ მეტად საყურადღებოა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება ასპარეჯის სარტყლის ბალთაზე აღმოჩენილი გემის შესახებ, სადაც მოცემულია ზეეხისა და კარპაჯის სახელები. იგი ამ გემის სტილისტური და სხვა ანალიზის შედეგად II საუკ. ახ. წ. ბოლო წლებს მიაკუთვნებს და ამდენად ბილინგვის თარიღს უთანხმებს. ეს გარემოება კი თითქოს უფრო აძლიერებს პრთფ. გ. წერეთლის მიერ გამოთქმულ ვარაუდს, რომ ბილინგვაზე მოხსენებული ზეეხი და სარტყლის გემაზე ამოჭრილი იგივე სახელი, ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანია ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ არმაზისხევის № 6 აკლამაში აღმოჩენილი გემა, რომელზედაც ვხვდებით წარწერას „ზეეხის“ უნდა მიეკუთვნებოდეს I საუკ. ახ. წ. მეორე ნახევარს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ გემაზე მოცემული სახელი და მიპირიდატ მეფის სტილზე მოხსენებული ზეეხი ერთი პიროვნება უნდა იყოს.

არმაზისხევის ნეკროპოლზე აღმოჩენილ გემებს, შესწავლის შედეგად, ავტორი სამ ძირითად ჯგუფში აერთიანებს: რომაული გემები, ადგილობრივი გემები და პართლ-სასანური გემები. იგი თითოეული ამ ჯგუფის გემების ამომწურავ დახასიათებას იძლევა. ნაშრომის ეს ნაწილი უთუოდ კარგადაა დაწერილი, მაგრამ აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ერთ-ერთ პართლ საბუქდავებზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ აქ ერთსტრუქტიონიანი წარწერა უნდა იყოს ამოჭრილი, მისივე ვარაუდით ფალსურად. მ. დიკოვნიკოს ეს წარწერა, რომელიც მის მ. ლორთქიფანიძემ აჩვენა, არაკლასიკური ფალსურად მიუჩნევიდა და გამოუთქვამს აზრს, რომ აქ ადგილობრივი დამწერლობისთან უნდა გვექონდეს საქმეო. თუკი ეს მოსაზრება საბოლოოდ დადასტურდება, აღნიშნავს იგი, მაშინ აღნიშნული საბუქდავი პართლ ხანის ადგილობრივ სახელოვან უნდა იქნეს მიჩნეული. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამის შემოწმების საშუალება ავტორს ჰქონდა ჩვენში და ამდენად საყურადღებოდ აღარაფერი იქნებოდა.

შესაბამე თავი ძირითადი ნაწილია შრომისა. ავტორმა მას ასეთი დასახულება მისცა — „კატალოგი“. ერთი შეხედვით, სათაურის მიხედვით, მკითხველს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დაარჩეს, რომ ეს უბრალო კატალოგი, აღ-

წერა გემებისა. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც ასე არ არის. მთელი მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და წარმოშობის მიხედვით. თითოეული გემა მეტისმეტად დეტალურადაა აღწერილი; დაწერილებითაა მოცემული სტილისტური და შინაარსობრივი ანალიზი. უნდა აღინიშნოს, რომ შინაარსობრივი განხილვა გემაზე თუ კამეიზე ამოწერილი სიუჟეტისა მეტად რთულად და ძნელი საქმეა. სწორედ ეს ნაწილი, დიდი ცოდნითაა გაკეთებული. თითოეული აღწერილობის შემდეგ მოტანილია ანალოგიური მასალა და მითითებულია სათანადო ლიტერატურა. გარდა გემის აღწერილობისა, აგრეთვე დაწერილებითაა შესწავლილი და აღწერილი ბეჭედი, სამაჯური და სხვ. მათთვის ცალკე მოტანილი ანალოგიები და ლიტერატურა. ნაშრომის ეს თავი უთუოდ მეტად კარგია. სწორედ აქ გამოჩნდა განსკუთრებით ავტორი, როგორც შესანიშნავი მცოდნე თავისი საქმისა. მაგრამ აქვე გვინდა ვუსაყვედუროთ მას, რომ იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს თანხლებ ინვენტარს. შეიძლება, რა თქმა უნდა, მას ამ მასალის დეტალური აღწერა არ მოეცა, მაგრამ ის მაინც უნდა აღნიშნა, თუ რა აღმოჩნდა სამარხში, გარდა ბეჭდის და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ამა თუ იმ სამარხში გარდა აღწერილი გემისა კიდევ ნაპოვნი იყო სხვა გემები. ავტორი თითოეული გემის და ბეჭდის აღწერის შემდეგ ცდილობს მათ დათარიღებას. დათარიღების დროს იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს არქეოლოგიურ კომპლექსს, სადაც ესა თუ ის გლობტიკური ძეგლი აღმოჩნდა. კიდევ მეტიც, იგი სრულიად არ იწუხებს თავს იმის აღნიშვნით თუ რა პერიოდის სამარხში აღმოჩნდა ესა თუ ის გემა. ვფიქრობთ, რომ გლობტიკურ ძეგლის დათარიღების დროს ამისათვის ავტორს სათანადო ყურადღება უნდა მიექცია. მაშინ მის მიერ გამოყვანილი თარიღები ამა თუ იმ ძეგლისათვის უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, თორემ ისე ავტორის სიტყვებს უნდა ვეწოდოთ უყოყმანოდ, რომ „ჩვენ ამ გემას ვათარიღებთ“... და სათანადო თარიღი მოჰყავს, მაგრამ რატომ, რისთვის ეს ყოველთვის არ ჩანს. გლობტიკუ-

რი მასალის მთლიანი კომპლექსიდან გამომდინარე ტით განხილვა არ უნდა იყოს მართებული. გვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ავტორი არ იყენებს სათანადოდ და ყურადღების გარეშე სტოვებს არმარსებებთან და ბაგინეთთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ ლიტერატურას. შეიძლება იმ ფაქტს, რომ იგი არ იყენებს „მცხეთას“ ტ. I, სადაც არმარსებები არქეოლოგიური ძეგლებია შესწავლილი, კიდევ რაღაც გამოართლება მოეძებნოს, იმის გამო, რომ, როგორც შესავალ ნაწილში აღნიშნავს ავტორი, მას ნაშრომი დასაბეჭდად გაუშვადებია 1954 წელს და ამიტომ ვერ შესძლო ამ ნაშრომის გათვალისწინება, რომელიც 1955 წ. გამოქვეყნდა. ეტკვათ ეს ასეც იყო. მაგრამ რიგი ნაშრომებისა არსებობს უფრო ადრე გამოქვეყნებული, სადაც ზოგი რამ მაინც იყო არმარსებების სამაროვნის შესახებ თქმული, ვფიქრობთ, რომ ეს ნაშრომები არქეოლოგებისა მაინც უნდა გაეთვალისწინებინა ავტორს. ამით მისი ნაშრომი უთუოდ მოიგება.

ნაშრომის გვ. 34 ავტორი იჩილავს ირანული წარმოშობის დღეთარიღებულ გემებს. როგორც ჩანს, მას არც უცდია მათი დათარიღება, მაგრამ ის მაინც უნდა აღნიშნა თუ რა დროის სამარხებში აღმოჩნდა ეს გემები. ამას, ეგებ, რაიმე სინათლე შეეტანა ამ საკითხებში.

ნაშრომი საერთოდ კარგი ენითაა დაწერილი. მაგრამ ზოგჯერ მაინც გვხვდება გაუგებარი ადგილები: „რაც შეეხება პართული ჯგუფის მდიდრულ სამარხებში მოპოვებულ ბეჭდებს“ (გვ. 28) აქ ისე გამოდის, რომ პართული ჯგუფის მდიდრული სამარხებია. ნამდვილად კი ავტორს უნდა ეთქვა, რომ მდიდრულ სამარხებში მოპოვებული პართული ჯგუფის ბეჭდებია.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მცირეოდენი შენიშვნები, რომელიც ჩვენ მ. ლორთქიფანიძის ნაშრომის მიმართ გავაკეთეთ, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ აყენებს ჩრდილს ამ უთუოდ მეტად საყურადღებო შრომას. წიგნი „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები“ ტ. II უთუოდ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ისტორიული მეცნიერებისა.



ვახვანგ სილაგონიძე

დვნიანის პირველი ქართული მთარგმნელი

1871 წელს სამი ახალგაზრდა კაცი შეეცადოდა ჩალაქ ციურის ეწვია. უმადლეს განათლებას მოწყურებულმა ქართველებმა უნივერსიტეტს მიაშურეს. ამ სამთავან ორის ვინაობა ჩვენთვის ცნობილია: ერთი მათგანი ვლადიმერ ნიკოლაძე იყო, მეორე კი ივანე მესხი.

ჯერ კიდევ ექვსი თვეც არ გასულიყო უნივერსიტეტში სწავლისა, რომ ვლადიმერ ნიკოლაძე უკურნებელი სენით შეპყრობილი ლოგინად ჩაეარდა. სამშობლოს მოშორებული ახალგაზრდები სასოწარკვეთილებას როდი მიეცნენ. ისინი თავს დასტრიალებდნენ თავიანთ მეგობარს და შეძლებისდაგვარად დახმარებას უწყევდნენ. მაგრამ ამათ გამოდგა ყოველგვარი ცდა. 1872 წლის 25 მაისს 22 წლის ვლადიმერ ნიკოლაძე გარდაიცვალა და მეგობრებმა მისი ცხედარი ციურის მიწას მიაბარეს.

ინტერესმოკლებულ არ არის გავეცნოთ ვლადიმერ ნიკოლაძის პიროვნებას და მის ჯერ კიდევ დღესაც მდებარე ლიტერატურულ დეპოსს.

ვ. ნიკოლაძე იყო გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და სასოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ღვიძლი ძმა.

გაზეთ „დროების“ რედაქციას ვ. ნიკოლაძისათვის დაუვალბია კორესპონდენტის მოვალეობის შესრულება და ისიც ენერგიულად შესდგომია საქმეს. „დროების“ 1872 წლის მეოთხე და მერვე ნომერებში მოთავსებულია მის მიერ ციურისიდან გამოგზავნილი ორი ვრცელი კორესპონდენცია, რომელთა შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდა ავტორი რამდენიმე თვეში შესანიშნავად გარკვეულა ევროპული პოლიტიკის რთულ პრობლემებში. იგი ენერგიულად თანაუგრძნობს ციურისის უნივერსიტეტში ქალთა განათლების უფლებათა დაცვის საქმეს. უნივერსიტეტში ქალთა განათლების საკითხზე გამართულ დავაში, რამაც მთავრობის ორგანოებამდე მიადგინა, ვ. ნიკოლაძე აქტიურად უჭერს მხარს ქალთა სამართლიან მოთხოვნას — მიეცეთ მათ უნივერსიტეტში განათლების მიღების უფლება.

ისტორიას შემოუნახავს ვ. ნიკოლაძის დღეობა, რაც არასრულად მოყვანილია გაზეთ „დროების“ ფურცლებზე მოთავსებულ მისი მეგობრის ი. მესხის კორესპონდენციაში. აი, ეს დღეობა:

„4 დეკემბერს, 1871 წელს, მოველი მე ციურისში. რასაკვირველია, სამშობლო იმიტომ მიატოვე დროებით და ასე შორს ჩამოველი, რომ აქ ერთი უმადლესთავანი სწავლა მივიღო. მიველი გზა ვფიქრობდი იმაზე, თუ რომელი სწავლა ვარჩიო მეტო: ქიმია, თუ მედიცინა? მაგრამ ყოველთვის, ბევრი ფიქრის შემდეგ მივგდი იმ აზრზე, რომ ქიმიას მე რიგინად ვერ ვისწავლო. ესოქეთ ვისწავლე ქიმია — რა გამოვა ჩემგან? თუ ვისწავლე, როგორც ფილოსოფოსიური სწავლა, მაშინ რასაკვირველია, შეძლება ჩემგან რამე გამოვიდეს. — მაგრამ ვისწავლო ისე, როგორც ძმამ მიჩინა! არა! მაშ მე ქიმიკოსი კი არა მზარეული ვიქნები, რომელმაც თუმცა საქმლის გაყეება კარგად იცის, მაგრამ არ იცის, რისგან არის ის შემდგარი, რა სავანი, რას უფრო მალე შეუერთდა და სხვ. მე რომ ქიმია ვისწავლო, ისე, როგორც ნიკომ დამარჩიო (ეს ნიკო ვლადიმერის უფროსი ძმა ნიკო ნიკოლაძეა. — ვ. ს.) ე. ქარხნის გასაკეთებლად და იმის საწარმოებლად, მაშინ მე ჩემს კუხს ვერაფერს მიუფიქრებდი. ჩემს სწავლას ვერაფერს შევქმნიდი... მინდა სამკურნალო მეცნიერებისაგან ორ სავანში ერთი ამოვიჩიო: ან ანატომია, ან ფიზიოლოგია. ამისათვის, რასაკვირველია, ჯერ მომზადება მინდა, მერე კიდევ გერმანულ ენა ვისწავლო კარგად.“

„სწავლას მოწყურებული ვ. ნიკოლაძე განუწყვეტელ ძიებაშია. იგი თავმდაბალი ახალგაზრდაა. დღიურში აცხადებს, რომ გერმანული ენა ჯერ კიდევ კარგად უნდა შეისწავლოს, მაგრამ ქვემოთ დავინახავთ, რომ მას ეს ენა კარგად უნდა სცოდნოდა. ლოგინში მწილარის, როცა მას ექიმები გონებრივ მუშაობას უკრძალავდნენ, ქართულად უთარგმნია დიდი გერმანელი განმანათლებლისა და მწერლის ლესინგის ერთი

საუკეთესო ნაწარმოები — დრამა „ბრძენი ნათანი“.

რით უნდა დაინტერესებულყო ვ. ნიკოლაძე, როცა მისი არჩევანი ლესინგის დრამის „ბრძენი ნათანი“ თარგმანზე შეჩერდა? ამის მიზეზია თავის ნაწარმოების თემა, მასში განვითარებული იდეები.

როგორც ცნობილია, „ბრძენი ნათანი“ ლესინგის თითქმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომელშიც ხაზგასმულია ხალხთა მეგობრობისა და ჰუმანიზმის იდეები. სამართლიანად წერდა გ. ნადირაძე: „ბრძენი ნათანი“ ლესინგის დრამატული შემოქმედების მწვერვალია, ის ასეთივე მწვერვალად რჩება განათლების ეპოქის მწერლობაში საერთოდ. ჩერნიშევსკი მასზე მალა აყენებდა მხოლოდ ვოეთეს „ფაუსტს“. და მართლაც საგანმანათლებლო ლიტერატურაში არ მოიძებნება მეორე ნაწარმოები, რომელშიც ხალხთა ამობის, კეთილშობილი ჰუმანიზმისა და რელიგიური შემწყნარებლობის იდეა გამოთქმული იყოს ისე ნათლად და დამაჯერებლად, როგორც ლესინგის დასახელებულ დრამაში“. (იხ. გოტჰოლდ ედრაიმ ლესინგი, „მინა ფონ ბარნჰელმი ანუ ჯარისკაცის ბედნიერება“. თარგმანი გ. ნადირაძისა, შესავალი წერილი „ლესინგი და საქართველო“, 1946, გვ. XIII-XIV).

ვ. ნიკოლაძის უდროოდ გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრე ი. შიხიძე „დროების“ რედაქციისადმი ვაგზავნილ წერილში წერს: „დღეს 27 მაისია, ერთი სამ ქართველთაგანი, 22 წლის ახალგაზრდა ვაჟი, ვლადიმერ ნიკოლაძე დავასაფლავებ ერთ აქაურ სასაფლაოზე. განსვენებული სულ ნახევარი წელი არ არის, რაც მოვიდა აქ იმ განზრახვით, რომ ერთს აქაურ უმადლეს სასწავლებელში მიეღო სწავლა. წარსული წლის დეკემბერში და 1872 წლის მარტის თვეში უბრალო გაცემაზე ჩაითრია. გამოჩენილი ექიმიც აღდა, მაგრამ ავადმყოფობამ მაინც თავისი გავიტანა და 25 მაისს 22 წლისა გამოეთხოვა ამ წუთისთვის. მე მის მახლობელ მეგობარს შემიძლია ვთქვა, რომ მისი ბედი ასე არ წარმართულიყო, აპირებდა სამშობლოში ლიტერატურის

თანაგრძნობა და დახმარება ჩვენი საზოგადოებისათვის.

„ავადმყოფობაში, როდესაც ექიმმა აუკრძალა იმისთანა მუშაობა, სადაც ჭკუის ნამეტანი ძალა იყო დასატანებელი და დასაღალავი, იმან აიარაია თარგმანისათვის მოეცა ხელი, სულ ცუდად რომ არ ყოფილიყო. აი, ამ დროს, ლოგინში შწოლარემ, გადათარგმნა იმან შესანიშნავი და ერთი უკეთესთაგანი დრამატული თხზულება ლექსი ლესინგისა „ნათანი ბრძენი“, საბრალომ ვეღარ მოასწრო, რომ ერთი კიდევ გადაეთვლიერებინა ეს თავის თარგმანი და შემდეგ დაებუკუნებინა, მაგრამ სრული იმედი მაქვს მე, რომ განსვენებულის ძმა, რომელმაც წამოიღო ყველაფერი იმისი ჭკუის ნაწარმოები, ერთ დროს გადახედავს იმას და შემდეგ დაბეჭდავს. სადაც რიგია. განსვენებული მარტო სიტყვით არ აცხადებდა თანაგრძნობას სამშობლო ლიტერატურისადმი და ცოტა რამე მაინც გააკეთა. მაგრამ ჩვენ დაწმუნებით შეგვიძლიან ვთქვათ. რომ შემდეგში ის არ დაემსგავსებოდა იმ ჩვენ ზოგიერთ მყვირალა ახალგაზრდებსა, რომელნიც ყველას გასაგონად ვითომც ბევრ სიკეთეს უქადებენ თავის სამშობლოს, მაგრამ ჯერ კი იმათგან ერთი ნატამალი არაფერი გვარი სიკეთეც არ გამოსულა“.

როგორც ირკვევა ვლ. ნიკოლაძეს 1871 წლამდე უთარგმნია გამოჩენილი ვერძანელი პოეტის ჰაინრიხ ჰაინეს პროზაული ნაწარმოები „საუბარი ტემზაზე“, რაც ვიორჯი წერეთელს დაუბეჭდია მის მიერ შედგენილ „ქრებულში“ (იხ. კრებული 1871, წიგნი 4, გვ. 127—142). ლესინგის „ბრძენი ნათანი“ მეორე და უკანასკნელი თარგმანი უნდა იყოს ვ. ნიკოლაძისა, რადგან ეს ნაწარმოები მან თარგმნა ლოგინში შწოლარემ მძიმე, უკურნებელი სენით შეპყრობილმა.

საინტერესო და აუცილებელიცაა მონიხოს ნიკო ნიკოლაძის არქივში უდროოდ დაღუპულ ვლადიმერ ნიკოლაძის მიერ გარმანულიდან ქართულად ნათარგმნი ლესინგის დრამა „ბრძენი ნათანი“ და სათანადო რედაქციითა და კომენტარით გამოქვეყნდეს.



კორა ნაკითხი

ქაღამაისა და ხალხის ბედი

(შენიშვნები მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე)

ფესტივალის კინოთეატრიდან

საკონკურსო ფილმებს კრემლის თეატრში უჩვენებდნენ.

ყოველ დღე მრავალ ენაზე მოლაპარაკე „ბედნიერთა“ გრძელი ნაკადი მიემართებოდა მანეჟის მოედნიდან კრემლის ალაყაფის კარებიან სპასკის კოშკთან, საათის ქვეშ და დარბაზში მსხდომ მაყურებელთაგან აღარავის აოცებდა ის ვარემობა, რომ ეკრანზე ნაჩვენები ფილმის გმირები მათ გვერდით ისხდნენ. რამდენი ნაცნობი, კინოფილმებიდან თუ ქურნალებიდან დამახსოვრებული სახე და რამდენი ახალი შეხვედრები ახლავს თან ფესტივალის ყოველ დღეს! რამდენი მოულოდნელი სიხარული მოაქვს ჭეშმარიტ ხელოვნებას!

ფესტივალის პირველ დღეს ნაჩვენები იქნა საბჭოთა კინოფილმი „ადამიანის ბედი“. ჩვენი საზღვარგარეთელი სტუმრებისათვის ამ ფილმის პირველად ნახვა დიდი მოვლენა იყო.

საბჭოთა მაყურებელმა თავის დროზე დიდად განიცადა ეს ფილმი. არავის დაგვაიწყებია აჩქარებული გულისცემა, ყელში მოწოლილი ზურთი და თვალზე მომდგარი ცრემლები. საბჭოთა ჯარისკაცმა ანდრეი სოკოლოვმა სასტიკი თრთბრძოლაში სძლია სიკვდილსაც, ნაღველსაც და მარტოობასაც და სამუდამო სიყვარული და საყუდარი ჰპოვა ჩვენს გულებში.

საბჭოთა მაყურებელს აინტერესებდა თუ რა რეაქციის მოახდენდა ფილმი საზღვარგარეთელ სტუმრებზე. აი, დარბაზში სინათლე აიწო. სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა სიჩუმე და მერე მქუხარე ტაშმა იგრიალა.

ტაშის ძალმ დადარბაზის კედლები შეაზანზარა. დიდხანს აღარ იშლებოდნენ ფესტივალის მონაწილენი, ყოველ მითვანს შთაბეჭდილებათა ვაზიარება სურდა. ბევრს თვალზე ცრემლი მოარეოდა.

აი, ზოგიერთი მითვანის შთაბეჭდილებანი:
— ეს ყველაზე უკეთესია რაც მე წელსა ვნა-

ხე. საოცრად რეალისტური ფილმი. იგი ერთნაირი ძალით იპყრობს გულსაცა და გონებასაც. მსახიობები ამ ფილმში კი არ თამაშობენ, არამედ ცხოვრობენ. — დონ ადამისი, ინგლისელი კინომსახიობი ქალი.

— როდესაც ვკითხულობდი „ადამიანის ბედს“, ნაწარმოებმა გამიტაცა, ხოლო როცა ვუყურებდი ფილმს, გაოცებული ვიყავ და ვტიროდი. — ჩუხოსლოვაკიელი პროფესორი ლიუბომირ ლინგარდი.

— ბონდარუჩის შესანიშნავ თამაშსა და რეჟისურასთან ერთად, ოპერატორის ფანტასტიური ოსტატობაც მინდა აღვნიშნო. ოპერატორი ბრწყინვალედა ჰფლობს სინათლესა და ჩრდილებს, რაც ფერების სრულ შეგრძნებასა და აღქმას იძლევა. — კენე ფანტი, შვედი რეჟისორი.

— ფილმი საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანებმა არ დაივიწყონ წარსული ომი, არ დაივიწყონ ის უბედურებანი, რომელიც ომმა მოუტანა კაცობრიობას, „ადამიანის ბედი“ უნდა აგონებდეს ახალგაზრდა თაობას, რომ ეს უბედურება აღარ უნდა განმეორდეს. — ლუზარ ლიპიეკი (ალბანეთი).

— მე ვფიქრობ, რომ ამ ფილმმა უნდა განსაზღვროს ფესტივალის პრობლემატიკა, „ადამიანის ბედი“ — აი, რა უნდა ადელვებდეს მთელი მსოფლიოს კინოხელოვანთა გულბს! — კოსტა ლანჩევი (ბულგარეთი).

ასეც მოხდა, ამ ფილმის სათაური იქცა ფესტივალის დევიზად.

დასავლეთ გერმანული ფილმი „ჩვენ ვუნდერკინდები ვართ“, ჭეშმარიტი სიმართლით მოგვითხრობს თაობათა ბედის შესახებ. მოქმედება 1923 წელს იწყება. ერთი პატარა პროვინციული ქალაქის პეროდრომზე ასაფრენად ემზადება პერონავტი, რომლის ეკიპაჟსაც სურს დაუმტკიცოს კაიზერის თავისი ქვეშევრდომული სიყვარული. ფილმი მთავრდება მიუნხენის სასაფლაოთი.



მაყურებელთა წინაშეა სხვადასხვა შეხედულების ახალგაზრდა აღმავანთა ცხოვრება. ფილმში ნაჩვენებია გერმანია უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში, თავისი დანაშაულებებითა და ტრაგიკული შეცდომებით, სახელმწიფოს სათავეში მდგომი კარგიერისტებითა და ავანტურისტებით.

ბონის გერმანიის აღორძინებასთან ერთად თავს წამოყოფს ბრუნო ტიხესი, ყოფილი ფაშისტი და გესტაპოელი. იგი ლანძღავს და ავიწყებს პიტლერს, მას აღარ ახსოვს თავისი მოღვაწეობა გესტაპოელთა ბანდაში, როცა მშვიდობიანი მოქალაქეების ოჯახებს არბევდა. მაგრამ მიუხედავად ამ ყაზბი ლანძღვა-გინებისა იგი ისევ ის ბრუნო ტიხესია, რაც პიტლერის დროს იყო. ბრუნოს, მისივე სკოლის ამხანაგი, პატიოსანი მშრომელი ჰანს ბეკელი ავლავს ნიღაბს სწორედ იმ მომენტში, როდესაც ბრუნო კვლავ ემზადება ხელისუფლების სათავეში ჩასადგომად.

ამ ფილმის რეჟისორი კურტ ჰოფმანი საუკეთესო პუბლიცისტი. მისი სატირა ამთარაზებს ფაშისტის აღორძინებასთან დაკავშირებულ მოვლენებს. კურტ ჰოფმანი გამბედავი სატირიკოსია. იგი უშიშრად უყურებს სიმართლეს თვალბეჭდში და ფხიზელი გონებით აფასებს თავისი სამშობლოს წარსულსა და აწმყოს. ტაში, რომელმაც ფილმის დასასრულს იქუხა, ფილმის ოსტატულად დამდგმელებთან ერთად კურტ ჰოფმანის დიდ მოქალაქეობრივ ვეჟაკობასაც ეკუთვნოდა.

ყველაზე ცხარე დაეა ფესტივალზე ნიჭიერი ფრანგი რეჟისორის ალენ რენეს ფილმმა გამოიწვია. ფილმის სათაურია — „ხიროსიმა ჩემო საყვარელო“. დაობდნენ ამ ფილმის ტექნიკური ზერხებით რამდენადმე გადატვირთულ ფორმის შესახებ, სადაც ზოგჯერ აზრი ბუნდოვანი ხდება. ზოგს ეჩვენებოდა, რომ ფილმის ავტორები ხიროსიმას ტრაგედიასა და იმ ფრანგ გოგონას პირად დრამას აიგებდნენ, რომელმაც გერმანელი ჯარისკაცი შეიყვარა. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ფილმი სადავოა. სხვადასხვა ადგილები ბევრმა სხვადასხვანაირად გაიგო. ერთი რამ კი აშკარაა, რომ ეს ფილმი შექარწყლებითა და ზიზღით მოგვიტონობს ყველაზე დიდი უხედურების — ომის შესახებ. ომისა, რომელიც ასახიჩრებს ახალგაზრდობას, ჰკლავს სიყვარულს და გონებას ატომის კომპარით მუქლავს.

ფილმის მხატვრული ზემოქმედების უზარმაზარი ძალა განისაზღვრება არა მარტო ფორმისა და მასში ჩაქსოვილი აზრის სიახლით, არამედ ხიროსიმას ტრაგედიის შესახებ არსებული დოკუმენტალური კინომატილის მარავე გამოყენებითაც. დღეობიერად შთაბეჭდილებას ტოვებს ფრანგი მსახიობი ქალის ემანუელ რივას თამა-

შიც. ესაა არაჩვეულებრივად დახვეწილი ტატობა.

აგრეთვე დიდი ინტერესი გამოიწვია მეორე ფრანგულმა ფილმმა — „განაჩენი“, რომლის რეჟისორიცაა ჟან ვალენი. ფილმი ამაღლებულად მოგვიტონობს ფაშისტების საწინააღმდეგო მოძრაობის შესახებ. ეს არ არის საგმირო-პათეტიკური ფილმი, ესაა ჩვეულებრივ აღმავანთა ისტორია. გადმოგვიცემს რა ხუთი სიკვდილმისჯილი აღმავანის მდგომარეობას, მსახიობები სრულდაც არ იფლობიან მელოდრამაში. აქაც, ისევე როგორც კინოფილმ „მარი ოქტომბერში“ მოქმედება ერთ ოთახში მიმდინარეობს. ოთახში დამწყვეტულ პატიმართა ბრწყინვალე დიალოგებზე გადადის ფილმის მთელი სიმძიმე.

ეს ფილმი ფრანგი კინემატოგრაფების მიერ კლასიკური დრამის პრინციპების აღდგენისა და მათი კინოზრებებში დანერგვის კიდევ ერთი მარჯვე ცდაა.

მაყურებელი კვლავ მოჰყავს აღტაცებაში ნიჭიერი ახალგაზრდა ფრანგ კინომატიზმთა ქალის მარინა ვლადის. განსაკუთრებით ამაღლებულია ის შინაგანი სიწმინდე და სულიერი სიმშვენიერე, რომელიც დამახასიათებელია მის მიერ განსახიერებული გმირი ქალისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ფილმში მონაწილე მსახიობები: მარინა ვლადი, რომერ ოსენი, როჟე ანენი და ფილმის რეჟისორი ჟან ვალენი იღებდნენ ახალ ფილმს, ისინი მაინც ჩამოფრინდნენ „განაჩენის“ განხილვისას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჟურნალისტებსა და კინოზრებების მუშავეებსაც ყველაზე მეტი შეკითხვები საფრანგეთის დელეგაციისთან ჰქონდათ.

კორესპონდენტების თხოვნით მარინა ვლადი ილაპარაკა თუ როგორ მუშაობდა იგი თავის როლში ამ ფილმში.

რა თქმა უნდა, მას არ ახსოვს ომისა და ოკუპაციის ამბები ისე კარგად, როგორც მის ქმარს რობერ ოსენისა და ზოგიერთ მის მხანაგებს, მაგრამ მისთვის გასაგებია კატერინას სახე. გასაგებია მისი წმინდა და ულამაზესი დეკორატიული მიმართ.

— ესაა ქალის მშვენიერი როლი, — თქვა მარინა ვლადი, — და მე მასზე დიდი სიყვარულით ემუშაობდი. ხოლო როდესაც როლს სიყვარულით ვეკვივები, ეს სიყვარული ეკრანზედაც გამოჩნდება. ჩვენ ყველანი ღრმად განვიცდიდით სურათის ამბებს და ხშირად ალალი ცრემლებითაც გვიტრიალი.

ცნობილმა ფრანგმა კინორეჟისორმა ჟორჟიანი ეაკმა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ბრწყინვალე ფილმების „ფანფან ტულანისა“ და „პარიის სავანეს“ მიხედვით, შეაფასა რა უკანასკნელ ფილმში გადაღებული საბჭოთა ფილმები, როგორც მსოფლიო კინემატოგრაფიის საუკეთესო ნიმუშები, დაასახელა აგრეთვე რამდენიმე ქარ-



თული ფილმიც: „თბილისიდან დაბრუნებულმა ჩემმა მეგობარმა ჟან ბეკერიმა ბევრი რამ გვიამბო რეჟისორ აბულაძის „სხვისი შვილების“ შესახებ. იგი ამ ფილმს ყველაზე საუკეთესოდ მიიჩნევს მის მიერ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ნახულ ფილმებს შორის.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სამშობლოში დაბრუნებული საფრანგეთის კინომოდერნიზმის დღევანდელი ისე გულთბილად იგონებდნენ ქართველ კოლეგებსა და მათ მასპინძლობას, რომ ყველას მოგვიდა თქვენი ქვეყნის ამ მშვენიერ კუთხეში ყოფნა“.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფილმებისა, სხვაც ბევრი იყო მნიშვნელოვანი და საინტერესო, ბევრი მსახიობის კარგად შესრულებული როლი დიდხანს დარჩება ფესტივალის მონაწილეთა ხსოვნაში. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩეხოსლოვაკურმა ფილმმა „ჩრდილიდან გაქცევა“. კიუბის მაღალი შეფასება დამსახურებს პოლონურ კინოფილმ „არწივი“ მოთამაშე მსახიობებმა.

მოსკოვის ფესტივალის დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან „აღმოაჩინა“ კინოხელოვნება მთელი რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ფესტივალზე თანაბარი უფლებებით იყვნენ წარმოდგენილნი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და ვიეტნამის, ამერიკისა და ინდონეზიის, საფრანგეთისა და პაკისტანის კინომოდერნიზმის, ისეთ ქვეყნებს, როგორებიც არიან ვიეტნამი, კორეა, ინდონეზია, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა, სადაც კინოხელოვნება ახლა იწყებს ჩასახვას, თავისი არსებობის მანძილზე პირველად მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი პროდუქციის ჩვენებისა. და ეს მეგობრული, კრიტიკული შენიშვნები, რომელიც გამოითქვა მათი მისამართით, უწყველია, დიდ დადებით როლს შეასრულებს ახალგაზრდა კინოხელოვნების შემდგომი განვითარების საქმეში. უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყნების მიერ წარმოდგენილ ბევრ სუსტ ფილმს ჰუმანიზმის მაღალი იდეები ედო საფუძვლად.

ფესტივალის საუკეთესო ფილმები უბრალო ადამიანების შესახებ მოუთხრობდა მაყურებელს.

ლაპარაკობენ კრიტიკოსები

ლიტერატორთა ცენტრალურ სასლში შეიკრიბნენ კინოკრიტიკოსები და ჟურნალისტები. საუბარი გაიმართა იმის ვარშემო, თუ რა როლს თამაშობს პრესა კინოხელოვნების განვითარების საქმეში. სიტყვებში გამოხსვდა ბევრსა სურდა, რეკლამენტზე გი არავინ ფიქრობდა. საუბარი დილაძემ გასტანდა, კრემლში შემდეგი ფილმის განხილვა რომ არ ყოფილიყო დანიშნული. „დრო კიდევ არ გვეყო“ — ამიოხრებს კრიტიკოსებმა და უხალისოდ წამოიშალნენ. საქმე იმაში იყო, რომ თეატრის ფოიეები ყოველ ორ ფილმს შუა დანიშნულ აოფუთიან შესვენებებზე

გაცხარებული კამათის ასპარეზებად იქცეოდნენ. სასაუშმოთა და დასაცვენებლად გამოყრდნობით წუთშიც კი ლაპარაკით გულის მოხება შეუძლებელი იყო, ამის გამო კინოკრიტიკოსები დროის ნაკლებობას უჩიოდნენ. ესაა ჩვენი მუდმივი შიშიშოი!, ხუმრობით იმეორებდნენ ხოლმე ისინი და ფრახას, რომელიც ამავე დროს ფესტივალზე ნახევარზე ერთ-ერთი მექსიკური ფილმის სათაურიც იყო.

ბლოსდაბოლოს, 15 აგვისტოს გაიმართა სტუდენტთა შეხვედრა ამ მოუხდენარი ხელობის ადამიანებთან. შეხვედრა ხუთ საათნახევარს გაგრძელდა... მაგრამ დრო მიინც საყოფი არ აღმოჩნდა.

თქვეა ამჯერად მაინც მოხერხდა ბევრ საკითხზე ლაპარაკი და შეთანხმებაც პირველყოფნისა ამ შეკრებაზე დაიხსნა საკითხი იმის შესახებ, რომ ზუსტად იქნას ფორმულირებული თანამედროვე კინოკრიტიკის ამოცანები.

თავისი აზრი გამოთქვა როსტისლავ იურენევმა. მან აღნიშნა, რომ ყველა ქვეყნის კინოკრიტიკოსებს ურთიერთკავშირში მყოფი ორი ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი:

პირველი ის, რომ გააგებინონ და შეაყვარონ მასებს კინოხელოვნება, შეაყვარონ ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობენ ფილმის შექმნაში. მეორე ამოცანა კინოკრიტიკოსების იმაში მდგომარეობს, რომ მათ ზემოქმედება უნდა მოახდინონ ხელოვნებაზე, მხარი უნდა დაუჭირონ ყოველივე ახალსა და მოწინავეს, მკაცრად გაამართახონ უხამსობის ყოველგვარი გამოვლინება.

პოლონელმა სპეციალისტებმა ვერ ტეპლიცმა ამ წინადადებებს მიუმატა კიდევ რამდენიმე თავისი მოსაზრება, რომელიც დამსწრეთ ეროსლოვნად მიიღეს. მისი აზრით კინოკრიტიკოსი პასუხს აგებს მაყურებელთა გემოვნების განვითარებაზე. აღზრდაში — თქვა მან, — ჩვენ ხშირად მხოლოდ იდეოლოგიურ აღზრდას ვეულისხმობდით და საცხებით ვივიწყებთ აღზრდის სხვა ელემენტებს, რომელთაგანაც ყალიბდება ბელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები. ხშირად ჩვენ ფილმებს ვაქვებთ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ავტორებს კეთილი განზრახვები ჰქონდათ.

პროფესორმა ტეპლიცმა კიდევ ერთი მოსაზრება გამოთქვა, მისი აზრით — კრიტიკოსი რეჟისორს არ უნდა ცეცხლდეს, არ უნდა იძლეოდეს მის მაგივრად რჩევა-დარიგებებსა და შენიშვნებს, თუ როგორი უნდა იყოს სცენარი და როგორ უნდა ასრულებდნენ მსახიობები როლებს ამა თუ იმ ფილმში. მისი აზრით კრიტიკოსი მაყურებლის მოზიციანზე უნდა იღვას და აქედან ასაბუთებდეს თავის შეხედულება-მოსაზრებებს.

ამ განსაზღვრებამ ცხარე კამათი გამოიწვია, რომელიც შეხვედრის ბოლომდე არ შეწყვეტულა.

პირველი, რომელმაც ამ წინადადების საპასუხო აზრი გამოთქვა, იყო პრადის ხელოვნათ-



მცოდნე პროფესორი ლინგარდი. მან თქვა, რომ კრიტიკისი მართო ესთეტი როდია, არამედ მებრძოლიცაა. მას მხარი დაუჭირა საბჭოთა კრიტიკისმა კლადომ. ჩვენს ადგილს მხატვრის გვერდზე ეკ არა, მხატვრის წინაა, ჩვენ უნდა ევსმარებოდეთ და ვკარნახობდეთ მას. ორატორები ლაპარაკობდნენ დიდხანს და ვატყებთ, და ყველაზე საკვირველი ისაა, რომ საბოლოოდ ყველანი ერთი აზრისა აღმოჩნდნენ. მაგრამ კამათმა მაინც უშველა მათ თავთავიანთი პოზიციების უფრო ზუსტად გარკვევაში.

უფო კაზირაგიმ (იტალია) ილაპარაკა იტალიური ნეორეალისმის კონსიზზე. ამ მიმდინარეობის რეესისორებმა დაკარგეს ვაჟაცობა, — თქვა მან, — ამით აიხსნება ისეთი არაფრის მთქმელი ფილმის შექმნა, როგორცაა „ზამთრის არდადეგები“.

ცნობილმა ფრანგმა ხელოვნებამცოდნემ ეორჟ სადულმა და ამერიკელმა ჟურნალისტმა სინტია გრინიემ ერთნაირი შეფასება მისცეს მოსკოვის ფესტივალზე წარმოდგენილ ფილმებს. მოსკოვის ფესტივალმა მოგვცა „ალამიანის ბედი“ და მსოფლიოს კინოხელოვნების ფართე სურათი წარმოგვიდგინა. ფესტივალმა ხელი შეუწყო მთელი რიგი ქვეყნების ნაკლებად ცნობილი კინოხელოვნების გამოშუქერებას.

იმისათვის, რომ იყო ნამდვილი კინოკრიტიკოსი — თქვა სინტია გრინიემ, — აუცილებელია კარგად იცნობდე სხვადასხვა ქვეყნების კინოს ისტორიას. კინოკრიტიკოსთა აღზრდას დიდად შეუწყობს ხელს ძველი, საარქივო სურათების რეგულარული გაცვლა-გამოცლა.

ბელგარული ჟურნალის „კინოხელოვნების“ რედაქტორმა სტოიანოვმა წინადადება შეიტანა დაარსდეს საერთაშორისო კრიტიკული ჟურნალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მთელი მსოფლიოს პროგრესული კინოკრიტიკოსები.

მხოლოდ ერთხელ იყო კინოს ისტორიაში მთელი მსოფლიოს კინოკრიტიკოსთა მუშაობის გაერთიანების ცდა, — გაიხსენა იურგენევა, — ეს მაშინ, როცა ბელგიის ფილმატეკამ მოითხოვა 114 წამყვანი კინოკრიტიკოსის აზრი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ საუკეთესო ფილმების შესახებ. ასეთი სახის კავშირები უნდა გაფართოვდეს, უნდა გამოინახოს თანამშრომლობის ახალი ფორმებიც.

ურთიერთი თანამშრომლობაზე იყო ლაპარაკი კინობროდუსიორთა თათბირზეც, რომელიც სსრკ კინემატოგრაფიის მუშაკთა საორგანიზაციო კომიტეტის მცირე დარბაზში გაიმართა.

როგორც გამოირკვა, იმ თათბირზე თავმოყრილ კინობროდუსიორებს, რეესისორებსა და კინოხელოვნების სხვა მუშაკებს საერთო კინოდადგამათა პრობლემები აღელვებდათ. ბევრი ქვეყნის კინობროდუსიორმა საბჭოთა კავშირის კინორეესისორებთან ერთად საერთო ფილმის გადაღების სურვილიც გამოთქვა.

უბუცესმა გერმანელმა რეესისორმა კარლ ჰაუსტერლიცმა, რომელიც „ჰაუსტერლიცსა“ ღვაძს, იბოივა რუს კინოსმასობათა მონაწილეობა ამ სურათში.

ნაწილობრივი აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა საერთო დადგამათა პრინციპების ჩამოყალიბებისას.

პრადის კინოსტუდიის დირექტორი ელუარდ გოფმანი ამტყვებდა, რომ საერთო დადგამათა დროს სცენარის შექმნაშიაც ორივე ქვეყნის სცენარისტები უნდა იღებდნენ მონაწილეობას. ფრანგმა რეესისორმა ანდრე მიშელმა ამის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. მისი აზრით, ასეთი მეთოდით მუშაობისას ავტორის შემოქმედებით ინდივიდუალობას საფრთხე ექმნება.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ღრმა და ქვემარტივი ურთიერთნდობა, — აღნიშნა კინოფილმ „განაჩენის“ პროდუსიორმა რენალმა. — მხოლოდ ასეთ ვითარებაშია შესაძლო ორივე ქვეყნის კინომაყურებელთა შორის წარმატების მოპოვება. მხოლოდ მაშინ იქცევა გაერთიანებული კინოდადგმები კინოს მუშაკთა ნამდვილ შემოქმედებით სკოლად.

მშვიდი ფორმულა და მწვავე პრობლემები

საკითხი — „სცენარი, როგორც ლიტერატურის ერთ-ერთი სახე“ — ჩვეულებრივად ძღერს. მაგრამ ამ თემაზე ლიტერატორთა ცენტრალურ საბჭოში გამართულმა დისკუსიამ ცხადყო, რომ ამ, ერთის შეხედვით აკადემიურ სახელს იქით მწვავე, ღრმა და ამაღლვებელი პრობლემები დგას.

გამოჩენილმა ფრანგმა სცენარისტმა შარლ სპაჟმა მოუთხრო მოსკოველ კოლეგებს, თუ რა ბედი ეწია მის სცენარს: „თავისუფლება, ძმობა და თანასწორობა“. კარგა დღეა დრომ გაიარა ამ სცენარის დაწერის შემდეგ, მაგრამ ფილმი დღემდე არსადა ჩანს. არა ჩანს იმიტომ, რომ არ არის სახსრები ამ ფილმის გადასაღებად, თუ კი ასეთი ბედი ეწია გამოჩენილ სცენარისტს, ახალგაზრდა დრამატურგებმა რაღა უნდა ქანა.

საბჭოთა კინოდრამატურგმა კაპლერმა დამსწრეთ მოუწოდა, რომ გამოინახონ ისეთი თემები სცენარებისათვის, რომელთა რეალიზაციაც შესაძლებელი იქნებოდა სხვადასხვა ქვეყნების კინემატოგრაფისტთა საერთო ძალდონით. ვანა ცოტა თემები როდია, რომლებიც ერთნაირად აღელვებს ფრანგს, რუსს, ჩინელსა და ამერიკელს.

პულ ვეისმა (გდრ) წინადადება შეიტანა შეიქმნას საერთაშორისო გამოცემლობა, სადაც სხვადასხვა ენებზე დაიბეჭდებოდა ხოლმე სცენარები.

ჩვენ დიდ იმედებს ვაყარებთ ფესტივალზე, — თქვა ტუნისის ინფორმაციის მინისტრმა მოსმუდომ, — ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აქ ვნა-

ხათ სხვადასხვა ქვეყნების რეჟისორებს, რომლებიც დადგამენ ჩვენ სცენარებს.

კამათის ქარიშხალი ატეხა პოლონეთის ჟურნალ „ფილმის“ რედაქტორის იაცკევიჩის გამოსვლამ.

იაცკევიჩმა პარადოქსალური განცხადება გააკეთა იმის შესახებ თითქოს „სცენარი აუცილებელი ბოროტებაა კინემატოგრაფიაში“. იგი ამტკიცებდა, რომ სცენარი მხოლოდამხოლოდ ესკიზის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი და რომ კინოხელოვნების აყვავება მაშინ დაიწყება, როცა რეჟისორი საბოლოოდ დაამარცხებს სცენარისტს.

შეგხო რა რეჟისორისა და სცენარისტის ურთიერთობის ამ მტკივნეულ საკითხს, იაპონელმა სცენარისტმა რაიჯუმ მოსწრებულად შეაღარა იგი ოჯახში არსებულ ურთიერთობას. ხოლო ჟორჟ სადლუმმა მხარი მისცა ამ ხუმრობას და თქვა, რომ სრულფასოვანი სცენარის „დაბადებისათვის“ დედაცა და მამაც ერთნაირადაა სა-

ჭირო. და რომ რეჟისორისა და სცენარისტის უფლებები თანაბარი უნდა იყოს.

ხუმრობებსა და მეტაფორებს ისრაელის დელეგაციის მეთაურმა ბატონმა არელმაც მოაყოლა მახვილი აზრი. მან თქვა, რომ ეს საუკუნე არა მარტო „დაკარგული თაობის“, არამედ ნაპოვნი ხალხების საუკუნეცაა. ამის მაგალითია გამოღვიძებული აფრიკის ხალხები. ამ ქვეყნების კინოხელოვნება ხელს უწყობს მსოფლიოს ხალხებს ამ ახალი ქვეყნების ცხოვრების გაგებაში.

დამთავრდა შემოქმედებითი დისკუსიები. ფესტივალის მონაწილე კინემატოგრაფისტები თავიანთ ქვეყნებში გაეშურნენ. მაგრამ ის ჯანსაღი ატმოსფერო, რომლითაც გაელენთილი იყო მოსკოვის ფესტივალი, მრავალი წლების მანძილზე მოგვემს ნაყოფს. ფესტივალმა შემოქმედებითი მეგობრობისა და ამხანაგობის ვითარებაში ჩაიარა. კინოხელოვნების ღრმა ინტერესებისა და მისი მთავარი მიზნის— ხალხის სამსახურის ნათელი ადგა მოსკოვის კინოფესტივალს.



ავსტრია

გაბრიელ ბრამსტრეტი

ვენის ისტორიულ მუზეუმში გაიხსნა ავსტრიაში ერთ დროს მეთად პოპულარული პირველების, ხიერონიმ ლიოშენკოლის გრავიურების გამოფენა. ამ საინტერესო მხატვარმა და გრავიორმა სპილენძზე ამოტვიფრულ გრავიურებში ასახა თითქმის ყველა მოვლენა, რაც კი მომხდარა მეოთხედი საუკუნის მანძილზე ვენის მჭკვეთარ ცხოვრებაში. ლიოშენკოლის გრავიურები XVIII ს-ის ვენის ყველა გაზეთში იბეჭდებოდა. ცნობილია ლიოშენკოლის 700-დე გრავიურა, რომლებზეც გამოსახული არა მხოლოდ მისი თანამედროვეების ყოველდღიური ცხოვრება, ტანსაცმელი, ზნეჩვეულება და ქალაქის ხედები, არამედ მისი დროის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებიც. ეს გრავიურები ამ 150 წლის წინანდელი ცხოვრების ამსახველი ძვირფასი ისტორიული დოკუმენტია.

ალჟირი

პატრიოტების ხმედარი

როგორც აღიარებული პრესა იუწყება, ხუთმა ალტერელმა სტუდენტმა, რომლებიც საფრანგეთის პოლიციამ შეიპყრო პატრიოტული საქმიანობის გამო და დაეხმად გაუსამართლებლად სხედან პარიზის ერთ-ერთ საპურობილეში, დაწერეს წიგნი „განგრენა“ — სატუსაღოში გადატანილი ყველა განსაცდელის შემადრწუნებელი ქრონიკა. წიგნი დაიბეჭდა, მაგრამ პოლიციამ კონფისკაცია

უყო, როგორც „უტიფარ სიცრუეს“. წიგნის აკრძალვამ საფრანგეთის მოწინავე საზოგადოებაში აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია, რადგან პოლიცია ცდილობს დაფაროს და მიჩქმალოს, თუ რა გესტაპოსებური მეთოდებს იყენებს პატრიზების მიმართ. პროტესტს მიემხრნენ თვით დეგოლის მთავრობის წევრებიც — კულტურის მინისტრი მწერალი ანდრე მალრო და იუსტიციის მინისტრი ედმონ მიშლე, პიტლერული საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი პატიმარი. მწერალი ფრანსუა მორიაკი წერდა გაზეთ „ექსპრესში“, თუმც მინისტრებიც კი აღშფოთდნენ, მაგრამ „განგრენა“ კვლავ კონფისკაციაში იწვიოდა და პოლიციაც, ისევე როგორც ყველა პოლიცია, დაუსჯელი დარჩა.

აშშ

„ფაუსტი“ ამერიკულ ჟაღაღებზე

ბროდვეიზე რეკლამები იუწყებიან, რომ კინოპროდუქტების ბილი დიამონდი, მეტსახელია „ოქროს ხელი“, დგამს ახალ ფილმს — „ერთი ხელიანი, სახელია ფაუსტი“, რომლის გადაღებაც მ მილიონი დოლარი დაჯდება. რეკლამა მაყურებელს აცნობს სცენარის მოკლე შინაარსს: ჯონ ფაუსტი, ნიჭიერი პატიოსანი, მაგრამ არცთუ დიდი პრაქტიკული ჰკუის მქონე მეცნიერი, მუშაობს „სუფთა“ წყალბადის ბომბის შექმნაზე. მის ლაბორატორიაში შემპარება ვინმე მეფ-ინ-შტოფელი — არაბი კომუნისტების საიდუმ-

ლო აგენტი, რომელიც ცდილობს მისი ცდების ჩაშლას. მეფ-ინ-შტოფელი იქცევა მეფისტოფელად, ამქვეყნიურ სიამეთა მეშვეობით აცოუნებს ჯონ ფაუსტს და გულს აუცრუებს მუშაობაზე — ეგრანე ერთთემორეს ცვლის შიშველი ლამაზმანების მთელი სერია, კაზინოსა და ღამის კაფე-შანტენების კადრები.

მაღე თამაშში ჩაერთვება მარგარიტაც, რომლის მამაც სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთ განყოფილებას განაგებს. ჯონ ფაუსტის ვადასარჩენად მარგარიტა მოხიბლავს მეფისტოფელს (მეფ-ინ-შტოფელს), ხელთ იგდებს მას და მიპვრის ანტიამერიკული საქმიანობის ბიუროს. ფილმში უხვად იქნება ღამის კაბარების თვალისმოშვებელი რვეუ-მარგარიტას როლს ასახიერებს მარლენ ივორი, რომელმაც სახელი გაითქვა მას მერე, რაც ითამაშა ფილმში — „ზეგ ჩემი სიკვდილის დღე“. ნატურის სცენებს ტალიანდსა და კანარის კუნძულებზე გადაიღებენ. ფილმში მოწაწილეობას მიიღებენ 300 ქალიშვილი, შეიქვხე ამერიკული ფლორის რამდენიმე შენაერთი და... კანადის ჰოკეისტთა გუნდი.

ჯეკ კუზანი და ჩაპლინის ვაჟი

ფართოგერანია ფილმში „გაბრუებული სიკაბუკე“ მაყურებელი კვლავ იხილავს ჯეკ კუზანს, ოდესღაც სახელგანთქმულ მსახიობ ბიჭუნას, რომელიც ჩარლი ჩაპლინმა აღმოაჩინა. ფილმი, რომელშიც თამაშობს აგრეთვე ჩაპლინის უფროსი ვაჟი, ხმას იმადლებს



ნარკოტიკების ხმარების წინააღმდეგ, რაც მეტად გავრცელებულია თანამედროვე ამერიკელ ახალგაზრდობაში. მოქმედება ვითარდება ამერიკის ერთ-ერთ კოლექში.

უიტიმენის მუშაობა

ამას წინათ უოლტ უიტიმენის მშობლიური სახლი უიტ-ჰილში მუზეუმად გადააკეთეს. დიდი პოეტის მშობლიურ ქაღალქში კვლავ გამოდის მის მიერ 1839 წელს დაარსებული ყოველკვირეული ორგანო „ლონგ აილენდერს“.

ბელბია

დღემდე უცნობი

ცნობილმა ბელგიელმა მხატვარმა ფრანს მაზერელმა მოაწყო თავისი „ჩინური ალბომის“ ნახატებისა და გრაფიკის გამოფენა, რათა ბელგიელებს გააცნოს თანამედროვე ჩინეთი, რომელსაც ოფიციალურად არ სცნობს ბელგიის მთავრობა. მაზერელმა, რომლის შემოქმედებასაც კარგად იცნობენ და სიყვარულით ეკიდებიან ჩინეთში, გამოუფენაზე გამოიტანა 40 ტილო, რომლებზეც ასახულია ჩინეთის კომუნები, ქუჩის ცხოვრება, მშენებლობები, წარმოებები და ჩინეთის მრავალფეროვანი ბუნების პეიზაჟები. თავისი გამოფენით მხატვარმა აღმოაჩინა დასავლეთ ევროპისთვის დღემდე სავსებით უცნობი და ახალი სამყარო.

ბულგარეთი

თანამედროვე პიანო

სოფიის ეროვნულმა თეატრმა ამას წინათ დადგა ცნობილი ბულგარელი მწერლის გეორგ კარასლავოვის პიესა — „ქვა ჰაობში“, რომლის სიუჟეტი აგებულია ბულგარეთის თანამედროვე სოფლის ცხოვრებადან. ამ სპინტერესულ დაწერილ პიესაში აღწერილია პირადი ღრამა აღმავლისა, რო-

მელმაც ვერ სძლია წვრილბურჯუაზიული ჩვევები; ამის ბრალი იყო, რომ მან დაუშვა აუარება შეცდომა პირად ცხოვრებაში, მოსწყდა კოლექტივის და დაცვა მეურნეობა, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა. დრამატურგს ნაჩვენებია აქვს ამ შეცდომებისა და ნაკლოვანებების დაძლევის რთული პროცესი.

ბანა

ფილმი ბანას შესახებ

კინოსტუდია დეუა (გდრ) განას კინოკომპანიასთან ერთად იღებს დოკუმენტურ ფილმს, რომელშიც ნაჩვენებია იქნება ახალი განა, მისი ხალხი და მისი ბუნების სიმდიდრე და სილამაზე.

„ბანას ხმები“

განას კულტურის სამინისტრომ გამოცვა საინტერესო წიგნი — „განას ხმები“. აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს ეს ლიტერატურული დოკუმენტი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში თავმოყრილია ხალხური პოეზიის ნიმუშები ქვეყნის 5 მთავარ ენაზე და იქვე მოცემული ინგლისური თარგმანით, ხოლო მეორეში შედის განას ხალხის ეროვნულ-განათავისუფლებელი ბრძოლით შთაგონებული ნაწარმოებები.

ბერმანი

ბერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

22 წლის მერა

ლაბოციეში გაიხსნა წიგნის კაზულობის საერთაშორისო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობს 25 ქვეყანა.

„კარგი წიგნი ლამაზიც უნდა იყოს, — განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილემ ერისკენდტმა. — და გამოყენდა ამოცანად ისახავს სწორედ იმას, რომ წიგნი არა მხოლოდ შინაარსით, არამედ გაფორმებითაც

აქმაყოფილებდეს ხალხს ცხოველურულ მოთხოვნილებებში.

გამოყენაზე წარმოდგენილია სტანდები: „წიგნზე მუშაობა, სოციალისტურ ქვეყნებში“, „საბავშვო წიგნი სოციალისტურ ქვეყნებში“ და სხვ. ისტორიულ განყოფილებაში ნაჩვენებია ილუსტრაციები, წიგნის გამოცემა და გრაფიკული წარმოება ბელგიაში, დანიაში, დასავლეთ გერმანიაში, ინგლისში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, სკანდინავიის ქვეყნებში და სხვ.

ამ გამოფენასთან დაკავშირებით ილუსტრატორებისა და გრაფიკოსებისათვის გამოცხადდა საერთაშორისო კონკურსი თემაზე — „მშვიდობა მსოფლიოს“, გამოცხადდა აგრეთვე კონკურსი სტამბის მუშაკებისათვის.

საბჭოთა კავშირმა გამოუფენაზე წარადგინა გრაფიკისა და წიგნის ილუსტრაციის ამხანაველი 300 ექსპონატი.

გაზეთი „ნოვის დიონიანდ“ ამ გამოფენას „დიდმნიშვნელოვან მოვლენას“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ ლაბოციეში ასეთი გამოფენა 1927 წლის მერე აღარ ყოფილა.

სკულპტურული ანსამბლი

რავენსბრიუკეში დამთავრდა სკულპტურული ანსამბლის აგება. ანსამბლს 1,5 ჰექტარი ფართობი უკავია. 7 მ სიმაღლის ზედიზედმოთავარი თვითლია ზაქანზე, რომელიც შექრილია შვედურში. აქ მდებარეობდა მეორე მსოფლიო ომის დროს ქალთა საკონცენტრაციო ბანაკი. ანსამბლის მთავარი ფიგურა — ქალი, რომელიც სვედიანად იცქირება იქით, სადაც ყრდენენ გესტაპოელთა მიერ მოკლულ და დაშვარ ქალთა გერძებს, — შექმნა ვილი ლამერტმა.

ანსამბლის გახსნის ცერემონიალზე მიწვეული არიან ანტიფაშისტური და წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე ქალთა წარმომადგენლები მთელი ევროპიდან. ყოფილი ბანა-

კის შესასვლელთან ქვაზე ამოტვიფრულია ანტიფაშისტის მწერალი ქალის ანა ზეგერისის ხიტყვები.

ბაბელსბერგის კინოსტუდიაში

დაიწყო ფილმის „ციური მინის“ გადაღება. ფილმი მოგვითხრობს ახლისა და ძველის შეჯახებაზე გდრ-ს სოფლებში. რეჟისორია ჰელმუტ შნაიდერი, მთავარ როლებს ასრულებენ პეტერ შტურმი, კაროლა ბრაუნოვი, მალი დელ-შაუტი, ჰორსტ კუბე, ელერსი, შოლცი და სხვ.

დასასრულს უახლოვდება ფილმის „მდუმარე ვარსკვლავის“ გადაღება. ფილმი, რომლის სცენარსაც საფუძვლად დაედო სტანისლავ ლემის განთქმული ფანტასტიური რომანი „სიკვდილის პლანეტა“, გადაღებულია პოლონეთის კინოფირმა „დიუსიონთან“ ერთად. რეჟისორია ნაცონალური პრემიის ლაურეატი კურტ მეტცინგი. როლებს ასრულებენ ნაციონალური პრემიის ლაურეატი გუნტერ სიმონი, კურტ რეკელმანი, იპონელი მსახიობი ქალი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იოკო ტანი, ჩეხოსლოვაკელი მსახიობი ოლდარიჩ ლუკასი, პოლონელი მსახიობი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იგნას მახოვსკი, ჩინელი მსახიობი ტან-ჰუ-ტა და კენიელი იულიუს ონგევე.

ახალი წიგნები

გდრ-ს 10 წლისთავთან დაკავშირებით მრავალი ახალი წიგნი მზადდება გამოსაცემად. გამომცემლობა „აუფბაუ“ გამოსცემს ანა ზეგერისის ახალ რომანს, რომელიც 1947-51 წლების ცხოვრებას ასახავს. რომანში მოქმედება წარმოებს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიაში. გამომცემლობა ამზადებს აგრეთვე თანამედროვე მწერლების ახალი მოთხოვნების კრებულს, 4 ანთოლოგიას, თანამედროვე სოციალისტური პროზისა და

ლირიკის კრებულს, პროლეტარულ-რევოლუციური ლირიკის ანთოლოგიას.

გამომცემლობა „დიტე“ ამზადებს რეპორტაჟების კრებულს — „ქუმბეზე, რომლებსაც ჩვენ ვაზნენთ“. წიგნი ასახავს მშენებლობებს გდრ-ში. გარდა ამისა გამომცემლობა გამოსცემს წიგნებს გდრ-ს შექმნის, მისი პოლიტიკური და ეკონომიური აღმავლობის შესახებ.

ანთოლოგია „თავისუფლების სუნთქვა“, რომელსაც უშეგებს გამომცემლობა „როეს ლებენ“, მოიცავს პატრიოტულ მთხრობებს 20 სხვადასხვა ერის ლიტერატურიდან, მოყოლებული ანტიური ხანიდან დღემდე.

ბერკანის ფედერაციული რესპუბლიკა

საერთო პენ-კლუბი

მიუნხენში შეიქმნა დასავლეთგერმანელი და აღმოსავლეთგერმანელი მწერლების საერთო პენ-კლუბი. ამას წინათ აქ შესდგა ახლახან გარდაცვლილი პოეტის ბებერის ხსოვნისადმი მიძღვნილი ერთ-მთლივი სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ორივე ნაწილის კულტურული ცხოვრების მრავალმა წარმომადგენელმა. ცნობილმა ჰამბურგელმა გამომცემელმა ერნსტ როვოლტმა თავის გაშვებულ წიგნში განაცხადა, რომ მალე გამოვა ბებერის რომანი — „გამოთხოვება“. მან თქვა, უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია დასავლეთ გერმანიის მეთხველებსაც გავაცნო დიდი პოეტის შემოქმედება.

ბალზანი ოპერაში

ახალგაზრდა გერმანელმა კომპოზიტორმა მიხეილერ კლემემ დაწერა ოპერა ბალზანის „შაგარინის ტყუილი“ სიუჟეტზე. ოპერა დიდი წარმატებით დაიდგა დიუსელდორფის საოპერო თეატრ „რინში“.

პლაგიატორის თაგბუშქა

ამას წინათ გამოვიდა ლიტერის წიგნი სათაურით — „ფალსიფიცირებული დონ-კიხოტი“. ავტორმა გულდასმით შეისწავლა და გამოავლინა ნაწარმოებები, რომლებიც ამათუ მი წიგნით წარმოადგენენ მსოფლიო ლიტერატურის შედევრების ურცხვ პლაგიატს. მან გამოარკვია, რომ ყველაზე მეტი პლაგიატი ჩადენილია „დონ-კიხოსის“ მიმართ, მას მოსდევს „რომინჯონ კრუზო“, „ახალგაზრდა ვერტერის ვენზანი“ და ჰაინეს რამდენიმე ლექსი.

საერთაშორისო გიბლი-რთიკა

დახაუს საერთაშორისო კომიტეტის ინიციატივითა და ბავარიის მთავრობის შემწეობით დახაუს ყოფილი სასიკვდილო ბანაკის ერთ-ერთ ბარაკში მოეწყო საერთაშორისო ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილი იქნება ყველაფერი, რაც დაწერილია ამ საკონცენტრაციო ბანაკში ან მის შესახებ — წიგნები, ბროშურები, საგაზეთო სტატიები, პატიმართა დღიურები, საიდუმლო ანგარიშები, პატიმრებზე ჩატარებული „სამეცნიერო ცდების“ შედეგები, წერილები და სტატისტიკური მონაცემები. ახალი ბიბლიოთეკა გახდება ფაშისტთა ბარბაროსობის შესახებ არსებული ისტორიული დოკუმენტების მნიშვნელოვანი ცენტრი.

პოლა ნებრი კვლავ მკარანეა

გერმანელი კინორეჟისორი ვილჰელმ დიტერლე ამჟამად იღებს ფილმს „მალალი წრების ქალბატონი“, რომელშიც მთავარ როლს — ჯაშუს ქალს ითამაშებს მუნჯი ფილმების სახელგანთქმული გერმანელი მსახიობი ქალი პოლა ნებრი.



ჩემიონი — მთავარ როლი

მწერლის მთავრობა და კინორეჟისორი ლუის ტრენკერის წერს კინოსცენარს, რომელსაც წელსვე გადაიღებენ.

ტრენკერს სურს რეალისტურად გადმოგვცეს მთელი დრამატიკა, რომელიც თანხდევს თავისი მიუჯვარობით ცნობილი მთის აიგერის ჩრდილო კედელზე ასვლას და რომლის ცდაც მრავალ მთავრობებს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ფილმში მთავარ როლს შეასრულებს მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი სათხილამურო სპორტში ტონი ზაიდერი.

ეგვიპტე

პირველი საბალეტო დანი

ჰაიროს ოპერის თეატრში გამოვიდა ეგვიპტის პირველი საბალეტო ანსამბლი. გაზეთების წერენ, ამ ანსამბლის შექმნა უდიდესი მოვლენაა დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, და აღნიშნავენ, რომ ესაა საბჭოთა ბალეტებისტიკის ა. შუკოვის მრავალი წლის შრომის შედეგი.

ესპანეთი

მწერალების პროტესტი

ინგლისური გაზეთის „ტაიმსის“ „ლიტერატურულ დამატებაში“ ამას წინათ გამოქვეყნდა ესპანელი მწერლების მნიშვნელოვანი ჯგუფის მიერ იუნესკო-ში გაგზავნილი ვრცელი წერილობითი პროტესტი ფრანკისტულ ესპანეთში ლიტერატურისა და შეხედულებათა თავისუფლების აუტანელი ჩახშობის წინააღმდეგ. ჩანს, ესპანეთი წევრია იუნესკო-ს, ამ საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომლის ზოგი სხდომა ესპანეთშიც ტარდება ხოლმე. ესპანელი მწერლები თავის პროტესტში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ

ესპანეთში გამეფებული „სამაგი ცენზურის“ — რელიგიური, პოლიტიკური და ზენობრივი ცენზურის — ფორმები მკვეთრად ეწინააღმდეგება იუნესკო-ს პრინციპებს. ესპანეთის წიგნის მაღაზიებში აკრძალულია ბალზაკის, სტენდალის, კანტის, ჰემინგუეის, ფოლკნერის, სარტრის, მორავიას ნაწარმოებების გაყიდვა. იმ დროს, როცა რელიგიური ცენზურა უმთავრესად უცხოური ლიტერატურის წინააღმდეგაა მიმართული, პოლიტიკური ცენზურა ესპანელ მწერლებს ებრძვის. ამ წლის დასაწყისში ცენზურამ შეუტია მწერალთა ახალგაზრდა თაობას, რომელმაც „გაბედა“ სოციალური ქვეტექსტით წერა. ზენობრივი ცენზურა უფრო თვით მწერლებს გადაარაგებდა, ვიდრე მათს ნაწარმოებებს. გასაგები მიზეზების გამო პროტესტის ავტორთა გვარები „ტაიმსში“ მოყვანილი არ არის.

ჯავრი იპარა

სეველიელი მხატვარი რამონ სეგარა შეუთანხმდა საგადასახადო სამმართველოს, რაკი ფული არა მაქვს, გადასახადს „ნატურით“ — ჩემი სურათებით მოვართმევთ. მხატვარმა ყოველ წელს ორ-ორი სურათი უნდა „გადაიხადოს“. ფადასახადო ტვირთით აღმუშავებულმა სეგარამ ჯავრი იმით იყარა, რომ საგადასახადო სამმართველოში წარსადგენი სურათებისთვის შემდეგი თემები აირჩია: „ალი-ბაბა და 41 უჩაღი“, „კალიის შემოსევა“, „ქირისტე ტაძრიდან ერეკება ჩარჩ-ვაკრებს“, „სისხლისმწოველა წურბელების ნატურმოტი“ და სხვ.; როგორც ჩანს, საგადასახადო სამმართველოში მიუხვდნენ ამ ქარაგმებს, რადგან შესთავაზეს. გადასახადის დასაფარავად უფრო ნეიტრალური თემები შეარჩიეთ.

ოპერა სხვა დაამთავრა

განთქმულ ესპანელ კომპოზიტორს მანუელ დე ფალას, რომელიც 1946 წ. გარდაიცვალა, დაუმთავრებელი დარჩა ოპერა „ატლანტიდა“. კომპოზიტორმა ერნესტო ზაეტერმა, მრავალი წლის მუშაობის შემდეგ, შესწავლა დაუმთავრებელი ნაწარმოები ანდალუსური ხალხური სიმღერების მოტივების მიხედვით. ოპერის დადგმა განზრახულია მომავალ წელს „ლა სკალას“ თეატრში.

ფრანკისტული მორალი

ფრანკისტული ესპანეთის ხელისუფლებამ აკრძალა ვარსია ლორკას ნაწარმოების „ბერნარდს“ მიხედვით გადაღებული კინოფილმის ჩვენებები მიზეზით, ფილმის სიუჟეტი „ჩირქს სცხებს ესპანური ოჯახის ზნეობას“.

ვიეტნამი

გამოყვანა ბერლინი

ბერლინიში გაიხსნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ძველი და ახალი ქანდაკებისა და ფერწერის გამოფენა, რომელიც მოაწყო უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის გაღრმავების მიზნით. გამოფენის ხელისუფლებამ და სახვითი ხელოვნების მუშაკთა კავშირმა. გამოფენა საერთო წარმოდგენას იძლევა დღევანდელსა და ძველ ვიეტნამში სახვითი ხელოვნების განვითარების შესახებ. აქ წარმოდგენილია აბრევირებულ ლაიტი, აკვარელით შესრულებული საუცხოო ნამუშევრები, ჩუქურთმა ხეუ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს IX, XII, XV ს. ს. ქანდაკებათა ბრწყინვალედ შესრულებული ასლები.

ინგლისი

გამოჩენილი მსახიობის შიშინი

გამოვიდა გამოჩენილი მსახიობის, შექსპირის როლების

განთქმული შემსრულებლისა და შექსპირისული მემორიალური თეატრის ერთ-ერთი მთავარი მსახიობის მაიკლ რედგრეივის წიგნი — „ნილაბი და სახე“. წიგნიშ შეტანილია მთელი რიგი გამოკვლევები შექსპირის პერსონაჟების ინტერპრეტაციის, კინოხელოვნების პრინციპების, სტანილაუცის შემკვიდრებობის და მსახიობის მახურებელთან კავშირის შესახებ. წიგნმა მთელი მსოფლიოს მსახიობთა წრეებში უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

შექსპირული ფილმები

ინგლისის კინოარქივის მუშაკებმა დაადგინეს, რომ სადღისოდ ყველაზე ამოჩენებულ „კინოსცენარისტა“ შექსპირი, რომლის პიესები 100-ზე მეტ კინოფილმს დაედო საფუძვლად.

ჰუნიან კულტურული მემკვიდრეობას

ლონდონის ერთ-ერთ აუქციონზე 14.000 გირვანჯა სტორლინგად გაიყიდა 1481 წლის პირველი ინგლისური ილუსტრირებული გამოცემა, ვინსენტ დე ბოვეს წიგნი — „სამყაროს სასწაულები“. ეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობა შეიძინა ერთმა ნიუ-იორკელმა წიგნის კოლექციონერმა, რომელმაც აგრეთვე 4.000 გირვანჯა იყიდა სენსერობის ლექსების პირველი — 1590—1596 წ. გამოცემა.

იტალია

„დიდი ოთხეული“

იტალიაში შეიქნა მოსამზადებელი კომიტეტი კონფერენციისა, რომელსაც უახლოეს ხანში მოიწვევენ ვენეციაში. კონფერენციის დღევინი იქნება: „იუმორი—მშვიდობის მიწებისათვის“. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მრავალი ქვეყნის ცნობილი მსახიობები, ჟურნალისტები, პოლი-

ტიკური მოღვაწეები. მიწვეული იქნება მსოფლიო იუმორის „დიდი ოთხეული“ — დენი კეი (აშშ), ალექ გინენი (დიდი ბრიტანეთი), ოლეგ პაპოვი (სსრკ) და ფერნანდელი (საფრანგეთი), რომელთა მონაწილეობითაც შემდეგში განზრახულია ერთობლივი ფილმის გადაღება.

„დაბიანები და მგლები“

ასე ეწოდება ახალ ფერად ფილმს, რომელსაც საფრანგეთი და იტალია იღებენ. ფილმი ღრმად რეალისტურია, რაც ასე დამახასიათებელია მისი ავტორის ჯუზეპე დე სანტისისთვის.

ფილმის მოქმედებას მივყავართ იტალიის მკაცრ მთებში მდებარე ლატაკი სოფლებისკენ, რომელთა მკვიდრნი არაა დაბიანური ვაჟაკობითა და სიმტკიცით უმკლავდებიან საშინელ სიღატაკეს. ეს მაღალდაბიანური გრძნობითა და სითბოთი გამსჭვალული ფილმი ნილაბს ხდის კაპიტალისტური წყობის უსამართლობას.

განთქმულმა მსახიობებმა ივ მონტანმა და სილვანა მანჯანომ მშვენიერი თამაშით ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი დიდი აქტიორული ნიჭი.

მელნიო ვეიტსოგენ

ამას წინათ ვატკანის მახლობლად წარმოებული გათხრებისას ერთ-ერთ ძველ რომაულ სამარხში წააწუნდნენ ანტიკურ საწერ მოწყობილობას: ორ ბრინჯაოს სამეღრეს, გასართლულ ფირფიტებს, წვერმავილ ხტილოს (კალამს) და პემზის ნატეხს (ეს უკანასკნელი საშუალების მაგივრობას სწევდა).

არქეოლოგები განსაკუთრებით დაინტერესდნენ სამეღრეში შემონახული ზსნართი. ანალონი გამოირკვა, რომ იგი შედგება ჭვარტის, შავი შიფერისა და ფისის ნარევისაგან. მელნის შემადგენლობის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენი-

ჭება, რადგან ამიერკავშირში საძიებელი იქნება შემცდომულად გამოირკვეს, თუ დაახლოებით რა თარიღისაა ესა თუ ის ძველი ხელნაწერი და ყალიბის თუ არა, ე. ი. უფრო განაღვის თუ პრაიოდისა თუ ნავლინად მიეკუთვნება მიჩნეულ ეპოქას.

ფილმი გოლდონის ცხოვრებაზე

საფრანგეთ-იტალიის კინომუშაკები ამზადებენ ერთობლივ ფილმს განთქმული იტალიელი დრამატურგის გოლდონის ცხოვრების შეაებ. ფილმს იღებენ ვენეციასა და პარიზში. გოლდონის როლს შეასრულებს იტალიელი მსახიობი მარჩელო მასტროიანი.

„როგორ იბადება კინოსცენარი“

საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ვენეციაში ლაფენიჩეს თეატრმა დაიწყო წარმატებით აჩვენა პიესა „როგორ იბადება კინოსცენარი“. ეს ორმოქმედებანი პიესა დაწერა რენარე მავტინომ, რომელიც, როგორც ცნობილია, ავტორია მსოფლიოში განთქმული მრავალი იტალიური ფილმის სცენარისა. პიესაში მავტინომ გამოიყენა თავისი გამოცდილება ამ დარგში და ეს სახელმწიფეტილი მწერალი, კინოსცენარისტი, გამოჩენილი ჟურნალისტი და მხატვარი ახლა მშვენიერ დრამატურგად მოგვეცინა.

იუბოსლავია

ლოლობრიჯიდა იუბოსლავიაში

ამ წლის ბოლომდე გადაიღებენ საფრანგეთ-იუბოსლავიის ერთობლივ ფილმს „აუსტერლიცი“, რომელიც მიძღვნილია 1805 წ. აუსტერლიციის ბრძოლისადმი. ქალის მთავარ როლს შეასრულებს ჯინა ლოროლსიგადა. დანარჩენ მთავარ როლებს ასრულებენ ჟერარ ფილიპი და კერი გრენტი. მოსამზადებელი სამუშაო-



ები უკვე დამთავრებულია. ფილმს მთლიანად იუფოსლავიაში გადაიღებენ.

„მადამ სან-ფენის“ შემდეგ ეს მესამე ფილმია, რომელსაც წელს იღებს საფრანგეთ-იუგოსლავიის კინომრეწველობა ლოლოზბრიჯიდან მონაწილეობით.

კანადა

შესასირობელი ფესტივალი

დაიწყო ტრადიციული შექსაირული ფესტივალი, რომელიც მთვებს გასტანს. ფესტივალზე „ოტელის“ და კომედიის „როგორ მოგაწონებთ“ დადგმაში ერთმანეთს ეჯობებოან კანადისა და ინგლისის სახელგანთქმული თეატრალური დასები. გარდა ამისა, კონცერტების სერაიაში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის კონტინენტისა და საბჭოთა კავშირის ყველაზე სახელგანთქმული მუსიკოსები.

კანადური პომეჩის ანთოლოგია

გამოვიდა ძველი და ახალი კანადური პოეზიის ანთოლოგია, რომელშიც შედის 82 პოეტის ლექსები. ამ გამოცემის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისურ ენაზე დაწერილ ლექსებს გარდა აქა კანადის ესკიზისა და ინდიელ პოეტების ლექსების თარგმანი.

კუბა

ჰემინგუეის სცენარი

დაიწყეს გადაღება ფილმისა, რომელიც ასახავს კუბაზე მომხდარ რევოლუციას, კუბელი ხალხის ცხოვრებას და ფილმის კატროს მეთაურობის დროს კუბაზე მომხდარ ცვლილებებს. სცენარი ეკუთვნის ერნესტ ჰემინგუეის, რომელმაც განაცხადა: „მე კარგად ვიცნობ კუბას და მინდა ამ ფილმში გამოვყენო აქ შექმნილი გამოცდილება. მე მიყვარს კუბელი

ხალხი და მინდა ამით მაინც ვემსახურო მას“.

ბოლონეთი

ფილმი „თოვლის ალაშიანაში“

ცნობილი კინოსტუდია „ხირენა“, რომელმაც უკვე გამოუშვა მრავალი სატირული ფილმი, ამჟამად აშადადებს ფილმს სახელწოდებით — „იიტა“ ა. ჩეკალესა და ა. ბრუავესის სცენარის მიხედვით. ფილმი მოგვითხრობს იტალიაში მოცულ „თოვლის ალაშიანაში“, იტალი, რომელსაც ეძებენ, ბოლოს იპოვიან და ცივილიზაციას აწაიარებენ.

„არ მიღალატინა, მსოფლოდ დავეშობიცი...“

საუშვის ეროვნული მობლიოეის ხელნაწერებში იპოვნეს წერილი, რომელშიც სახელგანთქმული ინგლისელი მწერალი ჯოზეფ კონროდი ცხადდება, რომ ის წარმოულობით პოლონელია და რომ მისი ნამდვილი გვარია კორენევესკი. „მე პოლონელად ვგრძობ, ჩემს მეორე სახელს კი იმიტომ ვაწერ, რომ უცხო ბავებმა არ დამაზინჯონ ჩემი ნამდვილი გვარი. არ მიღალატია ჩემი სამშობლო პოლონეთისთვის, მე მხოლოდ დავუშტკიცე ინგლისელებს, რომ შლიახტის შეუძლია იყოს მათსავეთ კარგი მეზღვაური, და რომ მას ბევრი რამ აქვს მოსაყული მათს ენაზე“. ეს წერილი, რომლის ადრესატია ვინმე იოზეფ კორენევესკი (უთუოდ ნათესავი მწერლისა), პოლონურადაა დაწერილი, ხელმოწერა „კონროდ კორენევესკი“. წერილი დაწერილია 1901 წელს.

რუმინეთი

ჰმირვასი ალმოჩინაბი

შავი ზღვის სანაპიროზე, მანგალიაში (საბერძნეთის ყოფილი კოლონია კალატისა), რუმინელმა არქეოლოგებმა გათხრების დროს აღმოაჩინეს

ევროპაში პირველი პაპირუსული რომელიც 2.800 წლისაა. არქეოლოგთა აზრით ეს პაპირუსი უნდა შეიცავდეს ლიტერატურულ ან ისტორიულ ბერძნულ ტექსტს. პაპირუსის რესტავრაციისთვის მიიწვიეს მოსკოვში პროფესორი ნ. ა. ალექსანდროვსკი.

აქვე აღმოაჩინეს სხვადასხვა მოუცანილობის ჭურჭელი, რომელიც 1.800 წელზე მეტი ხნისაა. ჭურჭელი არაჩვეულობრივად მსუბუქი და ლამაზია. ეს ძეგრფასი აღმოჩენა ამჟამად რუმინეთის არქეოლოგიურ მუზეუმშია გამოფენილი.

რუმინეთის გული 500 წლისაა

წელს, სექტემბრის მიწურულს, რუმინელმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა საუყარელი დედაქალაქის 500 წლისთავი.

ამ დიდ ზეიმთან დაკავშირებით ბუქარესტში ვახსნა ისტორიის მუზეუმი. მუზეუმის თავმოყრითაა 5.000-ზე მეტი ექსპონატი, რომლებიც ნათლად ასახვენ ბუქარესტსა და მის გარეუბნებში დასახლებულ ხალხის საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების მთელს ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე.

აქ ინახება ჩარჩოში სათუთად ჩასული ქალღი, რომელიც თუმცა უმთავესისაგან ოდნავ გაუვითლებულა, მაგრამ მაინც არასოდეს არ იტყვით, 500 წლისაა. ეს საბუთი მოგვითხრობს, რომ მ საუკუნის უკან. 1459 წლის 20 სექტემბერს, ვალახეთის მრისხანე თავაღმა ვლადამა ვასცა ბრძანება, რომელშიც პირველადაა მოხსენიებული მდინარე დიმბოვიცაზე მდებარე ციხისმავრე ბუქარესტი. სწორედ აქედან იწყება ქალაქის ისტორია.

აქვე მოთავსებული მასაღები მნახველს აცნობს, თუ რამდენჯერ დანგრეულა ბუქარესტი თურქი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლებში, მაგრამ ყველათვის წამომდგარა, მხრები ვაუშლია და უკვე



XVII ს. შუა წლებში ვალახეთის დედაქალაქი, ზოლო უფრო გვიან — გაერთიანებული რუმინეთის პოლიტიკური მაჯისცემის ცენტრი გამხდარა.

ბუქარესტის ისტორიის ახალი ფურცელი და მისი განვითარების ახალი ერა დაიწყო 1944 წლის 24 აგვისტოს, ფაშისტური უღლისაგან მისი გათავისუფლების დღეს. თანამედროვე ბუქარესტი ევროპის ერთ-ერთი უღმაწეხი და დიდი ქალაქია 1.800.000 მცხოვრებით.

უამრავი ისტორიული, არქიტექტორული და ხელოვნების ძეგლები, 19 მუზეუმი, მეცნიერებათა აკადემია 24 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტით, ცნობილი კ. ი. პარსონის ხან. უნივერსიტეტი 5 ფაკულტეტით, 18 უმაღლესი სასწავლებელი, 5 უღიდები ბიბლიოთეკა, 24 თეატრი, 14 მთავარი კინოთეატრი — აი არასულენუსხა დედაქალაქის იმ საუღეისა, რომლითაც სამართლიანად ამჟამბს რუმინელი ხალხი.

საზარანგითი

აბსტრაქტული მხატვრობის „შპანასკნული სიტყვა“

რეპორტიორმა არტ ბუზვალდმა გაწეუთ „ნიუ-იორკ ბერალდ ტრიბუნის“ პარიზის გამოცემაში გამოაქვეყნა აღტაცებული სტატია აბსტრაქტული მხატვრობის „უჯანსაღი სიტყვის“ შესახებ — ესა ახალგაზრდა პარიული მოქანდაკისა და გამოგონებლის ჟან ტენგელის „საუცხოო“ მანქანა, რომელიც დაახლოებით 10 წუთში „ხატავს თქვენს საკუთარ აბსტრაქტულ ნახატს, რომელიც არაფრით არ ჩამოუფარდება, რომელიც გნებავთ სურათის, ახლა რომ იყიდება“. „მეტაბოტაქური მანქანის“ შექმნელი აღტაცებულია ამ თავისი გამოგონებით. მანქანას აქვს მავ-

თულის ხელი, თქვენ შეგიძლიათ ამ ხელში სურვილისამებრ ჩააწყოთ და ცვალოთ ფერადი ფანქრები ან ფუნჯები, ახე რომ მისი „ნაშუშევის“ შედეგი მუღამ შემოქმედების ახალი ნაწარმოები იქნება — მანქანა არასოდეს ირჯერ არ დახატავს ერთსა და იმავეს. გამომგონებლის აღტაცებას იწვევს ისიც, რომ თითქმისად მეტა-მექანიკა „ახდენს მხატვრობის მთელი საქარის რევოლუციას: ყოველი ადამიანი სულს ხიღრმეში მხატვრობა, მანქანის შემწეობით კი ყველას შეეძლება ხატვა“... ადამიანი — ანვითარებს თავის იდეას ბ-ნი ტენგელი — გვეუღინება თანავტორად, ამიტომ მანქანა ნახატს უროავს წარწერას: სურათი შექმნა ამან და ამან ამა და ამ მეტა-მატაქურ მანქანასთან ერთად. ცხადია, კომენტარები ზედმეტია, მოგვყავს მხოლოდ ერთი ციტატი არტ ბუზვალდისა, რომელმაც თავის აზრანავთან, მხატვრულ კრიტიკოსთან ერთად გამოსცადა მანქანა № 9: „გვრწმობდით, რომ ჩვენი ნახატები გამოასხივებენ ხიობოს, სინათლეს და სტოლს. ისე ზედწიერები ვიყავით, რომ კინაღამ ყირაზე დავდექით“.

სიფრიზანა ზრამფირიშობა

საფრანგეთში გამოიგონეს გრამფირიშობა, რომელიც სულ 2 გრამის იწონის. ფირიშობა ქაღალდის ფურცელივით თხელია, არ იმტვრევა, შეგიძლიათ დაეცოთ და დაქუჭუნოთ, ჩანაწერ ხაზებს კი არაფერი მოუფა.

რინე კლერის სცენარები

გალიმარის გამოცემლობამ პარიზში კრებულად გამოსცა განთქმული ფრანგი კინორეჟისორის რინე კლერის ხუთი უჯანსაღი ფილმის სცენარები, რომელთა ავტორიც თვით რინე კლერია. კრებულის სახელწოდებაა „კომედიები და

კომენტარები“. ყოველი ფილმის ნარს თან ახლავს ავტორის შეკრიბილი თვითკრიტიკა და მრავალი საინტერესო აზრი და შენიშვნა მხატვრული შემოქმედების შესახებ.

ფრანგული ახალი ფილმი

განთქმული ფრანგი კინოკომიკოსი ფერნანდელი მონაწილეობს ფილმში „ჩუქე და ქროხა“; ფერნანდელი თამაშობს პიტლერელთა მიერ შემპრობილ ფრანგ ტყვეს, რომელიც გამოიპარება ბანკიდან და მოიპარავს ქროხას, რათა უფრო ადვილად გადავიდეს სახლგარეშე.

დიუმა — სამზარეულო წიგნის აბტორი

ქალნე ცოტა ვინემ თუ იტის, რომ აღუქანდრე დიუმაში — „სამი მუშეკეტრისა“ და „გრავ მონტეკრისტოს“ სახელგანთქმულმა ავტორმა, დაწერა აგრეთვე სამზარეულო წიგნი, რომელიც გამოიცა ისინი სიკვდილის შემდეგ, 1878 წელს. წიგნის დაწერაში მონაწილეობდა აგრეთვე ახალგაზრდა ანატოლ ფრანსი.

ამის წინათ ეს წიგნი ხელახლა გამოსცეს საფრანგეთში. წიგნი, გარდა სამზარეულო რეცეპტებისა, შეიცავს პატარა პატარა მოთხრობებს, რომელიც მოცემულია ისტორიული და კულტურული ცნობებით.

ექსპერიმენტული ფილმი

პარიზში იღებენ ექსპერიმენტულ ფილმს, რომელშიც არ იქნება მოქმედება. თელი ფილმის მსვლელობის მანძილზე მაყურებელი ეკრანზე დინახავს მხოლოდ მახაიბო ჟან გაბენს. ის წარმოადგენს უსახლეკაროს, რომელიც რივიერაზე ჩამოსულა და ათახნაირი თავგადასავალი გადახდომია.



სინტაქსური

კოლონიალიზმის წინა-აღმდეგ

სინტაქსურის ახალმა მთავრობამ დადგინა აიკრძალოს ისეთი ფილმების შემოტანა, რომლებიც ქებას ასხამენ ან ამართლებენ კოლონიალიზმს, აგრეთვე ამტარებენ ან დასცინიან ფერადკანთან ადამიანებს.

სირია

მსოფლიოს უძველესი ძალაძირის ისტორია

არაბული ქვეყნების ლიგამ არაბ ისტორიკოსს ელ მონაჯედს შესთავაზა დასწეროს ქალაქ დამასკოს ისტორია. მეცნიერი ამზადებს მსოფლიოს ამ უძველესი დასახლებული ადგილის ისტორიის 80 ტომიან გამოცემას.

უნგრეთი

კომპოზიტორი ჰაიდანი და თამაზი მსტერაჯი

უნგრეთის მავნატების თავად ესტრეპაზების კარზე ერთ დროს ცხოვრობდა მუსიკოსი და კამელმისტერი, შემდეგში საქვეყნოდ განთქმული იოსებ ჰაიდანი. ესტრეპაზების აზრით მუსიკოსი არა მარტო თავისი ნიჭითა და მუსიკით, არამედ სულითაც კი მათს საგვარეულო კუთვნილებას შეადგენდა მსგავსად ასეთული ათასობით ჰექტარი მიწისა, ცხე-კოშკებისა, საჯინიზოებისა და სხვა უძრავ-მძრავი ქონებისა. კომპოზიტორის ერთ-ერთი დანიშნულება, მათი აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ მუსიკით დაეტკობ მათი უდიდებულესობის ოჯახის წევრთა ნატივი სმენა.

განვლი თითქმის 200 წელმა, მაგრამ თავადთა აზრი და მსოფლმხედველობა თითქმის არ შეცვლილა. ესტრეპაზების საგვარეულო არქივში მრავალი ათეული წლის მანძილზე მტკრით იფარებოდა ჰაიდანისა და სხვა კომპოზიტორთა

ოპერებისა და სხვა სახის მუსიკალურ ნაწარმოებთა მანუსკრიპტები, მათი მიმოწერა და მომავალ თაობათათვის ძვირფასი და საჭირო სხვა დოკუმენტები.

უნგრეთის სახალხო ხელი-სუფთების გამარჯვების მერე ესტრეპაზების ნაშეიერებმა უცხოეთს მიაშურეს და, რა თქმა უნდა, საგვარეულო არქივიც თან გაიყოლიეს. საბუნდევროდ მათ ვერ მიახწერეს ყველაფრის გასოფლა. ის, რაც დარჩა, ხელისუფლებამ უნგრელი ხალხისა და მთელი კაცობრიობის წმიდათაწმიდა რელიკვიად გამოაცხადა და სათუთად მოვლელი ინახადა.

ამის საქვეყნოდ აღიარება მოუხდა ამას წინათ ცნობილ ამერიკელ მუსიკისმცოდნეს რობინს ლონდონს. საქმე ისაა, რომ ჰაიდნის მუსიკალური შემოქმედებობის შესწავლისას მას დასჭირდა ოპერის „მთვარის სამყაროს“ ავტორისეული ტექსტი. მან თხოვნი მიმართა აშშ-ში ვაშინგტონში მცხოვრებ ესტრეპაზს ერთ-ერთ ნაშეიერს, ნება მიბოძეთ გავეცნო ამ ოპერის ხელნაწერის ფოტოაპირსო. ესტრეპაზის ვეილიებმა მუსიკისმცოდნეს აუწყეს, მისი აღმატებულება ვერ დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას, რადგან ჰაიდნის მუსიკალური შემოქმედებობა მათი საგვარეულო საკუთრებააო. მაშინ ლონდონმა გადაწყვიტა გასცნობოდა ოპერის დედანს. ამ მოწინათ ბუდაპეშტს გაემგზავრა. უნგრეთის ხელისუფლებამ მას ფართოდ გაუღეს ესტრეპაზისეული არქივი.

მკვლევარი ორჯერ ჩავიდა უნგრეთის დედაქალაქში, სადაც აღმოაჩინა ჰაიდნის მთელი ოპერის — „საეჭვო ერთეულები“ ავტორისეული ტექსტიც. აშშ-ში ოპერა გამოსაყვამად მზადდება, ხოლო მისაპრემიერა შედგება წელს ბუდაპეშტში და მიეძღვნება დიდი კომპოზიტორის საიუბილეო თარიღს.

ამერიკელმა მუსიკისმცოდნეებმა ეს ამბავი დაწვრილებით უამბო ამსტერდამში გამართული პრესკონფერენციის მონაწილეებს. პრესკონფერენციას მრავალი ქვეყნის ჟურნალისტი ესწრებოდა. ვარშვის ვაჭრის „ტრიბუნა ლიუბლი“ კორესპონდენტმა, ამ კონფერენციაზე დამსწრე რომან შილდოვსკი წერს, რომ „ადვილად წარმოიდგენთ ბურჟუაზიული ქვეყნების ჟურნალისტთა გაცივანებს, როცა ამერიკელმა მუსიკისმცოდნემ ჰატივიტციმისა და ღრმა მადლობის გრძნობით მოიხსენია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა და მისი ხელი-სუფთადი. ერთ-ერთი ბურჟუაზიული მუსიკისმცოდნე-კრიტიკოსი დაჟინებით ცდილობდა წამოეცდინებინა მისთვის დღევანდელი უნგრეთის აუცილებელი ლონდონმა ერთ-ხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა ის კეთილი განწყობლება, რომელიც გამოიჩინეს მსადაში უნგრეთში და ის ცვიი უარი, რომელიც მიიღო ესტრეპაზის ნაშეიერისგან“.

უნგრული კლასიკოსის წარმატება

უნგრული კლასიკოსის კალმან მიკსატის რომანი „წმიდა პეტრეს ქოლგა“ უკვე საჟურთარგმნა ჩეხურ ენაზე. პირველი გამოცემის მერე დიდი ხანი არ ვასულა, რომ ჩეხოსლოვაკურმა კინემატოგრაფიამ გადაიღო ფილმი ამ რომანის მიხედვით. რომანი თარგმნილია აგრეთვე გერმანულ და რუმინულ ენებზე, ხოლო ინგლისში რამდენიმე თვის მანძილზე 8-ჯერ გამოცა. ეს პოპულარული რომანი დღემდე ნათარგმნია 17 ენაზე, მათ შორის ჩინურზეც.

ჩინოსლოვაკია

„რომეო, ჯულიეტა და ბნელი“
იან ოტჩენაშეკის ნაწარმოებები დიდი ხანია მკითხველთა

ჩინეთი

XVI საუკუნის მავზოლუმები

ვაიხსნა ჩინეთის იმპერატორ ვან ლის მავზოლუმები (ვან ლი ჩინეთს განაგებდა 1573—1620 წლებში). ეს ნამდვილი მიწის-ქვეშა სასახლე ცნობილია ტიპის მავზოლუმების სახელწოდებით. ხანგრძლივი ძიების შემდეგ არქეოლოგებმა მიაკვლიეს მიწისქვეშა სასახლეს შესახველელ გზას. მისი გათხრა დაიწყო 1957 წელს, ახლა უკანასკნელი წვრილმანი აღდგენით სამუშაოები დადრჩა. მეცნიერებმა მიზნად დაისახეს მავზოლუმში გაეხსნათ წელს, რათა ფართო საზოგადოებრიობას უკვე შესძლებოდა მისი დეტალირება. მავზოლუმში, რომლის სიგრძეა 80 მეტრი, ხოლო მიწისქვეშა სიღრმე 20 მეტრზე მეტი, სავსეა აუარება საინტერესო ისტორიული მასალებით, ხელოვნების ფასდაუდებელი ნაწარმოებებით, ოქროს ქურქლით და სხვ.

ქურადღებას იმსახურებენ. მის რომანს „მოქალაქე ბრისი“ დიდი წარმატება ხვდა როგორც ჩეხოსლოვაკიაში, ისე სხვა ქვეყნებშიც. საფრანგეთის გამოცემლობამ „ელიტერ ფრანსე რეიუნიმ“ დიდი ტირაჟით გამოცდა ეს რომანი, ხოლო მოკლე ხანში მეორედ გამოცემეს („მოქალაქე ბრისი“ დაბეჭდა აგრეთვე საბჭოთა ჟურნალმა „Иностранная литература“). იგივე გამოცემლობა ბეჭდავს ოტჩენაშეკის ახალ რომანს — „რომეო, ჯულიეტა და ბნელეთი“, რომელიც ფრანგულად თარგმნა ფრანგმა პოეტმა და პროზაიკოსმა ფრანსუა კერელმა. წიგნის ერთვს ლუი არაგონის წინასიტყვაობა, რომელშიც ნათქვამია: „...ეს არის ნაყოფი უკვე მომწიფებული პროზაიკოსისა, ნიჭიერი ნაწარმოები, რომელსაც თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია“.

ამ წიგნს მაღალ შეფასებას

აძლევენ აგრეთვე პროგრესული ფრანგი მწერალი ანდრე ვურმსერი, რომელიც ვრცელ სტატიას უძღვნის რომანს გაზეთში „ლეტრ ფრანსე“ და მწერალი რეჟი ბერჟერონი გაზეთში „იუმანიტე“.

რეჟისორი ირჟი ვაისი, ავტორი ცნობილი ფილმებისა „მგლების ხაფანგი“ და „ასეთია სიყვარული“, ამ საინტერესო წიგნის მიხედვით იღებს ახალ ფილმს.

ერთობლივი გამოფენა

პრალაში მოეწყო მწერლების, მხატვრების, არქიტექტორების, თეატრალური მოღვაწეებისა და კინემატოგრაფიის მუშაკთა ნამუშევრების გამოფენა დევიზით — „ჩეხოსლოვაკიის მებრძოლი ხელოვნება“. გამოფენის მთავარი მიზანია აჩვენოს ჩეხოსლოვაკური ხელოვნების მონაწილეობა პროგრესისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/X-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 683-
უე 07330. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 7000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოგრაფიკამოცემლობის ბეჭდვითი
სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати, Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

6.69/240

ფასი 6 მან.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„Ц И С К А Р И“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОთა საკართველო»